


80ems



19

1957



3. ၁. ၂၀၆၀၆၀

ပာရေ့လက္ခဏာ၊

မ. ბოလျှိုဒန် နေပြည်တော်ဂါ

# ՕՏՏՈՎ

P-2/130/1

Սահմանադրությունը Սահմանադրությունը պաշտոնությունը  
առաջարկությունը գաղտնաբառը  
ԱՐՄԵՆԻԱ



Սահմանադրությունը գաղտնաբառը  
1957

## ନମ ଗାନ୍ଧିତାର୍ଥୀ

କିଳେବଜ୍ଞେଶ

ନେହା

ମାତ୍ରାଲି

ନେତ୍ର

ରାଗନ୍ରେଦିଶ ମୃଷ୍ଟଦରି ସାଶାକଲ୍ଲୁଶ ମଦିନାରିଶ;

ଶେମଦେଶ ଫାରିଶ — ମଲ୍ଲିଦିଶାରିଶ,

ରା ପାତ୍ରିଶ ନଗର୍ଜିଶ,

ରା ତନ୍ତ୍ରିରାନ୍ତିଶ ତାଵରିଦିଶ ଫିନା.

କାନ୍ଦବିନ୍ଦୀ ଫିନିମାଶ

ନିଶ୍ଚିନ୍ଦିନା ମୁଖିଶ

ରା ଭାଲାକ୍ଷେତ୍ରି ଅନ୍ତ୍ୟନ୍ଦିନା ପ୍ରସିଦ୍ଧିଶ,

ନେତ୍ରିଶି ବନମାଲିନୀଶ

ଶୁର୍ବାନିନା କୁମାରିଶ

ରାତ୍ରିନିଲ କ୍ଷେତ୍ରିକାଂତା ତପାଲେଶି ଲା.

ପ୍ରିଯଦା,

ଶମନିନିଶ ନତାଶି ଗୁରୁତଶି

ଶୁଭିନିଶ ଶେଦେରିଶ ନିତନ୍ଦିନିନ୍ଦିନ କ୍ଷେତ୍ରେଶ

ରା ନୀତିନିଶ,

ଶ୍ରୀଲିନି ମୁଶ୍କେଶିନି ଘରେରିନିଶ,

ରାତ୍ରିନିଶ

ଶଶିରମେଲିଶ

ଶଶିରମେଲିଶ

ଶଶିରମେଲିଶ.

## გ ზ ა

1

სხვა გზა არ იყო, — ყაჩალი სდევდათ, —  
მაინც გავიდნენ გზაზე ქარავნად,  
გზა იყო შავი, ვითარცა სევდა  
და შიშველ სხეულს მტვერი ფარავდა.

სავალი რყო დარღივით გრძელი,  
ხეები ხევდნენ ქარს გახელებით,  
აქ უსახელოდ წევს ბევრი წელი,  
წაშლილა კვალი და სახელები.

ასე წავიდნენ და ფერფლის ფერი  
ბული დაყარეს ცაზე ღრუბლებად,  
შემდეგ მრავალჯერ მოვიდა მტერი,  
წაგვართვა გზაზე გასვლის უფლება.

მაგრამ დათვლილი იყო დღე მისი,  
ვისაც ცხოვრების ჰქვია შრანჭავი,  
და წინაპარში დახარჯა სისხლი,  
თუმცა ვის ჰქონდა დასხარჯავი.

და სისხლისფერი დაედო ზეიმს  
და აამწვანა წვიმამ მიწანი,  
მე მეგობარი ვიცანი ჩემი,  
ჩემი სავალი გზები კიცანი.

მაგრამ ნუ იტყვით, ვითომ ამ გზაზე,  
რაც მოისურეო ძაცხა, სულ არი. —  
ბევრჯერ მომქონდა ხურჯინი სავსე,  
ბევრჯერ ქვიშაზე ვეგდე მწყურვალი.

ბევრჯერ შიაწყდა ბილიკი ფლატეს,  
ბევრჯერ ვეკიდე ჩლდეზე თითებით,  
გზაზე ულონო სიმტკრა ვფანტე  
და ვეზ ავკრიფე მარგალიტები.

მამავ, შორეთის მარალი მგზავრი,  
დახუჭულ თვალით გნახე წუხელი.  
...ერთხელ ყანაში გაფიცხდა ხარი,  
უცებ შუაზე გატყდა უღელი.

გადააწექი გუთნის სახელურს,  
კვალს თაფისქნეფით გაჰყენენ ხარები,  
შენ ისწორებდი ხალათს დახულს  
და ავინებდი ბეღს გამწარებით.

რომ არ მოვიდა წვიმა რა ზანი,  
ნარწყავს გვალვები კი ჩაკირავენ,  
რომ შენ მთელი დღის გრჩება სახნავი,  
და აგვარომევენ ხარს ნაქირავებს.

უღელიც არვის ჰქონდა ზედმეტი,  
უბრალო ცაცხვი გამონათალი...  
რომ გითხარ, ვერსად ვიშოვე-მეთქი,  
მთლად აირიე კაცი მართალი.

სარს წყევლასაგით უყრიდი თირას, —  
შეცოდებოდა მაინც ცხოველი.  
მე გამოყოფდი მხოლოდ გულს მტკიცანს,  
სხვა არვინ ჰყავდა ფიქრს გამყოფელი.

დააბრალებდი ყველაფერს ღედას  
და სახლში ჩხუბი იყო მთელი დღე...  
შაშინ ცხოვრება გავიგე მეტად  
და შენი დარდიც მაშინ შევიტყვი.

ეს იყო ჟამი, როცა სოფელში  
ტყავის ქუდებით გაჩნდნენ კაცები,  
შეერთებაზე მიწის, ყოველის  
ლაპარაკობდნენ სიტყვით, ნაწერით.

ეს იყო ჟამი, როცა გვითვლიდნენ,  
ნუ ხართო მარტო გამოკეტილნი...  
შენ არ გჯეროდა, თუმცა კვირტივით  
იმარაგებდა მზეს კოლექტივი.

## 3

გზას გაუუდექით ჩვენ ალიონზე,  
ფოთლები ენონენ ღამის სისველით  
და ნაბაქევის გაღასასვლელზე  
წამოგვეწია მზე ალისფერი.

შთაში პატრიონთან მიგვყავდა ხარი, —  
გვაქირავდ და ვაღაც გავიდა.  
არ იქნა, ყანა ვეღარ მოვხანძთ,  
არ ჰაგვიღიშა ერთი ამინდმა.

და შივყვებოდით ალმართებს ნელა,  
გზა ეხვეოდა ქედებს მტვრიანი.  
ეს ასავალიც ვინ დააგრძელა,  
ვით გლეხიკაცის ბედისტრიალიშ!

შეღმძა,  
ასე ბნელია დარდიც,  
მამის სახეზე ნაოჭს ვერ წაშლი...  
ვით ჩვენს ეზოში უტარო წალდი,  
ნახევარმითვარე ეგდო ზეცაში.

## 4

ამრიმართნენ ღრუბლები შემდეგ,  
ჩვენც შიგვაყენა ეზოს ბილიქმა.  
დალლილმა სახლში ცოტუც არ შედეჩ,  
რომ ალიონზე შინ ყოფილიყავ.

გვიან გაშეიმძა...  
ჩვენ წამოვედით,  
გზა რომ დადაბლდა, უფრო დაბნელდა  
და ლამე, როვორც თავშალი სუელი  
გადაიხურეს თავზე წაბლებმა.

და სველდებოდა ხალათში მამა,  
რა წამოელო თუმცა სახლიდან?  
ნაბადი ქველდა მოძველო, მაგრამ  
ის ფუთნახევარ მჭადში გაჰყილა.

ინანდ ფსეც: რას დღარობ იმდენს, —  
რისი ნაბადი მიწდა ქხლა მე,  
ოდინდ ამგვარად სოფელშიც წვიმდეს,  
გზაში კიდელიო სამი დღე-დამე.

თუმცა თუ კარგად აწონ-დაწონავ,  
ეს კიდევ ბეჭდს ერთი წიხლია,  
გაწვიმდა, მაგრამ ჩად ღირს კაცობა,  
ხვალ თუ საყანე ჰერ მოგვიხია.

...დაგრეხილია გლეხის ამბავი,  
ვინ დათველის ამდენ უბედურებას.  
ხან ეწყინება წვიმა ამგვარი.  
ხან გვალვა და მზეს ემდურება.

ხან კარიელი უდგას ნალია  
და უშაუროდ სახლში ბრუნდება;  
ხან არაფრისთვის აღარ ცალია  
და მოსატეხი ყანა აულპება.

ხანაც უდროო მარტის თოვლწვიმით  
ჩაირუგება ხილი ყვავილში;  
ხან ჩაეჭლება ვაჟის ქორწილი  
და ქვრივისათვის თხოვენ ქალიშვილი.

ხან თავად იწვის თავის ტაფაში,  
თუ დასჭირდება. დარღის დამალვა.  
სტუმართან გულუხვ სუფრას გადაშლის,  
ვერ გამოიცვლის წლობით ჭალამანს.

ხან უტყვია არის, როგორც ქვა-ლოდი,  
ხან ლიმილი აქვს, ვით განთიადი,  
მაშინ სახეზე თერთ მზე ამოდის  
და გჩირა — კაცი არის დიდდი.

## 5.

დილაზე ისევ გამოიდარა.  
და როკა სოფლის თავში დავეშვით,  
ვიღაც ხარებით — ჩანდა გზირაპნა  
ძვილ ნაპირს ხნავდა ჩუენს საყანეში.

მაშინ აენთო მცია უეკრად,  
მეგონა მეხი უნდა გავარდეს.  
იყვირა — ალბათ კერა დამეჭკა,  
მიწა მქონდა და მიწა წამართვეს.

მე კირნახული ცხოვრების გზაჩე  
მეყოფოდა ო მაინც საგზალად;  
და გუთნისდედამ შესძახა ასე:  
— მე კოლექტურმა გამომაგზავნა,

ვინ გარომევს მიწას, რას გაიკვროვა —  
ასეთი არის წესი ახალი,  
სირცხვილიაო, სოფელში ვინმეს  
რომ ნაწვიმარზე დარჩეს სახნავი.

პო. კოლწევრი ვარ და რა გავწირე, —  
შენზე ნაკლები მითხარ, ვინ არი,  
მე სხვისი ყანის ვარ მონაწილე  
და ჩემიც სხვისი გახდა ზიარი.

ერთად დაეთესეთ, ერთად მოუიმჟით,  
ჩვენი იქნება ხეთა მოლიანად...  
შენ ტოტსაც ვეზ ტეხ,  
მაგრამ ორი კი  
გადააშრუნებს ხეს ძირიანად.

შენ შეგვეცოლე, შიტომ მოველი,  
ასეა, ძმაო, წესი ახალი;  
სირცხვილიაო, ვინმეს სოფელში,  
ნაწვიმარზე რომ დარჩეს სახნავი. —

თქვა და ჩაეკრა გუთანი მიწას,  
ხარებს დაეღვათ რქები სანთლებად;  
მამაჩემი კი ქანდაკად იქცა,  
ვამბობდი — ნეტავ რა ემართება?

იჯდა მდუმარე ჩემი მშობელი,  
პგავდა ვედრებას მიწა ტიალი...  
საოცარია, ძმაო, სოფელი  
და გლეხიკაცის ბედისტრიალი:

## 6

წყენოდა მაშას, თუ უხარიდა? —  
აზ დაცდენია რამე ჩივილი;  
მერე კი როგორც კოკა წყაროთი,  
ტუერ აზესო იგი ლიმილით.

იგრძნო, რომ საქმეს ასე შებმულნა,  
სხვები იღწვიან, უკეთესობენ;  
და იგი სახეგანათებული  
გამოედევნა კვალში მეზობელს,

უთხრა: — მომეცი ძმაო გუთანი,  
აღარ მაფიქრებს ახლა მე შიში:  
წადი და იმ თქვენს გამგეს უთხარი  
მეც ჩემი ყანით ვარ კოლექტივში.

მიწას ღონივრად რომ შეუტია,  
თვალებში უველა დარღი დაიწვა;  
ასე მეგონა ამ კვალს ბელტიანს  
შემოავლებდა შთელ დედამიწას.

## 7

ასე ყოფილა, — ბეჭის ვარსკვლავი  
კაცს რომ ხანდახან გაგაულისებს,  
და წავა გუთნის კვალი გზასავით  
გზაუსულიდან გაზაფხულისენ.

გზა უფრო დიდი წინ გელოდება,  
უფრო ფართო და უფრო მთლიანი,  
დაულეველი, როგორც ოცნება.  
დალმართიანი, აღმართიანი.

შენ, მამაჩემო, ასე იტყოდი: —  
(მოვიგონებ და ახლაც მარგია)  
თავის სიმწარით, თავის სიტებოთი  
თუ იგრძნობ ყოფას — მაშინ კარგია.

მართლაც რა გემო-ფერი ექნება,  
თუკი ცხოვრების ბოროტ-კეთილი,  
წყარად მჯდომარეს, ერთაღ შეკრული,  
გადაგიშალეს კინოლენტივით...

შეუჩერებლად კაცმა იარა  
და ახალ დროთა სიტებო იხილა,  
ქვექნის ავკარგი გაიზიარა,  
გათბა განათლა და გახლიმა.

ჭალოცა ხალხის მამა — პარტია,  
მითხრა — გქონია შეილო ბედიო...

სიბერებ ძალა აღარ დატია,  
თორებ თავიდან ვიცხოვრებდიო...

წყუროდა მამას, წყუროდა ბეგრი  
ამ უნაპირო გზით სიარული.  
ეს იყო მისი კალო და კევრი,  
აზრი, სიმღერა და ჭიანური.

მაგრამ თავდება შენი ეამთასვლა,  
რაც უნდა ყამირ ბელტებს ღუნავდე...  
წავიდა მამა, ას რომ გადაწვდა,  
მე დამიტოვა ქვეყნის შუადღე.

თქვა: — ამ ახალ სხივს ჩასჭიდე ხელი,  
დღეები ზრუნვას შენგან ელიან...  
მშობელი იყო არა ძნელი,  
გამზრდელად ყოფნა უფრო ძნელია.

## 8

შრომის გზა იყო მისი სტიქია  
და ცხოვრებაში თავგამეტება.  
ბევრი რამ მისი ვერ გამიგია,  
რაც გამიგია, სად დაშეტევა!

მეც ტრფიალება მივეცი მანძილს.  
უსაზღვროება შიყვარს ფარული,  
აქ ოქტომბერი ხეებზე აწვიმს,  
და მიმიძლვება ფოთლის წყარუნით.

დაეძებს ლამე სევდიან უბეს,  
გულს თუ სხივებით გაეჩირები,  
მაგრამ ღრუბლები ლებავენ ღრუბლებს  
და სინათლეში იწვის ჩრდილები.

სელიზ ვეხები ვარდისფერ ცისკარს  
და წარინჯების შუქში ვბანაობ...  
აქ ყველა ტოტი იზრდება, ისხამს.  
მაღლობა, ხალხის დიდო ყანაო!

ვერ შეგარეუიონ, ფუქო მყარო,  
ნურვის უნახო შენ გაბზარული,  
წამომყე, მგზავრო, შევსვათ ეს წყარო  
და შემოვძახოთ ერთად მგზავრული.

## ნუთუ არ კმარა

I

ნელი ზლვაური აშრიალებს  
ზლვისპირა ბულვარს,  
შენ ტკბები ამ მზის,  
მიწისა და ცის სილამაზით.  
აზალიები  
ალისფერად ჩამწყრივებულან  
და მაგნოლიებს  
ყვავილების ღიმილი აზით.

შენ გულს გიხარებს სამხრეთული,  
ლია ცის კალთა  
და ზლვის ხავერდი მოლივლივე,  
გაშლილი ლურჯად,  
ეშხის მომგვრელი კულულები  
შავგვრემან ქალთა,  
და ისარივით გატყორცნილი  
კრიალა ქუჩა..

შენ ძლიერ გხიბლავს  
მარადმწვანე მიდამო ჩვენი  
და ზლვის ნაპირთან  
მიჯარული ზლვისფერი მთები.  
შენს ქერა სახეს  
მოწონების ლიმილი შვენის,  
როცა ქალს თუ ვაჟს  
მოფუსფუსე ქუჩებში ხედები.

მაგრამ მუ შეგხვდი...  
წამსვე შეკრთი.  
წარბები შეკარ...  
ხომ არ გენიშნა  
ჩემ სახეზე ძველი იარა,  
ხომ არ გაცოცხლდა

ბრძოლის ველი,  
ბზურა და სოპკა,  
და მოგონებამ  
შეგაშფოთა, შეგაზრიალა?

იქნებ ერთმანეთს  
ომში შევცვდით ორი ყმაშვილი,  
როცა სამი თვის ბალლი იყო  
ცხრას თხუთმეტი:  
მე გაოგნებით  
მოვდიოდი ხმალამოშვდილი,  
შენ სანგრებიდან  
ნაღმს და დუმდუმს ათუხთუხებდი.

იქნებ ყურს ქვემოთ  
შენ გამავლე მოლურჯო ხაზი  
და ხიშტი მკერდში  
მე გატაკე  
როგორც შურდული!  
— ეჭ, რატომ? რისთვის?  
სულს მიხუთავს ბოლმა და ბრაზი,  
როცა, მგონია, ყურთან წივის  
შენი დუმდუმი.

ბევრი სიცოცხლე  
ჩაიფერფლა და ჩაინისლა,  
რამდენს წილად ხვდა  
პროთეზები და ყავარჯენი!  
რამდენს ხსოვნაში  
ისე დარჩა ბზურა და ვისლა,  
როგორც ჩვენ დაგვრჩა  
ჭრილობები — შენი და ჩემი!

ქვეყანა მორჩა  
ნაბრძოლი და გაუტეხელი,  
ჩვენაც მოგვირჩა  
ის ნახმლევი და ნატყვიარი.  
მაგრამ როდესაც  
ნაიარევს მოსინჭავს ხელი,  
გულში ტკივილი  
შემომიტევს ოხერ-ტიალი.

ჩვენ, სალდათებმა,  
რა ვიცოდით — ვისთან და ვისკუნ!

ახლა სხვა ღროა.  
 უტყუარად ქვეყანამ იცის.  
 თუ რად „უყვარდათ“  
 ხელმწიფეს და კაიზერს ქრისტე,  
 გულს როგორ „სწვავდათ“  
 სარაევოს მოკლული პრინცი!

და ისიც ვიცით,  
 თავს ჭალათი რად დაგვყიოდა:  
 — დაჰყათ! მოჰყალით!  
 ვიომებდით მართლაც ბოლომდი,  
 რომ ხალხს ლენინი  
 და პარტია არა ჰყოლოდა,  
 რომ ლენინის გზას,  
 სიმართლის გზას არ გავყოლოდით!

## II

ომიდან მოველ.  
 ჩემმა გოგომ არ დამივიშაა,  
 ალერსით მითხრა  
 განაწამებს და გადარჩენილს:  
 — ეს რა დაღია.  
 როცა გლოცავს მშობელი მიწა!  
 ქალს ხალი შვენის,  
 მეომარს კი ნახმლევი შვენის!  
 (ასე კარგი და კეთილია მეულლე ჩემი!)

ნატვრა აგვიხდა:  
 ჩვენს სახელზე ფიცრული ჩანდა.  
 მიწით და შრომით  
 გლეხკაცურად ვიჯერეთ გული.  
 თანაც მზად გვქონდა  
 შაშხანა და საველე ჩანთა —  
 საბჭოს ვიცავდით  
 საბჭოებზე შეყვარებულნი.

მალე ოჯახი  
 კიდევ უფრო აივსო შვებით...  
 (ვაიმე, შვილო,  
 შენზე სიტყვა მტანჯავს და მიჭირს!)  
 თუ გულს აქამდე მიხარებდნენ  
 სხვისი ბავშვები,  
 ახლა მეც მყავდა  
 თავქოჩორა პატარა ბიჭი!

შვილი — მემკვიდრე,  
 მამის გზის და კვალის განმგრძნობი...  
 ვის არ ახარებს,  
 სიამაყით ვის გულს არ ავსებს!  
 და ჩვენც ვიხარეთ  
 უსასრულო,  
 მშობლიურ გრძნობით,  
 ჩვენ ფრთაშესხმული  
 დავურჩინავდით ოცნების ცაზე.

დღეებს ვითვლილით.  
 ო, პირველი ფორთხვა და გავლა!  
 მზეს ვადარებდით გალიმებას,  
 თვალებს — ვარსკვლავებს.  
 ლამის გავგიუდით,  
 ორი სიტყვა როცა ისწავლა,  
 უკვე აკვანში ვუზომავდით  
 ბეჭებს და მკლავებს.

მერე სკოლა და სიჭაბუქა —  
 ვარდობის წლები,  
 გულში რომ ჩიტი დაიბუდებს,  
 ვარდი და ია,  
 როცა ოცნების  
 რაშს მიაფრენ თავდავიწყებით,  
 ცა ქუდია და  
 დედამიწა ქალამანია.

მაგრამ იჭექა.  
 მიწა შეძრა ავმა გრიალმა  
 და მოიკუპრა სხივნათველი,  
 მზიანი დილა.  
 სისხლისღვრა იყო,  
 ჩვენ რომ ვნახეთ ისე კი არა.  
 მტერი აროდეს  
 ჩვენს შემუსვრას ასე არ ცდილა.

ჩემ შვილს ეძინა,  
 როცა ომის ხმები გაისმა.  
 ცერ-ცერად მიველ,  
 დავიხარე  
 უბადლო განძთან.

ყველა მშობელი  
მშობელია პირველ ყოვლისა  
და, რა თქმა უნდა,  
არ იძრახვის მშობლური განცდა.

დედის თვალებზე  
მწუხარების ცრემლი არ შრება,  
და ვერც მის სიტყვებს  
უსაფუძვლოდ ვერავინ ჩათვლის:  
— მე შვილისათვის მიყვარს სამშობლო,  
მე შვილი მიყვარს სამშობლოსათვის!

ძლიერ ეს უთხრა და...  
ჩვენი ვაჟი წავიდა ომში.  
ის იქ იბრძოდა,  
ჩვენ ზურგიდან შრომით ვშველოდით.  
დავიღუბოდით —  
არ გვებრძოლა ლენინის დროშით,  
პარტიის დროშის.  
წითელ დროშას არ გავყოლოდით!

ლენინის სიბრძნე  
გვინათებდა სისხლიან სავალს,  
ხალხი ლომს გავდა,  
როცა ბორგავს ფაფარაყრილი.  
ჩვენი სამშობლოს  
საღიღებლად და დასაცავად  
იყო ვაჟკაცთა  
რკინება და გადახახილი.

ცეკასთან ერთად  
ღამეს ტეხდა კრემლში სტალინი,  
სალუტებს წერდნენ  
ფიქრით მოსილ მოსკოვის ცაზე,  
შორს გამარჯვება  
ციმციმებდა ნაპერწყალივით,  
მტკიცედ რომ ვჭედლით  
რწმენითა და იმედით სავსე:

და გამოვჭედეთ..  
ძვირი დაჭდა ეს გამარჯვება.  
ამ წმინდა ომში  
დაიღუპა მებრძოლი ბევრი.

მსხვერპლი გაიღეს მოხუცებმაც,  
თოთო ბავშვებმაც...  
ნახე ციფრები  
ყველა მთქმელზე უხმო და მჭევრი.

შენ არ იცოდი —  
რას გვიქადის იმ წლის ივნისი,  
ვერმახტის მარში —  
თამამი და თითქოს უღლელი.  
შენ არ იცოდი —  
ბელინიერი ჩემი შვილისთვის  
შენს შვილს მოჰკონდა  
სამარცხვინო მონის უღელი!..

შვილი დავკარგე.  
დაკარგულად მაინც არ ითქმის.  
შენც დაკარგე და  
ამას სწორად დაკარგვა ქვია:  
ჩემ შვილს  
ქვეყანა კომუნიზმის მშენებლად ითვლის,  
შენ კი მოტყუვდი...  
და ამასაც ტყობილობ გვიან!

ახლა რას ფიქრობ?  
გულლიად ვთქვათ,  
ნუთუ არ კმარა,  
ხალხი რომ გაწყდა,  
ყანები და ბალები მოხმა!  
ზლვებს შეადგენდა  
რაც ქვეყანამ სისხლი დაღვარა,  
მიწას გახეთქდა  
შვილმოკლულთა ცრემლი და ოხვრა!

და თუ ვერ დავძლევთ  
დამპყრობელთა ველურ ადათებს,  
თუ ყველა ხალხი  
ომს არ დაგმობს მის სამშობლოში,  
თუ მშვიდობის და ძმობის დროშა  
ვეღარ ავმართეთ, —  
კაცობრიობა  
შუდამ ივლის ომიდან ომში.

ისევ და ისევ გაჩალდება  
 ომის ხანძარი,  
 დალუპულ შვილებს  
 დაიდარდებს საბრალო დედა,  
 ომს კვლავ მოჰყვება  
 სისხლის ტბორი და ნიაღვარი,  
 თუმცა ზავი და  
 ნიურნბერგიც გამეორდუბა.

მაგრამ ის არ ჭობს,  
 შინდაწინვე ყველას ვაცნობოთ,  
 რომ ხალხის სისხლი  
 დაუსჯელად არვის ჩაუვლინ,  
 უჭვე დროა და  
 უნდა. ახდეს ხალხთა ოცნება —  
 ჰოისპოს ომი —  
 ეს მხეცური დანაშაული?!

*P-21/301*

ჰოდა, ერთმანეთს  
 სამეგობროდ ჩავსჭიდოთ ხელი,  
 ყური დაუგდე —  
 ცრემლიანი ღალადი ისმის:  
 — დაქ დასრულდეს!  
 და იყოს უკანასკნელი  
 ჩვენი შვილების  
 ნათელი და უმანკო სისხლი!

## ბ ე გ დ ა ხ

მოთხოვბა.

მართლა ახია მასზე, ახი! რას იშლის წერვებს, რას ეჩრება სხვათა საქმეებში, სოფელს ხომ ჰყავს ხელმძღვანელები?! ნუთუ ჰგონია, თითქოს ამ აშენებულ ქვეყანას უმისოდ ვერ მოუვლიან?! რისთვის უნდა გადაიკიდოს ან ერთი მეზობელი, ან მეორე, დადგეს შინ, გინდ მხართეძოზე წამოწვეს, გინდ ისე-ირნოს, ნუ გეშინია, სახლი არ აკლდეს და კარი, საჭმელი და სასმელი! რატომ ვერ ისწავლა ამხნის კაცმა ჰქუა, რატომ ვერ ეტევა კანში, იმ უქნარა ნიკიფორას რატომ გაალანდოვინა თავი? არა, ნამდვილად ახია მასზე!..

რკინის ჭიშკრის რაზამ ისეთი ჭახანი გაიღო, თითქოს მოსამტვრევად დიდი ჩაქუჩი დაჭკრესო. უცებ ძალლიც აწ-კავწკავდა, კუდამოძუებული გამოიქცა და მაღალი თდა-სახლის ქვეშ მიიმალა.

— ვინ ხარ, რა სულიერი ხარ. ან ჭიშკარს რას ერჩი, ან ძალლს? — ხმა-დაბლა, მაგრამ წყრომით წარმოთქვა მოხუცმა ქალმა, ცომის ზელა მიატოვა, აკეცილი კაბის კალთა დაუშვა, სამჩა-დის ლია კართან მოდგა და ეზოში გა-მოიხედა.

გამოიხედა და თვალებს არ დაუჭერა. ნუთუ მისი ქმარია ეგ საკინძგაღელილი, ოფლით გაღვარული, სახეჩაშავებული კაცი, თავისთავს გაჯავრებული დათვი-ვით რომ ებუზღუნება და ოდისაკენ გაშმაგებული მიიჩინარის?! ნუთუ ასე უმოწყალოდ მან მიაჯახუნა ჭიშკარი და

წიხლის საკვრელად გაიმეტა თოვლის-ფერი ფინია, რომელიც ოჯახის წევრი-ვით უყვარდა და ცოტალა აკლდა თა-ვისთან ლოგინში დაეწინა?! ნეტავ; რამ გადარია ეს ბერიყაცა!

— შენ ხარ, ბეგლარ? — ენა ძლივს მოაბრუნა მოხუცმა დიასახლისმა: — რა დაგემართა, კაცო?

ქმარმა არ უპასუხა. წალდი კიბესთან მიაგდო, აივანზე ჭაბუკივით მარდად აირბინა, ყაბალახი მოაჯირზე გაღმო-ადო და სათუთუნე ამოილო. თითები უკანკალებდა და თამბაქო კარგახანს ვერ შეახვია. ამან უფრო გააბრაზა. სამ-ზადა და, ოდა-სახლს შუა გახევებუ-ლივით მდგომ, მკლავებდაკარწახებულ, კითხვის ნიშანივით მოხრილ ცოლს ერ-თი გადახედა და, თითქოს ყველაფერ-ში დამნაშავე იგი ყოფილიყო, უკმეხად შეუტია:

— ეე, შენს საქმეს მიხედე, მარინე! ხელებზე ცომი შეგახმა, იქ კი, გობზე, ალბათ ჭამები ვახშმობენ!

ნაოჭებით დაღარული, ფერმერთალი სახე მარინეს წამიერმა ღიმილმა გაუ-ნათა. უკმეხი პასუხი არ სწყენია. მან ხომ კარგად იცოდა ქმრის ხასიათი: სა-კუთარ ორეულთან პაექრობით გულს რომ იჯერებდა, იგი ხვაშიადს მაინც გა-ანდობდა ცოლს, თუნდაც ამ უკანასკ-ნელს არც ეკითხა. ასე იყო მუღამ; ქორწინების შემდეგ. ასე იქნებოდა, ალბათ, სამარის კარამდეც, რაც, სამწუ-

ზაროდ, ცხრა მთას იქით აღარ ეგულებოდათ.

მარინემ ღრმად ამოიოხერა, სამზადში შებრუნდა და ვახშის თაღარიგი განაგრძო, ბეგლარი კი აივნიდან ჩამოვიდა და ასწლოვანი ცაცევის ძირას, აბიბინებულ მოლზე წამოწვა. მზის ჩასვლამდე თგი თამბაქოს ეძალებოდა. ხვნებოდა და ბუზლუნებდა. მარინეს ყურადღე მიაღწია ხმამაღლა წამოსროლილმა მისმა სიტყვებმა: „ლოთი!.. უქნარა!.. უფროსობას მიეჩვით?!.. ფუჟშევარცხვინე მისი თავი!“.. ცხალი იყო, ბეგლარი ვილაცას გვარიანად წასჩეუბებოდა, ისიც უთუოდ რაღაც საერთო საქმეზე, თორემ ასე არ აღელდებოდა. გულალრენილი ბერიყაცი ქარიშხლისაგან დარწეულ ზღვასავით ბორგავდა, ოდნავ ხმაურსაც ვერ იტანდა და საყოლს ერთბაშად სინსილას ავლებდა: ჭირი დაგრეოდეთო, გასძახოდა საღრესთან აჭყიპინებულ გოჭებს, მგლის დასაჭმელად იმეტებდა ჭიშკართან მომდგარი წაბლისფერი ძროხის ცხვირწინ შოკუნტრუშე, აბლავლებულ ბოჩოლას და კისერტიტველა როხოხა მამლის მეთაურობით ტურების ყელის ჩასკკლოზინებლად გზავნიდა თეთრაკვითელ დედლებს, რომლებიც საქათმეში შესვლის მაგრერ სამზადის უკან კრიახ-ქოთქოთით ჯდებოდნენ სუროშემოცველი შავი თხმელის დაბურულ ტოტებზე.

შებინდების შემდეგ ეზო მიყუჩდა. ცტელმა ხაჭაპურმა და ქარვისფერმა ჭურის ღვინომ თითქოს ბეგლარიც დააწყნარა. მაგრამ ვახშმობისას მას ერთი სიტყვაც არ დასცდენია. მარინე ღროდა და დარღო მალულად შეათვალიერებდა ხოლმე ქმრის ახალგაპარსულ, გამხდარ, შჩედაკრულ სახეს, სველი დოქიდან ღვინოს ხელახლა დაუსხამდა, ხაჭაპურის დიდ ნაჭრებს მიუჩოჩებდა და შოთმინებით ელოდა, აი ახლა ჩამოა-

რაჭრაკებს, რა ბზიქსაც უქბენიაო. კიდევაც გაუმართლდა. ბეგლარმა ჭალარა ულვაშებზე დინჯად გაისვა ხელი, ხშირი წარბებით დაჩრდილული თვალები ცოლს მიანათა და თავის კანტურით ჩაილაპარაკა.

— რას არ მოესწრება, თურმე, კაცი! ამ სიბერეში. ჩემო მარინე, სასაკილოდ ამიგდე!

მოხუცი დიასახლისი შეერთა და გაოცებით მიაჩერდა. იგი ყველაფერს ელოდა, მაგრამ მის ქმარს თუ ვინმე დაცინვას გაუბედავდა, ეს კი ველარ წარმოედგინა.

— გაგიძვირდა, ხომ? — მწარედ გაელიმა ბეგლარს. — ჰაა, ჰაა, რომ ასეა!

მარინემ ვერაფერი მოახერხა და ისევ დაუსხა ღვინო, თუმცა ვახშამს ქარგახანია მორჩნენ და ბეგლარსაც „ნორმა“ მირთმეული ჰქონდა.

— კი, მარა, შე კაცო, რა ქენი დასაცინავი?

ბეგლარმა თავი უკმაყოფილოდ გააწენია.

— ახია ჩემზე, ახი!

— თუ ახია და გეკუთვნოდა, ბარებ კიდევაც მოინელე! — მწყრალად მიუგო მარინემ და სუფრის ალაგება დაიწყო. — უმიზეზოდ, რაც მართალია, მარტალია, გაყილვას ვერავინ გაგიბედავდა.

— შენ ასე გგონია, ხომ?

— სხვა რა მეთქმის? მე ხომ არ ვიცი, რა დაგემართა!

— თუ არ იცი, უნდა გაიგო და მერე განსაჭო.

— შენ მარტო ახია, ახიაო, გაიძახი და რა უნდა გავიგო?

— ჰოო? აბა მომისმინე.

მარინე სუფრასთან კვლავ ჩამოჭდა და სმენად იქცა.

ბეგლარმა ჩვეულებისამებრ ანდაზით დაიწყო:

— არ გათეთრდება ყორანი, რაც გინდა ხეხო ქვიშითაო, ხომ გაგიგონია?

მარინემ დასტურის ნიშნად თავი დაუქნია. გაუგონია და განა ერთხელ? ეს ანდაზა მარტო ქმრისაგან, აღბათ, სულ ცოტა, ათასჯერ მაინც სმენია.

— ჰოდა, პირდაპირ იმ უქნარა ნიკიფორაზეა ნათქვამი, — დასძინა ბეგლარმა. — არ იქნა და მისგან ხეირიანი კაცი არ დადგა. ჯერ იყო ტა, აღმასკომის თავმჯდომარე რომ ვიყავი, პატიმრობას გადავარჩინე: პატიოსნად მუშაობის მაგიერ ისპეკულანტა, ნაყიდი ხილი გაყიდა. პირობა მოძყა, აღარ გავიმეორებო და ჩაის ფოთლის მზიდავად მოვაწყე კოლმეურნეობაში. მერე, კოლმეურნეობის თავმჯდომარედ რომ ამირჩიეს, ნახევარი ტონა ჩაი მაზარალა, დროზე არ გადაზიდა და გადაიწვა. მაშინ შრომადლეები ჩამოვაწერე, და პასუხისგებაშიც უნდა მიმეცა, მარა დედაკაცივით ამიტირდა, ფიც-პირობა დამიღო და მეც ვაპატიე, შემეცოდა.

— ეს ხომ ძველი ამბავია, ბეგლარ, — მორიდებულად შეაჩერა მარინემ. — ნიკიფორას და მისი ფიცის ძალას ახლა მაცნობ?

ბეგლარს არ ესიამოვნა.

— ძველია თუ ახალია, სულ არ ვარ ლაყბობის გუნებაზე და, თუ არ მაცლი, იყავი შენთვის!

— კაი, კაი, — მარინეს უნებლიერ გაერიმა. — გისმენ!

ბეგლარმა პაპიროსს მოუკიდა, ორისამირ ნაფაზი დაკრა და მოგვიანებით განაგრძო:

— ახლა სმა დაუწყია. ღვინოს რომელი კაცური კაცი არ სვამს, მარა სმისაც გააჩნია. იგიც უნდა იცოდე, როდის დალოც. მაგ უვარგისი კი ღლისით-მზისით გამომთვრალა, როცა მეზობელი კოლმეურნეობიდან ცარიელი უჩიმით ბრჭნდებოდა...

იქ აგურისათვის გაუგზავნიათ. ამ

სოფლის კოლმეურნეობის ახალ თავმჯდომარეს ცოტა ყაირათიანობა აკლია, თორემ რად უნდოდა აგურის სექსება, ბოსლის მშენებლობაზე თამამად ეყოფოდა ის აგური, რაც ჰქონდა, მაგრამ ორ კურდლელს გამოედევნა: ერთად მოინდომა ბოსელიც აეგო და აბანოც. ჰოდა, უცებ შემოაკლდა. მეზობელი კოლმეურნეობიდან მოტანაც შეუგვიანდა. ამასობაში აგური გაუხარჯავთ. ურემიც გაცდა და კაციც, უკან გამობრუნებისას ნიკიფორეს მოყვარე შეხვედრია, შინ შეუბატიუებია და კაი მავრად გამოუთვრია. მერე ის ღოყლაპია წამოწოლილა ურემზე და დასძინებია. ნებაზე მიშვებული ხარები სოფლის ბოლოში მაღლე მოსულან. მდინარის პირას, ციტრუსოვანთა სანერგესთან, საღაც სიმინდის ყანა იშვება, ძველისძველი, ჩალეჭილი ღობება. ხარები ყანაში გადაუხვევიათ.

სანერგეში იმ ღროს არაენ ყოფილა, ბეგლარი კი გადაღმა ფერლობზე, გაშვებულას რომ ეძახიან, ტყე-ლრეში დახეტიალობდა და დასამყნობად ვაშლისა და მსხლის ველურ საძირებს არაეცდა, ეკალ-ბარდს აცლიდა და ძირებს უწმენდდა. შენობა მას ბავშვობიდანვე უყვარდა. ისე წელიწადი არ გავიღოდა, რომ ათი-თხუთმეტი ძირი პანტა ვაშლია, ან მწარე მსხალი არ გაეკეთილშობით ლებინა და ქარვისფერი ნაყოფით. არ დაეხუნდა. ახლა, როცა, მისივე სიტყვა-ბით რომ ვთქვათ, სიბერის გამო მწყობრიდან გამოვიდა და სოფლის მეთაურობა სხვებს დაუთმო, თავს მხლოდ ამ შენობით იქცევდა. ო, რა კარგი იქნებოდა, მუყაით მშრომელად ნიკიფორეს გადაკეთებაც ისე აღვილი რომ ყოფილიყო, როგორც პანტა ვაშლისა თურაშაულად. ერთ პატარა კვირტს მიამყნობდა, მორჩა და გათავდა!

გორაკის თხემზე რომ ასულა, ბეგლარს დაბლობში გადაუხედავს, და რა

დაუნახავს! დაფოჩიანებული, ჩატარო—  
იანებული ყანა ხარებს სულ ერთიანად  
აეოხრებინათ. ზოგ სიმინდს ძირიანად  
თვითონ გლეჭდნენ, ზოგსაც ურემი ლე—  
წავდა. ყანა ნახევარ ქცევაზე მაინც  
იყო განადგურებული. მნახველს თვალი  
უნებურად აუტირდებოდა.

ნეტავ, ვისი ურემია, კოლექტივის ყა—  
ნაში ვის გაუშვია ასე უპატრონოდო,  
გაუფიქრებია ბეგლარს და მყისვე დაბ—  
ლობში ჩაურბენია. ხარ-ურემთან მი—  
ვარდნილა და, ჰოი, საკვირველებავ!  
ხელში შერჩენია მკვდარივთ. მძინარე,  
გალეშილი ნიკიფორე. ფერდებდამრგ—  
ვალებული ხარები მძინარე მეურმი—  
თურთ გზაზე გამოუყვანია და სოფლის  
ცენტრისაკენ წაუსხამს. ნიკიფორეს  
მხოლოდ კოლმეურნეობის კანტორას—  
თან გაღვიძებია. ერთხანს გონს ვერ  
მოსულა. მან ხომ არ იცოდა, რა ჩაი—  
დინა, და საკოლმეურნეო ავტომანქანის  
მძლოლ სევასტიას ეკითხებოდა, თუ  
იცი, რა ქარბორბალა დატრიალებულა  
ჩემს თავზეო. მძლოლი მანქანის  
ფილტრს სწორდდა და სეირის მოლო—  
დინში მხიარულად იცინოდა.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე —  
ჯმუხა, წითური ახალგაზრდა აგრონო—  
მი — მალე მოსულა.

— ა, ჩემი მიხეილ, — უთქვამს ბეგ—  
ლარს მისთვის, — ჯერ ეს ცარიელი  
ურემი და გამოძინებული ლოთი ჩაიბა—  
რე, მერე კი, თუ არ დაგზაროს, ჩაბრ—  
ანდი სანერგესთან, ან ბრიგადირი გა—  
ვზავნე, და ნახე მაგის ნავაჟუაცარი!

თავმჯდომარეს ამ სიტყვებიდან ვე—  
რაფერი გაუგია. რა მოხდაო, უკითხავს.  
კანტორიდან ბულალტერიცა და მოან—  
გარიშეც გამოსულან, ცნობისმოყვა—  
რეთა გუნდს შეერთებიან და მოხუ—  
ცისათვის მათაც იმავე კითხვით მიუ—  
მართავთ. ბეგლარს მოკლედ უამბნია.  
შოლოს მოუთხოვია — ახლავე აქტი

შეადგინეთ, ეს დოკუმენტია დააჯარიმეთ  
და საკადრისად დასაჯეთო.

თქმა არ უნდა, მოთხოვნა სწორი იყო,  
ასეც მოიქცეოდნენ და ყველაფერი  
ამით დამთავრდებოდა, იმ თავგიღელა  
მძლოლს ნიკიფორესათვის რომ არ  
ეკითხა — მართალია, ცუდი საქმე დაგ—  
მართნია, მაგრამ ეს ბერიყაცი რას გერ—  
ჩის, რას ჩაგდიებიაო. ნიკიფორეს ხმა—  
მალლა უპასუხნია:

— ვანა მარტო მე ჩამაცივდა? მაგი  
ყველასთან ასეა. რა ვიცი, რა უნდა,  
ალბათ, უფროსობას მიეჩვია და ახლა,  
თავმჯდომარედ რომ აღარ არის, ველარ  
ძლებს!

ყველას გადაუხარხარია. გადაუხარ—  
ხარია თავმჯდომარესაც, ვისაც, ბეგლა—  
რის რწმენით, კი არ უნდა გასცინებო—  
და, არამედ დამნაშავე გაეყიცხა. ბერი—  
კაცი ბრაზისაგან ციებცელებისინივით  
აცაცახებულა.

— ასე ხომ? — გულისტყივილით წა—  
მოუძახნია მას. — ყბას მიქცევთ, არა?  
ფუი, შეგარცხვინათ ლმერთმა! — ჩქა—  
რი ნაბიჯით წამოსულა, ერთი უკან მი—  
უხედავს და მქერდზე მუშტი დაურტ—  
ყამს. — ახია ჩემზე, ახი!

— მართლა ახია შეწე! — ქვე—  
რი დაუკრა ქმარს მარინემ, როცა ამბა—  
ვი ბოლომდე მოისმინა. — იმ ხარ—  
ურემს სხვები ვერ დაინახავდნენ?! რას  
იყლავ თავს, მეორედ ხომ არ მოხვალ  
ამ ქვეყანაზე? თხმელა ხომ არ ხარ,  
რომ გადაგმერან და ისევ ამოიყარო! ნუ  
გეშინია, სოფელს უშენოდ კი გაუძლვე—  
ბიან.

— ჰოდა, შენც ასე ამბობ, ხომ? რა—  
ხან ასეა, მე მკითხე აწი! — შეუკამა—  
თებლად დაეთანხმა ბეგლარი. — ყვე—  
ლაფერზე ხელს ჩავიქნევ, დავჭდები და  
ვიქნები ჩემთვის. მაგათი სასაცილო  
ვარ?! უფროსობას მიეჩვიაო! ჰმ! შეარ—  
ცხვინათ ლმერთმა!.. შენ ის მითხარი...  
ჰო... ლოგინი თუა გაშლილი?

— კი, მოისვენე...

ბეგლარმა უკანა ოთახში ელექტრო-შუქი გამორთო და ღია ფანჯარასთან თავის ლოგინზე წამოწვა. მოხუცი დია-სახლისი ცოტა ხანს კიდევ ფუსფუსებ-და, რაღაცას ფრთხილად ფერთხავდა და ალაგებდა. ბოლოს ყველა კარი ჩა-რაზა, რადიორეპროდუქტორი ჩააჩუმა და თვითონაც თხელ საზაფხულო სა-ბანში გაეხვია ქმრის საწოლის მოპირ-დაპირე მხარეს მდგომ ნამზით კაკლის-ხის საწოლზე.

— გძინავს, ბეგლარ?

— არა. რა იყო?

— არაფერი, ისე ვიყითხე.

ღია ფანჯრიდან ოთახში უხვად იღვ-რებოდა მთვარის მეწამული შუქი. შე-რიდან მოისმოდა ჰიდროელექტროსად-გურის მონოტონური ჩახჩანი. შარაგზა-ზე დროდადრო ავტომანქანები მიგრუ-ხუნებდნენ.

— როგორ გამოიცვალა ჩვენი სო-ფელი! — უჩვეულოდ აჩქროლებული გულიდან მღელვარედ ამოილაპარაკა ბეგლარმა. — პატარა, კოხტა ქალაქს დაემსგავსა! — გვერდი მოინაცვლა. და, საიდან სადათ, უცბად იყითხა, — გახ-სოვს, მარინე, ჩვენი ქორწილი?

მეუღლე ხალისით გაეხმიანა:

— რა დამავიწყებს, შე კაცო, ტყეში გადახდილ ქორწილს! ჩეიღმეტში არ იყო? იმ ხანებში რუსეთს დიდი რეკო-ლუცია მოხდა. მას აქეთ ბარე ორმოცა წელიწადი სრულდება.

— პოდა, იგი დრო შეადარე შენ ამ დროს! მაშინ ტყეში ვიყავით განიზნუ-ლი, ვპარტიზანობდით. ახლა ტყეების ალაგას ჩაი და ციტრუსებია, ისლანი ქორმახების მაგიერ ოდასახლები ავიშე-ნეთ, ძმნები და ქალამნები გადავყა-რეთ, ჭრაქის მაგიერ აი ელექტრონი გავაჩირადნეთ... ახლა მარტო მუშა-ობაა საჭირო, ისიც შენთვის. პოდა, ამ ბაღად ქცეულ ქვეყანაზე პატიოსნად

თუ აღარ იმუშავე და მოპოვებულსაც არ მოუარე, რაღა კაცი გქვია?

— ეკვე, ჩემო ბეგლარ, ვიცი, რაც გაწუხებს, — მიუხვდა მარანე. — მაგ-რამ ნიკიფორეზე და მისთანა უქნარებ-ზე დარდი მაინც არა ლირს. ისინი ხომ ბევრი არ არიან! მალე, ალბათ, ჭკუაში ჩავარდებიან და გამოსწორდებიან... და-იძინე, უფრო აჭობებს.

— რომ არ მეძინება ეს ტიალი?

— ნუ ფიქრობ და დაგეძინება.

ოყუჩეს, მაგრამ ძილი არც ცოლს ეკარებოდა და არც ქმარს. ორივე, ფიქ-რებმა გაიტაცა. ნაშუალამევს ბეგლარმა იკითხა:

— არ გძინავს, ხომ, მარინე?

— ახლა გამეღვიძა, — იცრუა დია-სახლისმა.

— იცი, ხვალ რას ვიზამ?

— ჰო.

— მუხლს გავამართვინებ ჩემს მე-რანს და გავუყვები გზას ახალსოფლი-საკენ. დიდი ხანია ქვისლი არ მინახავს და ერთი დღით ვეწვევი. წარსულს გა-ვახსენებთ და თავსაც შევიძევთ.

— კა აზრია, — მოუწონა ცოლმა. — ახლა მოსულხარ ჭკუაზე. ჩხებსა და დავიდარებას, სხვების მაგიერ წუხილსა და თავის მტვრევას ასე არ ჭობია?! როგორც წერილიდან ჩანს, ქალაქში ის ბალნები კი ყოფილან კარგად და შენ მახედე შენს თავს.

„ბალნებს“ მოხუცნი ძველებურად უძახოდნენ თავიანთ ქალ-ვაჟს, თუმცა ინეინერა ვაჟიშვილი უკვე ორმოც წელს იყო მიღწეული, ხოლო ათი წლის წინათ გათხოვილ მასწავლებელ ქალი-შვილს სამი თავისი მოზრდილი ბალნა ჰყავდა.

— შენ ხომ არ წამოხვილოდი? — შეეპატიუა ქმარი მარინეს.

— მე? აჲ, არა, რა ამიყვანს ჩმ მთა-

კორტოხზე! ისე, ჩემი და ჩემზე უმცროსია და კარგს იზამს, თუ ჩამოვა და ერთს თავს დამანახვებს.

— ვეტყვი. კი უნდა წამოვიდეს.

— აბა დავიძინოთ ახლა, რაკი გასამგზავრებელი ხარ:

ბეგლარმა კვლავ მოინაცვლა გვერდი. თვალებიც დახუჭა, მაგრამ არ იქნა და ვერ დაიძინა. მარინეც დიდ ხანს წრიალებდა ლოგინში. მას მხოლოდ განთიადისას ჩასთვლიმა, თუმცა ძილშიც ვერ მოისვენა, სიზმარში ვიღაცას ეჩეუბებდა: ჩემს ქმარს, ამ სამოცდაცხრა წლის კაცს დაცინვა როგორ გაუბრდეთ, ის ხომ ჩვენს სოფელში უხუცესი ბოლშევიკია, მეფესაც იგი ებრძოდა და მენტევიებსაც, კულაკებსაც იგი ლაგმავდა და სხვა მაცნებლებსაც, ხან სასოფლო საბჭოს აღმასკომს უძღვებოდა და ხან კოლმეურნეობას, მისი თავ-კაცობით აყვავდა ეს სოფელი...

დილით მაინც ორივენი ადრიანად ადგნენ. მარინემ ქათმები დააპურა და ძროხა მოწველა, ბეგლარმა კი ცხენი შექაშმა. საუზმემდე ბერიყაცმა ხეხილით დაბურული მთელი ეზოს შემოვლა მოასწრო, ზვარიც ინახულა, ყანაც და ბოსტანიც. თვითეულ ძირ ვენახსა და სიმინდს ისე აკვირდებოდა, თითქოს სამუდამოდ უნდა გამოეთხოვოს და ენანებაო. მოხუც დიასახლისს ეს არ შეუმჩნევია, თორემ ავის მომასწავებლად ჩაუთვლიდა და, რაიმე ფათერაკის შიშით, მგზავრობაზე ხელს ააღებინებდა.

როცა მზე აჭარა-გურიის ლაუკარდოვანი მთაგრეხილის ზიგზაგისებურ ხერხემალზე დიღებულად ამოგორდა და მთელი მიდამო ცხოველმყოფელი სითბოს ლიმილში გაპხვია, ბეგლარი უკვე თავის თვინიერ თეთრონზე იჯდა და ალვების ხეივნით დამშვენებული ორლობიდან მიხვეულ-მოხვეულ, ფართო, მოასფალტებულ შარაგზაზე გადადიოდა.

მხრებიდან თითქოს მძიმე ტვირთი გადაიგდოო, ბერიყაცი თავს არხეინად გრძნობდა, მშვენიერ გუნებაზე იყო და ხმადაბლა ლილინებდა ჭეელობისას მის გულში ჩასახლებულ სალალობოს:

ჩემ მწველო, ჩემ მკვლელო,  
ჩემ ახლო მეზობელო,  
შენ რომ ცეცხლი მომიიდე,  
როგორ უნდა გავანელო!

ლილინებდა და აქეთ-იქით იხედებოდა: ბავშვებმა არ გაიგონონ, თორემ სიცილს დამაყრიანო, თან თვალშინ ედგა ორმოცა წლის წინანდელი თავისი თავი — არწივის ნისკარტივით ცხვირმოკაუჭებული, მაღალი, შავგვრემანი ახალგაზრდა, საოცრად რომ იმშვენებდა თეთრ ყაბალახსაც, ბეჭებზე მოგდებულ შავ ნაბაღსაც, წელიდან მუხლამდე ჩამობარტიალებულ მაუზერსაც და ქამარში გარკვიბილ მბზინავ დამბაჩასაც. მაშინ იგი მხურვალედ იკრავდა მკერდში თავის მწველს, თავის მკვლელს, თავის ახლო მეზობელს — ლერწამივით ტანაშოლტილ, ბადრ მთვარესავით მანათობელ, ეშხიან ქალიშვილს, რომლის სილამაზისაგან, სიმკვირცხლისა და ცეცხლისაგან მარინეს ახლა, — ფუჰ, ეშმაკმა დალახვროს სიბერე! — ნატა-მალიც აღარ შერჩენია.

შარაგზაზე გასვლისთანავე ბეგლარმა ლილინი შეწყვიტა, საღავე მიუშვა და მუხლგამართული „მერანი“ ჩორთით წაიყვანა. ხუთი თუ ექვსი კილომეტრი ექნებოდა გავლილი, როცა მკვეთრი მოსახვევიდან უეცრად სატვირთო ავტომანქანა ელვისებური სისწრაფით გამოიჭრა. დამფრთხალმა ცხენმა დაიჭინვინა და უკანა ფეხებზე შედგა. მძლოლმა ივარგა და მანქანა ღროზე დაამუხრუჭა, თორემ ცხენსაც და კაცსაც ერთბაშად გაიტანდა.

— ო, თქვენ ბრძანდებით, ბიძია ბეგლარ? — სიცილით მოისმა კაბინიდან, — ხომ ხედავთ, თქვენც, მეც და ცხე-

ნიც როგორ ბეწვზე გადავრჩით! უთუოდ განწირული არ ვყოფილვართ, თორემ მუხრუჭებს რომ ემტყუნებია...

ბეგლარმა შეშინებული ცხენი რის ვაკვაგლახით მოაბრუნა, კაბინაში ჩაიხედა, მძღოლი იცნო და თავს მეხივით დაატყდა:

— რა ჰქუაზე ხარ, ბიჭო, სევასტია, შენ, ა? გიუივით რომ მოშლიგინობა ამ შარაზე, ყოველგვარ წესს არღვევ და ხულიგნობ, როგორ გგონია, მუდამ ჟეგრჩება?

— რას ქვია, ვხულიგნობ, ბატონო ბეგლარ! — გამოედავა მძღოლი. — განა თქვენ ნაკლებად დააშავეთ? შუაგულ გზაზე რატომ მოათოხარიებდით მაგ ჯახრაქს! — სტარტერს ფეხი დააჭირა და ვიღრე ბერიკაცი სამაგიროს მიუზღავდა, აგუგუნებული მანქანა დაღმართში ჩაქროლა.

ბეგლარი მოიღუშა. ხუთიოდე წუთს უნაგირზე შეურჩევლად თჯდა და მრისხანედ გაპურებდა კისრისტეხით მიმავალ ავტომანქანას. მტვრის ბული რომ დაცხრა, მან ხელი ჩაიქნია და მწყრალად წაიღუდულა:

— მეც ერთი! რას ვეკამათებოდი მაგ გაუხედნავ კვიცს! გინდა გაუჭავრდი და გინდა დაუყვავე, სევასტიასათვის სულ ერთია. მაგისთანებზე უთქვამთ, შეაყრე კედელს ცერცვით!

სადავე ოდნავ მიუშვა და გზის განგრძობა დააპირა, მაგრამ სწორედ ამ დროს შენიშნა მანქანის ნავალზე დატყვებული მსხვილი მოთეთრო ზოლი. შზისაგან გაშავებულ ასფალტზე შორიზან, იგი ისე, მოჩანდა, როგორც დაფაზე ცარცით გავლებული ზიგზაგი. რა უნდა იყოს, დაინტერესდე ბეგლარი და ცხენიდან ჩამოხტა. ავტომანქანის უკარი დამუხხუჭების ადგილას ბლომად ეყარა რაღაც მოთეთრო ფხვნილი. ბერიძარმა ერთი დახედა და მაშინვე გამოიცნო: მინერალური, აზოტოვანი სასუ-

ქი იყო: როგორც ჩანდა, მანქანა მას რაიონული საწყობიდან ეზიდებოდა.

— ნეტავ, აქედან დაუწყია ცვენა, თუ მთელ გზაზე ასეა? — თავისთავს ჰქითხა ბეგლარმა და გზას ქვეითად გაუდგა. მალე დაღლილობა იგრძნო, ავლავ ცხენზე შეჭდა და თითქმის რაიონულ ცენტრამდე მიაჭენა.

მოთეთრო ზოლი არ წყდებოდა.

„ყოველ მეტრზე ათი გრამი სასუქი მაინც იქნება დაყრილი, — ფიქრობდა მოხუცი. — კილომეტრში ათასი მეტრია, ესე იგი თითო კილომეტრზე ათი ათასი გრამი, ანუ ათი კილო მოდის. რაიონული საწყობიდან ჩვენი კოლმეურნეობის კანტორამდე ოცდაათი კილომეტრია, ათჯერ ოცდაათი კილო კი, ოპი! სამას კილოს ადგენს. სამასი კილო მინერალური სასუქი ქარს გაატანო, ხუმრიობა?! სად გაგონილა ასეთი უყაირათობა და დაუდევრობა! მისი, საკუთარი სასუქი, რომ იყოს, ალბათ ერთ გრამსაც არ დაიარგავდა, სახალხო ქონება კი ფეხებზედაც არ ჰკადია, ხომ?! ფუ, შეარცხვინა ღმერთმა!“

ბრაზონრეულმა მოხუცმა ცხენი მოაბრუნა. ასუ, შე სამგლეო, შეუკურთხა და უმოწყალოდ გადაუჭირა მათრაზი, თუმცა თვიინიერ თეთრონს არც პირველი დაუმსახურებია და არც მეორე, აღმართ-დაღმართში ქარივით მიჰქოდა და სიცხისაგან დარბალებულ ასფალტზე ნალთა რკალურ ანაბეჭდებს. ამწკრივებდა.

„საწყობთან თუ მივუსწარი, ხომ კაი, — ფიქრობდა ბეგლარი, — მარა, თუ ვერ მივუსწარი, აქეთ გამობრუნებულს ხომ შევხვდები? როგორადაც არ უნდა შემეწინააღმდეგოს, მაინც უკანვე დავაბრუნებ და... აბა რა ჰკონია? სხვებისთვისაც ჰქუას სასწავლი იქნება!“

მაგრამ ბერიკაცის ეს წინდახედულობა ზედმეტი აღმოჩნდა: სოფლის ცენტრთან მიასლოებისას ავტომანქანებ წინა

საბურავს ლურსმანი ღრმად შერჭობოდა და საჭამ მძღოლი მას სათადარიცოთი შეცვლიდა, ბეგლარმა გაოფლიანებული თეთრონიც უკანასკნელი მოსახვევიდან გამოაგელვა:

— აპა, დაგეწიე, ყმაწვილო? — ნიშნისებით წაიჩურჩულა ბერიყაცმა და დაძრულ მანქანას კვალდაკვალ მიჰყვა.

სამოძღვანო წუთის შემდეგ საკოლმეურნეო კანტორის ოჩსართულიანა ქვის შენობის უკან მანქანა შეჩერდა თუ არა, ბეგლარმაც გრძელ ფიცრულ საწყობოან ცხენი მიაგდო და ავტომანქანის გადმოსატვირთავად გამოსულ კოლმეურნებს დაუძახა:

— დაიცათ! ხელი არ ასლოთ! არ გადმოტვირთოთ!

სახტად დარჩენილი მეზობლები ერთ ადგილას გაიყინენ. გაოცებული მძღოლი კაბინიდან ძლივს გამოძროა. სკოლიდან შინ მიმავალმა წითელყელსახვევიანმა ბავშვებმა ყური ცევიტეს და საწყობისაკენ მოჰკურცხლეს.

— რაშია საქმე, ბატონი ბეგლარ, რა გვერჩი? — გაჭირვებით ამოილულულა მძღოლმა, თავს ძალა დატანა და ცალყბად გაიღიმა.

— ახლავე გაიგებ, სევასტი, ახლავე! — ბეგლარი ცხენიდან ჩამოხტა. — ოლონდ ჯერ ჩვენს თავმჯდომარეს ან პარტორგანიზაციის მდივანს დავუძახოთ!

— სათათბიროდ სად მცალია, ბატონ! კიდევ ხუთი რეისი მაქეს გასაკეთებელი, თხუთმეტი ტონა სასუქი უნდა ამოვზიდო!

„აპა, თურმე სულ ექვს გზად უნდა ამოვზიდოს. ყოველ რეისზე სამასი კილო თუ დაკარგა, აგერ ტონანახევარს გადაცილებს. მე შენ გეტყვი, ტოტაზარალი იქნება!“ — გაითიქრა ბეგლარშა და ბავშვებს მიუბრუნდა — წადით, ბაბუა, რომელიმე და მიხეილს სთხოვეთ მოვიდესო, მაგრამ სწორედ ამ

ღროს თავმჯდომარე, თვითონ გამოჩნდა.

— სასუქი უნდა აიწონოს! — ბეგლარმა მას ავტომანქანაზე მოუჰითა. — დაიხ, აუცილებლად უნდა აიწონოს!

— ავწონოთ, — მსწრაფლ დაეთანხმა მიხეილი, თუმცა არ იცოდა, ამას ბერიყაცი ასე გადაჭრით რატომ მოითხოვდა. — გამოიტანეთ დიდი სასწორი!

— კი მარა, რა საჭიროა აწონვა? — წამოიყვირა მძღოლმა, — სასუქს ხომ არ შევჭამდი ან უზაში ხომ არ გავყიდი?

კოლმეურნებმა მას ყური არ ათხოვეს. სასუქი თუნუქის ყუთებში ჩაყარეს და თანდათანობით აწონეს. ბოლოს ქვითარში ჩაწერილ რაოდენობას შეადარეს. ოთხსამდე კილოგრამში ნაკლები გამოვიდა.

— როგორია, მოგწონს? — მძღოლს გათრახივით გადაჭრა ბეგლარმა. — შენი, საუთარი სასუქი რომ ყოფილი ყო, მაგ მანქანის ძარის იატაჭე იმ ამოტეხილ ადგილას პატარა ფანერკას დააჭედავდი და მორჩა, ერთი გრამიც არ გამოცვილებოდა. მარა კოლექტივის იყო და აღარ დაგენანა, ხომ?! — წარბშეურული თავმჯდომარისაკენ იბრუნა პირი და ხმადაბლა დასძინა, — მაგას ჭარიმა და ზარალის ანაზღაურება რომ ეკუთვნის, ეს სალაპარაკოც არაა, მარა ამის შემდეგ მანქანაზეც არ უნდა დააყენოთ.

— მერე შენ რა? შენ რა მოგემატება მაგით?! — უბინა გამწარებულმა მძღოლმა, — მართალი თქვა იმ ნიკიფორამ, მართლა ვერ ელევი უფროსობას და ეს არის!

აქა-იქ ჩაიცინეს. ეს სიცილიცა და მძღოლის უკანასკნელი სიტყვებიც ბერიყაცს შიგ გულში მოწამლული ისაჩივით მოხვდა. თავი ვეღარ შეიკავა და, თითქოს ცეცხლზე ნავთი გადაასხესო, უცებ იფეთქა:

— აქედან გამეცალე, შე მიეთ-მოე-

თო, თორემ იმისთანა უფროსობას მოგცემ, რომ...

რომელიღაც ბავშვეს მარინესთან მიურბნია და ამბავი მიუტანია — ბაბუა ბეგლარი საწყობთან დავობსო. მოხუცი ქალი იმ წამსვე გამოქცეულა და ოლელვებულ ქმართან სუნთქვაშეგუბული მოლასლასდა. ბეგლარმა მეუღლის დანახვისთანავე სათქმელი შუაზე გაწევიტა და ულვაშის ბოლოს წიწკნა დაუწყო.

წუთით დუმილი ჩამოვარდა. მერე თავმჯდომარემ მძლოლი და საწყობში მომუშავენი კანტორაში წაიყვანა, სხვებს კი ურჩია თავიანთი საქმეებისათვის მიეხედათ. მალე კანტორის უკან შარტო ორნი — მოხუცი ცოლ-ქმარი დარჩნენ.

— ეგაა, კაცო, ახალსოფელში მივემ-გზავრებიო? — უსაყვედურა ქმარს მარინემ.

ბერიკაცს ვითომ არ გაუგონია, წაუყრუა.

მოხუცი დასახლისი მკლავზე ფრთხოლად შეეხო და უფრო ხმამაღლა შეეკითხა:

— ეგაა, შე კაცო, აწი არაფერში არ ჩავერევი, ჩემთვის გავჩერდები და მოვისვენებო?

ბეგლარს მხოლოდ ახლა მოაგონდა თავისი წუხანდელი გადაწყვეტილება. თავი ჩაღუნა და დამნაშავესავით ჩაიღაპარაკა:

— მართალი ხარ, ჩემო მარინე, მავრამ გული... რა ვქნა? ამ ოხერმა გულმა არ მომითმინა!..

## მიწაო, ვარსკვდავიანო!

წაყითხულია მაჭახელჭესის გახსნისაღმი მიძღვნილ  
საზეიმო მიტინგზე ქედები 1957 წ. 28 აპრილს.

ბულბული უშლერს, ბულბული მაჭახლის მზიან ხეობას  
და მაგონდება წინაპრის ერთი ლამაზი სელობა:  
ომაზიანი პაპები აქ სჭედდნენ მაჭახელას და,  
მტერი თუ გამოჩნდებოდა, დააქუხებდნენ ხელადა.  
ეს გზა, ბილიკი, მდინარეც დიდ წარსულ ბრძოლებს მაგონებს,  
მაჭახელათი იცავდნენ სამშობლოს წმინდა მთა-გორებს,  
რუსთველის უკვდავ სიმღერას, ხელიხელ საგოგმანებელს,  
ოპიზარს, გურამიშვილსა და ყველა ამოდ მგალობელს.  
მაჭახელათი იცავდნენ წმიდათა წმიდა ვარძიას,  
ვაზებს, ვარდებს და მუხნარებს, ბალებს თაფლიანს და რძიანს.  
მაჭახელათი იცავდნენ ჩემს ცივ წყაროებს მჩქეფარეს,  
ტყვიებს მეხებად ახლიდნენ სულთანს ძალლივით მყეფარეს.  
მაინც სულთანმა არბია სახლი შენიც და ჩემიცა...  
მიწა ბორკილში გმინავდა და სისხლს ანთხევდა ჩემი ცა..

დღეს შენს აღმართებს დაღმართებს გრიგალი ვერ დაუბერავს,  
აქ ილიჩი დგას მღიმარე, მხრებით მზე მოჰყავს ბუმბერაზს.  
პაპებსაც გაეხარდებათ მზიან წადილის ახდენა,  
რომ აღელვებდათ მშობლიურ მუხების მუმლით წახდენა,  
რომ ვერ მოესწრენ მზის მოსვლას და უკუნეთის გათელვას,  
პოი, ამდენი ვარსკვლავის ამ ხევში ათინათებას!  
ელვა ავარდა მთაზე და კაშკაშით ბარშიც დაეშვა,  
სინათლე მოდის ჩახახა, დალეწავს ღამის კაეშანს.

მე სიხარულით სამ ღამეს ვერ მნახოთ დაძინებული,  
და სამასი წლის დარდებით, ფიქრებით დამძიმებული,  
დაღლილი შვილი მოვედი, ჩემს ღვინოსა ვარ ნაწყური,  
დამისხით, დამალევინეთ ღვინო ჩიქუნეთს ნაწური.  
დამისხით, მინდა დავლოცო დიდი სინათლის შემქმნელი,  
ვაქო, ილიჩის ნათურავ, შენი სახელის შემრჩემევი!  
მინდა დავლოცო არწივნი მაჭახლისა თუ ქედების,  
მინდა დავლოცო მტრედები ჩემი მთის, ჩემი ქედების.

ვინაც მაჭახლის შეფები შუქურვარსკვლავად აქცია,  
მინდა დავლოცო ისინი, ქალი არის თუ კაცია.  
ვინ არ ადიდებს თქვენს ჭაფას, ელვების უამჩენ ხელობას,  
გადაღმა ძმებსაც გადასწედეს ჩვენი მქუხარე მხნეობა...  
დიდება ვარსკვლავიანო, მზეჩაუმჯრალო ხეობავ!

## სინათღის მბრძანებელი

ო, შენისთანა ვის ახსოეს, ახლავი ვიცი, ბევრია,  
აუშვი დიდი სინათლე და ლამე დაგირბევია,  
შენს გაჩაღებულ ნაპერშეკლებს მთვარემდე გაურბენია,  
მაღლა მწვერვალზეც ადიან, დაბლა ხევებშიც ჩადიან...  
მანდ გზებზე ბევრი ვიარე, ვერსად კი შევხვდი ჩაღრიანს.  
ჩაღრი ვის უნდა ლამაზო, მზეს განა ნისლი უხდება?!  
მე რა ვარ, მუხის ფოთოლი, შენ მუხაც დაგემუხლება.

პატარა იყავ... ახლა კი!  
განა მგოსანი დავბერდი?!  
გულში ლამეა?!  
ამ შუქში ლამეს დავლეწავ, გავდევნი.  
რომელ სტრიქნში ჩავტიო მე სიხარული ამდენი  
და სიყვარულის ვარდები!  
სიმღერით შემოვვარდები  
შენს ვაზნარ-საბალნაროში...

„შენ გეძახიან ინუინერს, მეც მეძხიან ინუინერს,  
მაგრამ მე შენსა ტოლობას ვერასდროს ვერ დავიუინებ,  
წყალი სინათლედ აქციე და სოფელს ლამე გაჰყარე,  
შენ გიმლერიან ჩონგურზე — „ვარსკვლავნი გადმოვგაყარე!“  
ჩვენაც ქორწილში მოგივალთ, თვალში გაკოცებთ დედოფალს,  
მზესაც საჩუქრად მოვიდლვნით, თუ კი მთვარე არ გეყოფა!“

მთის წყაროსავით ჩუხჩუხებ, გიხდება ელვა ჩუმჩუმი,  
პო, შენ რომ ელვა ისროლე, გაძვრა ხეების ჩურჩულში,  
ბინა მონახა მის გულში, ვინც შენს ტოლობას აპირებს,  
ვერსად წაუხვალ სიყვარულს, გაგრავს, და გაინაპირებს.

ნუ ლელავა დიად სიყვარულს ლალად მიეცი სადავე,  
სინათლეც და სიყვარულიც არის სიცოცხლის სათავე.

მე მინდა შენი დახატვა, რა ვქნა, მხატვარი არა ვარ,  
მსურს შევქმნა შენი ქანდაკი, მე მოქანდაკე არა ვარ,  
რა რიგად მინდა გიმლერო, მე მომლერალი არა ვარ,  
მე ვარ პატარა მგოსანი და სიტყვას გეტყვი არ ავად...  
პო, შენთვის ცაშიც ავფრინდი ვარსკვლავის მოსაპარავად,  
რომ სტრიქონები გამეთბო,  
რომ სტრიქონები ამენთო.

იცი, კიდევ ვინ მიშველა  
და ლექსი რით დამიმშვენა?  
ბადახში მომცა დიდებამ, ალმასი მომცა პაპამა,  
ვთალე და ვძერწე მაღანი, შენთვის მინდოდა ლამპარად..  
გულიც და ტვინიც დავლალე, თავი არ დამიზოგია,  
ამ სტრიქონებზე ვაღამე, ნუ თუ ღიმილს არ მოგგვრიან?!  
თუ ვერ აგინთე ლამპარად, ნაპერწკლად მაინც მოგივა..

პო, ახლა ამას დამჯერდი,  
გული უკეთესს, დაეძებს...  
პაპამ თქვა,  
და მეც გიწოდებ  
მზიურ სინათლის მბრძანებელს.

## ოქროს შაღრევანი

მე მოვისმინე იმის ზოაპარი...  
გმირი დევებში რომ შევარდება...  
გრძნეულის ხელით, ლამის, ლამპარი.  
მზეთუნახავი როგორ შავდება...  
ანდა შაშვები ქალმა პაწიამ  
გადააქცია თეორ შევარდნებად,  
უდაბნო ბალად გადააქცია  
ერთმა პატარა ბიჭმა შავლეგამ...  
მაგრამ ეს როგორ გამიკვირდება,  
როცა ვუცქერი ოქროს შადრევანს,  
ჩვენი ერების ძმობის შადრევანს.  
ერთი განახა — ოქროს ენებში  
წყალი ფარულად როცა ჩადგება,  
მერე ცისაკენ უცებ იხუვლებს  
და მალლა-მალლა რომ შევარდება,  
ჰეი, რა არის მასთან ზოაპარი,

შვიდი ათასი ფერი ადნება.  
 მაღლა მწეა და ღაბლა ბაღნარი,  
 ჰო, არ დაგძლიონ ნაზმა ვარდებმა,  
 არ გაიმეტო თაიგულისთვის,  
 თორებ ნიავაც გაგიჭავრდება.

ჰა შადრევანი — ლერწამის ღერი,  
 შეერთებული ათასი ღერი,  
 ვინ არის ასე სულ მოუღლელი  
 მღერის და მღერის, რა ტკბილად მღერის!  
 ხან წერიალა და ხან ბოხემიანი  
 მოჰქრის, მოცეკვას ბოხოხიანი.  
 ქართველ ქალს ხელში კალათა შვენის,  
 ღვინო და ხილი მოაქვს იმითა.  
 მოგაგონდება სამშობლო შენი  
 განთქმული მდიდარ პურმარილითა.  
 აგერ უზბეკი, უქრაინელი,  
 ყირგიზი ქალი თვალშუქიანი,  
 ჰო, იქნებ არის დალისტანელი  
 ეს ჭაბუკი რა ჩაუქი არი!  
 იმ ვაჟს ღაუღაუა ბელორუსელი  
 გაღიმებული ჩაუქრის ქალი.  
 მყერდზე აცვივათ ოქროს შეეფები,  
 როცა ნავარდით ჩაუქრის ქარი.  
 ქედს მოიხრიან მათ წინ მეფენიც.

მოდიან ძმობის ჰანგის გუგუნით,  
 აპა, მოდიან თითქოს მაყრები,  
 გინდ იყო ღარდით გადაბუგული,  
 ძმობის სიმღერას შენაც აყვები.  
 აქეთ მოიწევს ქალი და კაცი  
 თეთრი არის თუ შავგვრემანია,  
 მოდი, შენც ნახე, ჰო ამ გზით გასწი,  
 ეს რომ ვერ ნახო, ღასანანია...  
 ეს ძმობის ღიღი შადრევანია,  
 ეს ოქროს ღიღი შადრევანია,  
 მოსკოვის ღიღი შადრევანია.

## აჭარებ ქადს

ნატრობდი ნათელს თვალის გუგებში,  
იყავ სიბნელით შემოსალტული,  
მხოლოდ საყვარელ დედის ნუგეში —  
გიშრიალებდა კაბა ქართული.

გიმკობდა კავებს თეთრი მანდილი,  
ყორნის ფრთასაცით რად გაგიშავეს,  
რად დაგიტყვევეს გულის წადილი;  
ასე აზიზმა რა დაშავე?

შენი ღიმილი ცისკარს გახევდა  
და შავ ფარჩის ქვეშ როგორ დამალეს?  
ღლეს წყეულ წარსულს დაუგდე სევდა,  
მზით აციმციმებ მშვენიერ თვალებს.

მთის ნაკადულებს გამოეპარე,  
შრომაშიც მიტომ ასე მარდი ხარ,  
ჩაურბენ ჩაის მწერივებს მღელვარეს,  
ჩაის კრეფ თუ თვით ჩაის ვარდი ხარ!

თუ ვსალამურობ, გოგონავ, შენთვის,  
არც გაგახსენებ წარსულის ხუნდებს,  
ჩადრი დაგიწვი ანთებულ ლექსით  
და სიმღერები გადაგახურე.

## ღ ე ღ ა

მე მათი ღიმილის სხივქვეშ ვინაბები,  
როგორც ჩინარები დგანან,  
მე მათი პატარა ჩრდილებიც მეყოფა,  
იმედი არ არის განა?!

გოგონას თვალებში მზე უთინათინებს,  
წამწამებს უხატავს თანაც.  
ბიჭი კი სულ მზეა, სულ მთვარე კაშკაშა,  
სიმდიღრე არ არის განა?

ფუნჩულა ხელებით—შვების ცას მახურავს,  
კისკისით ოცნებას რკალავს,  
ვარდისფერ ლოყებზე იდუმლად ვაკოცებ...  
სიამე არ არის განა?

გოგონას მუხლებზე დავისვამ მალიმალ;  
ნაწნავებს ჩავიკრავ გულში,  
ბჩქუნა უბქზე მშრულდ იცინის,  
ისე ვით ყვავილი ნუშის.

მე მათი ღიმილის სხივებში ვგრძეშვინდები,  
როგორც ჩინარები დგანან,  
მე მათი პატარა ჩრდილებიც მუყოფა —  
იმედი არ არის განა!..

## გაზაფხულის მინიატურები

### ნისძის ქარაგანი

ჰეი, ნისლებო, თეთრო ნისლებო,  
საით იჩქარით, საით?  
აშ მთების იქით ხომ არ გყავთ  
მეგობარ-ნათესავი?  
თეთრი ნაბდების ფრიალ-ფრიალით,  
საით იჩქარით ნეტავ,  
ჩემთვის პატარა ფაფუკი ნისლი  
რატომ არ გაგემეტათ?  
გადავიფარებ თავზე მანდილად  
და გადავივლი გორებს,  
გზაზე კი ყველა ახლობლის ღიმიჩის  
სათუთად მოვიგონებ.

საით წახვედით თეთრო ნისლებო,  
კვალიც კი აღარ მოჩანს,  
რატომ არ დარჩით, არ აღიმართეთ  
ჩემი ფიქრების კოშკად?

### მერე როდის, პატარაო?..

გაზაფხული ისევ მოწის,  
და შენს ლიმილს მოჰყვება:  
კოცნას მიძღვნი? მერე როდის,  
ჩემო ვარდისლოყება?

შენი თვალის ფერი გახდა  
კორდზე მორცხვი იქმი.  
ოცნებები ყველა ახდეს —  
ყველა დანაბირები.  
ნაკადული ისევ მორბის,  
შენს ცელქ კისკისს მოჰყვება..  
მომეხვევი? — მერე როდის?!  
ჩემო ატმისლოყება.

### ნუში და წყარო

ამბობენ — ნუშის ყვავილო,  
წუხელ დანამულს გეძინა,  
გაგეხსნა კვირტის პერანგი,  
ლიმილი გადაგეფინა.  
ეს წყაროც საით გეახლა?  
სიმღერით გარბის ქვევითა...  
მინდგრის გარდები აიკლო  
შენი ყვავილის ქებითა.

### ტირიფი და გვირიდები

ზის ტირიფი, ტირის ჩუმად,  
გაშლილ ნაწნავს შვენის გლოვა,  
უჩურჩულებს ნაკადულთან  
გვირილების მთელი გროვა:  
ნუ იდარდებ, ჩემო კარგო,  
ისევ მოვა, ისევ მოვა.

### ყანა და ყაყაჩო

წითელთავშალა ყაყაჩოს  
ჩუმად უმღერდა ყანაო:  
— იკურთხოს იმის გამჩენი,  
ვინც ჩემთან მოგიყვანაო.

## მეგობრობის ნაღიმი

უყვართ სტუმარი ჩვენს მთებს და ქედებს,  
მოხუცი პაპაც სიმღერას იწყებს.  
ვინც საქართველოს ეწვევა ერთხელ,  
ვეღარასოდეს გადაივიწყებს.

გულს გაუხარებს მადლი ლხინისა,  
ყანწის რომ მიაწვდის თმაგიშრიანი;  
წაჰყვება ეშხი კახურ ლვინისა  
და წინანდალის ვარდის ბრიალი.

თამადა იტყვის: „გვეკაფოს, გვეხნას  
და ნუ მოგვაკლდეს შუქი დილისა.  
ჩვენ გასაყოფი რა გვაქვს ამ ქვეყნად,  
გარდა ქართული პურმარილისა“.

შემდეგ დაკვესავს გელა შაირებს  
და გადახედავს ქართველ ფერიებს,  
დაესესხება ლექსებს პაინეს  
და გოეთესაც მოიშველიებს.

დაუკარიო, დალის შესთხოვენ,  
ქუხს კლავიშების ტალღა აშლილი,  
ქარიშხალივით მომსკდარ ბეთჲოვენს  
შეენაცვლება ფალიაშვილი.

ცა მოაცურებს ოქროს კიდობანს,  
ქართველურ ნაღიმს. არ უჩანს კიდე.  
ისმის ქართულად: „ძმობა; მშვიდობა!“  
და გერმანულად: „ფროინდშაფტ, ფრიდენ!“

## ბავშვები

ავიყვანთ ხელში  
 და გულში ვიკრავთ,  
 მოვეფერებით, ვეთამაშებით  
 და სიცოცხლეზე უტკბესად გვიყვარს,  
 გვიყვარს ბავშვები.

ეს ბიჭი, ვერვინ რომ ვერ ეწევა,  
 ვერ შეედრება ვერც ერთი ტოლი,  
 წვალ პიონერთა ბანაკს ეწვევა  
 და გააღვიძებს ფიჭვნარებს დოლით.

დედოფალას რომ იწვენს კალთაში,  
 დასაძინებლად საბანში ასვევს,  
 ას ცუგრუმელა წვალ წიგნს გადაშლის.  
 და დაიფიცებს ზოიას სახელს.

გზა აქვთ ნათელი ვარდებად გაშლილთ,  
 თავზე დაცყურებთ ლაუვარდი წმინდა,  
 ჩვენს ქვეყნაში ყოველი ბავშვი  
 სიკეთეს სწავლობს გაჩენის დღიდან.

ჩემი გოგონა სურათებს უმზერს,  
 პაწია თითებს ღიმილით იშვერს,  
 ელაციცება ვან ლის, ლუიზას,  
 ჩანდრას, ლენორას, პოლსა და მიშელს.

აღარ ეღლება ტიტინით ენა,  
 ეთამაშება დიდხანს სურათებს...  
 არც ერთი ბავშვი არ არის ქვეყნად,  
 სხვა ქვეყნის ბავშვი რომ არ უყვარდეს.

ავიყვანთ ხელში  
 და გულში ვიკრავთ,  
 მოვეფერებით, ვეთამაშებით  
 და სიცოცხლეზე უტკბესად გვიყვარს,  
 გვიყვარს ბავშვები.

მათთვის ვაშენებთ ცხოვრებას ლამაზს,  
 მათზე ზრუნვაში ვაღამებთ მუდამ,  
 მსოფლიოს ყველა დედას და მამას  
 ბავშვებისათვის მშვიდობა უნდა.

## ფესტივალე

ფერების მარულა, ფერების ქარბუქი...  
ტრიალებს გოგონა, ტრიალებს ჭაბუკი...  
დაქრიან,

დაქრიან ხოხბები, კაცბები...  
წითელი კაბები,  
ცისფერი კაბები.  
ღიმილის ყაყაჩო,  
ღიმილის ვარდები,  
მუსიკის ნაკადი,  
მუსიკის ჭავლები...  
თვალები,  
თვალები,  
ცისფერი თვალები  
და შავი თვალები.

ვინა ხარ?

რა გქვია — არ ვიცი, ვინ მეტყვის?  
ხარ ვისი ნუგეში და ვისი იმედი?  
არ მინდა ვიცოდე,  
არ მინდა ვიცოდე —  
სხვა სახელს დაგარქმევ,  
სხვა სახელს გიწოდებ,  
გიწოდებ მის სახელს, მუდამ რომ მიყვარდა,  
მუდამ რომ ვეტრფოდი ბავშვობის ღროიდან,  
რომელსაც ველოდი და ალარ მოვიდა.

შენ ჰგავხარ, შენ ჰგავხარ მას გასაკვირველად,  
ნუ მეტყვი, ნუ-მეთქი, რომ გნახე პირველად,  
გიცქერ და არ ვიცი, თუ რა ღრო გავიდა,  
გიცქერ და ბავშვობა იწყება თავიდან,  
აპრილის ყვავილთა ტრიალებს ქარბუქი...  
მკლავგაშლილ გოგონას ულიმის ჭაბუკი.

## ლექსის ღაბაღება

ათასგვარად ვსინჯავ, ვწონი  
ფერთა გამას, სხივს და ბგერას.  
ჩნდება სიტყვა და სტრიქონი  
ჯერ მიცერის ალმაცერად.

აინთება უცებ სხივი,  
თვალწინ ცვარი მივარდება,  
უმატება ერთი მძივიც  
და სტრიქონი იმართება.

შემდეგ რითმას ვეძებ დიდხანს,  
მინდა იყოს უკეთესი,  
შემდეგ შენავ შემოღიხარ  
და სიცოცხლეს იწყებს ლექსი.

## ოქტომბრის ღიღება

სამშობლოს მინდვრები  
თვალგადუწვდომელი  
თავთუხებს რომ ისხამს  
ოქტომბერს,  
ეს მისით დამშვერდა  
დაბა და სოფელი,  
ოქტომბერს დიღება,  
ოქტომბერს!  
ლატაკთა ქოხებში  
შიმშილი წიოდა,  
წელზე ფეხს იდგამდა მაშვრალი,  
ლატაკთა ქოხებში  
გულები სტკიოდათ  
და იყვნენ დარღისგან გამშრალი.  
ნევაზე „აკრორას“ გმირულმა ჭუხილმა  
დამხო იმ მონის ულელი,  
დიღება ოქტომბერს.  
რომ იხსნა ულლისგან  
რუსიც,  
ჩინელიც,  
უნგრელიც.  
მე ვნახე კრემლის წინ  
მებრძოლთა მჭიდროთა,  
ჩახჩახა დროშები  
გაშლილი,  
ოქტომბრის შემდეგ გვაქვს  
ჩვენ მტკაცე მშვიდობა  
და ასე დღადი კავშირი.  
ეს წელი ორმოცი  
ლენინის გეგმების  
სიბრძნეს და დიღებას  
ლალადებს,

სამშობლო არ გვქონდა, —  
 შევქმენით,  
 ბალებით,  
 ქარხნებით დავხატეთ.  
 არათუ უბრალო ნაბიჭის  
 გადადგმა,  
 ეს იყო ხმა საკაცობრიო,  
 მას შემდეგ თანდათან  
 თანდათან,  
 თანდათან,  
 გშრომელებს ეძლევათ მსოფლიო.  
 ღვე, კვლავაც სანუკვარ  
 ოცნებებს დასახულს  
 მშვიდობა,  
 სილალე მოჰქონდეს.  
 დიდება ახალი  
 სამყაროს გაზაფხულს,  
 ამ ლამაზ გაზაფხულს,  
 ოქტომბერს!

## • საფესტივაცია მოსკოვის ღამე

დილით ბათუმის ზღვისპირა პარკში  
 თუ მივცემოდი ფიქრებს მშვენიერს,  
 სალამოს უკვე დედაქალაქში  
 მოზეიმეთა ზღვაში ვერიე.  
 ვნახე კიაფი მოსკოვის ცაზე  
 დაჯარებული ვარსკვლავთ კრეპულის,  
 ჯერ არ მენახა ქალაქი ასე  
 ლამაზი, სავსე და ანთებული.  
 რა მაშაალები, რა ჩირალდნები,  
 პროექტორების შუქი დალვრილი,  
 გირლიანდები, ბრილიანტები,  
 ენთო, ეყარა ნიაღვარივით.  
 აჩირალდნებულ ქუჩაში, ბაღში,  
 თავშეყრილიყო მთელი ქვეყანა,  
 გამოსულიყო მოხუცი ბავშვით, —  
 მშვიდობა გარეთ გამოეყვანა.

უზარმაზარი მტრედი ფრთებს შლიდა,  
გაღმოგვცეროდა თავზე გულადად,  
და დედამიწის გლობუსი დიდი  
ლალი ფრინველის ფრთებქვეშ ბრუნავდა.  
ახალგაზრდული გულები წმინდა  
ფეოქლა ღიმილის უხვი ბარაქით,  
და რვაასი წლის მოსკოვი იდგა,  
როგორც მშვიდობის ნორჩი ქალაქი.  
ვით იალქნები, მიმოლიოდა  
დროშების ღვარი შუქმოჩახახე,  
თუ ამ ხალხს უნდა ქვეყნად მშვიდობა,  
ომს მართლაც ვერვინ ვერ გააჩალებს!  
— მშვიდობა, ძმობა! — მოსკოვის ცაჲე  
იყო კიაღი ვარსკვლავთ კრებულის,  
ჯერ არ მენასა მოსკოვი ასე  
ლამაზი, სავსე და ანთებული.

## ღიღა კრემლის წინ

სხვა იყო ეშხი იმ ნათელ ჰლეთა,  
იმ ღილის სუნთქვა გულის ამგზნები,  
როცა კრემლის წინ ვიდექით ერთად,  
მთელი მსოფლიოს ახალგაზრდები,  
იყო ღოლა და ვიდექით ერთად,  
გვიხაროდა და დგომა გვეწადა,  
იყო ციმციმი ათასგვარ ფერთა,  
ქროდა სიო და თმებს გვიწეწავდა.  
მე სად ვნახაროდი იმის ნახევარს  
ღიმილს, რომელსც გვინათებს სახეს.  
კრემლის წინ დგომა გვეამაყება,  
ვერვინ წაგვარომევს ამ სიამაყეს!  
ამაღლებული გულის გუმანით  
დიდი სამშობლოს სითბო ვიგრძენი,  
რომ არ ვიყავი, როგორც სტუმარი,  
კრემლის წინ ვიდექ, ვით მასპინძელი.  
ეს ხალხი ყველა რომ დამეკოცნა,  
იმ წუთში გულით ვიყავ მღომელი,  
იდგნენ თამამად...  
არ იყენენ მორცხვად  
ჩინელი, ზანგი თუ ინდოელი.

ვიდექ კრემლის წინ... შუქი კრთებოდა  
გრანიტის ქვაში, როგორც სარკეში,  
ჩუმი დადება ისახებოდა  
მავზოლეუმის სისპეტაკეში.  
ვიდექით ერთად... სიო სისინით  
გვიალერსებდა ტოლა-ამხანაგებს.  
იყო ღიმილი, იყო სიცილი,  
ყველა ენაზე მოლაპარაკე.  
არა, სხვა არის იმ ნათელ დღეთა  
ხსოვნა და სუნთქვა გულის ამგზნები,  
როცა კრემლის წინ ვიდექით ერთად  
მთელი მსოფლიოს ახალგაზრდები.

## მ ე ნ ა ვ ე

ჩვენი მდინარე...  
ვიგონებ მუდამ,  
ჩემი ბავშვობის წლები იქ არა.  
რატომდაც მსურდა,  
ყოველთვის მსურდა,  
სოფლის მენავე ვყოფილიყავი.  
ახლა ის წლები წასულან შორა,  
მაგრამ არ ქრება ხსოვნიდან ჯერაც.  
მიყვარდა ნავის კიჩოზე ჯდომა  
და ანკესებით თევზების ჭერა.  
მენავე იყო ძმა-კაცი ჩემი,  
მახსოვს — მეძახდა პატარა სიძეს,  
ანკესით ხელში იმისი რჩევით,  
ხშირად ვიჯექი მდინარის პირზე.  
მაგრამ სახელი არ მახსოვს მისი,  
რა ერქვა წინათ — დიტო თუ გელა,  
რადგან ყოველთვის,  
ღამით თუ დღისით,  
ამ კაცს მენავის დძახდა ყველა.  
— მენავის გოგო,  
გენავის მიწა, —  
ასე იტყოდა დიდი, პატარა,  
კაცის სახელად „მენავე“ იქცა,  
მკვიდრი სახელი წყალს გაატანა.

ქარიშხლებისგან ვერდაძლეული,  
 იყო მამაცი,  
 ტალღა ვერ სრიღა,  
 ბავშვობიდანვე ნავს შეჩვეული  
 კაცი თავისთვის ცხოვრობდა მშვიდალ.  
 მაგრამ სოფელმა რომ დასლო თავი,  
 ძალა მოქრიბეს;  
 მკლავი დაგეშეს,  
 ვაიდო ხიდი,  
 გაუქმდა ნავი,  
 დარჩა მევანე ნავის გარეშე.  
 დღეს ხიდზე გააქვთ ჭრიალი ურმებს,  
 დადის მენავე, და ასე გვიან,  
 სახელი მაინც არ დაუბრუნეს,  
 სოფელში დღესაც მენავე ჰქვია.

## ნოვედები

### 1. როცა ცხოვრებას შეიტკბობ

ჩვეულებრივი მთის სოფელი ეთქმოდა, მაგრამ ძველთაგანვე სახელგანთქმული იყო იმით, რომ ჭანყისთავ, ზანდეგარ ხალხს ზრდიდა. თითქმის ყოველ ოჯახს თავი მოჰქონდა, რომ მისი პაპა უტუ მიქავას მარჯვენა ხელი იყო, ხოლო მამა თუ ბიძა — სახელგანთქმული წითელრაზმელი...

ჩვენს დროში ამ სოფელმა სხვა რა-მთაც მოიხვეჭა სახელი: ბევრი სახელოვანი მოქალაქე და მოღვაწე-ინტელიგენტი გამოზარდა.

მაგრამ, მოგეხსენებათ, რას ნიშნავს ერთხელ დარხეული სახელი.

ვთქვათ, ავტობუსით გზად მიმავალი უცხო მგზავრი დაინტერესდა ამ სოფლით და მის გვერდით აღმოჩნდა სხვა, მეზობელი სოფლის მკვიდრი. იგი თავაზიანად, დაუზიარებლად ეტყვის მგზავრს, თუ რა პქვია სოფელს, რამდენი კომლი ცხოვრობს შიგ, ცნობილ ოჯახებსაც ჩამოუთვლის. ბოლოს კი აუცილებლად, უფრო ხმადაბლა, თი-თქმის ჩურჩულით დაყოლებს:

— კარგი სოფელია, მარა ცოტა ინტრიგანი ხალხი ცხოვრობს აქ.

ვაი ამის მთქმელს, თუ ნათქვამს ყური ჰქიდა გალანძღვლი სოფლის მკვიდრამა. დავა და აყალ-მაყალი მაშინ უნდა ჩახო.

ასეა თუ ისე; სოფლისათვის ამგვარი სახელის დადებაში გარკვეული წილი

ედო უთუთია ბუზლუნას. (არავინ უწყის როდის და რატომ მონათლეს უთუთია ასე. მაგრამ ეს კია, რომ სოფელში მას გვარით არავინ იხსენიებდა).

ას წელს იყო მიღწეული უთუთია, მაგრამ კიდევ მხნედ გამოიყურებოდა. სოფელში არც ერთი მნიშვნელოვანი საქმე არ გაირჩეოდა მის გარეშე. კოლმეურნეობის საერთო კრებაზე ისეთ მოულოდნელ და უცნაურ კითხვებს დასვამდა, რომ რაიონის ცენტრიდან მომაგრებულ ამხანაგს, ხშირად, მთელი თავისი ცოდნისა და მჭევრმეტყველების მოშველიება ჭირდებოდა.

როგორც ბევრის მნახველსა და მომწოდეს, უთუთიას უყვარდა ძველისძველი ამბების მოყოლა. ისე გატაცებით ჰყვებოდა, თუ კარგად არ იცნობდი, იფიქრებდი, ჩვენი არაფერი ცხია, ძველი ყაიდის კაცია. მაგრამ ეს არც თუ ისე ძნელი ასახსნელია. ბევრ დროულ კაცს ჭირს ასეთი ადამიანური სისუსტე; სიყმაწვილისა და სიჭაბუკის ბურუსით მოცული ამბები ხშირად იმაზე უკეთესად წარმოუდგება, ვიდრე სინამდვილეში იყო.

რა დასამალია. უთუთიას, როგორც ყველა მოხუცს საერთოდ, უყვარდა თავისი თაობის გადამეტებული ქება და ხშირად უცნაური შედარებებიც მოჰყავდა.

უთუთია, მაგალითად, სოფლის ახალგაზრდობას გაუთავებელი საყვედლურით

ავსებდა: ჩაცმა-დახურვის ხართ გადაყოლილი, ნამეტანს ფართი-ფურთობთო. რა საჭიროა რამდენიმე კოსტიუმი გვინდეს, ნაირ-ნაირ კაბებსა და პერანგებს ეძებდე, მოდებს მისღევდეო. მის განსაკუთრებულ გულისწყრომას იწვევდა ნეილონის გამჭვირვალე კაბები.

სულ სხვა იყო ჩემს ახალგაზრდობაში: უბრალო, მეტწილად შინ მოქსოვილი ტანსაცმელი გვეცვა, მაგრამ არც ჰეტლებით, არც ფერ-ხორცით თქვენზე ნაკლები არ ვყოფილვართო. თხოთმეტწლამდე მუხლებამდე ჩამოშვებული ხამის პერანგის მეტი არაფერი ვიცოდი ზამთარ-ზაფხულო. პირველად რომ ნათესავებში მივყავდით და ძიქვა ჩამაცვეს, მთელ კვირას სიცხეს მაძლევდა და ოფლს მასხამდაო.

თუ ახალგაზრდები ძალიან ჩააცივდებოდნენ და გამტყუნებას მოუნდოშებდნენ, გაგულისებული უთუთია პირში მიახლიდა: ჩემს დროში ახალგაზრდებს უფროსების მეტი რიდი და პატივისცემა პქნდათო. ერთხელ თავისი ნათქვამის დასამტკიცებლად ისე შორს შესტოპა, რომ „პატონსქუა ფალვას“ მაგალითიც მოიყვანა. დედაჩემის გაზრდილი იყო და როცა ცხონებულს დაინახვდა, შორიდანვე ჩამოხტებოდა ცხენიდან, მუხლს მოიძრებდა და გამზრდელს მხარზე აკოცებდაო.

მაშინ ერთმა მსმენელმა ღიმილით ჰკითხა უთუთიას: ეს ზრდილობიანი „პატონსქუა ფალვა“ ის ხომ არ იყო, ცხრაას ხუთში. თქვენი უმცროსი ძმა, ხელფეხშექრული და ნაცემ-ნაგვემი, ტყვიერით ძალივით რომ დაცხრილა ტყის პირას, თხრილშიო... (ცხადია, ეს ამბავი ისევ უთუთიასაგან იცოდნენ. როცა ამას იხსენებდა, უთუთია ყოველთვის დორბლსა ჰყრიდა პირიდან). და აი ახლა სად გამოიჭირეს!..

როგორც ძველი მოსიმღერე, სოფლის კლუბში გამართულ არც ერთ კონცერტს არ დააკლდებოდა უთუთია, სხვებთან ერთად ისიც ტაში უკრავდა და მოწონებას გამოხატავდა. მაგრამ გული მაინც არ მოუთმენდა, რომ ბოლოს არ დაეყოლებინა: ძველად, ჭარბაზე ათასი ქალი და კაცი რომ შეყრილიყო, ყველა შეწყობილად იმღერებდა, არც გამწვრთნელი ჭირდებოდა, არც ხელის მქნეველიო. არც ხმის ჩახლებამდე გაპკიოდნენ ზოგიერთებივით. ხმაღაბლა, ტკბილად მღეროდნენ, მარტო გულს ამღერებდნენო.

პირველად რომ სოფელში ტრაქტორი შემოვიდა და ხურგებით თაფლის ფიჭასავით დასერილ-დაყოფილი ჭალა გადაფურგნა, უთუთიას ყოველანც თანდათან განელდა. კოლეგტივში ისიც ჩაეწერა და მალე დარწმუნდა, რომ არ შემცდარა. ძველი, გადაფერდებული ფაცხის ადგილას ექვსთვალიანი ოდა წამოჭიმა მაღალზე. ოჯახი ხვავითა და ბარაქით აევსო... სიძრით იგონებდა იმ წლებს, როცა მარტოდმარტო ეწეოდა შრომის ჭაპანს ცალულელა ხართან ერთად. მაგრამ ამ მოგონებებშიც პოულობდა ისეთ რამეს, რომ ამოეოხრებინა. რა ჭობდაო, მახარია, დაღლილ-დაქანცული ნაშუადლევს ჩრდილში რომ წამოვწვებოდი და თავზე ჩემი კესა წამომაღებებოდა სავსე კარანჩითა და სახარჭო ღვინით სავსე ღოქით. მაინც რა საჭმელის გაკეთება იცოდა ცხონებულმა. რა გემრიელი მეჩვენებოდა მაშინ ქოთნის ძირში ჩაკირული ლობიო და ლელვის ფოთოლში განვეული ნელ-თბილი ღომიო (ეჭ, ახალგაზრდობის წლებო. ახალგაზრდული სისხლის მჩქეფარებავ! ჭირთათმენასაც ავიწყებ ადამიანს).

უთუთია ბავშვიერით გახარებული

იყო, სოფელში ელექტრონი რომ შემოიყვანეს. მაგრამ როცა ერთხელ, ქარიან დღით გაწყვეტილმა ელექტრომავთულმა მეზობელი იმსხვერპლა: ელექტრონის მომგონსაც აუბუზღუნდა. რაღიც რომ რაღია, იმასაც მიწვდებოდა, თუ დაწოლის წინ გამორთვა დავიწყდებოდა და ადრე დილით გააღიძებდა.

რას იზამ. ასეთი ხასიათი ჰქონდა უთუთიას.

სხვა რა უნდა გაგვირცებოდა, როცა საკუთარ შვილებსა და შვილიშვილებზედაც ბუზღუნებდა, თუმცა არავინ უწყოდა რატომ. ნაშეერები კარგაბლომად ჰყავდა უთუთიას. მაგრამ მარტო სიმრავლეში როდია საქმე. უფროსი შვილი პროფესორი იყო თბილისში, მეორე მწერალი, ერთიც კინორეჟისორი. ყველაზე უმცროსი მიწის მუშა იყო — კოლმეურნეობის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი. უთუთია მასთან ცხოვრობდა. ახლა ბალიშებსა და ბალიშისშვილებს არ იკითხავთ? ორი დოცუნტი, სამი ექიმი, ოთხი ინჟინერი, სამი პედაგოგი, შვიდი აგრონომი... ყველას ვინ ჩამოთვლის.

ერთი სიტყვით, ურიგო ნაშეერები არ ჰყოლია უთუთიას. თანაც მამასა და ბაბუას ყურადღებასა და მზრუნველობას როდი აკლებდნენ. უთუთია კი ყველაფერს წყალში ყრიდა მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ მოსაწონი ჩიბუსი ვერავინ უყიდა აქამდე. განაცოტა უყიდეს?! ბარე თცამდე ეწყობურის თავზე, სხვადასხვა ზომის ზამოვანილობისა, მაგრამ მოხუცი ვერცერთს ვერ შეეგუა, ისევ ძველებურ გლეხეაცურ ყალიონს აბოლებდა.

ქნელად, ძალიან ქნელად მოსანადირებელი გული ჰქონდა უთუთიას, თუმცა მის კაცურ ღირსებებში არავის შექმნდა ეჭვი. ყველამ იცოდა რაოდენ ახირებულია ბუზღუნა კაცი საერთოდ.

მაგრამ ერთ დღეს უთუთიას ბუზღუნსაც მოეღო ბოლო.

აი როგორ მოხდა ეს.

იმ ზაფხულს სოფელში შემოვიდა ბრეზენტით გადახურული ხუთი ბაბარგო მანქანა, რამდენიმე „ვილისი“ და „პობედა“, სავსე სოფლისათვის სრულიად უცნობი ხალხით. არა, ერთინაცნობიც აღმოჩნდა შიგ — უთუთიას. შვილი, კინორეჟისორი შალვა.

ადვილი წარმოსადგენია მოხუცის სისარული, როცა სამი წლის უნახავი შვილი ისევ იხილა მშობლიურ ჭირებები. მაღალი იყო ეს ჭირი, სტუმართმოვარე და უთუთიამ კინოექსპედიციის ყველა მონაწილეს აქ მიუჩინა ბინა, ერთიც არ დაანება მეზობლებს. ხალისანი, მხიარული მსახიობებითა და ფუსტუსა ოპერატორებით აივსო ოდა-სახლი და ფართო ეზო.

ხუმრობა საქმე როდი იყო ამდენი ხალხის სტუმრობა. მაგრამ უთუთიამ ასეთ დროს როდი იცოდა წუწუნი და ბუზღუნი.

ყველაზე საძნელო, მთავარი საქმე მაიცც წინ აღმოჩნდა. სრულიად მოულოდნელად უთუთიას მთავარი კონსულტანტობა დაკისრებს და მერე როგორ!.. თურმე კინოექსპედიციის უნდა გადაეღო ამ სოფელში თითქმის ასიწლის წინათ მომხდარი ისტორიული ამბები. და ეს ამბები, ასე თუ ისე, უთუთიაზე უკეთ სხვას ვის უნდა ცოდნოდა...

როცა ეს ამბავი გახმაურდა, მთელი სოფელი ფეხზე დადგა.

ასეთი აირჩივი და რაიალმასკომისათვებით მარტინ ამოვიდნენ რამდენჯერ-შე დახმარების თაობაზე.

გასაკეთებელი კი ძალიან ბევრი იყო.

უპირველესად საჭირო იყო იმდროინდელი სოფლის აღდგენა მიახლოებით მაიცც.

აქეთ უტრიალეს, იქეთ უტრიალეს,

მაგრამ ამოდენა სოფელში ერთი უბანიც ვერ ნახეს ისეთი, ძველისთვის როთომე რომ მიემგვანებინათ. კინოაბარატის ობიექტივში, ოდა-სახლებს რომ თავი დავანებოთ, ხან სკოლა ხვდებოდა, ხან კლუბი, კოლმეურნეობის კანტორა ან საავადმყოფო, ხანაც სოფლის ულსადგური, გარაჟი, ფერმა... .

სხვა გზა არ იყო, ძველი სოფელი სახელდახელოდ უნდა აღედგინათ ერთადერთ თავისუფალ ნაკვეთზე, რომელიც სოფლის ბოლოს იყო გადაჭიმული ტყის პირამდე.

მოზიდეს წელი. მოიტანეს თვა და წალაში (ისლი უკვე აღარსად იყო) და გზის ორივე მხარეს დადგეს ფაცხები (ცხადია, არც ფაცხა აღმოჩნდა სოფელში, მაგრამ უთუთიასა და მის ტოლებს არ გაჭირვებიათ ზუსტად აღეჯგინათ მათვის ესოდენ ნაცნობი ფარლალა „სასახლეები“, საღაც მათი აკვენები იჩრეოდა ოდესლაც).

თითქოს ყველაფერი მზად იყო, რომ ახლა გზისპირას ჩარიგებული ელექტრონისა და რადიოს ბოძები შენიშნეს.

ითაბირეს, ითაბირეს და ბოლოს მოელმა სოფელმა სულგრძელად თქვა უარი ელექტრონსა და რადიოზე, სანამ გადაღება არ დამთავრდებოდა.

ბოძები დათხარეს, მავთულები დაჭრეს, დაახვიეს და შეინახეს.

გადაღების დაწყებას არაფერი აღარ უშლიდა ხელს.

ერთ მშვენიერ ღილას უთუთიამ თავისი სტუმრები კიდევაც იცნო და ვერც იცნო.

ფაცხებთან გამოჩნდნენ ჩოხა-ახალოხში გამოწყიბული, ცხენებზე ამხედრებული თავაღ-აზნაურები თავიანთი განუყრელი მწევრებითა და ქორ-მიმინობით; ფართო, შრიალა კაბებში გამოწყობილი კნეინები, ექსელბანტიანი ოფიციერები, ყაზახ-რუსები...

მაგრამ სოფელი ხომ უპირველესად

გლეხია! მთელ სოფელს ტანზე გადაცვეს.

ახლა ფაცხებთან გლეხებიც აფუსულსდნენ ჯვალოს ჩამოკენკილ ტანსაცმელში. იქვე, ტალახიან ეზოებში იროვნენ ტიტლიკანა ბავშვები და გოგობიჭები...

უთუთია გაკვირვებული შეპყურებდა ყოველივე ამას. თავი სიშმარცხაში ეგონა. უმალ როდი ახერხებდა პასუხის გაცემას, როცა ეკითხებოდნენ:

— ეს როგორ იყო?..

— თუ გახსოვთ, მაშინ ეს როგორ იცოდნენ?..

უთუთიაც გონებას ძაბავდა, ბავშვობაში ნახულის უშეცდომოდ აღდგენას ცდილობდა. მის ნათქვამს ყურადღებით უსმენდნენ და ბევრ რამესაც ასწორებდნენ იქვე, ახლებურად ალაგებდნენ...

უთუთია გადაღების დროსაც არ დაივიწყეს. კინოაპარატის წინ დააყენეს ხალხში. დაგლეჭილი ჩოხა ჩააცვეს, ხელში მძიმე კომბალი მისცეს...

შემდეგ კაზაქებმა სასტიკად გაროზგეს თავაღის ურჩი გლეხი. (მართლა კი არ გაუროზგავთ ის არტისტი, გლეხს რომ თამაშობდა. მაგრამ როცა ვითომ გასისხლიანებული და ცოცხალ-მკვდარი მიწაზე დაგდეს, ბატონის ცხენის ფეხის წინ, უთუთიას გააურეოლა).

მაშინ ხალხს გამოეყო ახოვანი გლეხებაცი (ისიც უთუთიას სტუმარი იყო. აკაკის ეძახდნენ. ყველანი განსაკუთრებული მოწიწებითა და პატივასცემით ეპყრობოდნენ). და ამ ახოვანშა გლეხმა ისეთი სიტყვა თქვა, ისეთი, უთუთიას ტანზე პირდაპირ ცეცხლი მოეკიდა. თანდათან მეტი და მეტი მრისხანებით, ბრძოლის წყურვილით ივსებოდა, სხვების მსგავსად ისიც პატრიში ატრიალებდა თავის გრძელ ჭოხს და მთელ ხალხთან ერთად ყვიროდა:

— აბა ულა!.. აბა ულა!..

მხოლოდ გვიან საღამოს ბრუნვებოდნენ სახლში. ლამპის შუქზე ვახ-შმობლენ და წვებოდნენ.

უთუთიაც წვებოდა, მაგრამ სხვები-ვით უცბადვე როდი ეძინებოდა. მოუს-ვენრად წრიალებდა ლოგინში, მთელი ჯლის განცდილსა და ნახულს იგონებდა.

„ა?! ყველაფერი ასე იყო ვითომ? — ეკითხებოდა თავს. — ხომ არაფერში შევმცდარვარ... არა, ყველაფერი ასე იყო ნამდვილად... ბევრი არც კი მხსო-შებია... გზადაგზა მასსენდებოდა, როცა ვუყურებდი... ისე ძაან დაუწერია იმ მამაცხონებულს, ცენარისტია თუ ვი-ლაცა... ყველაფერი ისე აუწერია, რო-გორც იყო...“

რამდენადაც რწმუნდებოდა ამაში, იმდენად ეკუმშებოდა გული რაღაც გა-ლვიძებული, ოდესლაც დაამებული და მოულოდნელად ისევ გალვიძებული, ტკივილისაგან. ისეთი ცოცხალი იყო ეს განცდა, ხანდისხან თავი სხვა ქვეყა-ნში ევონა.

და უნდოდა ამდგარიყო, ელექტრო-ნი აენთო, რადიო ჩაერთო. მაგრამ ახ-სენდებოდა, რომ დროებით ბოძები დათხრილია, რომ არც სინათლეა და არც რადიო მუშაობს...

ასე მოუსვენრად გაატარა ის ღამე-ები უთუთიაშ.

ღლისითაც უფრო გულჩახვეულა ჩანდა და უსიტყვო წინანდელთან შე-არებით. სტუმრებთან ნაძალადევალ იმჩიარულებდა თავს, სხვანაირად რომ არ ჩამომართვანო პირქუშობა.

შვილისთვის, შალვასათვის კი უნ-დოდა ეთქვა რაღაც, მაგრამ კარგად არც კი იცოდა რა...

და აი ერთ დიღას, როცა მარტო შეეჩესა ეზოში, უთხრა კიდევ:

— მახარია!.. კიდევ დიღხანს გაგრ-ძელება ეს ამბავი?

— არა, ორ დღეში მოვრჩებით... რატომ მეკითხები, უთუ-ბაბა?

— სხვანაირად არ იფიქრო... თუნ-დაც მთელი თვე იყავით... სხვა რამ შა-წუხებს, მახარია...

— მაინც?

— დიღი ძალური ცხოვრება კი გვერდა, კაცმა რომ თქვას... როვორ უნდა წარმოიდგინოს ახალგაზრდო-ბამ... როცა ვუყურებ, მეც კი მეში-ნია... ასე მგონია, ვიღაცა რაღაცას მართმევს... თანაც არც ელექტრონი, არც რაღიო... ერთი კვირა არც გასუ-ლა და ყველაფერი ისევ ისე მომენატ-რა... ხომ გამიგე მახარია...

შალვა მშეიღად და უსიტყვოდ შექ-ყურებდა მამას, შემდეგ ჭკვიანური თვალები რაღაც სხივოსანი შუქით აენთო:

— მესმის, კარგად მესმის უთუ-ბაბა!.. ასეა, როცა ცხოვრებას შეიტკ-ბობ!

## 2. ასე იღიმება მთიერი

— აბა აქეთ!.. აბა აქეთ, გათავდა... აბა აქეთ!—იძახის ჭევე ჯგურენაია და გრძელ ხელებს ნიჩბებივით. ამორჩა-ვებს, მუშტარს ეპატიუება.

გაზრის შვილთსა და აურზაურში ძნელია რისიმე გაგონება, მაგრამ ჭეგვს ხმა მაინც ისმის. უცნაურად ძლიერია და ომახიანი ხმა აქვს ჭეგვს, ათას წმა-ში გამოირჩევა:

— აბა აქეთ!.. კარგი სულუგუნი, კარგი სულუგუნი! — არ ცხრება ჭეგვი. მობაზრენი უნებურად კისერს იპ-რუნებენ და სახეზე გაკვირვება ესა-ტებათ. ეს რაა, დახლთან დევ-კაცი დღის?.. მაშ რატომ ასე პატარებად ჩა-ნან მის გვერდით მდგარი სხვა გამყიდ-ველები?..

გაკვირვებული სახე კარგახანს შე-სცექრის ჭეგვს ლონიერსა და ძარღვიან ხელებს, ორმტკაველიან დანას ჭაყვა-

სავით რომ ათამაშებს თითებში. მზერა უფრო ზევით მიცოცავს და პიტალო კლდესავით გამოკვეთილ, ფართო და მაღალ მკერდს ებჯინება. მართლა კლდე გეგონება, საბერველივით რომ არ აღი-ჩადიოდეს და ასეთ ლომისებურ ბუხუნს არ გამოსცემდეს.

გაკვირვებას ახლა ცნობისმოყვარეობა ცვლის. ყველას აინტერესებს რანაირი თავი ადგია ამ გოლიათურ ტანს. ნელ-ნელა უახლოვდებიან დასლს, კისერს იგრძელებენ და ზევითკენ იჭვრიტებიან.

გაოცებულ სახეებს მშვიდი, თითქმის ბავშვური ღიმილით გაღმოსცემოს სრულიად ახალგაზრდა კაცის სახე. ხშირ, გაღარაგნილ წარბებს ქვემოთ ციმციმებენ დიდი, სხივიანი ჭროლა თვალები. მზით გარუჭულ ვაჟკაცურ პირისახეს შეპვენია საამოდ შეღერილი ღინდლი. ქერა კულულებიან თავს, რომელიც თითქმის ფარდულის ჭერს მიბჯენია, სვანური თეთრი ქუდი ხატას.

— აბა ვის გნებავთ!.. სულ ერთი კილო დაშრია! ერთი! — იბახის ჭეგე და ფარდულში ნახევრად შემომძრალ მუშტრებს აკვირდება — რომელი ქნება ჩემი სულუგუნის მყიდველია: თან ამდენი გაოცებული მზერით გამოწვეული უხერხულობა რომ დამალოს, მალი-მალ ისწორებს ცალ მხარზე ჩამოცმულ თეთრ ხალათს, რომლის კალთის ბოლოები ქამრის თავთან. გადაუნასკვავს ჭეგეს. რა ჭეგეს ბრალია, თუ მისი ზომის ხალათს არავინ ჰერავს. სამაგიროდ სანიტარულ წესს ხომ გულმოლგინედ იცავს.

გაკვირვებულ - გაოცებული სახეები რიგრიგობით ჩნდებიან და ქრებიან ყველას ავიწყდება იყიდოს სულუგუნი, ერთი კილო სულუგუნი, რომელიც ჭეგეს კიდევ დარჩა.

ჭეგეს კი ეჩქარება, ძალიან ეჩქარება.

ცოტა საქმე როდი აქვს თბილის ქალაქში. დედამ თბილი თავშალი დააბარა, მამამ ქურქი და ჩექმები. და-ძმებიც რითიმე უნდა მოიკითხოს. ოთხი დაი და ხუთი ძმა ჰყავს ჭეგეს. ორი ძმა კიდევ ომში დაეღუპა...

თვითონაც უნდა მოირთოს ჭეგე, ისე მოირთოს, როგორც საცოლე ბიჭს ეკარება. ყველაზე მეტად ფეხსაცმლის აშბავი აწუხებს. რაიონში ვერსად აღმოაჩინა თავის სარგო, ორმოცდაშვიდი ნომერი...

ფიქრებში წასულ ჭეგეს ვიღაც სათვალებიანმა, თეთრწვერა მოხუცმა ამოხედა:

- სადაურია ეგ სულუგუნი ბიძი?
- ასხის ჭოგიდან, ბიძია-ბატონო.
- ჰო, ვიცი... კარგი საძოვრებია იქ... ალბათ ჭვარელი ხარ!

— ცოტა უფრო ზევით ვცხოვრობ...

— კარგი მხარეა... ორჯერ ექსპედიციაც ამიყვანია ჭეელობაში... ამიწონე!

ჭეგეს ესიამოვნა, მშობლიური კუთხე, რომ შეუქეს. „ალბათ პროფესორია“, — გაითვიქრა თავისთვის. ისიც გაუხსარდა, ხელი რომ გაინთავისუფლა.

უკანასკნელად ალბული ფული გუმტენილ გულისგიბეში ჩაბლუხა, ხალათი მოიხსნა; მეზობლებს დაემშვიდობა და ფარდულიდან გავიდა.

...შებინდებამდე იხეტიალა იმ ღღებ ქალაქში. პირთამდე გამოტენილი ხურგინით მხარზე მშვიდად დაბიჯებდა ქუჩებში თავისი გრძელი, საუენაან ნაბიჯებით. ნელ-ნელა მიაბიჯებდა და თან მიჰქონდა გამვლელების გაკვირვებული მზერა.

ჭეგე კი, როგორც ეს მთიელ კაც ჩვევია საერთოდ, აჩავის არ აქცევდა ყურადღებას, თავის საზრუნავზე, ფიჭ რობდა. კვლავ თავისი სარგო ფეხსაცმლის ძეგნაში იყო.

მხოლოდ ორმა კაცმა მიიქცია მისი უურადღება.

პირველად რუსთაველის - ქეგლთან დალანდა ისინი ჭეგემ. სანამ ლენინის მოედანს მიაღწივდა, თვალებიდან არც ერთი არ მოსცილებია. ხან უკან მოტყუ-ვებოდნენ ახოვან მთიელს, ხან გვერდით, ხან კიდევ წინ გაუსწრებდნენ...

ერთხელ, კვალის ასაბნევად, ჭეგემ განგებაც შეუხვია ვიწრო ქუჩაში, მაგრამ უცნობები ვერც ამით ჩამოიცილა.

„ვითომ რა უნდათ? — ფიქრობდა ჭეგე. — რას დამდევენ?.. ალბათ!.. მაგრამ ჯიბგირებს რომ არ ჰვანან?.. ორივეს შლიაპა ახურავს, ორივე კარგად ჩაცმულია... თუმცა ეს არაფერს ნიშნავს. განა ცოტაა ქვეყანაზე კაცი, სახე ანგელოზის რომ აქვს და სული ოჩო-კოჩისა?..“

— მეგობარო! — მოესმა ბოლოს ჭეგეს მოსახვევთან.

ჭეგე შეჩერდა. შეეძლო სულაც არ მოეხედა, მაგრამ ითაყილა, სიმხდალე არ დამწამონ.

„ჯანიც გავარდეს!.. ჭეგეს არაფრის არ ეშინია... თოხლო კი არ არის, ვაკე-კაცია... ორივეს საკადრისად გაუსწრედება, თუ საქმე საქმეზე მიდგა... პირველად უფრო ახალგაზრდას ეცემა. ის მაღალია, და ჩაფსკვნილი, ლონიერი ჩანს... მკლავში მოიგდებს და კისერს მოუგრეხს... მეორეს, თუ გაჭირდა, წიხლითაც მიწვდება... ნუ ეცუმრებით ჭეგეს წიხლებს... რამდენი მძიმე ლოდი გადაუგორებია ენგურში ერთი წაბიძებით!“

— ბოდიში, მეგობარო! — მოესწა ჭეგეს სულ ახლოს და იმავ წუთს ორთვე უცნობი მის წინ დადგა.

— უკაცრავად, რომ ქუჩაში გაგაჩერეთ, მაგრამ სხვანირად, ვატყობ, არ ხერხდება. — დაიწყო უფრო დაბალმა.

— რაშია საქმე, გენარცვალე! — ჭეგემ ახოვანი მხერები შეარხია და

ფუთიანი ხელები ხურჯინის წინა თვალზე დააწყო მშვიდად.

— თქვენ საიდან ბრძანდებით? — პკითხა მაღალმა.

— წალენჯიხის რაიონიდან, გენარცვალე.

— რა გვარი?

— ჭეგი ვარ, ჭერენაია.

უცნობებს სახეზე ლიმილმა გადაუარა.

ჭეგემ ეს შენიშნა, მაგრამ ნირი არ შეუცვლია. სერიოზული, ოდნავ ნაწყენი სახით მისჩერებოდა თანამოსაუბრებებს.

— ჩვენა ვართ... — დააპირა თავისი ვინაობის გამულავნება მაღალმა, მაგრამ მეორემ გაწყვეტინა.

— ჯუმბერ, ეს ძალიან სერიოზული საქმეა... ხომ არ აჯობებდა, სადმე ჩამოვჭდარიყავით... აი, თუნდაც აქვე, რესტორანში. — ახლა ჭეგეს მიუბრუნდა. — რას იტყვით, მეგობარო?

ჭეგეს არაფერი უთქვამს, მაგრამ მისი თვალები უკვე დაუფარავი უნდობლობითა და მტრობით იბლვირებოდა.

— ჰო, მართლა, სულ დაგვავიწყდა გაგცნობოდით. — მაღალმა ჭეგეს ხელი გაუწოდა. — მეტრეველი... ესეც ჩემი მეგობარი, ბიძინა მენაბდე.

ჭეგემ ერთსაც და მქორესაც უხალისოდ ჩამოართვა ხელი. უკვე ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ არასაიმედო ხალხს გადაეყარა.

— რას იტყვით, არ შევიღეთ რესტორანში? — გამეორა კითხვა ჭუმბერმა.

— არა, გენარცვალე, საქეიფოდ არ მცალია, — უკმაყოფილოდ მიუგო ჭეგემ. — თუ ლაპარაკი გინდათ, აგერ მელაპარაკეთ... ვინც თქვენ შეგიშინდეთ, იმას რა უუთხარი მე.

ბიძინამ და ჯუმბერმა ახლა ხმამალა გაიცინეს.

ამ სიცილმა ჭეგე გააბრაზა, მაგრამ ისევ თავის შეკავება არჩია.

— ცდებით, მეგობარო... ცდებით, ამხანაგო ჭეგე. — ჯუმბერმა პიჭაის გარეთა ჯიბიდან პატარა, ლურჯყდიანი წიგნაյი ამოილო და მთიელს გაუწოდა.

ჭეგემ ისიცცხვილა წიგნაյის ჩამორთმევა. ალბათ უნდობლობა შემატყვესო და უნებურად გაწითლდა.

— ჩვენ ფიზულტურის კომიტეტიდან ვართ... კალათბურთის სექციიდან, — ჯუმბერმა წიგნაյი ისევ ჯიბეში ჩაიდა და განაგრძო. — სპორტი თუ გიზიდავთ, ამხანაგო ჭეგე.

— სპორტი? — გაუკვირდა ჭეგეს.  
— ჰო, სპორტი... როგორ არა!..  
— მაგალითად, სპორტის რა სახე?  
— ჩაეძია ბიძინა.

— ლელო მიყვარს, მაგალითად... ჭველაზე მეტად ჯირითი... თუ დამჭირდა, გჭიდაობ კიდეც...

— ჰოდა ჩვენც ასეთი კაცი გვინდა! — თვალები გაუბრწყინდა მენაბდეს.

— თბილისში გადმოხვალთ? — პირდაპირ ჰქითხა ჯუმბერმა.

— თბილისში?!.. რას ამბობთ, ჭიმალეთ!.. თბილისში რა მინდა მეჭოგე კაცს?!

— ჩვენ კი სხვანაირად ვფიქრობო, ამხანაგო ჭეგე: — მენაბდემ შლიაპა მოიხადა და ნახევრადგამელოტებულ თავზე ცხვირსახოცი გადაისვა. — ჩვენ დიდ დანაკლისად მივიჩნევდით, რომ სპორტულ სამყაროს დაჭკარგოდა თქვენისთანა ფენომენალური სპორტ-სმენი... უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, სპორტსმენი პოტენციაში.

ჭეგეს თვალები საცერისოდენა გაუხდა.

— კარგ აღგილას გაგაფორმებთ.  
— თითქმის მინისტრის ხელფასი გაქნება.  
— ჭერ სასტუმროში მოეწყობი...

— შემდეგ ბინის საქმეც მოგვარდება, — ცვიოდა დაპირებები.

— გამაგებინეთ, ჭიმალეთ, რაშია საქმე... ჩემს სახლს ცეცხლი ხომ არ გაჩერია... ჭოვი ხრამში ხომ არ გადაცვენილა, ჭიმალეთ.

— არა, ჭეგე, არა!.. იმიტომ კი არა...

— ცოლი გყავს, ჭეგე?

„მერე რა რომ არ მყავს!.. მეყოლება, მალე მეყოლება... იქ, მთებში მელოდება შხვერთი-შხვერთი ცირუ; სახემშვერიერი ცირუ... ჭეგე ენაცვალოს ცირუ კვარაცხელიას, მთელი ქვეყნის ქალები ენაცვალოს...“

ასე ფიქრობს ჭეგე, თქმით კი არაფერს ამბობს.

მისი სიჩუმე კი არ მოსწონთ თანამოსაუბრებს, ამიტომ ისევ და ისევ აყრიან ჭეგეს:

— ღმერთივით იცხოვრებ აქ...

— კარგი ხელფასი გექნება.

— ბინას მალე მოგცემთ, კარგ ბინას...

„არც ბინა უნდა ჭეგეს... კარგი ქალქია თბილისი, მაგრამ ჭეგეს მაინც იქ ურჩევნია, მთებში... იქ, სადაც მისი სახლი დგას ქარაფებზე, სადაც არწივები ჰყივიან, სადაც ღრუბლები დასცურავენ ხელის აწვდენის სიმალლეზე, სადაც ასე ხშირია ქარიშხალი და ზვავთა ჭიათანი, სადაც ისმის ენგურის შფოთიანი გრევინვა... იქ უფრო ლალად სუნთქვავს ჭეგე, უფრო მხარგაშლილად დადის, ნაბიჯიც არ ერევა ვიწრო ბილიკებზე“...

ჭეგე ისევ და ისევ სდუმს, მაგრამ თანამოსაუბრები უსიტყვოდაც გრძნობენ, გუმანით გრძნობენ ჭეგეს ფიქრობინარებას და ისევ იერიშზე გადადიან, ცდილობენ შეუვალი, პიტალო კლდე შეარყიონ, გაბზარონ...

— კარგად გაგვიგონე ჭეგე. — არ ეშვება ჯუმბერი. — შენ დღეს არავინ გიცნობს... ერთი მეჭოგე ბიჭი ხარ, სუ-

ლუგუნის გამყიდველი... სულ ერთი წელი და შენი სახელი მთელ ქვეყანას მოეფინება... საამაყო, სახელგანთქმული კაცი გახდები... იქნება დეპეშების გზავნა მოსკოვიდან: „რეაქტიული თვითმფრინავით გადმოაფრინეთ ჭეგე ჭეგერნაია... შეგვყავს ნაკრებში, ვაგზავნით მსოფლიო პირველობის გათამაშებაზე“... მაში!.. შენ ივლი პარიზისა და ლონდონის, რომისა და სტოკოლმის ქუჩებში... ჭეგე, ჭეგე, სად იყურები?.. არ გესმის, რასაც გელაპარაკებით?..

არა, ჭეგეს არ ესმის, ნამდვილად არ ესმის.

იგი დგას დინჯად დაფიქრებული, როგორც ღრუბლებით შუბლშებურული მყინვარი. დიდი ქალაქის ხმაური და გნიასი ხელს ვერ უშლის ფიქრებით ისევ მშობლიურ მთებში იყოს.

— არა, ჯიბალეფ!.. თქვენ, თქვენი საქმე გაქვთ, მე, ჩემი. — გადაჭრით ამბობს ჭეგე და მის სახეს ეფინება რაღაც უცნაური, ჩახახა ღიმილი.

განა ძნელი მისახვედრია, თუ ვის ჩქუთვნოდა ეს ღიმილი?

ცხადია, ისევ და ისევ მშობლიურ მთებს, მის კალთებზე შეფენილ ჭოქს, ქარაფებზე წამომდგარ სახლს, შრომაში გათეთრებულ დედასა და მამას, ჭანმაგარ ძმებსა და დებს, სახემშვენიერ ცირუს...

ასე იღიმება მთიელი, როცა მშობლიურ მთებზე ფიქრობს.

### 3. მამა და შვიდი

გაშოილვიდა თუ არა, ბიქენტი ბახტაძეს პირველად ის მოაგონდა, რომ წუხელის ნასვამი მოვიდა სახლში; შემდეგ კი ის, რომ ცოლი დიდხანს ებუზლუნებოდა. მერედა რაზე?.. პო, იმაზე, რომ ტუკუიამ (ასე ეძახდნენ შინაურობაში ვასასი და ბიქენტი თა.

ვიანთ ერთადერთ შვილს ტარიელს) უკანასკნელ ღროს სწავლაზე გული აიცრუა, დღიურები სულ სამანებით აქვს აჭრელებული, მას კი, ბიკენტის, ამის დარღი არა აქვს.

გაახსენდა ყველაფერი ეს ბიკენტი! და რომ თავისი ღანაშაული ერთბაშად გამოესწორებინა, კვირა დილა პირდაპირ საქმით დაიწყო.

ხელ-პირი ღაიბანა თუ არა, პიყამოთი სამუშაო ოთახში გავიდა, ტუკუია იხმო და დღიური მოატანინა.

კარგა ხანს შლიდა ბიკენტი დღიურს და თან თავს უკმაყოფილოდ აქნევდა:

— მდაა!

ტუკუიას დაცდილი ჰქონდა, რომ ამით მამა ჩევულებრივ უკიდურეს უკმაყოფილებას გამოხატავდა.

— მდაა! — ისევ გააგრძელა ბიკენტიმ და მაგიდის მოპირდაპირე მხარეს მჯდომ შვილს შეხედა.

ტუკუიამ თვალები ააფაფხურა და შემდეგ თავი უხერხულად ჩაქინდრა.

ნაკლებ გასაჭირში არც ბიკენტი იყო. არ იცოდა საიდან და როგორ დაეწყო თავისი სენტენცია. ერთხანს ისევ ჩუმად იჯდა, სერიოზული, რამდენადმე მწყრალი სახით შეჰყურებდა ბიჭის. მაგრამ რა კი ვერაფერი მოისაზრა, ისევ დღიური გადაშალა.

— ქართული ლიტერატურა... — დაიწყო ბოლოს ბიკენტიმ. — სამიანი... არ ვარგა, შვილო, არაფრით არ ვარგა!.. ქართული ლიტერატურა! — ბიკენტიმ საჩვენებელი თითი პათეტურად ასწია. — აბა დაუფიქრდი?! რამდენ რამეს გვეუბნება ეს ორი სიტყვა, რამდენ დიდებულ მწერალს ითავსებს... რუსთაველი, ბარათაშვილი, ვაჟა-ფშაველა, აკაცი წერეთელი, სულმნათი ილია... გალაქტიონი... გურამიშვილი...

ბიკენტიმ ახლა იგრძნო, რომ გურამიშვილი ცოტა მოგვიანებით მო-

იხსენია, მაგრამ უმაღლ კმაყოფილების ლიმილმა გაუნათა სახე.

— რად ლიჩს მარტო ეს სიტყვები: „ისმინე სწავლის მძებნელო, მიყევ და-ვითის მცნებასა, ჯერ ტქბილი... ჯერ შწარე ჭამე; კვლავ ტქბილი, თუ ეძებ! გემოვნებასა“... ხვითო სიტყვებია, ხომ ხედავ!..

ბიკენტიმ კმაყოფილება იგრძნო, რომ საუბრის დასაწყებად ასეთი კარგი გასალები იბოვნა.

— შენ კი, ყმაწვილო, — ბიკენტი წინ გადაიხარა და ხელი შვილს მხარზე წაუთათუნა, მაგრამ მორბილება ნაადრევად მიიჩნია და ისევ წინანდელი იერი მიიღო. — სამი... ვერაფერი შვილია სამიანი შშობლიურ ლიტერატურაში... შშობლიური ენა, ეს დედის ენაა, დედის ენა კი ადამიანისათვის ყველაფერია... მაშ!...

ბიკენტის კიდევ უნდოდა გაეგრძელებინა ლიტერატურაზე საუბარი, მაგრამ უცებ ენას კბილი დააჭირა. გაახსნდა, რომ ტუკიის სხვა საგანებშიც სამიანები ჰქონდა და სალაპარაკო შემოინახა.

— არითმეტიკა... სამიანი არითმეტიკაშიც... არც ეს ვარგა არაფრად!.. ჩვენ დღეს მათემატიკის, ატომისა და კიბერნეტიკის ხანში ვცხოვრობთ (ჩიკენტის გაუკვირდა. ეს სიტყვა საიდან მომაგონდა ამ დილითო).... ჩვენს დროში მათემატიკის გარეშე ფეხსაც ვერ გადაადგამს სწორად კაცი... შენ კი მათემატიკაშიც სამიანი გშლიჭეს...

— სულ პატარა შემეშალა! — სცადა თავის გამართება ტუკიიამ.

— არ გამაგონო, არ გამაგონო! — ხელები გაასავსავა ბიკენტიმ. — „პატარა შემეშალაო“... ღმერთო მოქალი ვიღაცამ!.. იცი შენ, ყმაწვილო, რას ნიშნავს პატარა შეცდომა მათემატიკაში?.. ეს მთელი, ასე ვთქვათ, გაუგებრობისა და არეულობის საწინ-

დარია... სულ პატარა, უმნიშვნელო შეცდომა გაანგარიშებაში და დედამიწიდან აშვებული რაკეტა მთვარის ნაცვლად, შეიძლება, მასსზე აღმოჩნდეს...

— აუშვეს თუ?! — წამოიწია ტუკუიამ...

— არა, ჯერ არა, მარა მაღლ აუშვებენ... დედამიწის თანამგზავრი ხომ უკვე აუშვეს საბჭოთა მეცნიერებმა... პლანეტთაშორისო რაკეტებსაც აუშვებენ. აი, ნახავ! მათემატიკოსები ალბათ უკვე აღგენენ გაანგარიშებებს... აი, ხომ ხედავ, რამოდენა საქმეა მათემატიკა... შენ კი არაფრად აგდებ... არ ვარგა ასე, ტუკუ, არა!..

ტუკუიამ ვერ გაუძლო მამის თვალებს და ისევ დასარა თავი. ბიკენტიმ მას სახეზე მაინც შენიშნა დამცინავი ლიმილის მსგავსი.

„რას იჭყანება ეს ცულლუტი?.. ალბათ დამაჯერებლად ვერ ვლაპარაკობ“.

ბიკენტიმ უფრო გაყინული სახე მიიღო და დღიური გადაშალა.

— ისევ სამიანი!.. და მერე რაში?!.. გეოგრაფიაში... ტუკუ, ეს რა გიქნია! გეოგრაფია ეს ხომ მეცნიერების თვალია... შენ კი ცალი თვალი დაგიხუჭავს და ცალით ღა. უყურებ ქვეყნიერებას... ასე, ღაიბნევი, ჩემო კარგო, შორს ვერ წახვალ... ჩვენს ღროში გეოგრაფიის ცოდნა... ჩვენს რღოში გეოგრაფია წყალივით უნდა იცოდე... რატომ არ მკითხავ?... აი, შენ ჯერ თორმეტისაც არა ხარ და პირველ მოცეკვავეს გეძახიან სკოლაში... გაივლის წლები, შეხვალ ინსტიტუტში... ერთ დღეს, ვნახოთ და თავი გიტკუცეს საღმე ფესტივალზე, ამერიკაში ან ავსტრალიაში... რას იზამ მაშინ, „გრუზიაში“ რომ ჩაჯდები... კითხვასა და ლიგინს ხომ ვერ დოუჭყებ სხვას: ეს რომელი ქვეყანაა?.. სად მივცურავთ?.. საით. არის აღმოსავლეთი,

საით დასავლეთი?.. ხომ მოგვეჭრა  
თავი!..

— მანამდე ქე ვისწავლი... მთლად  
ასე არაა საქმე... ხომ გაგიგონია, სწავლა  
სიბერებულეო. — ტუკუიამ რაღაც  
გამომწვევად გაუღიძა მამას.

— არა!.. ცდები, ცდები, ამხანაგო  
ტუკუ... სწავლა თავიღანვე უნდა...  
ფუნდამენტი უნდა ჩაყარო თავიღან,  
რომ ცოდნა ესკავატორივით მაგრად  
იღეს ზედ. აბა!...

ბიკენტი თანდათან იხიბლებოდა  
თავისი მჭევრმეტყველებით, სახე უფრო  
და უფრო ებადრებოდა უნებულად.

— ერთი სიტყვით, კარგად უნდა  
ისწავლო, შვილო... ეს არის და ეს!..  
შეტი რა უნდა გითხრა! — დაასკვნა ბი-  
კენტიმ და სკამზე გაიწვართა.

ტუკუმ აუდენცია დამთავრებულად  
ჩათვალა, ღიმილით თავის დღიურს  
ხელი დაავლო და ოთახიდან გავიღა.

ბიკენტი კმაყოფილი დარჩა საუბრით. უკვე ეჭვი არ ეპარებოდა, რომ  
მისი შეგონება გაჭრიდა და ამიერიდან  
ტუკუია მხოლოდ ხუთიანებს შემო-  
აფრენდა სახლში. ამის გაფიქრება და  
თვითონ ბიკენტის ფიქრებს გამოესხა  
ფრთხები. იგი ნათლად, თითქოს ცხა-  
და ხედავდა შვილის ბეღნიერ მომა-  
ვალს. „არა, ნამდვილად კარგი ბიჭი  
მყავს... რა ვუყოთ, რომ სამიანებს  
ღებულობს... სამაგიეროდ ნიჭიერი  
ჭეა!“

კარის ჭრიალი შემოესმა.

თვალი გაახილა. მის წინ ტუკუია  
იდგა ეშმაკურად მოლიმარი. ბიკენტის  
გაახსენდა. ის ლიმილი, ბიჭის რომ პირ-  
ველად შენიშნა, მაგრამ ვერ ახსნა  
რას გამოხატავდა ეს ლიმილი: უბრა-  
ლო ბავშვურ კმაყოფილებას, თუ რა-  
იმე ცულლუტობას.

— მამა, ერთი შეკითხვა თუ შეიძ-  
ლება?

— გისშენ, შვილო.

— სწავლა პატარასაც და დიდსაც  
ხომ ერთნაირად მოეთხოვება?

— რად მეკითხები ტუკუ? — შეც-  
ბა ბიკენტი. — ცხადია, რომ ერთნაი-  
რად მოეთხოვება.

— საინჟინრო ინსტიტუტის სტუ-  
დენტმა რომ ჩემსავით სამიანები მიი-  
ღოს...

— ნუ გარაგიუე, ტუკუ!.. რა შუა-  
შია საინჟინრო ინსტიტუტი!...

— არა, ისე. — გაიცინა ბიჭმა.

— ჰო! — თუმცა ბიკენტიმ არ  
აცოდა რატომ თქვა ეს „ჰო“.

ტუკუია ახლა გამომცდელი თვა-  
ლით შეჰყურებდა მამას, დაახლოებით  
ისე, როგორც რამდენიმე წუთით აღ-  
რე თვითონ ბიკენტი შვილს.

— ჰოდა არის ერთი კაცი; —  
მშვიდად წარმოოქვა ტუკუიამ. —  
დაუსწრებელი ინსტიტუტის სტუდენ-  
ტი, რომელსაც ჩემსავით რამდენიმე  
სამიანი უწერია მატრიკულში...

— ავ! — თვალები გაღმოკარელა  
ბიკენტიმ. — რისი მატრიკული... სად  
ნახე შე შეგვენებულო!.. ქვესენელში  
დავმალე მეგონა და შენ საღ მიაკ-  
ლივ!

— მივაკვლიე კი და! — ნიშნის  
მოგებით მიუგო ტუკუიამ.

— იცი, მამას ჭირიმე, რას გეტყ-  
ვი? — უცბად მოლბა ბიკენტი. —  
არსად გააცხადო ეს ამბავი.... თანაც, —  
უცბად ისევე ხმას აუმალლა. — უნდა  
გახსოვდეს, რომ მე შენსავით არავინ  
გადამყოლია... უბრალო მუშა ვიყავი....  
შემდეგ მუშთაკში ვიჯახირე და დღეს  
ინტელიგენტს მეძახიან... გახსოვდეს  
ეს შენ ტუკუ... თანაც ჩემს წლებში  
არც ისე ადვილია სწავლა... ისიც გახ-  
სოვდეს, რომ უფრო მეტად ხუთიანე-  
ბი და ოთხიანები მყავს. შენ მაინც  
გაჭობებ... აი ნახავ!..

— ვნახოთ! — მიიღო გამოწყვევა ტუკუიამ.

— დღეიდან მატრიკულში ოთხიანზე ნაკლები თუ მინახო, მამაკ, ნუღარ დამიძახებ... ოლონქლ...

— გასაგებია, გასაგები, — გააწყვეტინა ტუკუიამ. — არც მე ვჭამ სირცევილს.

— შევთანხმდეთ ამაზე?

— შევთანხმდეთ!

მამა-შვილმა სიცილით ჩამოართვეს ხელი ერთმანეთს და სასაღილო ოთახში გავიდნენ.

დიასახლისი ორივეს საუზმეზე იწვევდა.

#### 4. ი ۱

მთავრობის კომისია სახლს იბარებდა.

ახალი, ოთხსართულიანი, მთელ კვარტალზე გადაჭიმული სახლის ყველა ბინა დაიარეს. ათი წყვილი გამოცდილი თვითი გულდასმით ზვერავდა ყოველ კუნძულს, ამოწმებდა პარკეტის დაგებულობას, კარ-ფანჯრების გამართულობას... სამზარეულოებსა და სააბაზანოებში წყლის ონჯანებსა და მოწყობილობებს დიდხანს უტრიალებდნენ, ცენტრალური გათბობის ბაზარიებს უკირკიტებდნენ, საღმე წყალი ხომ არ მოჟონავსო...

ბევრი ამოწმეს, ფეხზე ჩამოწყდნენ, მოიქანცნენ, მაგრამ ზელმოსაკიდი ვერაფერი ნახეს.

— ახლა ეზოში ჩავიდეთ. ვნახოთ როგორ გამოიყურება, — თქვა ბოლოს ქალაქის საბჭოს თავმჯდომარებმ, თავის ასაკთან შედარებით ნააღრევად გაჭალარავებულმა კაცმა.

მთავარმა ინუინერმა რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ სანამ დერეფანში შეგზუფულ კომისიის წევრებს გვერდს შეუვლიდა, თავმჯდომარე უკვე კიბეზე დაეშვა.

სხვებიც უკან მიჰყვნენ.

— ეს რაღაა, ამხანაგო დიმიტრი? — შემოესმა მთავარ ინუინერს, როგორც კი ეზოში გასასვლელ კარს მიაღვა.

თავმჯდომარემ ხელი შუაგულ ეზოში მდგარ ფიცრულისაკენ გაიშვირა.

გინახავთ, ალბათ, ასეთი ფიცრულები. ყველგნ, სადაც კი ახალი სახლის მშენებლობას დააპირებენ, ჯერ ასეთი ფიცრულები ჩნდება. ჩვეულებრივ ეს არის მშენებელთა თავისებური შტაბი. მთავრდება სახლის აგება და ჰქონდა ფიცრულიც.

ამჯერად კი ფიცრული ისევ იდგა.. თავისთვალ როდი იყო დასაწუნი, სადმე, გარეუბანში, პატარა ეზოსაც კი დაამშვენებდა, მაგრამ ახლადდამთავრებული სახლის უზარმაზარი, თეთრად მოქათქათე კორპუსის ფონზე მართლაც რომ ზედმეტად და სასაცილოდ გამოიყურებოდა ჭუჭა ფიცრული. თანაც მის ფანგარაში გამოჩრილი ლუმელის მილიდან ბოლქვა-ბოლქვად ამომავალი კვამლი თითქოს გამომწვევალ ეფუტებოდა თვალებში გოლიათი, მაგრამ ჯერ კიდევ ჩაუსახლებელი სახლის მოელვარე ფანჯრებს.

— რატომ აქამდე არ აგილიათ? — იკითხა ისევ ქალქის საბჭოს თავმჯდომარემ.

— მე უკვე მოგახსენეთ წუხელ, კომისიის სხდომაზე, როცა ბინებს ვანაწილებდით... ალბათ გახსოვთ მოქალაქე ტოროტაძის განცხადება, — მიუგო მთავარმა ინუინერმა.

— არ მაგონდება რაღაც.

— არც არის გასაკვირი. ყველანი ისე საშინლად ვიყავით გადაღლილნი, — ჩაურთო ვიღაცმა.

— უარი უთხარით? — იკითხა პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივანმა, კომისიის ერთ-ერთმა წევრმა.

— არა, საკითხი ჯერჯერობით ლიად დავტოვეთ.

— რა მოტივით?

— რიგით ჯერ არ უწევთ. არც თუ ისე დიდიხანია ჩვენს ქალაქში ცხოვ- რობენ.

— რა ხალხია?

— ქმარი კალატოზია, ცოლი ამწეზე მუშაობს... აქ გაიცეს ერთმანეთი. თა- ნაც, რა კი ორივე აქვე მუშაობდა, დროებით საცხოვრებლად ეს ფიცრუ- ლი გვთხოვეს... ჩვენც დავუთმეთ, რაც შეიძლებოდა მოვუწყეთ და გავულამა- ზეთ... შევღებეთ კიდეც.

— წავიდეთ ენახოთ ბარებ, — თქვა ქალაქქომის მდივანმა.

კომისიის წევრები ფიცრულს მაად- გნენ.

კარზე მთავარმა ინჟინერმა დააკა- კუნა.

გამოიხედა შავგვრემანმა, ჩათქვირე- ბულმა ახალგაზრდა ქალმა.

— მობრძანდით! — ქალმა კარი ფართოდ გააღო.

ვიწრო კარში თავმჯდომარე გვერ- დულად შევიდა და ზედ ზღურბლთან გაჩერდა, რადგან მეტი გასაქანი აღარ იყო. პირდაპირ, კედელთან, პატარა მა- გიდა იდგა: ხელმარცხნივ — უბრალო რკინის საწოლი ქვეშაგებით; მარჯვნივ ფანჯარასთან კი თუნუქის მომცრო ღუმელი. შუაგულიც, ალბათ, რაღა- ცას დაეკავებინა, რადგან ქალი რამდე- ნადმე შებოჭილად იდგა შემოსულის პირისპირ.

— ტოროტაძე თქვენ ბრძანდებით?

უეცრად, თითქოს პასუხად, გაისმა პატარა ბავშვის ტირილი.

ყველას უნებური ღიმილი შეასკუ- პირზე.

ქალს პასუხის მიცემა გადაავიშყდა, მიბრუნდა და აკვანს დაუწყო რწევა.

ჩვილი მაინც არ ცხრებოდა.

მაშინ დედამ აკვნის სახელურზე გა- დაფენილი ტულის ნაჭერი გადასწია.

და თავმჯდომარემ, აკვანზე დახრილ ღელის მხრებს ზემოლან, დაინახა მთვარესავით გაბაღრული პატარა, მო- ცინარე სახე.

თავმჯდომარემ კართან შეგუფულ თანამგზავრებს გადახედა:

— სივიწროვეა, მაგრამ ოჯახი მაინც არის. — შემდეგ ისევ ქალს მიტერულ. და — რა პქვია თქვენს პატარას?

— ია!

— კარგი სახელია... შესაფერი. — უცებ ხელი მაკენტოვის ჭიბეზე გაიკ- რა და კრიალა ქალალდში გახვეული შოკოლადი ამოაძრინა.

— ეს ჩვენგან... უფრო სწორად, ჩე- მი პატარა ბიჭისაგან იას. — შოკოლა- დი აკვნის კიდეზე ჩამოდვა.

— გმაღლობთ, გმაღლობთ.... რა სა- ჭიროა! — შეიშუშნა ქალი.

— არა, აიღეთ, აიღეთ... თუმც საა- მისო კბილები ჯერ არ ექნება იას, მაგ- რამ სხვა მოსაკითხი ამჯერად არ გაჯ- ვაჩინა.

თავმჯდომარე ღიმილით დასცქერო- და პატარას, რომელიც ახლა აღარ ტი- როდა და არტახებიდან განთავისუფ- ლებული ციცქანა ხელებით ღელის კალთაზე ეპოტინებოდა.

„ია... ია...“ — იმეორებდა გულში თავმჯდომარე. და თვითონაც არ იცის რატომ, გაახსენდა ნაზი, ცისფერთვა- ლება ია, მოაგონდა ხშირი, დაბურული ტყის პირი. შეიძლება იმიტომ, რომ ია პირველად იქ ჩნდება.

გაზაფხულს ყველაზე აურე ტყის პირას ამართული ახოვანი ხეების ძირ- ში იგრძნობ... ტოტებში გალხობილი ჭირხლის მძივები კისრისტებით მოხ- ტუნვენ და ჯერ კიდევ გაუმდინარ, გამ- ჭირვალე თოვლში ცვივიან. ღიღი ღლე აღარა აქვს ასეთ თოვლს, მით უმეტეს, როცა იქვე ხის ძირას, თოვ- ლის თეთრი ყელსაბურიდან კისერი

ამოუყვია იას, თავისი ლურჯი, ხასხასა თვალებით ხარბად რომ შესცინის გაზაფხულის მზის პირველ სხივებს...

ეს პატარაც, აკვანში რომ წევს, იმ იასა ჰგავს, უზარმაზარი ხის ძირას ამოსულს, სიცოცხლისა და გაზაფხულის მარადიული განახლების მახარობელს.

განა შეიძლებოდა ამ სათუთი არსების დანახვა იქ, პაპიროსის კვამლით სავსე კაბინეტში, ქალალდების გროვაში?...

თავმჯდომარეს არაფერი უთქვამს, დიასახლისს თავი დაუკრა, პატარას კი-

დევ ერთხელ გაულიმა და ფიცრულიდან გავიდა.

სამუშაო საათები დამთავრებული იყო, მაგრამ ქალაქკომის მდივნის წინადადებით პირდაპირ ქალაქის საბჭოში წავიდნენ.

და ახლად აგებული საცხოვრებელი სახლის მეორე სართულის სქემაში, ერთ-ერთი ოროთახიანი ბინის აღმნიშვნელ კვადრატში წითელი ფანქრით გაჩნდა წარწერა: „ტოროტაძის ბინა“; უფრო ქვევით კი, ლურჯი ფანქრით, კიდევ ერთი სიტყვა, ძალიან პატარა და ნაცნობი სიტყვა — „ია“.

## სამშობლოვ, ჩემო!

ვკითხულობ გაზეთს ცის და მიწის ღიმილით გამობარს,  
სტრიქონებს თითქოს საზეიმო შუქი დანათის,  
გაზაფხულია, მეგობრებო, ჩვენ რომ გვიყვაჩდა,  
ვარდ-ყვავილებში ჩაძირულა დედაქალაქი.

ქუჩებს, ხეივნებს აღტაცების ხმები მოედვა,  
მოლიან რწმენით,  
სიხარულით,  
ხვალის იმედით,  
აგერ რიგებმა ჩაუარეს წითელ მოედანს,  
მავზოლეუმთან დინჯაღ დგანან თავდახრილები.  
...არის ფუსფუსი,  
ურიამული,  
ლხინი საერთო,  
ხალხის ძახილი ცის თალს სწვდება და ახმიანებს,  
ადამიანებს შონს რა მისცემს უერთმანეთოდ —  
ამ გულდალოცვილ ადამიანებს!

მაგრამ ეს ჩრდილი რაღ დაეცა გაზეთს შუქიანს,  
სტრიქონებს შორის გაწოლილი გულის საღარდოდ,  
სიცოცხლისათვის ქვეყნად საფრთხე ვის შეუქმნია,  
ვინ ბედავს, სიკვდილს გზა მისცეს ფართო!

განა არ გვეყო მსხვერპლი, ცრემლი;  
რბევა-თარეში,  
(ცხოვრებამ ბევრჯერ ცეცხლიანი გზებით გვატარა),  
ვინ ბედავს ასეთ სიმშვიდეში  
ამ სიწყნარეში  
ომზე ლაპარაკს?

წამშობლოვ ჩემო, დე, იხარონ შენდა ბალებმა,  
შენდა ვარდებმა გაიხარონ ქვეყნად მარადესამს,

შენი შვილობა ყველას მისთვის გვეამაყება,  
ხალხთა მშვიდობის დგახარ დარაჯალ.

საავტორო ცაზე შენ მშვიდობის ხელი აღმართე,  
რომ მსოფლიოში წამებული არსად კვნესოდეს,  
რომ სტრიქონებშიც მზის ღიმილმა შემოგვანათოს  
და გაზაფხულის სუნთქვა გვესმოდეს!

## ციცინათედა

ერთი პატარა მანანა  
ხან გაიცინებს, ხან არა...

მეც ერთი ციცინათელა  
მიცინის ჩუმად და ნელა,  
ხან კი გაქრება;  
უმისოდ  
ვშიშობ, რა გამაძლებინებს,  
ვეძახი, ღიღხანს ვეძახი,  
ვერაფერს გავაგებინებ.

... და სულშიც ჩამობნელდება,  
დღე მითენდება წვალებით,  
მიზეზი მაინც ვიცოდე  
მე მისი ფერიცვალების...

მაგრამ უეცრად ნათდება,  
თითქოს ცამ გახსნა ცხრა კარა,  
ღიმილით გამომიშუქებს  
ჩემი ოცნების ლამპარი,

რამდენჯერ გამახალისა,  
რამდენჯერ ცრემლით დამნამა,  
ხან მეფერება,  
ხან მრისხავს,  
ხან მიცინის და ხან არა.

ხან ჩამიმწარებს ოცნებას,  
ხან გამილვიძებს იმედებს,  
რა იქნებოდა, ნეტავი  
სულ მუღამ იციმციმებდეს  
ერთი პატარა მანანა...

## ახალგაზრდობა

ჩვენ ქარიშხალა გვიდგას გულებად  
ჩვენ არწივების ვართ ნაშიერი.

და ცაზე მთვარეც არ მეგულება  
მკლავი არ მიწვდეს კომკავშირელის.

ჩვენ შევუტრეთ დამწვარ ყამირებს  
და მაინც დალლა აღარ გვატყვის,

ჩვენ მყინვარწვერსაც ავაყვავილებთ  
თუ მოგვიწოდა ჩვენმა პარტიამ.

ვართ მამულივით მარად მზიანი,  
დაუდეგარი, დაუგრეხცლი,

ვართ თბილისივით ლაშათიანი  
და მოსკოვივით გაუტეხელი.

...დაღვრილი ოფლის გაღასარჩენად  
ყამირზე ბრძოლა ისევ იწყება,  
ისევ სჭირდება ჩვენი მარჯვენა  
გული

— შრომაში თავდავიწყება.

ვიცით სიცხესთან ბრძოლა ძნელია,  
მაგრამ გულს ვაქცევთ ქვად და

გრანიტად,

რაღან ვჭირდებით, რაღან გველიან  
ყველა სიძნელეს მეტადით გავიტანთ,

ახალგაზრდობა! — ეს ხომ კვესია

და ნაპერწყალი ყველა ხანძარის,

ჩვენ ხომ არც მაშინ დაგვიყვნესია,

როცა ძველი დრო მეტადით დავძარით.

ჩვენც იქტომბრამდე ბრძოლით

მივედით,

ჩვენც ვითვლებოდით მებრძოლ

კაცებად,

ახალგაზრდობა! — არის იმედი

სუნთქვა,

სიცოცხლე,

და აღტაცება!

## დ ა ხ ტ ი

სკოლაშიც, გზაშიც მხვდებოდი მკაცრად,  
თითქოს ვერც გრძნობდი ჩემს გულის ფეთქვას,  
ისე კი, ჩვენში რომა სთქვას კაცმა,  
კარგად იცოდი, რაც უნდა მეთქვა.

კარგად იცოდი, თუმც იყავ ბავშვი,  
რომ შენი სახე გულს ხატად მედგა,  
შენ ღიმილს მხოლოდ მესროდი მაშინ,  
როცა ვუტევდი მომხვდურებს შედგრად.

ვეღარ უძლებდა ეს გული ღულვას,  
როცა ვხედავდი შენს სათნო ღიმილს,  
ვიღას ახსოვდა ქამრების ელვა,  
ან აგლეჭილი ხალათის ღილი.

სიყვარულით და ოცნებით ჟავსე  
ვერც კი ვამჩნევდი ჩემს ირგვლივ სწორებს,  
და როცა შენსკენ ვისროდი მზერას,  
ქამარიც მაშინ მხვდებოდა სწორედ.

„სჯობს საყვარელსა უჩვენო“... და მეც  
თავს არ ვზოგავდი შენს ახლო მყოფი,  
შემდეგ ცხელ წვივზე მე მთელი ღამე  
ვისვამდი ხელს და ვდგებოდი ოხვრით.

ასე გავიდა ბავშვობის ხანა,  
ხანა ყველაზე კარგი და სათნო,  
დღეს წრეში ქამრით სულ სხვები ღგანან,  
მე უკვე თმაში ჭალარა მათოვს.

მაგრამ გულს ჩარჩა ბავშვობის წლები  
სკოლა,

ლახტი

და ხალათის ღილი,  
ბავშვებთან წრეში ისევ ჩავდგები,  
თუ კვლავ მალირსებ იმ ნანატრ ღიმილს.

## მავზოღეუმი

მიღის ნაკადი ხალხისა და  
მიცყვები ნელა, —  
ღიღდ აკლდამასთან  
სიყვარულით მიგვაქვს ყვავილწი, —  
რომ დაუჭირნობელ გვირგვინებით შევამჯოთ ყველაზ  
მავზოღეუმი.  
ლენინსტალინის.

რა სიწყნარეა!  
უკვდავების ამ ღიღდ სადგურში,  
რაღაც დუმილი  
მეგზურივით თითქოს შემყვება...  
რამდენი განცდა სიყვარულის,  
გროვდება გულში  
და მაინც ვგრძნობ რომ  
ძნელი არის ბაგის შერხევა.

ყველას სწადია;  
წრფელი ძილი მათ არ გაუტყდეთ,  
ო, ამ გრიგალებს  
მოსვენება ახლა ენებათ.

სძინავთ და ღიღდი უკვდავება  
სასთუმლად უდევთ, —  
თუ კი დასჭირდათ,  
კვლავ ქარიშხლად გაელვიძებათ.

მიღის ნაკადი ხალხისა და  
მიცყვები ნელა,  
მიცყვები ნელა  
და სიჩუმე კვლავ მეფობს წესად.  
მზერა თქვენკენ მაქვს:

ლენინ!  
სტალინ!  
რომ ჩემი გრძნობა  
თქვენი თვალების ბრწყინვალებით  
განათდეს ლუქსად.

## Առաջնահամար պատճենահանություն

զին ար օլուս ծհռոլուս գոեց  
հողոր պամջուս թալալոյա.  
Տալոնց կու

გავოცე ბულვარ ძალიან  
ქვეყანა როგორ აშენდა,  
რამ მისცა შუქი უქრობი  
ვარსკვლავებს მოკაშკაშეთა!  
ასე რამ გაასურნელა  
ია, ვარდი და სისანი,  
არვინ და არრა დატოვა  
შვენებით შეუმოსავი!  
გაჩარხულია ყოველი,  
ყალიბში გამოყვანილი,  
ყველაფერს თავის ეშხი აქვს,  
თავის შნო თავის მარილი.  
შეც ამ რიგსა და წესზე ვარ.  
გულში არ მიღებს ღალატი.  
მე ბევრი არა მინდა რა, —  
ვარდით ავიგსო კალათი;  
ბროლის კოშკისკენ წავიდე  
მე ცისარტყელის ბილიკით,  
პირაქეთ ია ეთესოს,  
ვარდი ყვაოდეს პირიქით;  
გაიღოს კოშკის კარები,  
ჩემი პირიმზე ვიხილო,  
ლაუვარდის კაბით შევმოსო,  
ლილად დავუბა ღილილო.  
და მისმა სუთთა ღიმილმა  
თუ გული დამიხალასა,  
როგორც ფუტკარი ნექტარსა,  
მოვკრეფ მშვინების რალისა.

## შ ვ ი ღ ი

მოგზაობა

მეორე დღეა ალი ნავსადგურში ღუზაშე მდგარ გემს თვალს არ აშორებს. ყოველ ყუთს, ყოველ ტყვიამფრქვევს, ყოველ ზარბაზანს იხსომებს, ან სხვებისათვის შეუმჩნევლად იწერს. გემი კა იტვირთება და იტვირთება, თითქოს უფსკრული იყოს, ავსებას საშველი არ დაადგა. როგორ იტვეს ამდენ იარალსა და სურსათ-სანოვაგეს?

ალის ხელთ გრძელტარიანი ცოცხი და ნაგვის ასალები ნიჩაბი უჭირავს, თავის მოვალეობას გულმოღვინედ ასრულებს. ეჭვს ვინ აიღებს? ან რად უნდა აიღონ ეჭვი? ვის რაში მოეპრიანება უნდობლობა გამოიჩინოს ხანდაზმული ალისადმი, რომელიც დაღლილობისებან ხშირად ცოცხის ტარს ეყრდნობა, ან ჩრდილს შეაფარებს თავს და ზანმოკლედ წაიმუხლებს.

აი, რა არის პარტიული მოვალეობა... დაზგა მიატოვებინეს. ისეთი ხელი ჰქონდა, ლითონს სანთელივით ძერწავდა. პარტიულ კომიტეტში უთხრეს, — ნავსადგურში გვჭირდებით, ისიც უსიტყვილ დამორჩილდა, მეორე წელია აქ არის, მტრის თვალის ასახვევად. ისე დადის, თითქოს წელს ძლივს დაათრევს, თითქოს ფეხები ალარ ემორჩილება, წვერი მოუშვა, რომ მოხუცის ვაძმეტყველება ჰქონდა.

ნავსადგურში ბევრი რამ ხდება მნიშვნელოვანი. თურქები და გერმანელე-

ბი გაიქცნენ, ახლა ინგლისელები გაბატონდნენ... წყეულები, არაფერს იშურებენ, მხოლოდ კი თეთრებს ზურგი გაუმაგრონ. დენიკინი წაიქცევა, ვრანგელს წამოაყენებენ, ვრანგელი თჯდაეცა, რომელიმე ახალ ქავს გამოსებნიან, მაგრამ ვინ იცის, იქნებ ყველაფერი ოხრად დარჩეთ. კომიტეტში უთხრეს, ჩქარა დადგება ის დღე, როცა არალეგალურ მდგომარეობას თავს დავალწევთ და წითელი ღროშებით თავისუფლად გავივლით ჩვენი ქალაქის ქუჩებშიო. ოლონდაც! ალის სწამს, სჯერა... იცის, რომ გადამწყვეტი დღე ახლოვდება, ქალაქსა და სოფლებში წითელი რაზმებია შექმნილი, იარალი საკმარისად აქვთ, ტრაპიზონის მხრიდან ჯარების გამოყვანის დროს ჩაიგდეს ხელთ. ოლონდ ხალხმა გაიხაროს, ოლონდ საქართველო გათავისუფლდეს, ოლონდ ბათუმიდან წყეული ინგლისელები გარეკონ, თავს როგორ დაიშურებენ...

ირესტრის მარშმა ფიქრებში წასული ალი გამოაფხიზდა.

ნავსადგურის ალაყაფის კარები ხმაურით გაიღო.

მჭიდრო მწერივით, მტკიცე, შეწყობილი ნაბიჯით ბაქანზე ოფიცერთა კოლონა გამოჩნდა.

კოლონა გემის გასწვრივ მთელ სიგრძეზე გაიჭიმა.

ალი კუთხეში მიიმალა და დაიწყო მწკრივების დათვლა.

ცოტა ხნის შემდეგ ალაპაფში ეტ-ლები შემოიჭრნენ. წინ ინგლისელი და რუსი ოფიცირები ისხდნენ, შემდეგ ქალაქის თვითმმართველობა, მათ უკან ემიგრაციაში მყოფი მდიდრულად ჩატანული რუსი ქალები და მამაკაცები. ბაქანი გამცირებლებით აიღო.

— მთელი ქალაქი ამ წყეულებით არის სავსე, ქალაქი უზნეობისა და ლოთობის ბუდედ აქციეს, როდის წაეთრევიან, როდის მოელებათ ბოლო? — ალი მათ ზიზლით უცემდა.

ერთ სათხე მეტს გაგრძელდა გამოიხოვების ცერემონია.

ორკესტრის გრიალში ოფიცერთა ჯოლონამ გემზე ასვლა დაიწყო.

მზე საქმაოდ იყო გადახრილი, მესამედ გაისმა გემს საყვირი, ძრავები მძლავრად აგუგუნდნენ.

კიბე აჭკეცეს. გემი ნელნელა, შეუმწევლად მოსცილდა ბაქანს.

გემბანილან, ხელებს იქნევდნენ, ახვირსახოცებს აფრიალებდნენ...

მოულოდნელად ალი უცნაურად შეკრთა, აღგილზევე გაშეშდა, მთელ სხეულში ურუანტელმა დაუარა, მუხლები ეკვეთებოდა, თვალს კი გემს არ აშორებდა. იქ, მაღლა, მოაგირზე გადმომდგარი ოფიცირების უკან შენიშნა ნაცნობი სახე. როგორ ძალიან ჰგავს ნურის? მეზღვაურის ქული ახურავს, მეზღლვაურის მაისურა აცისა, ჰგავს, მაგრამ ის არ არის, საიდან იქნება? ნური მატროსი არასდროს ყოფილა, „მეთევზეთა კომპანიაში“ მუშაობს ათის-თავად, ეს გემი კი თეთრებისაა, რუსეთში მიღის, ვრანგელისათვის იარაღი მიაქვს. ჩემი შვილი წითლების წინააღმდეგ ხელს არ აღმართავს.

ეჭვებით შეპყრობილი ალი უკანასკნელ ძალონებს იკრებს, ხალხს მიარღვევს და გემისაკენ მიისწრაფვის.

გემი უკვე ნაპირს დაშორდა.

ის ოფიცერი რომ არ ფარავდეს?..

თითქოს ოფიცირებმა ალის სურვილი იღუმლად გამოიცნეს, აღგილი მონაცევლეს. იმავე წუთს ალის მკერდან თავშეუკავებლად აღმოხდა: „შოლო, ნური!“ გემისაკენ უმწეოდ გაწვდილი ხელები ჰაერშივე გაუშეშდა.

არა, ვერ შესძლო კარგად დაკვირვებოდა, ნური თუ ნურის მსგავსი ჭაბუკი ნალვლიანად გასცემოდა ქალაქს, ეტყობოდა, უძნელდებოდა განშორება. როცა ოფიცირებმა აღგილი მოინაცელეს, ჭაბუკი უმაღვე შეტრიალდა და გემბანის სიღრმეში გაუჩინარდა. ალი დარჩა ეჭვებით შეპყრობილი.

„იყო თუ, არ იყო?“ ვინ იცის მერამდენეჯერ ეკითხებოდა თავის თაქს; მაგრამ გადაწყვეტილ პასუხს ვერსაღ პოულობდა. „ჰგავდა, ძალიან ჰგავდა მაგრამ მხოლოდ ჰგავდა და ეს იყო. იქ ნური საიდან მოხვდებოდა? შეუძლებელია, შეუძლებელია“ — ინუგეშებდა თავს.

ალის არც შეუნიშნავს, რა უცბად გავიდა ღრო. ბაქანი დაცარიელებულობო. ხალხი გაკრეფილიყო, ნავსაღვურიში მხოლოდ შაშხანიანი გუშაგება დაეხეტებოდნენ. გემი კი, გემი — უკვე შორს იყო. დაპატარავდა, დაილი და ბოლოს ჰორიზონტს მიეფარა.

ბაქანი პაპიროსის ნამწვით, ქალალის ნაგლვჭებით, დაჩქმეტილი ყვაფელებით იყო აჭრელებული, მაგრამ ალის ამისათვის ყურადღება არ მიუქცივია, საგონებელს მიცემული, თავდებრილი, სწრაფი ნაბიჭით გავიღ ალაყაფილან. ჩეარობდა პარტიულ კომიტეტში მისვლას, რომ მათთვის ცნობები გადაეცა, შემდეგ კი შვილი მოქებდნა.

— ამხანაგო ალექსანდრე, დაღრუბული რატომ ხართ? — ჰკითხეს კომიტეტში.

ალიმ თავი ასწია, ირგვლივ მყოფთ  
ლიმილით გადახედა. მისი თვალებიდან  
ერთსაღამიავე დროს სუვდაც გამოსჭ-  
ვიოდა და სიმტკიცეც.

— დავიდალე. ორი დღე-ღამეა იმ  
წყეულ გემს არ მოვშორებივარ. —  
აუხსნა მათ. გულის წუხილი კი არავის  
გაუმჯობა.

კომიტეტიდან გამოსულმა „მეთევ-  
ზეთა კომპანიაში“ შეიარა, გამგეობაში  
ეჭვი რომ არ აეღოთ, შვილის ამბავი  
ნაცნობებში იყითხა. ხუთი დღე იქნე-  
ბა, რაც ჩვენგან წავიდაო, უთხრეს  
ნურის ამხანაგებმა.

ალი დარეტიანებული გამობრუნდა,  
სანაპიროს პირველ სკამზევე ჩამოჭ-  
და, გული ცუდს უგრძნობდა, ეჭვი  
უფრო და უფრო იფანტებოდა, აშერა  
ხდებოდა, რომ ის, გემბანზე მყოფი,  
ნური იყო და სხვა არავინ.

— შვილო, ჩემო ერთადერთო ქო-  
ჩირა ბიჭო, მთელ იმედს შენზე ვამ-  
ყარებდი, შენ კი რა მიყავ... დედაშენს  
რაღა ვუთხრა, უბედური მაშინვე შე-  
იშლება... ხალხი? ხალხს რა პირით  
ვეჩვენო.

ალიმ თავი დახარა და მწარე ფიქ-  
რებს მიეცა.

ვიღაც გვერდით ჩამოჭდა, თანაგრძ-  
ნობით მხარზე ხელი დაადო, მწუხარე-  
ბის მიზეზი ჰყითხა.

ალი გამოერკვა, უმალ წამოდგა;  
ლასლასით სანაპიროს გზას დაადგა.

უკვე დაღამდა, ქუჩებში ფარნები  
აანთეს.

„სახელსა და ღიდებას მოწყურებუ-  
ლი ახალგაზრდა ხშირად ანგარიშს არ  
უწევს თავის მოქმედებას, ჭარბი ძალ-  
ონე ასულდიდებს, წინ მიისწრავებს,  
იმას კი არ დაგიდევს, რომ უფსკრუ-  
ლისაკენ მიექანება. ოი, შე ბრიყვო,  
ერთხელ მაინც რატომ არ დაგდა,  
გულში ასეთი საშინელი რაშ თუ გე-  
დო“ — სანაპიროს მოაჭირზე დაყ-

რდნობილი ალი ნერვულად იშიწკნი-  
და ულვაშებს, იწეწდა წვერს, მუშტს  
მკერდში გამწარებით ირტყამდა.

ჰორიზონტზე ამოცურებულმა სავსე  
მთვარემ ვერცხლისფრად აალაპლაპა  
მიწყნარებული ზღვა.

რამდენიმე საათის უკან წყეულმა  
გემმა რუსეთისაკენ ამ ზღვით გასცუ-  
რა და ალის ერთადერთი სიხარულიც  
თან გაიტაცა. რა სასწაული იქნება, აი, იმ  
მშვიდ ზვირთებში გამოჩნდეს უკან  
დაბრუნებული ნური, მაშინ ალი ცეკ-  
ლაფერს აპატიებს, აპატიებს ჭაბუკურ-  
თავექარიანობას, თვითონ კი, ოჟ, ცას  
მაწვდება, ათიოდე წლით მაინც გაა-  
ხალგაზრდავდება. განა ვერ შესძლებს  
ნაპირს მიაღწიოს? როგორ აჩა, ცურ-  
ვაში ბადალი არ ჰყავს. გასულ წელს  
სათევზო ქარჭაპა რომ დაელუპათ,  
შეა ზღვიდან ჭოჭოხეთურ ლელვაში  
გამოსცურა და ორი ამხანაგიც გადა-  
არჩინა. ოლონდ მოისურვოს და დღვ  
და ღამ შეუსვენებლად იცურებს...  
მაგრამ ალი ვითომ ასეთი ბედნიერი  
იქნება? კომიტეტში უთხრეს, შენი ვა-  
უ კარგი ვაჟკაცი ჩანს, წითელ რაზმში  
გვინდა ჩავრიცხოთ, ახლა? ახლა რა-  
ღას ეტყვიან? იქნებ ალისაც უნდობ-  
ლად მოეპყრონ. მათ ხომ ცელაფერი  
იციან, დას, ცელაფერი. ერთი შვი-  
ლი გყავდა. და ისიც ხალხის მტრად გა-  
გიზრდიაო, თვალებში მიაფურთხე-  
ბენ. სირცეებილი სიკვდილის ტოლია,  
დღეიდან ალი...

მამის გულს არ უნდოდა შეპჭებო-  
და მტანჯველ აზრს, ცდილობდა თავი  
დაერწია შემაშფოთებელი ფიქრებისა-  
თვის, იმედი მთლიანად ჭერ კიდევ არ  
იყო ჩამქრალი. ხომ შეიძლება ნური  
ახლა დედასთან იყოს და ახალ ამბებს  
უყვებოდეს, ალი კი აქ მუშტს გიუუ-  
რად მოაჭირს ურტყამს, თითქოს ამით  
გულს იოხებდეს.

სახლში მისულმა ალის მეულლემ და-

სამშვიდებელი ვერაფერი უთხრა: „ორი დღის წინ გამომეტხოვა, გურიაში სტუმრად მოყვები ამხანაგს, შეიძლება დამაგვიანდეს, არ შეშინდეო, მამასაც ასე უთხარიო, დამაბარა“.

ალიმ ღრმად ამოიხენეშა, მეულლეს თვალი მოარიდა, სკამზე მოკვეთით და-ეშვა. ვერ ისვენებდა, უმიზნოდ ირგვლივ რალაცას დაექებდა.

დედა გუმანით მიხვდა, რომ შვილს კარგი არა სჭირდა რა.

— აღარ მეტყვი რა უბედურება დაგვატყდა? — ფერშეცვლილი ქალი წინ დაუდგა ქმარს.

— აბა, რა ვრცი, დედაკაცო, სამსახურისათვის თავი მიუნებებია, მეტი რა უნდა მომხდარიყო, უბედურებად შომ ესეც კმარა. ცხოვრება ისედაც გაძვირდა, ოჯახს შენახვა არ უნდა? — უცბადვე მოიფიქრა პასუხი.

— მე ქე მომქადი, და. ვიფიქრე, ბიჭი რაცხა ფათერაკს გადაეკიდა-მეთქი. — დედამ ოღნავი შვებით ამოისუნთქა.

ალი გამოკეტილ ითახში ვერ ისვენებდა, სული ეხუთებოდა, ჰაერი არ ყოფნილა, სადღაც გაჭრა, ხეტიალი ერჩია.

გაფიქრების უმალ კარებს ეცა. ქუჩის სიბნელეს მისცა თავი.

დილით ნავსაღვურში დიდი თუ პატარა საშინელ რაჭიოგრამაზე ლაპარაკობდა:

რუსეთისაკენ მიმავალი გემი განთიადისას აფეთქებულიყო, დაწვრილებით არავინ იცოდა აფეთქების შედეგი. დეპეშაში ნაჩვენები, იყო მხოლოდ სიგრძედი და განედი. დასახმარებლად შეაშინე სწრაფმავალი კატერები გაუგზავნათ.

— შვილო! — ეს იყო ერთადერთი სიტყვა, რომელიც ალის ბაგეთაგან დაცდა. ახლა მას თვალწინ ედგა არა მტრების დასახმარებლად წასული ნუ-

რი, არამედ ერთადერთი შვილი, მშობელთა იმედი და სიხარული.

ალიმ იცოდა, რომ გემი ნოვოროსისაკენ სოხუმზე გავლით მიემართებოდა, ესე იგი ნაპირისაგან არც ისე შორს იქნებოდა, გზას თუ გააგნებდა, შეიძლებოდა გაღწევა, ან მშველელის მისალამდე ადგილზე დარჩენა, მაგრამ აფეთქების ახლოს თუ მოხვდა... — აქ უკვე წყდებოდა ალის ფიქრი, მას აღარ უნდოდა შვილის საშინელი ხვედრი წარმოედგინა.

„ოღონდ ცოცხალი გადარჩეს, ოღონდ უკან დამიბრუნდეს...“ — ბუტბუტებდა თავისთვის, უჩინარ, არარსებულ ძალას შველას სთხოვდა.

მღელვარებაში გაატარა მთელი დღე. ნავსაღვურილან ფეხიც არ მოუცვლა.

საღამოს დაბრუნდნენ დასახმარებლად წასული კატერები.

გამხარი, განაწამები, სახუშეშლილი რამდენიმე ათეული კაცი ბაქანზე გადმოიყვანეს.

მათ შორის არ იყო ის, ვისაც ალი მოელოდა.

ჯგუფთან ახლოს მივიდა, მიაყურადა.

— ეს იყო თავზარდამცემი, ჯოჯოხეთური რამ. — ყვებოდა ვილაც. — გამაყრუებელმა აფეთქებამ გემი ნაფოტივით შეათამაშა. აფეთქება ყუმბარის განყოფილებაში მოხდა. ატყდა განგაში. ოფიცრების უმრავლესობა მთვრალი იყო, საფრთხემ ყველა გამოატანილა. გემი უკვე იძირებოდა. ეს განთიადისას მოხდა; ირგვლივ ჯერ კიდევ წყდილი სუფევდა, საშინელი უთავგბოლობა ყველგან გამეფდა, სიცოცხლის ინსტინქტი აღამიანებში ველურ დაუნდობლობამდე აღწევდა. რეზინის მაშველი რგოლებისათვის იარალით ხოცავდნენ ერთმანეთს. ნავები ზღვაში აჩქარებით ჩაჰყარეს. სანამ გემი მოჩანდა, რალაც იმედი კიდევ არა

სებობდა, გემი გაჰქრა, ირგვლივ კი უნაპირო, დაუნდობელი ზღვა იყო გადაშლილი. ვინ კასრს ჩასჭიდებოდა, ვინ ფიცარს. გულის გამაწყალებლად თავს ზღვის ფრინველები დაგვფარფატებდნენ. ვის შეეძლო ულმობელ სტიაქიასთან ორთაბრძოლაში გამკლავება. რაც დრო გადიოდა, ზღვის ზედაპირზე მოტყეტივე აღამიანთა რაოდენობა მცირდებოდა და მცირდებოდა. ღმერთო ჩემო, რას არ ნახავს აღამიანი, ყველაფერი დაიღუპა, ყველაფერი...

ალის მეტადის / სილრმეში რაღაც ჩაწყდა, თვალთ დაუბნელდა, დაბარბადდა, ცოცხის ტარს დაეყრდნო.

„ჩემი შვილი!“ აღმოხდა ალის.

შესძლებს გაუძლოს ამ მწუხარებას? ან ცოლს როგორ გაუმხილოს? ან ხალხს რა პასუხი გასცეს, როცა ჰქითხავენ ნურის უკვალოდ გაქრობის მიზეზს?

უკანასკნელმა დღეებმა ალი საგრძნობლად გამოსცალა, ავადმყოფური ჩაფიქრება დასჩემდა, გულჩათხრობილი გახდა, თუმცა ცდილობდა მწუხარება გარეგნულად არ დამჩნეოდა, მაგრამ უძნელდებოდა, ვინც დაუკვირდებოდა, მისვლებოდა, რომ გულში ვარამი ჰქონდა ჩაგუბებული.

შესამე დღეს გააფრთხილეს, რომ პარტიულ კომიტეტში იბარებდნენ.

ალის ცუდად ენიშნა.

„გაიგეს? გაიგებდნენ!“ — ქუდი ჩამითქატა და გზას გაუდგა.

მორიგე მცველი ალაყაფთან მიეგება, გულთბილად მიესალმა, სარდაფში ჩაიყვანა და ფარული კარი აჩვენა.

— გვირაბს გაჰყევი, ბოლო დარბაზში არიან.

ალისათვის ნაცნობი იყო ეს გზა, ზრავლება არც სჭირდებოდა, მხოლოდ

იქ, ბოლო დარბაზში რა მოხდება, რას ეტყვიან, მისთვის ახლა ეს იყო მთავარი.

შუა გვირაბში ძალონე გამოელია. აღარ შეეძლო ნაბიჯის გადადგმა, მისუსტებული კედელს მიეყრდნო. დარბაზიდან ნაცნობის, ყველაზე მახლობელი ადამიანის ხმა გარკვევით ისმოდა.

— დიდებული და შემზარავი სანახავი იყო, — დაწყებულ ამბავს აგრძელებდა ის ხმა. — გემი უკვე ტორტმანებდა, ნელნელა იძირებოდა. გემბაზე განწირულთა ღრიალი და ბობოქრობა გაისმოდა. ერთმანეთს აწყდებოდნენ, ხოცავდნენ. მე და პეტას დრო არ დაგვიკარგავს, რგოლებით წყალში გადავეშვით, წყვდიადის საფარქვეული გეზი ნაბირისაკენ ავიღეთ. ათი საათი მიუცურავდით, ძალიან გაგვიჭირდა, შიმშილი, დაქანცულობა, ბოლოს, როგორც იქნა, შევნიშნეთ მეთევზეთა ნავები. მათ შეგვიფარეს. ენგურის შესართავში მიგვიყვანეს. რაკი ფეხი მიწაზე დავადგით, შემდეგ აღარაფრის შიში გვქონდა.

— თავდადებისათვის პარტიის სახელით მაღლობას გიხდით. — გაისმა სხვა ხმა. — ახლა აი რა, ამეღმვე გურიაში გადახვალთ, იქ ჩერენს ამხანაგებს შეეფარებით, ცოტა ხნით მოერიდეთ ქოფაკებს. როცა საჭირონი იქნებით, თვითონ გამოგიწვევთ.

რამდენიმე წუთი საქმარისი გახდა ალის ძალონე დაბრუნებოდა, უკვე თვითონ რცხვენოდა თავისი ეპვისა: სადღა იყო სისუსტე, შიში, დაბნეულობა, სიხარულის ცრემლებით აციმურიმებული თვალები ამოიწმინდა. წელში გაიმართა და შვილთან შესახვედრად გაეშურა.

## ორი ნაცნობი

ბალადა

შენ, ჰეი, ცივო გერგეტო,  
შორით რომ ჩანხარ მღუმარი,  
რამ გაგაყუჩა, ვიცოდე,  
ხომ არ ხარ დანამღურავი...  
ანდა შენ, თერგო მრისხანევ,  
მუდამდღე აჭანყებულო,  
ქარაფის გულის ფიცარზე  
ვეფხვივით დაჭახებულო,  
ვინ შეგიკერა არტახი  
გაუშრობელი ლოდების,  
წყალი ხარ, ურუოლაც ყოფილხარ,  
გულზე სიცოცხლის მომდები.  
ვიცოდე, რალა გაბორგებს,  
გაქრა მწუხარი და ავდარი,  
ერთი შედექ და მითხარი,  
ნეტავ ის მგზავრი სად არი —  
ეს მთა რომ ჩამოიარა  
ერთი მოხევის ცხენითა,  
ხედებოდნენ მთანი მაღალნი  
შშობლიურ გულით ცხელითა,  
ხედებოდა დედა-სამშობლო, —  
შვილთან შეხვედრა ტქბილია.  
ძილშიაც რომ არ სძინავდა,  
ნეტავ სად არის ოლია.

\* \* \*

გამოჩნდა ორი მხედარი,  
ორივე ძველი ნაცნობი.  
ტანსაცმელზედაც ეტყობათ  
ნიშანი ქართველ კაცობის.

მზე მაღლა შემართულიყო  
ნისლების გადამლეწავი.  
ბრძენი მგოსანი ამბობდა:  
— გამჭრალა მწუხერის ზეწარი-  
სამშობლოს გული დაჭრილი  
სინათლეს განუკურნია.  
აყვავებულა ქვეყანა,  
ერთი შეხედე, ღუნიავ.  
ცხოვრება გათენებულა  
ცასტრის ნამგადანაყარი.  
ნეტავი კაკო მაჩვენა —  
გლეხკაცი ნაყაჩარი.  
აქ ვაზი უშენებიათ,  
იქით — ჩაი და ხეხილი-  
აქ მოსახლობდა გიორგი,  
ჭაბუკი გულგატეხილი.  
ღელა სადა ყავს ნეტავი  
შოწყალე და გამკითხავი?  
და ლულთ ღუნიას შეხედა —  
რად მოწყენილხარ, მითხარი.  
— ფიქრმა წამილო, მგოსანო....  
მოწყენა რა სათქმელია.  
იმ პირველ შეხვედრიდამა  
გულს მოგონება შთენია,  
ჩახსოვს წარსული ცხოვრება  
შებორკილი ხარ ნასეტყვი.  
მახსოვს, რომ მითხარ ნუგეში,  
გულს მომიფონე დასევდილს:  
„...მიგიხვდი, ჩემო მოხევევ,  
რა ნესტარით ხარ ნაჩხვლეტი“.

## სადამი ზეიმს

ვაშა და ტაში  
ბობოქარ ხმაში  
გადაზრდილა და  
წვდება ლაუვარდებს!..  
ჩვენ ეს თარიღი  
ზროშებით მოგვაქვს  
გარიყრაუიღან  
გარიყრაუამდე.  
ნოემბრის შვიდი  
ძშრომელთა ღიღი  
და სანუკვარი  
თარიღი არი.  
ძმობის ქვეყანა  
მზისაკენ მიღის,  
ბედნიერების  
ღიაა კარი.

თუ შეეცდება  
მტერი ცბიერი,  
ძმობას აუბას  
ერეჟნად თვალები,  
აღსლგება ხალხი!  
გმირულ ბრძოლებში  
ნაომარი და  
ნაგრიგალევი.  
აღსლგება ხალხი!  
ჯაულლელია  
მათი გული და  
მათი მარჯვენა,  
აღიმართება  
ტკლავი მედგარი  
მშვიდობის დროშის  
განასარჩენად.

## დამაღური საჩუქარი

### 1. მხატვრის ფანტაზია

ფუნჯი შეიჩხა  
ინდოელი მხატვარის ხელში,  
შემოქმედების ნაპერწკალი  
აენთო ალად.  
ტილოს აგსებდა ათასგვარი  
ფერით და ეშით  
ზეშთაგონების უხილავი,  
მჩქეფარე ძალა.  
ტილოს დააჩნდა ლაუვარდები,  
მწვანე ბორცვები,  
თეთრი ალვები,  
წარმტაცად რომ გადარწეულან.  
სათნო მხატვარი  
საქართველოს ნახვის ოცნებით  
ფერთა ზვირთებში  
არაერთხელ გატაცებულა.

აღსრულდა კიდეც...  
 საქართველო დახატა ისე,  
 როგორც სმენია,  
 ედემის ბალს როგორც ხატავენ.  
 მან ერთ ტილოზე მოათავსა  
 ზღვა — სიფაქიზე,  
 ანდამატური წარმტაცობა  
 და სისადავე.

## 2. სტუმრად საქართველოში

ნახვის სურვილმა შეამოკლა  
 მანძილი შორი  
 ცისფერი ზღვა და აისები  
 სულით ანაზებს.  
 — სხვა სილალე და სინარნარე  
 ჭორია, ჭორი,  
 რადგან არსებობს საქართველო  
 და სილამაზე. —

თქვა და დახედა...  
 გზის ქვეყანა როცა იხილა  
 დახედა სურათს...  
 და ფერები შუქმა დაფანტა.  
 არ მოეწონა,  
 შეინახა და გაიღიმა  
 თქვა:  
 საქართველოს ვინ დახატაგა!

## ნარკვევის გმირი

მოთხოვბა

სარედაქციო თათბირის შემდეგ რედაქტორმა მთხოვა შემეცადა. კაბინეტში ჩვენ ორნი დავრჩით. რედაქტორი ერთხანს კიდევ ღასცეროდა მაგიდაზე გადაშლილ გაზეთს, რომლის მესამე ჯვერდას ზედა სამი სვეტი წითელი ფანჯრის ზოლებით და კითხვის ნიშნებით იყო აჭრელებული, ბოლოს თავი ასწია და მითხრა:

— ამხანაგებნა მართალი არიან. ერთი შეხედვით, თქვენს რეპორტაჟში თითქოს ყველაფერი რიგზეა. ლამაზადაა დაწერილი, სტილი გამართულია... ჩვეულებისამებრ ასეთ მასალას გასწორება არც სჭირდება, მაგრამ გაზეთი მარტო საკითხავად არ იძებულება...

აქ რედაქტორი შეჩერდა. ვაცოდი, ახლა იგი წარმოთქვამდა მის საყვარელ ფრაზას. ჩემი ვარაუდი გამართდა. რედაქტორმა გაზეთი დაცეცა და თქვა:

— გაზეთში დაბეჭდილი თვითეული მასალა, სულ მცირე, რიგითი ინფორმაციაც კი, რაღაცით უნდა ეხმარებოდეს ან მას, ვისზეც წერთ, ან კიდევ წამქითხველს.

ამ სიტყვებში ახალი არაფერი იყო ჩემთვის, არც ამ ჭეშმარიტების საწინააღმდეგოდ მეთქმოდა რაიმე, მაგრამ წითელი ზოლების და რედაქტორისეული კითხვის ნიშნების ასეთი სიუხვე ჩემს წერილზე მაინც გადაჭარბებულად მიმაჩნდა. თუმცა რედაქტორი საერ-

თოდ ძუნწი გახლდათ შექებაზე. (ამაში ყველა რედაქტორი რამდენადმე ჩამოგავს ერთმანეთს).

რაღგან რედაქტორმა გაზეთი გადასლო და სტამბაში გასაგზავნი მასალების სწორებას შეუდგა, საუბარი დამთავრებულად ჩავთვალე და წამოვდექი. ის იყო კაბინეტიდან უნდა გამოვსულიყავი, რედაქტორმა დამაწია:

— შეარჩიეთ რომელიმე წამყვანი პროფესიის მუშა, კარგი ბიოგრაფიით, საღლესასწაულო ნომრისათვის ნარკვევი დაგვჭირდება.

რედაქტორს მუდამ პაპიროსი ჰქონდა პირში გაჩრილი და ამიტომ ძნელი გასარჩევი იყო, ბოლისაგან ჰქონდა ნახევრად მოხუჭული მარცხენა თვალი, თუ ჩვეულება ჰქონდა ასეთი. ყოველ შემთხვევაში, მისი გამოხედვის ასეთი მანერა, მე ახლა თითქოს მეუბნებოდა, ვნახოთ, ერთხელ კიდევ. მოვსინჯოთ, იქნებ რაიმე გამოგვიდესორა, თუ?.. — შევეკითხე.

— არაა საჭირო. შეარჩიეთ თქვენი მოსაზრებით. როდესაც ნარკვევი მზად გიქნებათ, შევხვდებით ერთმანეთს.

ჩემს ოთახში მხოლოდ იმისთვის შევედი, რომ ქუდი დამეხურა და რედაქტირიდან გავედი. ასეთ დროს ოთხ კედელ შუა ჭომას, ქუჩაში გავლა მერჩივნა. სუფთა ჰაერზე უფრო აღვილად

შევარჩევდი, ვისზე და როგორ დამეწერა ისეთი ნარკვევი, რომელიც რედაქტორსაც მოეწონებოდა და მკითხველსაც რაღაც სარგებლობას მოუტანდა.

სხვა დროს შეიძლება ბევრი არც მეფიქრა ამ დავალებაზე, ისეთ მუშას, ნარკვევისთვის რომ გამომადგებოდა, რა დიდი ძებნა უნდოდა! ყველა ქარხანაში მეგულებოდა ერთმანეთზე უკეთესები, მავრამ ახლა ჩემი მომავალი ნარკვევის გმირს მარტო მე კი არა, თითქოს რედაქტორის ნახევრადმოხუჭული თვალიც ეძებდა.

პარკისკენ მიმავალ ქუჩაზე შევუხვიე და ამ დროს ზედ ჩემ წინ ავტობუსი შეჩერდა.

— ჩვენსკენ ხომ არ მობრძანდებით?

კაბინიდან ცისფერმაისურიანი, გულშეკრდსა და მკლავებზე კუნთებგამობურცული ახალგაზრდა მომაჩერდა. მანქანათმშენებელი ქარხნის ავტობუსი და მისი შოთერი ჯემალი ვიცანი.

არა - მეთქი, მინდოდა მეთქვა, მაგრამ რაღაცამ შემაჩერა. იქნებ მართლაც იქითქენ მაქვს გზა? ჩემს მეხსიერებაში სწრაფად გაიქროლეს ქარხნის მოწინავე მუშათა პორტრეტებმა და... შოთა ნოზაძე! აქამდე როგორ არ მომაგონდა! მასზე უკეთესს ვის ვნახავ, აქ არჩევანიც კი ზედმეტია!

— სწორედ რომ თქვენსკენ ვაპირებდი, ჯემალ, კარგ დროს არ შემხვდი!

რამდენიმე წუთის შემდეგ ავტობუსი საქარხნო უბნისკენ მიმაქროლებდა.

შოთა ნოზაძეს კარგად ვიცნობდი, სახელოსნო სასწავლებელი დაამთავრა და მანქანათმშენებელ ქარხანაში დაიწყო მუშაობა. მალე ბრიგადირაც დაწინაურეს და მისი ასაკის კვალბაზე ცნობილ კაცად იყო მიჩნეული ქალაქში. გაზეთის ფურცლებზე ხშირად მოჩანდა მისი გვარი. ამ ბოლო

დროს შოთა ნოზაძის ბრიგადა საექსპორტო მანქანებს ამზადებდა. ვიცოდი, ვიეტნამიდან წერილიც მოვიდა ნოზაძის სახელზე, ხანოეს ჩაის ფაბრიკის მშენებლები მაღლობას ითვლევინებოდნენ კარგი მანქანებისთვის. მარტო ეს ლირდა ერთ ნარკვევად. არა, ნამდვილად ვერავის ვნახავ შოთა ნოზაძეზე უკეთესს! ბედზე არ შემხვდა ჯემალი!

სამმართველოში არც მივსულვარ, რადგან მალე შესეენება უნდა დამდგარიყო, ჯემალს მანქანა ზედ ამკრეფ საამქროსთან შევაჩერებინე.

ავტობუსში უკვე მოვითქმრე დაახლოებით როგორ უნდა დაწყებულიყო ჩემი ნარკვევი. „სრულიად უცნობი აღამიანიც რომ შევიდეს მანქანათმშენებელი ქარხნის ამკრეფ სამქროში, არც კი დაჭირდება იმის გაკითხვა, თუ ვინ არის აქ ყველაზე მოწინავე. საკმარისია თვალი შეავლო საწარმოო მაჩვენებლების დაფას და. მაშინვე...“ თუგის ნაჭერზე წავიკარ ფეხი, თუ მომეჩვენა, არ ვიცი, ეს კია, კინაღამ დავეცი. დაფაზე ცარცით ჩამოწერილი გრძელი სიის თავში სულ სხვა გვარი მოჩანდა. შოთას გვარი ვერც მეორე და მესამე აღგილზე აღმოვაჩინე. ჩავეცვი ქვემოთ და სადღაც ბოლოში, ასპარენტიანი მიჯნის ქვემოთ ამოვიკითხე „ნოზაძე 93%“. ეს ციფრი, ალბათ, თვითონ ქარხნის დირექტორზე არ იმოქმედებდა ასე, საგეგმო განყოფილებას კვარტლის ბოლოს რომ წარედგინა მისთვის მთელი საწარმოს მუშაობის მაჩვენებლად. ისე შევწუხდი, თითქოს რედაქტორისგან საგანგებო დავალება მქონდა მიღებული, ნარკვევი მხოლოდ და მხოლოდ შოთა ნოზაძეზე უნდა დაიწეროს.

გული იმით დაგიმედე, ალბათ, შოთას გუშინ რაღაც მიზეზით მთელი

დღე არ უმუშავია-მეთქი, სანამ ლვა-  
თონ მას ვნახავდი, კანტორაში შევიარე.

კირით შეფეთქილ პატარა ოთახში  
მნორმირებელი ნორა უჯდა მაგიდას  
და რალაცას ანგარიშმბდა. ამ თით-  
ქმის ბავშვის დანახვა ყოველთვის  
გაკვირვებას იწვევდა ჩემში, იძლენი  
შეუსაბამობა იყო მის ლაუვარდოვან,  
მეოცნებე თვალებსა და სამქროს გა-  
მაყრუებელ გრუხნს შორის. პირვე-  
ლად რომ ვყოფილიყავი აქ, აღბაზ,  
სკოლადან კესკურსიაზე მოსულ მოს-  
წავლედ მივიღებდი მას.

ჩემს დანახვაზე, ისე როგორც ყველა  
მასზე უფროსთან შეხვედრისას, ნორა  
ოდნავ წამოწითლდა და მოსწავლესა-  
ვით ფეხზე წამოდგა.

— ნორა, გამარჯობა!

— გამარჯობათ!

— როგორ მუშაობთ, ნორა, კარგახა-  
ნია თქვენთან არ ვყოფილვარ.

— როგორც ყოველთვის, ქარხანაში  
ისევ პირველი ვართ.

მიჩვეული იყო; რომ მასთან გეგმის  
შესრულების მაჩვენებლებისათვის მივ-  
დიოდი, მაშინვე უჯრა გამოაღო და  
მართლწერას მიჩვეული ხელით სა-  
ზულდაგულოდ გადათეთრებული ფურ-  
ცლები დამიდო წინ.

მაგრამ ახლა მე სულ სხვა რაიმე მა-  
ინტერესებდა.

— ერთი ეს მითხარი, ნორა, შოთა  
ნოზაძე გუშინ მთელი დღე მუშაობდა?

შეკრთომა შევამჩნიე, თითქოს ლო-  
შებიც შეუფაქლდა.

— დიახ, მთელი დღე... — მიპასუხა  
და წატომდაც თვალი ამარიდა. ასეთმა-  
პასუხმა იმდენად გამაკვირვა; რომ ნო-  
რას შეკრთომას ყურადღებაც არ მი-  
ჰაქციო.

— მერე ეგ რა? — ფანჯრიდან მაჩ-  
ვენებლების დაფისაკენ მივუთითე, —  
ხომ არაფერი შეგეშალათ?

— არა, იქ ყველაფერი რიგზეა.

— მერედა ეს როგორ მოხდა? შოთა  
ნოზაძე და...

— ხდება ხოლმე.

ახლა კი ნამდვილად გამიკვირდა.

— აბა ერთი სხვა დღეების მაჩვენებ-  
ლები მიჩვენე.

ნორამ წინ უურნალი დამიდო. ვო-  
უთქნებად გადავშალე. ვფურცლავ და  
შოთა ნოზაძის გვარის გასწრებივ ვე-  
დავ ციფრებს — „98, 83, 95...“ ეს რა  
ამბავია? ნორას მივაჩერდი.

— ხომ არ ავალმყოფობს?

— არა მგონია.

— მაშ რა მოხდა, ამ ორ თვეში რამ  
გამოცვალა ასე?

ნორამ მხრები აიჩეჩა და კვლავ ქა-  
ლალლებს ჩაუჯდა. ისეთი გულმოდგინე-  
ბით შეუდგა მუშაობას, რომ შევატყუე  
ამ თემაზე საუბარი მაინცადამაინც არ  
სიამოვნებდა, და გარეთ გავედი.

ხასიათი წამიხდა. რა ხალისითა და  
იმედით მოვდიოდი შოთა ნოზაძესთან  
შესახვედრად! ახლა კი სანახევროდ  
დაწერილი ნარკევი, რომ იტყვიან,  
ხელიდან მითორინდებოდა. მართალია,  
მე ახლავე, აქედან შემეძლო გამომე-  
ძნა სხვა ვინმე, ამოდენა ქარხანაში  
უკათესზე უკეთეს რა დალევდა, მაგ-  
რომ ახლა უკვე ჩემში უურნალისტის შე-  
ლახული თავმოყვარეობა ალაპარაკდა.  
ვინ იცის რამდენჯერ მიქია შოთა ნოზაძე  
ინფორმაციებსა და ნარკევებში. ესე  
იგი, გამოდის, რომ მე ვცდებოდი და  
სხვაც შემყავდა შეცდომაში. ამის შემ-  
დეგ კიდევ ნოზაძეზე ფიქრი შეიძლებო-  
და? მით უმეტეს, როცა რედაქტორი  
რაღაც განსაკუთრებულს ელოდა ჩემ-  
გან. მაგრამ გული არ მერჩოდა შოთას  
უნახავად წავსულიყავ აქელან.

სამქროს სიღრმისაკენ გავემართე,  
სადაც ნოზაძეს ბრიგადა მეგულებო-  
და. ორსართულიანი სახლისოდენა  
ჩაის საჭირობი აგრეგატები ზღაპრული

ურჩხულებივით აღმართულიყვნენ და თავიანთი ხორთუმები მინის ჭერი-სთვის მიებჯინათ. ზეინჯალია ბრიგა-დები ყოველი მხრიდან შესეოდნენ მათ. რკინაზე დარტყმული უროს ხმას საამჭროს კუელა კუთხიდან მოვარდ-ნილი ეხოს გუგუნი ურთდებოდა და ეს ხმები ყურთასმენას ახშობდა. აგ-რეგატის კედელზე მიმჯდარ შემდუღე-ბელს პირსახეზე ნიღაბი აეფარებინა და ცისფერ-წითელი ცეცხლის ენით ალლობდა რკინას.

— ამხანაგ კორესპონდენტს გაუ-მარჯოს! — შემომესმა საიდანლაც. მი-ვიხედ-მოვიხედე, შაგრამ ვინ მეძახდა, ვერ გავარჩიი. შემდუღებელმა ნიღაბი მოიძრო და შოთას ახლო მეგობარი, მუდამ მხიარული და დაუდეგარი ამი-რან გორგაძე შემრჩა ხელში.

— ამირანს გაუმარჯოს!

— რაზე შეწუხებულხართ?

— შოთას ვეძებ, ხომ არ იცი საღაა?

— აი იქაა, ბიჭებთან ერთად ჭაჭვს არგებს მანქანას, — ძლივს გამაგონა და აგრეგატის მეორე მხრისკენ გაიშ-ვირა ხელი.

ერთი-ორი ნაბიჯი გადავდგი იქით-კენ, მაგრამ შევჩერდი, ჭიქურ ხომ არ მივადგებოდი კაცს! მოდი, ჭერ ამი-რანს გამოვკითხავ ყველაფერს, იმაზე უკეთ ვის ეცოდინება, რა დაემართა შოთას.

მობრუნებული რომ დამინახა, ალ-ბათ, მიმიხვდა, რომ მასთან მექონდა საქმე, ნიღაბი და ელექტროსაჭრისი გვერდზე გადადო და ქვემოთ ჩამო-ვიდა.

შედარებით მყუდრო აღგილზე გა-ვიყვანე და პირდაპირ დავუსვი კით-ხვა:

— შოთას ამბავმა ძალიან გამაკვირ-ვა. ახლო მეგობრები ხართ და შენზე უკეთ არავის ეცოდინება, რა მოუვი-და ამ კაცს.

ამირანმა, მიიხედ-მოიხედა, კიდევ უფრო ახლოს მოიწია ჩემთან და ზედ ყურში ჩამძახა:

— რამდენი ხანია შოთა არ გინა-ხავთ?

— აგრე თვეზე მეტი იქნება.

— მისმა მაჩვენებლებმა გაგაკვირ-ვათ, ალბათ.

თავი დავუქნიე.

— ჰოდა, თვითონ რომ ნახავთ, მა-საც ვერ იცნობთ, ისეა გამოცვლილი. ჩამოხმა ბიჭი, ჭამის მაღა დაკარგა და კუელაფრის ხალისი გაუქრა. ფრენ-ბურთში მაგის იმედით გავდიოდით და პირველი აღგილიც ჩვენი იყო ყო-ველთვის. ახლა მოედანს აღჭრ ეკარე-ბა, უმაგისობამ გასულ კვირას შეჯიბ-რება წაგვაგებინა. დღე ისე გავა, ორი სიტყვა არ წამოცდება.

— ავად ყოფილა, ექიმთან მიგე-ვანათ.

ამირანმა ხელი ჩაიქნია.

— ეგ ისეთი ავადმყოფობაა, ვერა-ვითარი ექიმი ვერ უშველის.

გუმბანით მივხვდი საითქენაც უხვევ-და.

— ხომ არავინ შეყვარებია?

— გულთმისანი ყოფილხართ.

— აბა ამას რა მკითხაობა უნდა, ჩემო ამირან, ვის არ გამოუცდია.

— მე არ გამომიცდია!.. — გულზე მუშტი დაიბაგუნა ამირანმა. უნებლი-ეთ გამელიმა, ისეთი სიამაყით წარმოთ-ქვა მან ეს. — ლმერთმა ნურც გამაც-დევინოს, თუ შოთასავით წამახდენს. მე გამიგონია, სიყვარული ძალას მა-ტებს, გულს უხალისებს კაცსო. რომე-ლი პოეტი და მწერალია ამაზე რომ არ დაეწეროს რაიმე. თქვენ ჩემზე უკეთ გეცოდინებათ. შოთას კი რა დაემართა? კაცი ისე წახდა და დაჩა-ჩანაკდა, ლამის ყველას თავი მოგვჭ-რას.

— ერთი ეგ მითხარი, ვინ შეუყვარდა ასე ძლიერ?

— არის ერთი... — გაურკვევლად წარმოთქვა. ეტყობოდა, სიტყვას ბანზე მიგდებდა, მაგრამ არც მე მოვეშვი.

— ვინაა ისეთი. ზღაპრული მზეთუნახავი ხომ არაა, ან რომელიმე უცხოური ფილმის კინოვარსკვლავი?

— ეჭ ნეტავი აგრე იყოს!

— მაშ ვინაა?

ამირანმაც შემატყო, რომ აღარ მოვეშვებოდი, ერთი იქითკენ გახედა საღაც შოთა ეგულებოდა და, თუმცა ამ გუგუნში თითქმის ყვირილით ვაგებინებდით ერთმანეთს, მაინც შეთქმულივით დაუდაბლა ხმას:

— კარგი, გეტყვით, მხოლოდ მას არაფერი შეამჩნევინოთ. ყოველ შემთხვევაში, ჩემგან არაფერი გაგიგიათ.

დავაიმედე, საიდუმლოს შევინახავმეთქი.

— შოთას შეყვარებული არც ცხრა მთას იქეთაა, არც ამერიკაში, აქაა, რამდენიმე ნაბიჯზე ჩემნგან. — მითხრა და ხელი სადღაც საამქროს სილრმისაკენ გაიშვირა.

ვერ მივხვდი, რისი თქმა სურდა.

— ვისზე მეუბნები?

— ჩემს ნორმირებელზე.

— ნორა?

— სწორედ ისა.

აა, ახლა მივხვდი რატომ შეუფაგლდა ლოყები და რისთვის ამარიდა თვალი ნორამ, როცა შოთაზე ჩამოვუგდელაბარაკი! მაშინ უბრალო ბავშვურ მორცხვობას მივაწერე ეს, აი თურმე რაში ყოფილა საქმე! ესე იგი შოთას ნორა უყვარს, მაგრამ ნორას? სიყვარული მაშინ ამხნევებს და ამაღლებს აღამიანს, როცა იგი ორმხრივია, მაგრამ აქ ვინ იცის?

— ხომ არ იწუნებს? — მეც იქითქვინ გავიშვირე ხელი, საითკენაც ამირანმა მიმითითა.

— ვინ იცის!

— როგორ?

— როგორ და, შოთას ნორასთვის ერთი სიტყვაც არ უთქვამს, გული არ გადაუშლია. მე გამანდო მხოლოდ, ისჯე საიდუმლოდ; სხვები გუმანით ატყობენ, ანდა ვინ ვერ შეატყობის, როცა კაცი ამ ერთ თვეში სულ მთლად წავიდა ხელიდან.

— მერე რატომ არაფერს ეტყვის, რა უშლის ხელს?

— ეშინია.

— ეშინია! რისი?

— ვათუ უარი მითხრასო. მაშინ რაღა ვენა, ხომ შევრცხვი, აქ აღარ მეღომებაო. ასე შორიდან ოხრავს და იწვის. მუშაობას გულს ვერ უდებს, ფიქრებში წასული, ხანდახან ისე გაშეშდება, მეშინა არაფერი მოუვიდეს. ჩემს საქმეში ოთხი თვალი და ოთხი ყური უნდა გქონდეს, ეს კი...

— მერე რატომ არაფერს ეუბნებით, უნენ, ამხანაგები...

— განა არ ვეუბნებით. რამდენჯერაც არ ჩამოვუგდებ სიტყვას, პირში წყალს დაიგუბებს, არც ჰოს ამბობს და არც არას... ვატყობ, ეშინია, ვათუ სიყვარულში გამოვუტყდე და უარი მითხრას! მერედა რა თვემოყვარეა!

— ხომ არ იცი, ნორა რას ფაქტობს?

— გოგო რაღაცას გრძნობს, ანდა როგორ ვერ იგრძნობს, ბიჭი მის თვალწინ ღნება, ნორას დანახვაზე თვალი უბნელდება, ფეხი ეშლება, ნორას ვერ შევუბედე, ერთ მის მეგობარ ქალიშვილს კი შევეკითხე. როგორც ჩანს, არც გოგო უნდა იყოს გულგრილად, მაგრამ თვითონ ხომ არ გამოუტყდება ბიჭს, ან მე ხომ არ აეუსსნი შოთას მაგივრად სიყვარულს! — გული მოუვიდა ამირანს, კიდევ რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ამ დროს შოთა დალანდა, ალბათ, ისევ მანქანას მიადგა და სანაჭინილაბს აიფარებდა, ტუჩზე თითის მი-

ფარებით ერთხელ კიდევ გამაფრთხილა, შოთას არაფერი აგრძნობინონ.

შოთა ნოზაძე და მისი ბრიგადის წევრები ამწეზე ჩამოყიდებულ ვეებერთელა ჭავჭავს არგებლნენ ჩაის საქანობ აგრეგატს. შოთა მართლაც ძალზე გამოცვლილი მეჩვენა — ლოყები ჩავარდნოდა, მოშვებულიყო, მოძრაობაც რაღაც უნდილი ჰქონდა. სადღა იყო ძველი შოთა, მთელს საამეროში პირველი ვაჟკაცი და პირველი ბრიგადირი, რომელიც თავს ბიჭებთან ერთად ვეფხვივით დატრიალებდა მანქანებს. ბიჭებსაც თითქოს ხელმძღვანელის სენი გადადებოდათ, ისინც რაღაც უხალისოდ მუშაობდნენ, ალბათ, ამიტომ იყო, რომ სადღაც ზევით გაჩერილი ჭავჭავი ჭიუტობდა და არაფრის გულისთვის არ უნდოდა მორგებოდა კბილანებს.

შოთამ დამინახა, მაგრამ შევამჩნიე, რომ შეკრთა და განზრახა ამარიდა თვალი. ალბათ, ელოდა, გავივლიდი და მას ყურადღებას არ მივაქცევდი. როგორც იქნა ჭავი მოარგეს და ბიჭებმა ცოტა სული მოითქვეს, პაპიროსი გააბოლეს. შოთამ კვლავ ჩემსკენ მოიხედა და რომ დამინახა, წასვლას არ ვაპირებდი, ნაძალადევად გამიღიმა და ქვევით დაეშვა.

— შოთას გამარჯვება! — განზრახ მხიარულად მივესალმე და ხელი გავუწოდე.

თითვები მანქანის ზეთით ჰქონდა დასკრილი, მაგრა გამომიწოდა და, გამარჯობათო, დამნაშავესავით ჩაილაპარაკა. წინათ კი განა ასე მხვდლებოდა? დაახვისთანავე, ისეთ სალამს მეტყოდა, რომ მისი ხმა ოცონიანი უროს ცემის ხმასაც კი ფარავდა.

ვიცოდი, რა შეკითხვასაც ელოდა ჩემგან, მაგრამ მე თათქოს საგანგებოდ ამისათვის ვიყავი მოსული, განსაკუთრებული ყურადღებით ვათვალიერებ-

დი აგრეგატს. უხერხული სიჩუმე თვითონ დაარღვია:

— კარგახანია ჩვენთან არ ყოფილხართ.

— ჰო, აგრ თითქმის თვე იქნება. რა არის ახალი თქვენს ფრონტზე?

— ისე, ძველებურად... ვმუშაობთ, — მხრები აიჩინა და გულმოლგინედ დაიწყო ძენძით თითების წმენდა.

— შოთა, შენთან საქმეზე ვარ მოსული.

— ბრძანეთ. — უხალისოდ მომიგოდა შუბლქვეშიდან შემომხედა დაეჭვებულმა.

— საშვალნოემბროდ გაზეოს ნარკვევი მჭირდება მოწინავე მუშაჩე. შენზე ვფიქრობ. რას იტყვი?

შევატყვე, არ ესიამოვნა.

— არაა საჭირო.

— როდის მერე გახდი ასეთი მორცხვი, ღირსი არ ხარ თუ?

ისეთი თვალებით შემომხედა, თითქოს იმის თქმა სურს, არა, არა ვარ ღირსი, ჩამომესენით, ჩემთვის დამაყენეთო, მაგრამ თავი შეიკავა და კვლავ მორიდებით მითხრა:

— რატომ მაინცდამაინც მე? სხვებიც არიან... ჩემზე უკეთესებიც თუ გნებავთ! აი იმათხე დაწერეთ.

მე კვლავ თავს ვიყატუნებდი, მინდოდა, პირველად მას დასცდენოდა სათქმელი. თითქმის თვითურიალურ ტონზე გადავედი:

— რედაქციის აზრია, ნარკვევი შენზე დაიწეროს. — საათს დავხედე, — რამდენიმე წუთში შესვენება დაიწყება, ცოტა ხნით კანტორაში შევიდეთ და მოვილაპარაკოთ, როგორ მუშაობ, რა წარმატებებს მიაღწიე მას შემდეგ, რაც მე არ მინახვხარ....

— არა, საჭირო არაა, გეუბნებით. — შემაწყვეტინა. ახლა უკვე სიჭიუტე და სიბრაზე გაისმოდა მის ხმაში.

— შოთა, ვეღარ გცნობილობ! ისეთი რა მოხდა? — გავიკვირვე.

— მოხდა, ალბათ. — მითხრა და თვალი ამარიდა.

— მაინც?

— ის რომ შოთა ნოზაძე ის აღარაა, რაც იყო, ჭირი მოგვამათ, მე აღარ ვარ ღირსი, რომ ჩემზე გაზეთებმა სწერონ.

ვითომიც არაფერი, მისი აღსაჩება ისე გულგრილად მოვისმინე, რომ შოთა გაოცებული შემომაჩერდა.

— ჩემი მაჩვენებლები არ გინახავთ, ალბათ!

— როგორ არა, ახლახან მიჩვენა ნორამ. — მშვიდად მივუგე.

— ნორამ?.. — თითქმის ჩაიჩურჩულა და ვერც მიხვდა, რომ ამ ერთი სიტყვის წარმოთქმით გასცა თავი. სულ ახლოს მოვიდა ჩემთან, მკლავში ხელი ჩამჭიდა, — სხვა ხომ არაფერი უთქვაშამ?

თითქოს ვერ მოვუხვდი, გამიკვირდა კიდეც:

— რა უნდა ეთქვა! არაფერი. მხოლოდ ეს კია, შევატყვე, შეწუხდა, ასეთი მაჩვენებლები რომ მომცა შენზე.. ისე შერცხვა, თითქოს თვითონ იყოს რაიმეში დამნაშავე.

— შეწუხდა?.. — თითქმის ზედ მომეკრა და მის თვალებში კვლავ აკიაფდა მიბუუტული ცეცხლი, სახეზეც ფერი მოუვიდა და გახშირებული სუნთქვისაგან სისხლძარღვები ლურჯად დაბერა ყელთან.

ვხედავ, სულ მთლად მომენდო კაცი. რახან ნორაზე ჩამოვუგდე ლაპარაკი, ახლა ჩემზე ახლობელი აღარავინ ჰყავდა ამ ქვეყნად. სამუშაოც მიავიწყდა, ირგვლივ ვერაფერს ამჩნევდა, არაფერი ესმოდა.

— შეწუხდა მაშ. ნორა კი არა მეც გამაცვირვა ამ ამბავება. რაშია საქმე, რაღაც გამოცვლილი მეჩვენები!

კითხვა პირდაპირ რომ დავუსვი, შე-

კრთა, ერთი წუთით ალტკინებული კვლავ მოდუნდა, თორქოს შერცხვა კიდეც, რომ ნორას სახელის ხსენებაში ისე ააცეტა, კინალამ საიდუმლო გაანდო ოფიციალურ პირს, როგორიც მევიყვით მისთვის. მაგრამ ვატყობდი, უკვე გატეხილი იყო და ერთი ბიძგილა სჭირდა, რომ გული გადაეხსნა ჩემთვის. მივეშველე:

— სიყვარული ხომ არ შემოგპარვია, ჩემი შოთა?

თვალი მომარილა, სადღაც შორშე გახედა და უხმოდ დამიქნია თავი.

— მერე, შე კაცო, სიყვარული უნდა გამხევებდეს. ოჯახის მოკიდებას, აპირებ, ვალი მეტო გადევს, მუშაობაც მეტი გმართები.

— ეჯ ნეტავი მარტო ჩემს მუშაობაზე იყოს დამკიდებული ოჯახის შექმნა... — თქვა და ისე ამოიხსრა, თითქოს ამ სიტყვებს გულიც თან ამოატანაო.

— რატომ, შოთა! — გავიკვირვე.

— აბა იგი რა სიყვარულია, როკარიწვი, დააგები, ის კი...

— შენისთანა ბიჭს ვინ დაიწუნებს!

— ვინა და აი ის... — სახელის წარმოთქმა გაუჭირდა, იმანაც იქითქებ გაიშვირა ხელი; საითქენაც ამირანმა მამითითა.

— ვისზე ამბობ?

— ვისზე და... ნორაზე... — ჩაილაპარაკა.

— თქვენს მნორმირებელზე?

— ჰო.

— რა, თანაგრძნობა არ გაგიწია, თუ?

— ასეც რომ იყოს, განა გასაკვირდა.

— ვითომ რატომ, დასაწუნი რა გაქცეს.

— აბა ჩვენ რა ერთმანეთის შესაფერისი ვართ. სად მე და სად ნორა. იგი კარგი ოჯახის შეიღლა. საშუალო სკოლა დაამთავრა, ახლა უმაღლესში სწავა

ლობს დაუსწრებლად, ინუინერი იქნება. მე კი... ერთი უპატრონოდ გაზრდილი ტლუ ბიჭი ვარ, საერთო საცხოვრებელში პატარა კუთხის და აი ამ ხელებს გარდა არაფერი გამაჩნია.

— არ მეგონა, თუ ნორა ასეთი იყო. ამით როგორ დაგიწუნა. უყურე ერთი რა ფუქსავატი ყოფილა!

ვრსაც ნამდვილი სიყვარული გამოუცდია, მხოლოდ იგი მიხვდება, თუ რას ნიშნავს, როცა კაცს აუგად უხსენებ სატრფოს, გულის მიჯნურს, ვინც მისთვის სალოცავ ანგელოზად, რაღაც ღვთიურ და სპეტაკ არსებადა გადაქცეული. ხელი მელავში ჩამავლო, თითები მარწუხივით ჩამჭიდა და შემემუდარა:

— ძალიან გთხოვთ, ნორას ასეთ სიტყვებს ნუ აკადრებთ. იგი არაა ამისღისი, იგი... იგი... — უნდოდა კიდევ ეთქვა რაღაც, მაგრამ, აღბათ, საჭირო ჟიტყვები ვერ გამონახა და ისევ გაჩუმება ამჯობინა.

— კი მაგრამ შენ თვითონ არ თქვი, დამიწუნა, ტოლად არ მიმიჩინაო! განა მან არ გითხრა ასე?

— მას არაფერიც არ უთქვამს.

— როგორ თუ არაფერი! არ გქონიათ ამაზე ლაპარაკი?

— არა.

— აბა საიდან იცა, რომ არ გითანაგრძნობს?

— ამას რა ცოდნა უნდა.

— წინასწარ რად გამოგაქვს განაჩენი. შენც აიღე და გამოუტყდი სიყვარულში.

— ვერა, ვერ ვიზამ ამას. უარი რომ მითხრას, თავი საღლა გამოვყო? მაშინ ქარხნიდანაც უნდა წავიდე.

— მერე სანამდე?

— არ ვიცი.

საყვირის ხმა გაისმა. სასაღილო შესვენება დადგა. საამქროში ხმაური შეწყდა და სწორედ ამ მყუდროებამ

გამოარევია შოთა. შემკრთალმა მიხედ-მოიხედა და წასასვლელად აჩქარდა. შევამჩნიე, თითქოს ნანობდა კი-ლეც ასე გულახლილად რომ გადმოალაგა დაგუბებული ვარამი.

ზეინკლებმა ჩაგვიარეს გვერდით. თითქოს შეთქმულნი არიანო. არც ერთს არ გამოუხედია ჩვენსკენ.

საღლაც შორს ამირანი დავლანდე, თვალებით მანიშნებდა რაღაცას. შემდეგ ისიც მიიმალა. საამქროში ჩვენ არნიდა დავრჩით.

— ძალიან გთხოვთ, როგორც ვაუკაცი ვაუკაცს, რაც ითქვა, მხოლოდ ჩვენს შორის დარჩეს. ვითომ არაფერიც არ მომხდარა. თუმცა რა მოხდა ისეთი. რაც გითხარით, ისიც არ უნდა მეთქვა, მაგრამ მეგონა, ცოტა გულს მომეშვებოდა... და მომეშვა კიდეც, — ეს რომ თქვა, გამოლიმა, თუმცა ნაძალადეობა ეტყობოდა მის ღიმილს, ხელი გამომიწოდა და მითხრა: — გაზეთისთვის კი სხვა მოძებნეთ. საამქროს უფროსი გეტყვით, ვანაა ამის ღირსი.

გასასვლელისკენ გაემართა. იმ აღგილს რომ ჩაუარა, საღაც ნორა იჯდა, შევამჩნიე, ფეხს აუჩქარა და თავჩალუნული სწრაფად გაშორდა იქაურობას.

მეც მიუყევი მას, მაგრამ უცებ ფანჯარასთან მომდგარ ნორას მოვკაროთვალი და ამან შემაჩერა. იგი დაუნებით გასცემეროდა გასასვლელისკენ მიმავალ შოთას.

არა, ასეთ მზერას ყველასთვის ვერ გაიმეტებდა ცხრამეტი წლის გოგოსა, ისიც ისეთი, როგორიც ნორა იყო!

მკითხაობისა არაფერი მწამს, აღბათ, მზაკვრობა და თვალის ახვევაა შეყავაზე თუ ხელის გულის ნახაზებზე რჩევა, არც ჰიპნოზისა მჯერა რამდე, მაგრამ თუ აღამიანის ფიქრების ამოკითხვა გინდა, საკმარისია თვალებში ჩახედო მას და ისინი ნამდვილად გაფ

უემენ პასუხს, მით უმეტეს, თუ მათში სიყვარულის ცეცხლი კიაფობს.

აი ეს შუქი შევამჩნიე მუ ნორას თვალებში. იმ წუთას შოთას უკან რომ მოეხედა და ნორას ლურჯი თვალების მზერას წასწყდომოდა, მასში ნამდვილად ამოიკითხავდა ქალიშვილის გულის პასუხს.

მაგრამ შოთას უკან არ მოუხედას, საამქროდან გავიდა და მუშების ნაკადში ჩაიკარგა.

ნორამ თვალი მკიდა, თითქოს რაღაც დანაშაულში შეისწრესო, ალმური მოედო სახეზე, ფანგარას მოსწყდა და ოთახის კუნკულში კარადას ამოეფარა.

...საამქროს უფროსი აღარ მიძებნა, აღარც დანარჩენ საამქროებში შემივჭირო, რომ სხვა ვინმე შემერჩია ნარკვევისთვის, ფიქრებაშლილმა დავტოვე ქარხანა. ფეხით გაფუღები გზას და სანამ შინ მოვიდოდი, უკვე მოფიქრებული მქონდა, როგორ მოვქცეულყავი.

როგორ ფიქრობთ, მე სხვა უფრო უკეთესი კანდიდატურა შევარჩიო ნარკვევისათვის? არა, სრულებითაც არა! ჩემი გონება კვლავ შოთა ნოზაძეს დატრიალებდა. გადავწყვიტე, ალმეწერა ყველაფერი, რაც დღეს ქარხანაში ვნახე და მოვისმინე. ჩემი ნარკვევი თითქმის ისევე იწყებოდა როგორც თავიდან მოვიფიქრე, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ შოთა ნოზაძის გვარი მაჩვენებელთა დაფის თავში კა არა, საღარაც ქვემოთ აღმოგაჩინე. მე მინდოდა გაზეთის საშუალებით მომეთხო მკითხველებისთვის, მათვის, ვინც შოთა ნოზაძეს სახელოვან კაცად იცნობდა, თუ რამ გამოცვალა ასე ახალგაზრდა ზეინკალი; გადავწყვიტე, საჭაროდ გამეტქევა შოთა ნოზაძის გულის ხვაშიადი, რომ იგი ყველასთან ერთად ნორასაც სცოდნოდა და სიყვა-

რულის ალმოდებულ ჭაბუქს მისგან ან „ჰი“ და ან „არა“ მოესმინა. მაგრამ არა, უარს მე არ მოველოდი ნორას გან და სწორედ ამან ამაღებინა ხელში კალამი. თუმცა არ ვოყავი დარწმუნებული, რომ ნარკვევი დღის სინათლეს იხილავდა, მაინც არასდროს არ მიმუშავია ასე გატაცებით. მე უკვე პასუხიც მქონდა მზად, თუკი რედაქტორი ჩვეულებისამებრ ცალთვალ მოხუჭული შემომხედავდა და ჩემს ნარკვევს სხვა უიმედო მასალებს შეურევდა, „აკი თქვენ თვითონ ბრძანეთ, რომ გაზეთში დაბეჭდილი თვითეული მასალა უნდა ეხმარვოდეს ადამიანს, მაშ დავეხმაროთ შოთა ნოზაძეს.“ — აი ასე ვეტყოდი.

...მეორე დილით რედაქტორის წინ ვიდექი და, სიმართლე გითხრათ, ისე მიძეგრდა გული, როგორც ახალბედა უურნალისტს, რომელიც თავის პირველ ნამუშევარს დებს რედაქტორის ფართო მაგიდაზე.

უკანასკნელ ფურცელზე სულ რადენიმე სტრიქონი ეწერა; მაგრამ რედაქტორი დაღხანს დასტუროდა მას. ვგრძნობდი, იგი კი არ კითხულობდა, არამედ ფიქრობდა. თავი ასწრა და შემომხედა. ჩვეულებისამებრ მის სახეზე ვერაფერი ამოვიკითხე. პაპიროსი კვლავ გაჩრილი ჰქონდა პირში, მარცხენა თვალი კი — ნახევრადმოხუჭული. თავის დასაცავი პასუხი ენაზე მიტრიალებდა, მაგრამ სტუკის ამოლება აღარ დამჭირდა, რედაქტორმა გაიღია, წითელ ფანქარს მიწვდა და ჩემი ნარკვევის თავფურცლის მარცხენა კუთხეში მისი ვეება ხელისთვის შეუფერებელი წვრილი ასოებით გამოიყვანა: „აიწყოს ხვალინდელი ნომრისთვის“.

რედაქტორი ცოლშვილიანი, სერიოზული კაცი გახლდათ, მაგრამ, აღბათ, ერთ დროს მასაც ჰქონდა განაცალი ის

მწველი გრძნობა, რაც ყველა დროში აწუხებდა და აწუხებს აღამიანებს, მათ შორის შოთა წოზაძესაც.

მეორე დღეს ჩემი ნარკვევი გაზეა-  
ში იყო დაბეჭდილი.

მილოცავდნენ ამხანაგები, მეგობრე-  
ბი, მეოთხელები, მიქებლნენ კალამს.

ჩვეულებასამებრ ხელმომჭირნე მღი-  
ვანმა ყველა გააოცა და სარეკორდო  
ჰონორარი გამოწერა.

მაგრამ მე ახლა სულ სხვა რაიმეზე  
ვფიქრობდი.

მსგავს მასალებზე რედაქცია საერ-  
თოდ არ ღებულობს პასუხს. იგი არც  
კრიტიკული შენიშვნა იყო, არც სიგ-  
ნალი, რომელიმე ორგანიზაციის, ან  
თანამდებობის პირის უხეირო მუშაო-  
ბაზე. მაგრამ მე მაინც მოველოდი პა-  
სუხს, და ისეთი მღელვარებით, თით-  
ქოს ნორას შოთასთვის კი არა, ჩემ-  
თვის უნდა ეთქვა „პო“ ან „არა“.

და აი მესამე დღეს დილით ჩემს კაბი-  
ნეტში ტელეფონმა დარეკა. ყურმილი  
ავიღე და მაშინვე ვიცანი შოთას ჩმა.  
ისეთმა მღელვარებამ შემიპყრო,  
ბრალდებული რომ განცდის განაჩე-  
ნის წინ, იმის მოლოდინში, დამსჯიან  
თუ გამამართლებენო.

შოთას ომახიანი ხმისგან, რომელიც  
უკანასკნელი შეხვედრის შემდეგ საო-  
ცრად გამოცვლილი მეჩვენა, ტელეფო-  
ნის მემბრანა აზრიალდა:

— მადლობა, დიდი მადლობა!.. ახ-  
ლა მეტს ვერაფერს გეტუვით. საახალ-  
წლოდ გვეწვიეთ ახალ ბინაში... მე  
და ნორას...

ისე თავისუფლად ამოვისუნთქე,  
თითქოს ზურგიდან ათფუთიანი ლო-  
დი მომხსნესო. საათს დავხედე. ჯერ  
კარხანაში შესვენება არ უნდა ყოფი-  
ლიყო. მაშასადამე შოთა სამქროდან  
მირეკავდა. ერთადერთი ტელეფონი  
კი მხოლოდ იმ მაგიდაზე იდგა, სადაც  
ნორა იჯდა.

— ნორა მანდ არის?

— აქ არის.

— აბა ერთი ყურმილი გადაეცი.

— გისმენთ. — ძლივს გავიგონე ნო-  
რას ხმა.

წარმოვიდგინე, თუ როგორ წამო-  
დგებოდა იგი ფეხზე მოსწავლესაკით  
და ვარდისფერი გადაეკვრებოდა ლი-  
ყებზე.

— ხომ არ მემდური, ნორა? — შევე-  
კითხე.

— არა... პირიქით, მადლობელი  
გარ... — ამის თქმალა მოახერხა და  
ყურმილი კვლავ შოთას მიაჩეჩა.

— წინასწარ გილოცავთ ბელნიერე-  
ბას, მეგობრებო!

გაზეთში დაბეჭდილი თვითეული  
სტრიქონი ადამიანს ცხოვრებაში უნდა  
ეხმარებოდესო, ამის თქმა უყვარდა  
ჩვენს რედაქტორს.

## მ ე კ ვ დ ე ე ბ ი

რამაზის მამამ ნათელოთახებიანი, კოხტა აივნიანი ახალი სახლი აიშენა. ოსტატებმა სწორედ გუშინ მოათვეს უკანასკნელი სამუშაო. დღეს კი დილიდანვე დაიწყო ოთახების დასუფთავება. სკოლიდან დაბრუნების შემდეგ რამაზიც დედ-მამას ეხმარებოდა, წყალი მოზიდა, ყველაფერი დაპრიალეს. ოჯახი სიხარულით მოელოდა ხვალინდელ განთიადს, რაღან გადაწყვიტეს ხვალვე გადაენაცვლებინათ ახალ ფუძეში.

— გვენანება კი, ბატონო ვანო, თქვენი ოჯახის დატოვება, საღაც წლების განმავლობაში ასე ტკბილად, მეგობრულად ვცხოვრობდით. მაგრამ ახლოს ვართ და ხშირად კვლავ ერთად ვიქწებითო. — სიყვარულით უთხრა რამაზის მამამ ვანოს. ახლა ძია ვანოსას ბარგს კრავდნენ, ემზადებოდნენ, რომ აღრე დილით შესდგომოდნენ საქმეს.

რამაზის მოთმინება არ ეყო, ერთხელ კიდევ არ მოეკრა თვალი შისი ახალი სახლისათვის, დასწელა ქუდს და მოჰკურცხლა, მთელი ქუჩა მოსახვევამდე სულ სირბილით გაიარა, ეზოს რომ მიუახლოვდა, ყური ცქვიტა — სახლილან ხმა მოესმა.

— ვინ უნდა იყოს ნეტავი?! — გაიკვირვა ბიჭუნამ.

ჭიშკარს ბოქლომი ხელუხლებლად ედო. ჩამავალი მზის უკანასკნელი სხიუები სახლის აივანს ეთამაშებოდნენ. საიდანლაც პატარა ფიცარი დაცურდა და ხმა ისევ მოესმა. ახლა უფრო დარწმუნდა რამაზი, რომ შინ ვიღაც იყო. შეკრთა, მაგრამ არ შეშინდა. გადაწყვიტა სახლისათვის ფრთხილად შემოევლო. შემოუარა კიდევაც, ზევით აიხედა და გაეცინა.

ახალი აივნის მოაჭირზე მტრედები ისხდნენ და ღულუნებდნენ.

## შხაპუნა წვიმა

მოთხოვბა

ინსტიტუტიდან ვბრუნდებოდი, ძალაზე დაღლილი ვიყავი, მაგრამ მაინც არ შემეძლო გულგრილად ჩამევლო აყვავილებულ ხეებს შორის. ვტკბებოდი აკაციის ყვავილების სურნელებით. ამწვანებული ტოტები ნელა ირხოდნენ და ყურძნის მტევნების მსგავსი თეთრი ყვავილები გულთბილად მესალმებოდნენ. ქუჩაზე პატარა თეთრი ყვავილები თოვლივით დაფენილიყო. შევხაროდი ახლადგაღვიძებულ ბუნებას. ყვავილები და ფოთლები შრიალებდნენ, იღუმალ პანგებზე მღეროდნენ, მღეროდა ჩემი გულიც.

შრიალმა იმატა. ყვავილები თითქოს რაღაცას მანიშნებლნენ, მაფრთხილებდნენ, მაგრამ ისინი ჩემზე ბევრად მაღლა იყვნენ და მე ყველაფერი არ მესმოდა. უცებ რამდენიმე მსხვილი წვეთი დამეცა... აი, თურმე რას მანიშნებდნენ ყვავილები!

სულ რამდენიმე წუთის წინ ფირუზისფერი ცა ახლა მრისხანე შავ ღრუბლებს დაეფარა.

უკანასკნელად თავი დავუკარი აკაციის თეთრ ყვავილებს, ერთხელ კიდევ ღრმად ჩაეკისუნთქე ყვავილების სურნელებით სავსე პატარი და სახლისკენ გავიქცი, მაგრამ წვიმა მაინც წამომეწია და საქმაოდ დაესველდი.

ჩემი პატარა ოთახი პირველ სართულზე იყო. ოთახში ცოტათი ბნელო-

და და დავდექი ფანჯარასთან, რომელიც ქუჩაში გადიოდა.

წვიმამ იმატა.

ხშირი შხაპუნა წვიმის წვეთები ფანჯრის რაფაზე ხმაურით ეცემოდა.

შევყურებდი ქუჩაში აჩქარებით მიმავალთ და რატომდაც მეღიმებოდა. რა მახარებდა? რატომ ვიყავი უმიზეზოდ ასე კარგ ხასიათზე, არ ვიცი! ვიღაც ვაჟმა, რომელსაც ქუდი შუბლზე ჩამოეწია, კოსტიუმის საყელო აეწია, გაუბედავი ნაბიჯებით ქუჩა გაღმოსჭრა და თვალს მოეფარა.

მე ისევ ფანჯარასთან ვიდექი, კარის ჭრიალი შემომესმა და შემოვბრუნდი, შევკრთი, კარებში შევნიშნე სწორედ ის ვაჟი, რომელსაც რამდენიმე წუთის წინ ქუჩაში მოვკარი თვალი.

— ნუ გეშინიათ, არაფერს გავნებო! მომმართა ვაჟმა.

თავდასრილი იდგა და სველ თმებზე ქუდი ისე ჩამოეწია, რომ სახე არც კი მოუჩანდა... დავიბენი, ვინ იყო ან რა უნდოდა ჩემგან? შიში დავფარე დასკამი შევთავაზე. იგი მოსხლეტით დაჭდა და ხელით მაგიდას დაეყრდნო.

რამდენიმე წუთს თავის ჩამოვინდრული იჯდა. უხერსული სიჩუმე ჩამოწვა. მე უხმოდ მაგიდის თავში ვიდექი. ბოლოს ვაჟი შეინძრა, თავი ასწია. გაფითრებულ სახეზე საოცრად გაგანიერებული

თვალები უელავდნენ. აწეწილ თმაზე  
ჩელი გადაისვა და მითხრა:

— ქალიშვილო, მოგმართავთ რო-  
ვორც ადამიანი ადამიანს. 800 მანეთი.  
უნდა მომცეთ! რვა-ა-ასი, არც შეტი,  
არც ნაკლები, გესმით?

მე სახტად დავრჩი. რის რვაასი მა-  
ნეთი? ან რატომ უნდა მიმეცა? გაკ-  
ვირვებული ავხედე. იგი ახლა სახეზე  
ჭელმიფარებული იჯდა.

— გესმით, რვაასი მანეთი! — ახლა  
მის ხმაში ბრძანების კილო ისმოდა.

მე კიდევ უფრო შევშინდი. ვნატ-  
რობდი, ვინმე მაინც შემოსულიყო,  
რომ ვეხსენი ამ თავხედისაგან.

— გაქვთ თუ არა! — უფრო მკვახედ  
შემეტითხა, როცა პასუხი დავუგვიანე.

ტყუილის თქმა ვერ მოგახერხე და  
შეკვს-მეთქი წამოვილულულ.

მართლაც ფეხსაცმლის შესაკერად  
500 მანეთი მექონდა შეგროვილი. იმ  
დღეს სტიპენდიაც ავიღე. ძლივს ამო-  
ვიღე ფული და მაგიდაზე დავუდე.

უცნობი წამოდგა, ფული ჩაბლუჭა.  
და კარებისაკენ წავიდა. კარებთან შე-  
მობრუნდა, უცნაურად გაიღიმა და საა-  
მო ხმით მითხრა:

— გაგძარცვეთ, არა? თქვენ არ  
იცით, რა დიდი სამსახური გამიშვით,  
ალბათ, ქურდი გგონივართ, მაგრამ  
არა. ჯიბიდან რაღაც შეხვეული ამო-  
ლო და მაგიდაზე დადო.

— გიტოვებთ დედის უკანასკნელ  
სახსოვარს, რომელიც ჩემი მომავლის  
და ბედნიერების საწინდარი უნდა  
ყოფილიყო, მაგრამ ხელავთ, ვერ გაა-  
მართლე. — უცნობმა ხელი ჩაქნია.

— წაიღეთ, წაიღეთ, არ მინდა, არა-  
ფერი არ მინდა! — წამოვიძახე.

ვაუმა თავი გააქნია. — არა, აიღეთ!  
გთხოვთ, რაც არ უნდა გაგიჭირდეთ,  
არ გაყიდოთ, შეინახეთ, იქნებ მის გა-  
მოსასყიდად კიდევ მოვიდე და სიკეთე  
ჭამშაგად გადაგიხადოთ.

მისი სახე სევდითა და მწუხარებით  
იყო სავსე. და მივხვდი იგი ქურდი არ  
იყო.

ერთხელ კიდევ შემომხედა. — მაპა-  
ტიეთ! — წყნარი ხმით ჩამილაპარაკა  
და არეული ნაბიჯით ოთახიდან გავიდა.  
ძნელი სათქმელია, ამ წუთებში ჩვენს  
შორის ვინ უფრო იყო გაფითორებული.  
მე კი ისევ ისე ვიღები და გაშეშებული  
თვალებით ღიად დატოვებულ კარებს  
მივჩერებოდი.

უცებ გამოუთქმელი სიბრალული  
ვიგრძენი უცნობისადმი, მინდოდა რა-  
ლაცით კიდევ დავხმარებოდი, მეშველა,  
მენუგშებინა, გამეგო რა აწუხებდა.  
გიყივით გამოუვარდი ქუჩაში, მაგრამ  
იგი არსად ჩანდა. მხოლოდ ახლა შევ-  
ნიშნე, რომ წვიმა ისევე უცებ შე-  
წყვეტილიყო, როგორც დაიწყო. ცაზე  
კაშაშა მზე მომზიდვლელად ანათებდა.  
ერავენილს ახშივარი ასდიოდა.

დამძიმებული გულით ოთახში შე-  
მოგბრუნდი, საწოლზე ჩამოვჭექი. გულდაწყვეტილი ძეველ ფეხსაცმლებს  
დავსცექეროდი, ფიქრები კი უცნობს.  
ღასტრიალებდა, მინდოდა მომეგონები-  
ნა მისი სახე, მაგრამ არაფერი, არაფე-  
რი არ მაგონდებოდა.

ფიქრებში წასულს პირი გამშრობო-  
და, წყლის დასალევად წამოტედექი, მა-  
გრაზე რაღაც პატარა შესვეულს მოვ-  
კარი თვალი, ინსტინქტურად გავხსენი.  
ხელში ბრილიანტის თვლიანი ძვირფა-  
სი ბეჭედი შემრჩა. თვალი ვერ მოვ-  
წყვიტე, ბრილიანტის თვლების მაგიერ  
დაუის თვალები ანათებდნენ.

უნებურად ბეჭედი თითზე წამოვიც-  
ვი, მაგრამ თითქოს თითი დამწვა და  
ისევ მაგიდაზე დავდე. მთელი საღამო  
თავი სიზმარში მეგონა. მას შემდეგ  
ყველა გამვლელს ვათვალიერებდი,  
ვეძებდი უცნობს, მაგრამ იგი არსად  
ჩანდა. დავკარგე მოსვენება, სიმშვიდე,

დამავიწყდა გაზაფხული და აკაციის თეთრი ყვავილები.

ბეჭედი არ მასვენებდა, ვერც სხვას ვაძლევდი და ვერც გაყიდვას ვბედავდი, რაღაც უხილავი ძალა მბოჭავდა, მაკავებდა.

გაზაფხულმა გაიარა. დიდი სანია აუაციებს ჩამოსცვივდა თეთრი ყვავილები, მაგრამ რატომლაც აკაციის ნახვა ცუდ გუნებაზე მაყენებდა. ცოცხლდებოდა იმ სალამოინდელი სურათი და გული მწყდებოდა. ბეჭედი საგულდა-გულოდ შევინახე.

უკვე სამედიცინო ინსტიტუტის მეორე კურსის სტუდენტი ვიყავი. არდა-დეგებზე სოფელში წავედი. ერთ დღეს ნაწვიმარ ხილან ჩამოვვარდი და მარჯვენა ფეხი მოვიტეხე. მას შემდეგ დავკოჭლდი. დავკოჭლდი სამუდამოდ. წელიც გამიცდა და უცნობიც დამავიწყდა.

\* \* \*

იმ წელს წალვერში კეჩხობში ვისვე-ნებდი. შვიდმა წელმა განვლო, რაც ფეხი მოვიტეხე. უცნაურად გულჩათხ-რობილი გავხდი. გავურბოდი ყოველ-გვარ გართობა-მხიარულებას და გან-საკუთრებით ვაჟებს. შვებას და თავი-სუფლებას ბავშვებთან, ჩემს პატარა პაციენტებთან ვერძნობდი. ისინი ვერ ამჩნევდნენ ჩემს სიმახინჯეს. იმათვის მე საყვარელი ექიმი, საყვარელი დეი-და მარინე ვიყავი.

იმ დღესაც ჩვეულებრივი მზიანი ამინდი იღვა. გრილი სიო უბერავდა. ხელში წიგნი მეჭირა და განმარტოებით ვიჯექი, არ ვკითხულობდი. ჩემი ყურადღება ახალგაზრდათა ჯგუფის-კენ იყო მიაყრობილი. მესმოდა იმათი მხიარული ლაპარაკი, სიცილი. ვაჟებს შორის განსაკუთრებით ერთი გამოიჩინდა. ხანდახან გავაპარებდი თვალს მისკენ და შორიდან ვუთვალთვალებდი. მაღალი ტანის, ცოტათი გამხდარი,

მუქი წაბლისფერი თმით, ოდნავ მოგრძო სახით და ლამაზი თვალ-წარბით. ამ-ბობდნენ ინუინერ - არქიტექტორიაო. რამდენჯერმე მის დაკვირვებულ მზე-რას წავაწყდი. მეც მინდოდა იმათთან მისვლა, მაგრამ შეშინოდა ჩემი გულჩათხრობილობით იმათი მხიარულება-არ დამერღვია.

მატარებელმა გაიარა და ქშენით მთებს შორის მიიმალა. მე თვალს ორა-თქლმავლის კვამლს ვაყოლებდი. კვამლი მაღლა ადიოდა, იფანტებოდა და ღრუბლის ქულებს უერთდებოდა.

ამ დროს ვიღაცამ მორიდებით მომ-ბართა:

— ქალიშვილო, შეიძლება თქვენთან დავჭდე?

— სიამოვნებით! — ვუპასუხე. ჩემს გვერდით ინუინერ-არქიტექტორი იჯდა. მეტი უხერხულობა ვიგრძენი. არ მახ-სოვს, როგორ გაიბა საუბარი. ვახშა-მის ზარი რომ დარეკეს, თითქოს გულ-დაწყვეტილები დავშორდით ერთ-მანეთს. იმ სალამოს შემდეგ მთელი დღეების განმავლობაში ერთად ვიყა-ვით, ვსაუბრობდით, ვმსჯელობდით, ვკამათობდით. მალე დავუახლოვდით ერთმანეთს. რამდენი ადამიანური უშუალობა და ზნეობრივი სიშინდე იყო მასში. მისი უურადღება სულ რითბობდა. თბილი, ალერსიანი სიტყვები გულს სიხარულით. მიესებდა. მის ნაბიჯებს მე უკვე შორიდან ვცნობდი. ახლა მარტომბას ალარ ვგრძნობდი, არც ჩემს კოჭლობას.

ხშირად მთელი სათობით სარკის წინ ვიდექი და ჩემს ორეულს დაკვირ-ვებით ვათვალიერებდი. სარკიდან ქერა ხუჭუჭოთმიანი, ღია თაფლისფერთვალება, პატარა, ოდნავ ექიანი ცხვირის მქონე, საკმაოდ ლამაზი ქალიშვილი, მარი-ნე გოცირიძე მილიმოდა. რატომ არ შე-მიმჩნევია ჩემი გარეგნობა. აქამდე?

ალბათ, სიყვარულმა გამალამაზა, გავიფიქრე და გამეცინა.

ჩემს გარდა ყველანი ექსკურსიაზე წავიდნენ. ოთახში ცხელი დახუთული ჰაერი იდგა, ეზოში გამოვედი. ძალიან გამიკვირდა, როცა სკამზე კოტე კახიანი შევნიშნე. მე იგი ექსკურსიაზე მეგულებოდა.

რა სიხარულით შევხვდით ერთმანეთს!

კოტემ სიყვარულით სავსე თვალებით შემათვალიერა, თეთრი კაბა მეცვა, მიხდებოდა, და კმაყოფილს გაეღმა. წინათ რამდენჯერ ვსთხოვე ეამბნა თავისი წარსული, მაგრამ ყოველთვის ცდილობდა საუბარი სხვა საგანზე გადაეტანა. ახლა კი თვითონ დაიწყო.

...დედა მასწავლებელი იყო, მამა ჭიმიკოსი. მერვე კლასში ვიყავი, როდესაც დედა გარდამეცვალა. დედის სიკვდილის შემდეგ სახლი დაცარიელდა. მამამ მალე ცოლი შეირთო. კარგი აღაშიანი იყო, მაგრამ მე აღარ მყავდა ტკბილი, მზრუნველი დედა. მამაც უნებურად ჩამომშორდა. მართალია, არაფერს მაკლებდნენ, მაგრამ ოჯაში გარიყულივით ვგრძნობდი თავს. საშუალო სკოლის დამთავრებისას უმაღლესში მოწყობა მაინცადამაინც არ მიცდია... კოტეს ხელში ხის ტოტი აელო და წერვიულად ამტკრევდა... ახალგაზრდათა ცუდ წრეში მოვხვდი, სწავლა აღარ მიზიდავდა. და ასე სამი წლის განმავლობაში უსაქმობით და ლაზრანდარობით ვერთობოდი და, ბოლოს, ბანქოს თამაშს მიყენ ხელი.

კოტემ ამოიხსრა, თავი ასწია და გამიღიმა. მსგავსი ლიმილი თითქოს საღლაც მენახა. ტანში გამაურეოლა. ცაოლრუბლებოდა, გაწვიმებას აპირებდა.

— წავიდეთ, კოტე, მგონია წვიმდება. — უუთხარი და წამოვდექი.

კოტემ ხელი მომკიდა და მთხოვა. — არა, მარინე, გეხვეწები ნუ წახ-

ვალ, დე, ორივე დავსველდეთ, ოღონდ მომისმინე, ბოლომდე მომისმინე. — გამიკვირდა, რა უცნაური სურვილია! მაგრამ უარი ვერ ვუთხარი.

წვიმა დაიწყო, ჩვენ კი ისევ ისე ვიზექით.

— იცი, მარინე, როგორ მიყვარს როდესაც კარგ დარში უცებ გაწვიმდება. ასეთი წვიმა ერთ საბედისწერო დღეს მაგონებს.

ერთ დღეს ათასი მანეთი წავაგე... თითქოს შორიდან მესმოდა კოტეს ხმა. — ჩემი, რაც გამაჩნდა, ყველაფერი დავაგირავე. მხოლოდ ერთი ნივთიდა შემჩრია, რომელსაც ვერ ველეოდი, მაგრამ ფული მაშინვე უნდა მიმეცა. ღელის სახსოვრის დაგირავება დამენანა და სხვა გავქურდე. უცნობ, უმწეო გოგონას ფული წავართვი. გესმის მარინე! ფული წავართვი!

მე შევკრთი, მესმოდა კოტეს აჩქარებული სუნთქვა, სახეზე შეხედვა მეშინოდა. მინდოდა შემეჩერებინა, მაგრამ ვერ ვახერხებდი. მისი ხმა თითქოს შორიდან ბურანში მესმოდა.

— ფული შევაგროვე და ორი თვის შემდეგ მივედი, მაგრამ კარები დაკეტილი დამხვდა. ის ქალიშვილი სხვაგან გადასულიყო. დაკეტილ კარებთან ფიცი დავდე. — კოტე უკვე შედარებით დამშვიდებული ლაპარაკობდა. — მეპოვა სწორი გზა, მეშრომა, მესწავლა და მეც პატიოსან აღამიანთა რიგებში ჩავმდგარიყავი. იმ დღის შემდეგ გოგონას შეშინებული თვალები არ მაძლევდნენ უფლებას მოლიპული გზით მევლო. მაგრამ დავკარგე ბეჭედი და ბეჭედთან ერთად ის გოგონაც, რომლის სახე მერე კარგად ვერ მოვიგონე.

კოტე გაჩუმდა, შემდეგ ჩემსკენ შემობრუნდა, სახე გაფითრებოდა, თვალები საოცრად უელავდნენ. მე ვკანკალებდი.

— მარინე, თავიდან მე შენ იმ გო-  
გონას მიგამსგავსე, შენ ის მომავრე,  
იმიტომ დაგრახლოვდი, მერე კი შემი-  
უვარდი. მაშინაც ასე წვიმდა... მას  
შემზეგ ასეთ წვიმაში სულ გარეთ  
ვდგევარ.

ხმას ვერ ვიღებდი, ხელები გამციე-  
ბოდა. კოტებ ხელი მომკიდა და შეში-  
ნებული შემეკითხა.

— მარინე, რა მოგივიდა, მითხარი  
რაიმე!

საიდან მოვიკრიბე ძალა არ ვიცი.  
ხელიდან დავუსხლტი და გავიქეცი.  
სველი კაბა ფეხებში მედებოდა. შეშ-  
ლილვით შევვარდი ოთახში და ჩე-  
მოდანში შენახული ბეჭედი ამოვიღე.  
დამავიწყდა რომ კოჭლი ვიყავი და კი-  
ბეები სირბილით ჩავირბინე. წვიმის  
წვეთები მცემდა სახეში, მაგრამ ტკი-  
ვილს როდი ვგრძნობდი, მსიამოვნებ-  
და. ისეთი შხაპუნა წვიმა იყო, რო-  
გორც მაშინ.

ძალა მელეოდა, მეშინოდა, რომ კო-  
ტებდე ვერ მივაღწევდი. მანდოდა მე-  
უვირა, მაგრამ სიხარულისაგან ენა არ  
მემორჩილებოდა. ჩემი მისულა არ გაუ-  
გია, თავჩაქინდრული იჯდა.

წინ დავუდეჭი, ძლიერსლა ვსუნთქავ-  
დი:

კოტე შეინძრა; ნელა ასწია თავით  
თითქოს არ სჯეროდა, რომ მის წინაშე  
მე ვიდეექი. თანდათან გასწორდა და  
თითქმის შეჟყვირა.

— მარინე, ჩემო სიცოცხლევ!

ბეჭედი თითს ალარ მწვავდა. ბეჭე-  
დის დანახვაზე კოტე წამით შეერთა,  
უკან დაიხია და გაოცებული შემომხე-  
და.

ვიცანით ერთმანეთი. ახლა სულ  
მთლად ისეთები ვიყავით, როგორიც  
მაშინ, შეიდი წლის წინათ. სველი,  
თმებჩამოწეწილები, გაფითრებული  
სახეგბით და უცნაურად მეტყველი-  
თვალებით, მაგრამ სულიერად გან-  
წმენლილნი, ერთმანეთისათვის ახლო-  
ბელნი.

კოტეს ბაგე უთრობდა და აკანკალე-  
ბული ხელებით თავისკენ მიმიზიდა,  
ხმას ვერც ის იღებდა.

შხაპუნა წვიმა მოდიოდა.

მე სიხარულისაგან ვტიროდა. კოტეს  
სახეც სველი იყო, არ ვიცი წვიმა იყო,  
არ ვიცი ცრემლები.

მაგრამ წვიმა ხომ ცხელი არ არის?

## სურათი

მცხუნვარეა აგვისტოს მზე.  
ნაყოფს მწიფეს, მძიმეს  
გზის გადაღმა, ატმის შტოზე  
ლოყა უციმციმებს...  
ხევს გველივით მისდევს შარა,  
ძირს წყალი ჰქუბს ცივი.  
მარცხნივ, მარჯვნივ წამომდგარან  
ხენი აკაციის.  
კანდახორკლილ ფესვებს რცხილის  
მიწა აუჩეხავს,  
ზორით ქოჩორშევერცხლილი,  
ევეპლიპტის ტყე ჩანს.  
„სად მიდიხარ, დარჩი ბარემ“,  
ყურს რომ მწვდება წყნარად, —  
ეს ნიავი აშრიალებს  
ბამბუკების ჭალას.  
და როდესაც სიმინდებში  
გაიქროლებს ქარი,  
შარიშური ისე მესმის,  
ვით ზღაპრული ქნარი.  
მცხუნვარეა აგვისტოს მზე  
ნაყოფს მწიფეს, მძიმეს  
გზის გადაღმა ატმის შტოზე  
ლოყა უციმციმებს.

## შ უ ა მ თ ო ბ ა

დაუკრეს ჭიმონი, გარმონი,  
ხმიანობს, ხმიანობს ღოლი,  
გაჩალდა გამოცდა ძალლონის,  
აფრინდნენ კაკაბი, გნოლი.

ავტონი მოვარდნენ თახთახით,  
ლაცლილა ხულო და ქედა,  
კორდებზე ირხევა ზღვა ხალხი,  
სალამი გოდერძო შენდა!

შტრედისფრად იღვრება ლაუვარდი,  
ორბები სერავენ ზეცას,  
ციცი დალლილა ნაგარდით,  
ლხენაა ღამეცა, ღღეცა.  
შენც გულო თოფივით გავარდი,  
არწივო, ფრთას ნუღარ კეცავ:

გოგონი, ნუ არხევ მაგ მერდინს,  
ნუ დასწვი ვეჭხვია ბიჭი,  
იწამე ან მადლი, ან ღმერთი,  
უშენოდ გაძლება უჭირს.

ხორუმი, ხორუმი გახელდა,  
ხან ბუქნა ხტომი, ხან განი,  
ბიჭებო, სიმღერა განელდა,  
ბანი თქვით, ბანიო, ბანი.

დასძახეს „გაფრინდი მერცხალო“,  
ხმა გასცდა ბეშუმს და შქერნალს,  
აღელდა, აღელდა მზექალი,  
რა ტკბილად მღერიან, ნენა.  
რა მზეა, რა მზეა ცხრათვალი,  
რა ღღეა, რა ღღეა ღენა.

## ყამირს დავაჩვათ ნაყამირაძი

აშალგაზრდული გულებით  
ჭრიგალსაც მკერდით ვეხლებით,  
მუხლო, გაგვიძეხ, გაგვიძელ.  
მკლავო, ნუ გადაგვეღლები,  
პური გავლეწოთ იმდენი,  
ველარ იტევდეს ბეღლები.

სამშობლოს ქვეყნის ძახილზე  
ჩვენ მოვაშურეთ ყაზახეთს,  
ჩვენი ქართული ჰოპუნა  
აქცც ხმამაღლა დავძახეთ,  
ვადიდეთ შრომის ერთგული,  
შრომის ორგული დავძრახეთ.

ჩვებით შრომის ფერხულში,  
ვიშრომეთ, გულით ვიხარეთ,  
ძმობის მაღლი და დიდება  
გულმკერდზე გადავიყარეთ,  
ნამგალთან ერთად სამკალში,  
ნამგალა მთვარეც ვიხმარეთ.

ჩვენსავით გამრჩე ვინ არი,  
ჩვენებრ ერთგული ვინ არი,  
თვალებში გვიდგას ნათელი  
როგორც მზე სხივმომფინარი.  
ყამირი წელში გავტეხეთ,  
დავაჩვით ნაყამირალი.

## გ უ გ უ რ ე ბ ი

მაშინ დამძახე გუგულო,  
ყანა რომ დავაგუგუნო.  
ხალხური.

სად ხართ ჩემო გუგულებო,  
არად დამტოვეთ უგუნებოდ.  
მე უთქვენოდ ოროველას  
როგორ დავაგუგუნებო.

ოქვენი ტკბილი კაფე-თესე  
ასე მგონი თვით ღექსია.  
შე თქვენს ხმაზე პურთან ერთად  
სიყვარულიც მითესია.

თუმც დამტოვეთ გუგულებო.  
არ გეგონოთ უგუნებოდ.  
ველად გავალ ვაჟკაცურად  
ყანას დავაგუგუნებო.  
ოქვენ მაქედან მომაძახეთ  
გუგუ-გუგუ გუგულებო!

კუსტანაის ოლქი

## შენთვის, მამულო!

ორმოცი წელი... ორმოც ქარიშხალს  
ბევრჯერ ვაჟაფურ რისვით შევბმიერთ,  
ჭირშიც და ლხინშიც ვმდგარვართ მხარიშხარ  
და კომუნიზმშიც ასე შევღივართ,

ორმოცი წელი გამოგვივლია,  
ისევ შრომა და გარჯა გვწყურია,  
კომუნიზმისკენ მიმავალ კიბის  
ეს მეორმოცე საფეხურია.

სასახელოა ეს გზა-სავალი,  
დე, ნატერფალი გზაც აგიყვავდეს.  
მე ბედნიერი აწმყო მავალებს,  
რომ მომავალი უფრო მიყვარდეს.

შენს სუნთქვას ჩემი გულისთქმაც ერთვის,  
სამშობლოვ, შვებით მკერდლანამულო,  
ოცნებაც შენთვის, მარჯვენაც შენთვის,  
სიცოცხლეც შენთვის ჩემო მამულო!



## გლობუსის ხედიშვილი

### ქადიშვილისა და ქვისმთღერის ბადაბა

მაღლა კლდეზე მთის ასული  
ზის, სინათლეს აკმევს;  
ასულს ვაუი გატაცებით  
შვაში აქანდაკებს.

რამისფერ ნისლში მყინვარივით  
გახვეული ქალი,  
ქსოვს ყელსახვევს, ნეტავ ვისთვის?  
ზედ დაგრჩება თვალი.

ვინ არის ის სანეტარო,  
გისი გულის კდემა?

ნაზი სიო ყელს უკოცნის,  
ია შურით კვდება.

ლაწვებს ცეცხლი ეპარება,  
ალბათ ისიც მაშინ —  
როცა მზერა მოქანდაკის  
გაეყრება თვალში.

გაულიმებს ცისკრის დარად,  
მორცხვად გახსნის ბაგეს;  
ოსტატი კი ანთებული  
შვაში აქანდაკებს.

\* \* \*

თეთრი ლამე ფანჯარაზე ყინულივით დნებოდა,  
ნაზი ია დილის სიოს მორცხვად ეუბნებოდა:

— მითხარ რისთვის შეგიყვარდი?  
ფიქრმა ლამის დამლია.  
— რა ვქნა, რა ვქნა, რომ ხარ კარგი,  
განა ჩემი ბრალია?

დილა იყო, ფანჯარაზე ლამე ალარ დნებოდა;  
ია მორცხვად სიოს ისევ იმას ეუბნებოდა.

## მაშ, რა მექნა?

იმ დღეს ინსტიტუტში ჩოგორლაც დილით ადრე მომიხდა მისვლა. დერეფნები და აუდიტორიები ცარიელი იყო. სიჩუმე სუფევდა. მხოლოდ მესამე სართულის გრძელი დერეფნის ბოლოდან ისმოდა ლაპარაკი — ეს, ალბათ, კომენდანტი ესაუბრებოდა დამრავებელს.

აუდიტორიაში შევედი და ფანჯარა ვამოვალე. ოთახში გაზაფხულის სუნთქვა შემოიჭრა. ტყემლისა და ატმის კვირჩები აფეთქებულიყვნენ და ქალაქი საქორწილო კაბაში გამოწყობილ პატარძალს ჰგავდა. სანაპიროდან ნიავგა წამოუქროლა და ყვავილები ააფორიაშა. გეგონებოდათ, გათოვდაო გაზაფხულის ამ ნათელ დილას.

ფანჯარასთან ვიდექი და ვფიქრობდი, არ მახსოვს რაზე — შეიძლება გაზაფხულის მაცოცხლებელ ძალაზე, შეიძლება სიყვარულზე ან ჩემი ქალაქის სილამაზეზე...

უკებ კარგ გაიღო, ოთახში ჩემი თანაკურსელი გოგონა ნათელა მხეიდე შეშინიჭრა, შემოიჭრა და სიცოცხლე და სიხალისე შემოიტანა. სახე ანთებოდა, თვალები აღტაცებით უბრწყინავდა. ხელში იების კონა ეჭირა.

— ოჳო, ჩენენს მეოცნებე დემნას სიცოცხლე და გამარჯვება! — შესძახა მან — თითქოს ბროლის ჭურჭელშა დაიწყრიალაო.

ლიმილით ვუპასუხე.

ნათელას ფეხდაფეხ შემოყვნენ სხვა გოგონები, მერე ვაუებიც გუნდ-გუნდად შემოვიდნენ. ოთახი სიცილ-კისკისითა და ხმამალალი ლაპარაკით აივსო. ეს სიცოცხლით სავსე ურიამული განსაკუთრებით შესამჩნევი იყო გაზაფხულის ამ თვალწარმტაც დილას.

ხალისიანი განწყობილება ვერც ლექტორის შემოსვლამ დაარღვია. კაცმა რომ თქვას, სად გაზაფხული და სად უმაღლესი მათემატიკა! პატივცემული ნიკოლოზი წრფივ თუ ორჯერად ინტერალებზე ლაპარაკობდა — კარგად არ მახსოვეს. სხვა დროს ზოგიერთ სტუდენტის, ჩვეულებრივ, მთქნარებას დააწყებინებდა, მაგრამ ახლა (შეიძლება ამასაც გაზაფხულს უნდა ვუმაღლოდეთ), თითქმის ყველა დაფას უქცერდა, თუმცა, ცოდვა გამუღავნებული ჯობია, ბევრი არც კი უგლებდა ყურს ლექტორს, მათ შორის მე და ჩემი მეგობარი სოსო მესხი.

სოსო საერთოდ დინჯი და უწყინარი ჭაბუკი იყო, მაგრამ ბოლო ხანებში მეტისმეტად მოიწყინა. მიზეზი არ მიკითხავს, თვითონ კი არ გამიმხილა.

ახლა სდუმდა, მაგრამ ეტყობოდა ლექციას არ უსმენდა. მის მზერას თვალი გავაყოლე და გაკვირვებით კინაღამ შევვეირე: სოსო ქურდულად ნათელა შეიძეს უყურებდა. გოგონას მაგრად მოეკუმა. ლალისფერი ტუჩები, იების

კონა რვეულთან იდო, მაგიდისაკენ ოდნავ გადახრილიყო და გამალებით იწერდა ლექციას.

სოსოს მხარზე შევეხე, თავით ნათელასკენ ვანიშნე და თვალი ჩავყარი. მხრები აიჩეჩა. მაშინ რვეულის გარეკანზე სამი სიტყვა დავწერე: „მიგიხვდი, ჩემო მოხევევ“, და წინ დავუდე. მან წაიკითხა. შევნიშნე, როგორ გაწილდა. რვეული გადააბრუნა და დაფას მიაჩერდა.

ამოვიოხხე, ვიცოდი, ნათელა რომ სხვას ეტრონდა, მეოთხეკურსელ ფრიადოსან სტუდენტს. სოსო შემებრალა.

დასვენებაზე ამხანაგებს შევერიე, ჩემი აღმოჩენის ამბავი კიდეც გადამავიწყდა. ნათელას კონიდან ორთი და წავართვი, ხშირად დავყნოსავდი ხოლმე. მერე ყოველგვარი წინასწარგანზრახვის გარეშე, ფრთხილად გაეპატიორე და სოსოს რვეულში ჩავდე, თეორიული მექანიკის კონსპექტში...

შინისაკენ ერთად წავედით. ჩემდა გასაკვირველად, სოსო საუცხოო ხასიათზე იყო. ხალისით მიაბიჭებდა, ყველაფერი ახარებდა — ლურჯი ცაც, აყვავებული ხეებიც, ლამაზი ქალიშვილის დანახვაც.

— კარგია გაზაფხული. — აღმოხდა და ვიგრძენი, რომ ამით ყველაფერი თქვა.

მე ჯერ არაფერი ვუთხარი ლექციაზე მომხდარი ამბის შესახებ. ლენინის ქუჩაზე რომ შევუხვიეთ, შევაჩერე.

— არაფერს მეტყვი?

განგებ გაიკვირვა:

— რა უნდა გითხრა?

მე გამომცდელად შევუურებდი. თვალი გამისწორა, მერე მხარზე ხელი დამკრა და გაიცინა..

— გითხრა?

— თუ არ გსურს, ნუ მეტყვი. — გავიბუტე. — ისედაც ცხადია ყოველივე.

— ცხადია? — უჩვეულო გაცხარებით შემომედავა. — შენ რა იცი, რომ ცხადია? ცხადიაო!.. მე თვითონ არ ვიცოდი აქამდე, რომ ყველაფერი ცხადი იყო. — ის იყო მოთმინება დამაკარგვინა ამ „ცხადმა“, რომ სოსომ საყელოში ხელი ჩამავლო, მიმიზიდა და ჩამჩურჩულა: — ნათელა თანამიგრძნობს, დემა, გესმის? — ნათქვამის დასადასტურებლად თეორიული მექანიკის კონსპექტი გადაშალა და ორი ცისფერი ყვავილი დამანახა.

„ჩემი იები-მეთქი!“ — კინალამ შევძახე. თავი შევიკავე და ვკითხე:

— ეს რას ნიშანებს?

— რა მიუხვედრელი ხარ! — გაჭავრდა სოსო. — ვერ შენიშნე? მთელ დღეს იების კონა ეჭირა ხელში ნათელას...

ბაგზე ვიქბინე. შემებრალა გამიჯნურებული ამხანაგი, ვერაფერი ვუთხარი. ლიმილით მივულოცე, დავემშვიდობე და ავტობუსის გაჩერებას მივაშურე.

მაშ, რა მექნა?

ე, გაზაფხულია ყველაფერში დამნაშავე.

## თხუთმეტი წრის შემჩერება

ზღვისკენ გადახრილი მხურვალება-დაკარგული მზე ლივლივა სხივებს ნელნელა აფენდა წყალში.

ბავშვობილანვე მიყვარდა ჩამავალი მზის ცქერა. მოვიყრიდით თავს ბიჭები, გავიღოდით სოფლის ბოლოს, ზღვაში შეჭრილ ამწვანებულ ბორცვზე გადავდგებოდით და შორს, უსაზღვრო სივრცეში ვაცქირებოდით.

ათასნარი კითხვები აგვეშლებოდა მაშინ პატარებს: რატომ არ ქრება მზე ზღვაში? რატომ ჩადის იგი ერთ მხარეს და ამოდის მეორე მხრიდან.

როცა წამოვიზარდე, ყველაფერი გავიგე და ვიცოდი, მაგრამ ჩამავალი მზის ცქერა კალავ ისევე მსამოვნებს. ვზივარ და ვიცქირები სივრცეში, წინ ოვალუწვდენი სილურჯეა აბიბინებული, უკან კი სიმწვანეში ჩაფლული ჩვენი სოფელი. იქვე მახლობლად სანატორიუმის თეთრი შენობა გამოკრთის მარად მწვანე ხეებს შორის; მარცხნივ, ქვემოთ ლიანდაგი მიიყლავნება და გვირაბის ბნელ ხახაში იკარგება.

მზე ნელა მიექანება ქვემოთ. ვიღრე ზღვის პირს შეეხება, ბურთს ჰგავს, შემდეგ დამხობილ ქვაბს ემსგავსება, ხან ვეება სოკოს, ხანაც აბაურის ვამსავებს.

უკანასკნელად რომ სოფელში ჩამოვედი, ყველაზე უწინ ეს ჩემი საყვარელი ბორცვი მოვინახულე.

წინანდელთან შედარებით, ახლა უფრო მშვენიერი მეჩვენა აქაურობა. უკეთ მოვლილი და კეთილმოწყობილი. ირველივ ჩუქურთმიანი ყორე შემოველოთ, ჯაგნარი გაეკაფათ და ლამაზი უვავილები დაერგოთ, აქა-იქ გრძელი სკამები ჩაედგათ და ოდესლაც ველური ბორცვი მშვენიერ დასასვენებელ კუთხედ ექციათ. ბებერი პალმა, რომელიც აქაურობის ერთ-ერთი სამკაულს წარმოადგენდა წინათ, უფრო გაზრდილიყო და აშოლტილიყო.

მომინდა აქაურობის ნახვით გამოწვეული სიამოვნება ვინმესათვის გამეზიარებინა. მივიხედე, და თითქოს ბედად, იქვე ახალგაზრდა ნაძვის ძირში მიდგმულ სკამზე ჩამომჯდარი შუა ხნის კაცი შევნიშნე. მას საკამად სრული თეთრი ხალათი ეცვა, (ასე გამოდიან ხოლმე სანატორიუმის დამსვენებლები სასეირნოდ), სამხედრო ყაილის მომწვანო ფერის შარვალი გვერდით ლურჯანტებჩაყოლებული. ამ კაცის სახე ნაცნობი მეჩვენა და დავინტერესდი.

„ვინ უნდა იყოს“? — გავითიქრე და ნელნელა მისკენ წავედი. რაც უფრო ვუახლოვდებოდი, მით უფრო იზრდებოდა ჩემი ცნობისმოყვარეობა. „მავალ და გამოველაპარაკები“ — გადავწყვიტე ბოლოს, მაგრამ მან დამასწრო, პირდაპირ შემომხედა, ნაცნობივით გამიღიმა. და გამელაპარაკა.

— მომხიბლავი ადგილია, არა? — ძალიან. — მივუგე მე და მივუახლოვდი. — ამ კუთხეში იშვიათია ასეთი მღებარეობა.

— მართალია.—დამიღასტურა მან.— კარგად იცნობთ ამ მხარეს?

— რასაკირველია. თვითონ აქაური ვარ, აქ შობილი და გაზრდილი.

— მართლა?! — უფრო დაკვირვებით შემომაჩერდა. — მე კი ჩემებრ სტუმარი მეგონეთ. მშვენიერი სოფელია. — ციტრუსებისა და პალმების ხეივნებში ჩადგმული სახლებისაკენ გაისძა, მაგრამ უეცრად რაღაც მოაგონდა და შევატყვე სახე დაუნალვლიანდა.

— თხუთმეტი წელიწადია აქეთ არ გყოფილვარ. — დაბალი ხმით წარმოთქვა მან. — დიდი დროა, ჩემო კარგო თხუთმეტი წელიწადი, ძალიან დიდი. რამდენი რა მოხდა, რამდენი რა დაკვეთდა, რამდენი რა შეიცვალა... — ცოტა ხანს ჩუმად იჭდა, შემდეგ ჭიბისაკენ წაიღო ხელი და თითქოს თავისოფეის ჩაილაპარაკაო. — თან წამოვიდე. — შავი კონვერტი ამოილო და გამომიწოდა. — რომ იცოდეთ, რა ღრმად ჩამრჩა ხამრჩა ხსოვნაში ის ზაფხული...

უცნობი ლაპარაკობდა იმ ადამიანის ხრით, რომელსაც სურს ვინმეს თავისი დარღები გაუზიაროს და ამით გულწევები შემოწოლილი სევდა შეიმსუბუქოს.

მე კონვერტიდან სურათები გამოვაცურე და გავშალე. ჩემი ყურადღება განსაკუთრებით ერთმა მათგანმა მიიპყრო. ორ ახალგაზრდა ვაჟს შუა მოღიმარი ქალიშვილი ჩამდგარიყო. ახლა მეორე სურათს დავხედე. აქ ერთი ვაჟი, იგროვე ქალიშვილი და მათ შინ პატარა, წითელყელსახვევიანი ბიჭი იდგა.

— ესენი ხომ... — უნებლიერ წამო-

გიძახე მე და ჩემს თანამოსაუბრება შევხედე.

— ერთი მათგანი მე ვარ. — ღიმილით მითხა უცნობმა. — ესენი კი ჩემი მეგობრებია...

— დას, ეს თქვენ ხართ. — თავ-შეუქავებელი აღტაცებით აღმომხდა მე. — ესენი... ეს ხომ ნატალია სი-დოროვნაა? ეს კი...

— დაიცათ, დაიცათ, ეს როგორ?! — გაოცებით წამოიძახა უცნობმა და თვალებში შემომაჩერდა. — თქვენ საიდან იცით?

— როგორ თუ საიდან, ვასთა პავლოვიჩ! ეს სურათი ხომ მე გადაგრძეთ? ეს პატარა ბიჭი ხომ მე ვაჩ?

— მაღროვეთ, მაღროვეთ! — მაჭაზე წამავლო ხელი, სურათი ხელიდან გამომტაცა და დააცემერდა. — დავიკერო ეს მართალია? — კარგა ხანს აკვირდებოდა სურათს. — დიას, დიას, მართალია; ეს თქვენა ხართ! უკეთ რომ ვთქვათ, ის პიონერი ბავშვია, მაგრამ მე რომ თქვენი სახელი...

— ანდრო. — მოვაგონე მე.

— აჲ, ანდრუშა! — იგი ფეხზე, წამოიჭრა, ორივე ხელი მომხვია და გულში ჩამიკრა. — ჩემო კარგო, ჩემო კვთილო ბიჭუნა... თუმცა რაღა დროს ბიჭუნაა, ვაჟეკაცი გამხდარხარ, ნამდვილი ვაჟეკაცი.

— დიას, ვასთა პავლოვიჩ, შეიძლება ითქვას, რომ კაცი ვარ, რაღანერთი ბიჭუნა უკვე მყავს.

— მართლა? — სიხარულით წარმოსთქვა მან. შემდეგ დაფიქრდა და დაუმატა. — რარიგ ჩქარა და შეუმჩნევლად მიდის დრო! თითქოს გუშინ მომხდარიყოს ყოველივე.

... და ძველმა ნაცნობებმა ჩვენი და მეგობრების ამბავი მოვიგონეოდ.

\*\*\*

ეს იყო ათას ცხრაას ორმოცი წლის ზაფხულზე. ყელზე პიონერული წითელი ყელსახვევით მარდად მივაბიჯებდი ჩვენი სოფლის ვიწრო ბილიკით. ის იყო ჩემ საყვარელ ბორცვს მივუახლოვდი, რომ მხარული სიცილ-კისკის მომესმა და იქითკენ მივიხედვე. ბებერი პალმის ქვეშ ორი ახალგაზრდა სამხედრო პირი და ერთი ქერათმიანი ქალი იდგნენ და ერთმანეთს სურათს ულებდნენ. ბაჟშვერმა ცნობისმოყვარეობამ გამოტაცა, დავდექი და ცქერა დავუწყე.

მალე შემამწინეს. ერთმა მათგანმა შიმისმო, თავზე ხელი გადამისვა და ვინაობა მკითხა.

მე სახელი და გვარი ვუთხარი.

— ანდრუშა. — გაიმეორა ჩემი ნათქვამი ერთმა მათგანმა, რომელსაც ვასილ პავლოვიჩს ეძახდნენ. — სურათის გადაღება არ შეგიძლია?

— თუ ამისსნით, აპარატი როგორ უნდა დავიჭირო და რა გავაკეთო... — მრვუგე მე.

— რასაკვირველია, გასწავლით. — მითხრა მან. ფოტოაპარატი გაღმომცა, ობიექტივი გაუსწორა, საჭვრეტში ჩამახდა, ამისსნა, როგორ დამეყუნებინა და გადალებისას როგორ მოვქცეულიყვი. შემდეგ წავიდა, თავის მხლებლებთან მივიდა, გვერდით ამოუღამათ და მანიშნა, სასხლეტ ღილზე თითო დააჭირე.

დავალება კარგად შევასრულე. როცა მათი სურათის გადაღება დავასრულე, ახლა ჩემთან ერთად ისურვეს სურათის გადაღება, ჩამიყენეს შუაში და რიგჩივობით ენაცვლებოდნენ ერთმანეთს. ხან ერთი იღვა აპარატმომარჯვებული, ხან მეორე, უფრო ხშირად კი ვასილ პავლოვიჩი გვიღებდა.

ამ დღის შემდეგ დავმეგობრდით. ისინი ჩვენი სახლის მახლობლად, სა-

ნატორიუმში ისვენებდნენ. დღის ბეტნაში ზღვაზე ატარებდნენ და მეც მათი თანამგზავრი ვიყავი. ხშირად შე, ვასილ პავლოვიჩი და ანატოლი ისე შორს გავცურავდით ზღვაში, რომ ნატალია სიღოროვნას შეწუხებული ძახილიც არ გვესმოდა.

საღამოობით ჩვენს საყვარელ ბორცვთან შევიტობებოდით, იქ მწვანეზე ჩამოვსხდებოდით, ჩამავალ მზეს ვუცეკრდით და მისი სილამაზით ვტკბებოდით.

ყველასათვის სასურველი თანამგზავრი ვიყავი, მაგრამ განსაკუთრებით ვასილ პავლოვიჩს უყვარდა ჩემთან ჩეტიალი. წამიყოლიებდა მახლობელ მთებში მეგზურად, მატარებდა ტყეში, პლანტაციებში, მახლობელ სოფლებში. ანატოლი და ნატალია სიღოროვნა ხშირად იმარტოვებდნენ თავს. მე არ ვაცოდი ამ სამ აღამიანს შორის რა კავშირი იყო...

— იმ დროს მე და ანატოლი ავიაცის ახალგაზრდა ოფიცირები ვაყავით. — ამისსნა ვასილ პავლოვიჩმა. — ანატოლი ტანიასთან იყო გამიჯნურებული და მე, როგორც კარგა მევობარი ხელს ვუწყობდი მათ. გადაწყვეტრელი გვქონდა მეორე წელსაც აქ გაგვეტარებინა ზაფხულა, ხოლო აქედან პირდაპირ მოსკოვში წავსულიყავით და ტანიასა და ანატოლის სურვილებისათვის ფრთები შეგვესხა.

ასე ვფიქრობდი მე. ასე ფიქრობდნენ ისინიც, მაგრამ მოულოდნელად ომი დაიწყო და ჩვენი განზრახვა შეიცვალა.

მე და ანატოლი პირველ დღიდან ჩავებით ბრძოლებში... ტანია ზურგში დარჩა. იგი მოსკოვში მუშაობდა მასწავლებლად.

სამი წელი მე და ანატოლი ერთად ვიბრძოდით. მრავალჯერ მოვხველრილ ვართ საფრთხეში. სიკვდილის პირისპა-

რაც ბევრჯერ ვმდგარვართ, მაგრამ ყოველთვის გამარჯვებული გამოვდიოდათ.

ზაფხულის ერთ საღამოს მტრის ზურგში საბრძოლო დავალებით გავფრინდით. გამანადგურებლები ყუმბართმშენებს მივაცილებდით მტრის ერთ-ერთი დიდი ობიექტის დასაბომბავად. სულ ათი მეგობარი მივცურავდით ცაზე. დანიშნულ ადგილამდე ჯერ კიდევ საკმაო მანძილი იყო დარჩენილია, როცა მოულოდნელად ჩვენს მოპირდაპირე მხარეზე შავი წერტილები დთამაშნენ.

— ვასიკ, ხედავ ფაშისტებს? — მესმის ანატოლის ხმა.

— ყოჩაღად იყავი! — ჩავდახი მიკროფონში პასუხად. მღელვარება მიპყრობს, მაგრამ ვცდილობ თანამებრძოლებს თავი მშვიდად მოვაჩენო. ბრძოლაში ჩაბმისათვის საჭირო ბრძანებას ვიძლევი და ცაზე საირჩოდ ვლაგდებით. უკვე გარკვევით ვხედავ მტრის თვითმფრნავებს.

— ვასიკ, გახსოვს ზაფხული საქართველოში, შავი ზღვის პირას? — ცვლავ ისმის ანატოლის ხმა ყურმილში.

— რა დროს მოგონებებია, ტოლი! — გაჯავრებით ვპასუხობ მე. — ფხიზლად იყავი! ხომ ხედავ...

— ომს რომ მოვრჩებით კვლავ იქთქენ გავინავარდებთ. — არ ისვენებდა ანატოლი.

ახლა ჩემი პასუხი უფრო მკაცრი და სასტიკია. უცნაურად მეჩვენება მისი ასეთი საქციელი, თუმცა არ მიკირს, რაღაც იცის ხოლმე მან ასეთ დროს გამოხუმრება.

— ვასიკ, ჯავრობ! — მესმის ყურმილში მისი სიცილი. — პირველად ხომ არ ვართ ცაში... არა უშავს. ჯერ ჯიდევ დრო გვაქვს.

— გეყოფა! — ბრძანების კილოთი შივმართებ მე.

— ჯარგი, კარგი, ნუ ჯავრობ ვასენკა, — მორჩილად პასუხობს იგი. — ვჩუმდები. და ჩემმა ტყვიამფრქვეველმა ილაპარაკოს. მისი ღროა... გახსოვს მაიაკვსკი? „სიტყვა შენ გეკუთვნის მაუზერ!“ ჰო. ახლოს არიან. სიტყვას ვაძლევ ტყვიამფრქვევს, რა ბლომად არაან არამზადები! — და ანატოლის ხმა წყდება.

მფრინავები მზად ყოფნას მომახსენებენ. მე მორიგ განკარგულებას ვიძლევი და საბრძოლველად ვემზადები.

უჩვეულოდ ვლელავ. ათის წინააღმდეგ ოცდახუთი მოდის. ყველაფერი სისწრაფესა და მოქნილობაზეა ღამოკიდებული. აქ დროს ყველაზე მცარე მონაცემთი წყვეტს საკითხს. წამიც დიდია, ისიც უნდა შემცირდეს რამდენიმე ათეულწერ.

მტრის საბრძოლო მდგომარეობას ჩვენ საპასუხო ვირაჟებით შევეგებეთ. ამ დროს ცეცხლიც შემოგვთავაზეს და გავიწვაეს.

ცეცხლს ცეცხლითვე გავეცით პასუნი. მალე მათი ორი თვითმფრინავი და-ეშვა ცეცხლის ალში გახვეული.

მარჯვედ და ოსტატურად იბრძვიან ჩვენი შევარდნები... უთანასწორო ბრძოლა გაჩაღდა. ყველაფერი ერთმანეთში აირდათია. ფიქრი და მოქმედება ერთმანეთს შეერწყა, გაერთიანდა.

ცა გაშავდა და ჩამობნელდა. ირგვლივ ცეცხლის ენები ტრიალებენ. ოთხი თვითმფრინავი კიდევ ჩავიწერეთ შემოსავალში. ალბათ მალე გავთანაბრძებოდით რაოდენობით. ბრძოლა შემდეგ გვითხონ... ჯერჯერობით უვნებელნი ვართ. კარგად ვგრძნობთ თავს, მაგრამ უცებ ვამჩნევ, რომ ანატოლის თვითმფრინავი შემორკალეს წყეულებმა და საფრთხე შეუქმნეს. მისაშველებლად გავეშურე... უცერად ანატოლი დაუძრა რკალიდან, მტრის თვითმფრინავს

ზურგში მოექცა და ზუსტი ჭერით და-  
ცხრილული და ალმოდებული „მესერ-  
შმიტი“ მიწისკენ გაუშვა. ასლა მეორეს  
გამოუდგა, მაგრამ ამდენი აღარ ადრო-  
ვეს, კვლავ შეკრეს რკალი მის ირგვ-  
ლოვ და დაუშინეს. ანატოლი ახლაც  
ოსტატურად დაუძვრა რკალს, მაგრამ  
უკვე ცეცხლმოდებული თვითმფრინა-  
ვით.

— ვასიქ, ვასიქ, — მესმის მისი  
ძლიერი ხმა. — ჩამომაგდეს წყეუ-  
ლებმა.

— ანატოლი, ანატოლი! — ვეძახი  
შე. — გადახტი, თავს უშველე!

— შეუძლებელია, ქვემოთ მტე-  
რია. — მპასუხობს იყო.

მე ვხედავ, როგორ ცდალობს ცე-  
ცხლმოდებული თვითმფრინავი ჰაერში  
შეაჩეროს, წონასწორობა შეუნარჩუ-  
ნოს, უკანასკნელად კიდევ შეებრძო-  
ლოს მტერს, მაგრამ თავს ვერ იჭერს  
და მოსხლეტით ეშვება.

— ანატოლი, ანატოლი! — არაადა-  
მიანური ხმით ვყვირი და თვითმფრი-  
ნავს რთულ ვირაებში ვაგდებ.

— ვასიქ, ვასიქ! — მესმის ანატო-  
ლის ხმა ნაშევეტ-ნაშევეტად. — მტრის  
გამაგრებული უბნისაკენ მივდივარ...  
სალამი მოსკოვს, სტალინს, ჩვენებს!...  
ვასკა, ტანიას მიხედე... ნახვამდის...  
მაგრამ რას ვამბობ... მშვიდობით,  
მშვიდობით, ვასკა... — და სხაპასხუ-  
პით ნათქვამ სიტყვებს ვაჟკაცური  
ხარხარი მოჰყვა. ვის დასცანოდა მაშინ  
ის, თავისთავს, მტერს, სიკვდილსა თუ  
სიცოცხლეს ამის გამოცნობა ძნელია,  
შეგრამ მე ვაცი, რომ ანატოლი მეტად  
ღიღი ბუნების ადამიანი იყო, მტკიცე,  
შაგარი ნებისყოფის.

— ანატოლი, ანატოლი!.. — განვაგრ-  
ძობ მე ყვირილს და თვითმფრინავს  
წალმა-უკულმა ვატრიალებ... თავბრუ  
შეხვევა, თვალებში ნაპერშელები-  
ტრასლებენ...

არ ვიცი, მიწვდა თუ არა ჩემი ხმა  
ანატოლის. მე ვხედავ მიწას უახლოვ-  
დება ცეცხლისა და კვამლის გრძელი  
სვეტი. ვიცი, რომ შიგ ცოცხალი აღა-  
მიანა გახვეული, რომ შეიძლებოდეს  
მისი იქიდან გამოყვანა — გადარჩენა,  
იცოცხლებს, ისუნთქავს... მაგრამ...  
ხსნა არსაიდან...

რამდენიმე წამი და ყველაფერი გა-  
თავდა. მიწიდან კვამლის, ცეცხლისა  
და ნანგრევების უზარმაზარი სვეტი  
ალიმართა, წამით ჰაერში შეჩერდა და  
შემდეგ ისეთი გრიალით დაეშვა ძირს,  
რომ დედამაწის ზანზარმა ჰაერიც შე-  
არყია.

...იმ აღგილას, სადაც რამდენიმე წა-  
მის წინ მტრის გამაგრებული უბანი  
იყო, ახლა ყველაფერი ნამსკრევად  
ქცეული ეყარა. ყველაფერს ცეცხლი  
ედებოდა და იფერფლებოდა... და იმ  
ნანგრევებსა და ნაფლეთებს შორის  
იწვიდა ჩემი მეგობრის, მამაცი მფრინა-  
ვის ანატოლის მღელვარე გული.

...ვასილ პავლოვიჩიმა თვალებში მო-  
მდგარი ცრემლი ცხვირსახოცით მოი-  
წმინდა და ამოიხრა.

ჩვენ დიდხანს ვდუმდით. არ ვაცი,  
ვასილ პავლოვიჩის გულში რა ცეცხლი  
ტრასლებდა, მაგრამ მე ვფიქრობდი  
იმ მძიმე დღეებზე და გასაჭირზე, რაც  
კიცობრიობამ გადაიტანა. ვფიქრობდი  
იმ საფრთხეზე, რომელსაც კვლავ  
უქმნიან მშვიდობისმოყვარე ხალხს  
ომის გამჩალებლები.

— ნატალია სიღოროვნას რა  
იცით? — კარგა ხნის შემდეგ და-  
ვარღვიე სიჩუმე.

— მოსკოვში ცხოვრობს. — მოკ-  
ლედ მომიგო ვასილ პავლოვიჩიმა. —  
მას პატარა ანატოლი ჰყავს... არ გა-  
უმტკუნებ... ფიქრობდა სამუდამოდ  
შერჩენდა პარველ სიყვარულს, მა-  
გრამ ნაცნობ-მეგობრებმა არ მოუწო-  
ნეს. გათხოვდა. ქალ-ვაჟი ჰყავს...

— თქვენ? — გაუბედავად ავხედე  
შეს.

— ჯერჯერობით კვლავ თავისუფალი  
ვარ. თუმცა... იქნებ ვაღა გასულია ყვე-  
ლაფერი.

— რას ბრძანებთ. თქვენ...

— ორმოცდასუთს გადავაბიჭე. —  
ოდნავ დანაწებით მიპასუხა მან. —  
ფუქსავატურად მაინც არ ვატარებ დღე-  
უბს. ორ ობოლ დისმერის ვზრდი და  
ვპატრონობ. ერთი მათგანი წელს შე-  
ვღდა საფრენოსნო სკოლაში. რა ვუ-  
ყოთ, თუ საკუთარი ოჯახი ვერ შევქმე-  
ნი. განა მარტო მე დავზარალდი? მი-

ლიონების აწყობილი ოჯახი და ცხოვ-  
რება არია და მოშალა იმ წყეულმა  
ომმა... ალბათ ჩემი მეგობრები მეტე-  
ბენ. — სანატორიუმისაკენ მიიხედა  
მან — თუ არ დაიზარებთ, გავისეირ-  
ნოთ.

— იმ პირობით, თუ იქიდან ჩემს  
ოჯახშიაც წამოხვალთ და ჩემს პირ-  
მშოს გაიცნობთ. — ღიმილით ვუპა-  
სუხე მე.

— სიამოვნებით, სიამოვნებით. —  
მხიარულად მითხრა მან, მკლავში ხე-  
ლი გამომდო და ორივენი პალმების  
ხეივანს შევყევით.

## ამღერდი გულო

მე დავიბადე შავი ზღვის მკერდზე,  
გამოვუჩრდიგარ მის სუფთა ნიავს,  
იგი მღეროდა ჩემს მომავალზე  
და მისთვის გულსაც ზღვაური ჰქვიან!..

დიახ, ზღვისპირელს გამომყვა ზღვიდან  
ტალღისებური მარადი შფოთვა,  
დაბადებილან, —  
ყრმობის წლებიდან  
მე შემიყვარდა ზღვის პირას ყოფნა!..

თითქოს ბათუმი ზვირთში ჩაფლულა,  
ბრწყინავს ლალი და იაგუნდები;  
ამღერდი გულო, მამა-პაპურად  
და ნურასოდეს ნუ დალუმდები!..

## ბარიძან მთაში

მგზავრს გულზე ნისლი მაღნება,  
ფეხი დამიცდა ბილიქზე...  
ნისლში გაბანილ ამ გულ-მკერდს  
მანდ შემიმშრალებს დილის მზე!..

რძისფერ ჭიუხში მივყვები  
გზას, ელვასავით დაკლაკილს;  
ვუმღერი დედა-ბუნებას,  
მესმის წყაროთა რაკრაკი!..

ბილიქს მოვყვები მთვრალივით,  
გაზაფხულს მკერდი გახსნია,  
ვეალერსები ყვავილებს  
და ვამბობ: — რა ლამაზია!

შემოვდგი ფეხი მთის ქიმზე,  
გული ოცნებით შეირხა,  
ჰა, მოვალწიე შენამდე,  
მაინც არ მესმის შენი ხმა.

მომაქვს ეს გული მთის მკერდზე  
ფართოდ გასაშლელ ხალიჩაღ,  
აგერ ნაპრალზე წყლის პირას,  
შენი თუ ირმის კვალი ჩანს!..

აჲა, ამოველ კიდევაც, —  
მე სხვა ხალისი არ მინდა,  
რომ მოვალწიე შენამდე  
შებინდებისას ბარიდან.

## შ ა ბ ა თ ო ბ ა ზ ე

კვირას ქალაქში გავისუირნე,  
იღვნენ ნერგები ყელმოლერებით  
და შესერდა ხალხი ხეივნებს  
ლალი ხმაურით და სიმღერებით.

ელავდა ბარი, როგორც აღმასი,  
ბოლავდნენ სველი მიწის ბელტები,

მე უცებ შემრცხვა ერთი ლაშაზის,  
რომ ასე უქმდა დავეხეტები.

...მზე შუბის ტარზე ისე გავიდა,  
რომ შესვენება ალარ ვინდომეთ;  
ჩვენ უცნობებად შევხედით თავიდან  
და მეგობრებად დავემშვიდობეთ.

## პაემანი წვიმაში

გაზაფხულის მომხიბლავი ავდარია,  
შორს ღრუბლები აიწერა გაფენილი,  
წვიმა მოდის, გაზაფხულის ლალი წვიმა,  
სარკესავით აელვარდა ქვაფენილი.

ჭადართან კი მოლოდინში გარინდულხარ  
ქალიშვილო, დაგისველდა ნაწნავები,  
წვიმა არის, თუ უმანქო ცრემლებია,  
მძივებით რომ დაგინამა წამწამები.

ალბათ ელი. მოლოდინი, პაემანი  
ყოველდღიურ სიამეზე ვერ გასცვალე,  
დრო გავიდა მეგობრისგან დანიშნული,  
სახლში შედი, გაცივდები გენაცვალე.

აღარ მოვა, რადგან ასე იგვიანებს,  
და ფიქრებით მასზე ნუღარ აღელდები.  
ნუ იტირებ, ნუ იტირებ ქალიშვილო,  
სახლში შედი, გენაცვალე, დასველდები.

მაგრამ აი, ის გამოჩნდა, აჩქარებით  
მოისწრაფის, გული მორჩა ნაწამები.  
ცრემლი? არა, ეს აპრილის წიმა იყო,  
ხელმანდილით შეიმშრალე წამწამები.

## ჯემალ ჩათაშავა

ყ ვ ბ ვ ი ღ ი

მინდვრის პაწია ყვავილო, შენი სიტურთე მაოცებს.  
მოვალ და მოგეფერები, მოვალ და ფრთხილად გაკოცებ.

მარტო არ მოგეწყინება? არ გინდა ჩემი ნუგეში?  
წამითაც არ მოგიცილებ, ტკბილად ჩაგიკრავ უბეში.

მინდვრის პაწია ყვავილო, შენი სიტურთე მაოცებს.  
მშობელო მიწის მშვენებავ, მოვალ და ფრთხილად გაკოცებ.

## სიყვარულს როდი გთავაზობ

როცა წითლდები, ლოყაზე  
ყაყაჩოს ცეცხლი ინთება.  
ეს კაბა იისფოთლება  
ჰოი, რარიგად გიხდება.

ვინც ერთხელ გნახავს, არასდროს.  
დაავიწყდები ლამაზო,  
სიცოცხლე მინდა გაჩუქო,  
სიყვარულს როდი გთავაზობ.

## ალექსანდრე ანაიძე

### წყაროსთან თქმული

ჩემი სოფლის წმინდა წყაროვ, შენი წვეთი მცირედი,  
განურებულ გულს მიგრილებს სიყვარულის იმედით-

იჩუხჩუხე, ყანის კიდე მინდა შემოგატარო,  
მსურს განახო ჩემი ყანა და სიმინდის ცხრა ტარო,  
იჩუხჩუხე, რომ ამ მოებზე ბაღნარები ახარო...

ყოველდღე რომ შენთან მოდის, ის გოგონა ვინ არი?  
ერთხელ მაინც შემომხედოს, ვნახო სახემცინარი.

იჩუხჩუხე, რომ ჩვენ ორნი მუდამ ერთად გვატარო,  
სულ ახარე ჩემი ყანა და სიმინდის ცხრა ტარო,  
შენით ხარობს ჭეჭილნარი, სიხარულის მაყარო,  
იჩუხჩუხე სიყვარულის იმედად რომ გატარო!

## მშვიდობა და მეგობრობა

რჩაორტაში

ერთი შეხედვით თითქოს ადვილია დიდმნიშვნელოვან მოვლენაზე წერა თვითონ საგანი, ობიექტი იძლევა ამის შესაძლებლობას: უამრავი მასალა, ღრმა შთაბეჭდილებანი, დაუვიწყარი შეხვედრები... მაგრამ მეორე მხრივ სწორედ ეგ მოზღვავებული სიუსვე გაძრკოლებს, როცა კალამს იღებ ხელში, დასცერი საწერ მაგიდაზე გადაშლილ სუფთა თაბახებს და იმდენი ნახულ-განცდილი იჩევა ერთმანეთში, რომ ალარ იცი, რაზე შეაჩერო ყურადღება, საიდან დაიწყო და რით დაამთავრო, ყველაფერი მნიშვნელოვნად მიგაჩნია, თვითეული ფაქტი იმდენად საგულისხმო გვონია, რომ დასავიწყებლად ვერ იმეტებ, აუცილებლად გინდა ქალალდზე გადაიტანო, სხვებსაც მოუთხრო და გაუზიარო.

აი ასეთი გრძნობა გეუფლება, როცა იგონებ ახალგაზრდობის მექენის მსოფლიო ფესტივალს, მოსკოვში გატარებულ დაუვიწყარ, მღელვარე დღეებს.

ჩვენი წერილი ვერ ასახეს ფესტივალის მთელ სიღიადეს, მას არც აქვს ამის პრეტენზია. იგი მხოლოდ ფესტივალის მონაწილის უშუალო შთაბეჭდილებანი, პირადად ნახული და განცდილია, რაც დღითი დღე გრძელებოდა მეხსიერებაში და ჟურნალისტის უბის წიგნაკში.

\* \* \*

...გვიან ღამით, დალლილ-დაქანცული, მაგრამ შთაბეჭდილებებით აღსავსე და

აღგზნებული დაბრუნდა ჯემალ გოგიტიდე ლუჟნიკის სტადიონიდან. ხუმრობა ხომ არ იყო! მხოლოდ წუხელ ჩამოვილა მოსკოვში, ისიც პირველად თავის სიცოცხლეში. ესეც საკმარისია, რომ თავბრუ დაგეხვეს; ახლა კიდევ ეს ფესტივალი, საზეიმოდ მორთული და გაჩირალდნებული დედაქალაქი და, რაც მთავარია, რაღაც ზღაპრული და გრანდიოზული სანახაობა — ფესტივალის საზეიმო გახსნა ლუჟნიკში ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე.

ბათუმის ტყავის ქარხნის მუშა ჯებალ გოგიტიდე პირველ ტურისტულ გუფთან ერთად რომ მოემგზავრებოდა მოსკოვის ფესტივალზე, წინასწარ იცოდა, თუ რა დიდი სანახაობის მოწმე გახდებოდა, მაგრამ რაც მან დღეს იხილა და მოისმინა, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭირბა.

...მთელი მსოფლიოს ასალგაზრდობის წარმომადგენელთა საზეიმო შევლელობა, მგზნებარე სიტყვები, თვალწარმტაცი სუიტა — „იხარე, ჩვენო ახალგაზრდობავ“, რომელსაც ასრულებდნენ თხუთმეტი მოძმე რესპუბლიკის ქორეოგრაფიული კოლექტივები, ყოველი მხრიდან შეძახილები სხვადასხვა ენაზე — „მშვიდობა! მეგობრობა!“... განა შეიძლება დაიმახსოვრო და ჩამოთვალო ყველაფერი, რაც დღეს ნახა ჯემალ გოგიტიდემ ლუჟნიკის დიდებულ სტადიონზე? ყოველივე ამის

შოკოლა კი ნამდვილად იქნება საჭირო, როცა ბათუმში, მშობლიურ საწარმოში დაბრუნდება.

საბჭოთა და უცხოელი კინოპერატორები იღებდნენ ფესტივალის საზემო გახსნას, მაგრამ საეჭვოა, რომ ჩვეულებრივი ზომის კინოფილმშა შესძლოს აღბეჭდოს ამ სანახაობის მთელი სიდიადე და გრანდიოზულობა. ამისათვის საჭირო იქნება ხუთი-ექვსი საათის ხანგრძლივობის ფერადი ფილმი, თუმცა ესეც არ იკმარებს ყველაფრის გადმოსაცემად:

საინტერესოა კინოაპარატის ობიექტივში შიაგნო თუ არა ასეთ სურათს: როცა სტალინის მაღალ ანძაზე აფრიალდა ფესტივალის ალამი და პარტიული შეიფრთხილა 25-ათასში მტრედმა, ტრიბუნიდან წაშოდგა ჩინელი ახალგაზრდა, რომელმაც გახსნა გალია და რედან გამოიტრენილი თეთრი მტრედი შეუერთდა სხვა მტრედების გუნდს.

პეკინის ოპერის თეატრის მსახიობები ლი შაო-სიანმა ცნობისმოყვარეებს თარგიშნის დახმარებით მოუთხრო ამ შეოცდასუთიათასერთე მტრედის ამბავი: პეკინიდან შობავალი მატარებელი ციმბირის ერთ-ერთ პატარა რკინიგზის სადგურზე შეჩერდა. ვაგონიდან ჩამოსულ ლი შაო-სიანს მიუახლოვდა ათითონმეტი წლის ბიჭუნა და გაუწოდა გალია მტრედით. „წაიღეთ ეს გალია და როცა ფესტივალი გაიხსნება, ჩემი მტრედიც აუშვით პარტია“, — ითხოვა მან. და აი ლიმ შეასრულა ბიჭუნას თხოვნა, შორეულ ციმბირში გამოზრდილი თეთრი მტრედი აუშვა მოსკოვის ზეცაში.

„მშვიდობა, მეგობრობა!“ — ახლა ეს ორი სიტყვა ყველაზე უფრო პოპულარულია მოსკოვში. ეს სიტყვები ფესტივალის დევიზია, მათში ჩაქსოვილია ის დიდი, კეთილშობილური გრძნობები, რამაც ყველა კონტინენტის

ახალგაზრდობის წარმომადგენლები შეჰყარა მექევსე მსოფლიო ფესტივალზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში.

იმ ისლანდიელმა ჭაბუქმა, საღოვანია კოლუმბზე რომ ჩაიარა ფესტივალის გახსნის დღეს, აღბათ, სხვა სიტყვა არც იცოდა რუსულ ენაზე, მაგრამ ისეთი გრძნობით გაიძახოდა — „მშვიდობა, მეგობრობაო!“, რომ ყველასათვის ნათელი იყო ამ ჭაბუქის ცხოვრების მიზანი და გულის ნაღები.

ერთმა ავტოგრაფებზე „მონადირე“ გოგონაშ თეთრ სუდარამოსებმული სულანელი დამამარტონებელა და ბლოკნოტი და კალმისტარი გაუწოდა. შავკანიანი სუდანელი მიხვდა, თუ რა უნდოდა ამ ცისფერთვალება ქალიშვილს, ლიმილით გაიძადრა და თეთრი კბილების ელვარებამ კიდევ უფრო კეთილი გახადა მისი სახე. შემდეგ კალმისტარი მოიმარჯვა და ხელის შეუჩვეველი მოძრაობით მარჯვიდან მარცხნივ გამოიყვანა საში ასო „Mir“ და მხოლოდ უმის შემდეგ დასვა ხელშერა.

ასეთ სურათს წააწყდებოდით მოსკოვის ყველა კუთხეში — ქუჩებში და მოედნებზე, თეატრებში და მუზეუმებში, სტალინებზე, მეტროში... ეს ავტოგრაფები, უცხოელი სტუმრები რომ ტოვებენ მოსკოვში, უბრალო ხელშერა კი არაა, იმის დასტური და საწინდარია, რომ ისინი არ დაუშვებენ ახალი ომის გაჩაღებას, იბრძოლებენ მშვიდობის საქმისათვის. ამბობენ, ერთ-მა ბიჭუნამ თავისებური რეკორდი და ამყარაო ავტოგრაფების შეგროვებაში. მის ბლოკნოტში მოგროვდა ფესტივალის მონაწილე ყველა ქვეყნის წარმომადგენლის და სპორტსმენის ხელშერა. მხოლოდ ერთი კვეყნის — კანადის წარმომადგენლის ავტოგრაფი აკლდა სიას. ეს არგუმენტი საკმარისი აღმოჩნდა სტალინის მკაცრი კონტროლიორები-

სათვის, რომლებმაც უბილეთო ბიჭუნა ახალგაზრდობის მესამე საერთაშორის სო თამაშობების საჭიიმო გახსნაზე გაატარეს. ერთადერთი სპორტსმენი ქალი მოაბიჯებდა კანადის სახელმწიფო ალმის ქვეშ. სტადიონიდან გასვლის წინ ის ბიჭუნა ბლოკნოტით ხელში წინ გადაუდგა კანადელს და მანაც მაყურებელთა ტაშის გრიალში შეასრულა ბიჭუნას თხოვნა.

მოსკოვში ამ დღეებში ლაპარაკობენ მსოფლიოს ყველა ხალხის ენაზე, მაგრამ ფესტივალზე შეიქმნა კიდევ ერთი ახალი ენა — მშეიდობისა და მეგობრობის ენა. რა ვუყოთ, რომ ესპანელს არ გაეგება კორეიელის, ან კიდევ ახალზელანდიელს არ ესმის რუსული ენა. ისინი ოთლად გადაინ ლექსიკონებით, სპეციალური ცნობარებით, ყესტმიძიებით, შუბლებასნილი ღიმილით, რომ ერთმანეთს შეფიცონ ძმობა და მეგობრობა, გააგებინონ თავიანთი მიზნები და მისწრაფებანი.

\* \* \*

ეს იყო ერთი მრავალთაგანი, ჩვეულებრივი შეხვედრა, როგორიც ყოველდღე ეწყობა ფესტივალზე. საქართველოს დელეგაციის წევრები უკვე შეხვდნენ დელეგატებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან და მაროკოდან, შვეიცარიან და ლაოსიდან, გერმანიის ფედერატიული რესპუბლიკიდან და ტაილანდიდან, ლუქსემბურგიდან და რუმინეთიდან... დღეს კი ისინი ხვდებიან ესპანეთის ახალგაზრდობის წარმომადგენლებს.

...სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს შენობა, კლუბის დარბაზი საზეიმოდაა მორთული. კედლებზე მოჩანს საფესტივალო პლაკატები, ტრანსპარანტები, ლოზუნები. ალისფერ ტილოებზე ესპანურად და ქართულად წარწერილია: „მხურვალე

სალამი ესპანელ მეგობრებს ქართველი ახალგაზრდობისაგან!“. დარბაზში არიან საქართველოს დელეგაციის წევრები, ფესტივალის მონაწილე მსახიობები, მომღერლები, მოცეკვავეები, მოსკოვში მცხოვრები ქართველები, დედაქალაქის ახალგაზრდა მუშა-მოსამსახურები, სტუდენტები.

შეკრებილი მხურვალე ტაშითა და კოცხალი ყვავილების თაიგულებით ეცვებებიან დარბაზში შემოსულ ესპანეთის დელეგაციის წევრებს. გასმის შეძახილები ქართულ, რუსულ და ესპანურ ენებზე: „გაუმარჯოს საქართველოს ახალგაზრდობას!“, „გაუმარჯოს ესპანელ ხალხს!“, „გაუმარჯოს მეგობრობას!“ ერთმანეთში ირევიან სტუმარ-მასპინძლები, იწყება გაცნობა, აფრიკოგრაფებისა და სუვენირების გაცვლა. რამდენიმე თარჯიმანი ყველას ვერ წვდება.

სტუმარ-მასპინძლები გარეგნულად იმდენად ჩამოგავენ ერთმანეთს, რომ უკვე ძნელი გასარჩევია, ვინ ქართველია და ვინ ესპანელი, მით უმეტეს, რომ ესპანელ ვაჟებს უკვე ნაჩუქარი თეთრი ნაბლის ქუდები ახურავთ. ერთი მოსკოველი ქალიშვილი, უცხო ენების ინსტიტუტის სტუდენტი, ბლოკნოტით ხელში უახლოვდება ქართული საესტრადო ორკესტრის „რეროს“ სოლისტს ზურაბ რცხილაძეს და ესპანურად მიმართავს მას:

— გთხოვთ, თქვენს ავტოგრაფს!

ზურაბს შეუშჩენებლად ელიმება და სანდომიან ქალიშვილს ატლეტს ავტოგრაფს. ქალიშვილი ერთი წუთით გაოცებული დასტერის ქართულ ასევებს, შემდეგ ხვდება თავის შეცდომას და ზურაბთან ერთად გულიანად იცინის.

კომკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანშა ვახტანგ გეგილია უთარჯიმოდ მოახერხა გაეფო ესპანურ ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილ

გიშრისფერთმიანი გოგონას სახელი და უკვე აღარ იცის რაზე ისაუბროს. მაგრამ ამ დროს ორკესტრს გამოჰყავს გასაჭირიდან. ვალსს ხომ ყველა ეროვნება ერთნაირად ცეკვავს...

შემდეგ ყველანი დარბაზში იკრიბებიან. სცენაზე ადიან ესპანეთისა და საქართველოს ახალგაზრდობის წარმომადგენლები. შეხვედრას შესავალი სიტყვით ხსნის საქართველოს ახალგაზრდობის დელეგაციის ხელმძღვანელი საქართველოს კომიკაშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნათელა ვასაძე.

— საქართველოს ახალგაზრდები თავს მასპინძლებაზ ვგრძნობთ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს დედაქალაქში და მოსკოველ მეგობრებთან ერთად მივესალმებით ჩვენთან სტუმრად მოსულ ესპანეთის ახალგაზრდობის წარმომადგენლებს. მოსკოვის ფესტივალზე თავი მოიყარეს სხვადასხვა ეროვნების, რწმენისა და პოლიტიკური შეხედულების ახალგაზრდებმა, მაგრამ ეს ხელს არ გვიშლის გავაგებინოთ ერთმანეთს ჩვენი ფიქრები და კეთილი სინდისით ვემსახუროთ მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცებას. დღევანდელი ჩვენი შეხვედრაც ამ დიად საქმეს ემსახურება.

შეკრებილნი დიდი ყურადღებით ისტენენ ესპანელი მეტალურგის ანტონიო ხილის გამოსვლას. იგი ლაპარაკობს მგზებარედ, ამაღლელებლად: — ფრანკოს რევიმი ახშობს დემოკრატიულ თავისუფლებას, ამიტომ ესპანეთის ახალგაზრდობას საშუალება არ ჰქონდა თავისი წრმომადგენლები გაეგზავნა წინა ფესტივალებზე. და თუ ახლა მოსკოვში იმყოფებიან ჩვენი ქვეყნის დელეგატები, ეს არა მარტო ესპანელი ახალგაზრდობის, არმედ საერთოდ მშვიდობისა და დემოკრატიის კიდევ ერთი დიდი გამარჯვებაა. მართალია ჩვენ ფა-

რულად ვართ ჩამოსული ფესტივალზე, მაგრამ გვეროდეთ, მეგობრებო, რომ ჩვენი დელეგაცია აქ წარმოადგენს ესპანეთის ახალგაზრდობის უმრავლესობას, რომელიც თქვენთან ერთად თავდადებით იბრძვის მშვიდობის დიდი საქმისათვის. ჩვენ განსაკუთრებულად მღვარებით ველიდით შეხვედრას საქართველოს წარმომადგენლებთან, რაღაც ბევრი რამ გაგვივნია ამ ქვეყნის შესახებ და ბევრი საერთო რამ გვაკავშირებს ერთმანეთთან.

ესპანელმა ქალიშვილმა ხოსეფინა გარსიამ საჩუქარი მიუძღვნა ქართველ მეგობრებს. საბასუხოდ ესპანელ სტურებს მიართვეს თეთრი ნაბადი, სურები და სხვა ქართული ეროვნული ნაკეთობანი.

შეხვედრის საზეიმო ნაწილი მთავრდება. იწყება კონცერტი, რომელიც მიჰყავს საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს სტალინური პრემიის ლაურეატს მედეა ჩახავს. გამოდიან საქართველოს შრომითი რეზერვების სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის მოცეკვავები. მათ ცვლის მომღერალთა ტრიო გოძიაშვილის, მაკარაძისა და დათუაშვილის შემადგენლობით. ფართო პროგრამა უჩვენა ქართულმა საესტრადო ორკესტრმა „რერომ“.

ესპანელი სტუმრები შეძახილებითა და მხურვალუ ტაშით გამოთქვამენ თავიანთ მოწონებასა და კმაყოფილებას. ქართული სიმღერებისა და ცეკვების გამო. განსაკუთრებით ამაღლვებელი იყო სცენა, როცა „რეროს“ ახალგაზრდა სოლისტმა ნაზი ღუმბაძემ ესპანურად მიმართა სტუმრებს და შეასრულა სიმღერა მათ შუობლიურ ენაზე. სტუმრების პატივსაცემად ესპანურ ენაზე იმღერეს აგრეთვე მარეს გოძიაშვილმა და ზურაბ რცხილიძემ.

შემდეგ სტუმრებმა დამსწრეთ უჩვენეს ესპანური ხალხური ცეკვები.

შესვენებისას კვლავ გრძელდება მე-  
გობრული საუბარი. სტუმარ-მასპინძლუ-  
რი კიდევ უფრო დაუახლოვდნენ ერთ-  
მანეთს. ესპანეთის პრესიდა და რა-  
დიოს ახალგაზრდა მუშაკები ინტერ-  
ეციუს იღებენ ქართველი დელეგატების  
საგან. ერთ-ერთმა რადიოკორესპონ-  
დენტმა შეიტყო, რომ საქართველოს  
დელეგაციაში არის ჩაის მკრეჭავი ქა-  
ლიშვილი. მან სწრაფად მონახა ქობუ-  
ლეთულა გული კაკალაძე.

— თქვენ საქართველოს რომელი  
კუთხიდან ხართ? — ეკითხება იგი გუ-  
ლის.

— აქარიდან.

— აქარიდან? — აქარა, აქარა... —  
იგონებს ესპანელი.

— ბათუმი. — მიეშველა გული...

— ო, ბათუმი!... შავი ზღვა, ნაერად-  
გური... — გაეხარდა ჭორესპონდენტი.

შემდეგ მან გული კაკალაძე მიკრო-  
ფონთან მიიწვია და თხოვა რამდენიმე  
სიტყვა ეთქვა ესპანელი ახალგაზრდე-  
ბისათვის გადასაცემად. გულიმ შეას-  
ტულა ეს თხოვნა და მისი გამოსვლა  
ფირზე აღიძეჭდა.

თარჯიმანს, სტუმრებთან საუბარში  
რომ გვეხმარება, მარტინ აურელიო  
ჰქვია. მან სრულიად პატარამ, კერ კი-  
დევ 1939 წელს, ფრანკოს ფაშისტური  
ამბოხების დროს დატოვა ესპანეთი.  
აქ, საბჭოთა ქვეყანაში, მარტინმა იპო-  
ტა მეორე სამშობლო. იგი წელს მოს-  
კოვის გეოლოგიურ-საკვლევ ინსტი-  
ტუტს აქტივურებს. თანამემამულეებთან  
შეხვედრის გამო მის სახეს ბედნიერე-  
ბის ღიმილი დათამაშებს, მშობლიური  
ანდალუზია და იქ გატარებული ბავშ-  
ვობის წლები თუ აგონდება!

მარტინი სიამოვნებით გვთავაზობს  
სამსახურს, თვითეულად გვაცნობს ეს-  
პანელ დელეგატებს, მათ საქმიანობას.

— მხოლოდ ეს მისი ნამდვილი სახე-  
ლი და გვარი როდა, — გდაფრთხია-

ლებს აურელიო, — ისინი იძულებული  
არიან დამალონ თავიანთი ვინაობა,  
რადგან სამშობლოში დაბრუნებულებს  
უსიამოვნება არ აცდებათ მოსკოვის  
ფესტივალზე ჩამოსვლისათვის.

და არ ვიცოდეთ ჩვენ, თუ რა  
ჰქვია სანამდვილეში მაღრიდელ მეტა-  
ლურებს ანტონიო ხილს, სტუდენტ ხო-  
სეფინა გარსიას, სრულიად ბავშვს ბე-  
რესტ ენრიკეს, რომელმაც იმ საღამო-  
ზე ისწავლა ათონდე ქართული სი-  
ტყვა, მოსკოვის ფესტივალზე ფარუ-  
ლად ჩამოსულ სხვა მამაც ესპანელ  
ჭაბუკებსა და ქალიშვილებს. მთვარი  
ისაა, რომ მტკიცედ გვერა, მათ მეერდ-  
ში ძეგრს თავისი მრავალტანჭული სა-  
მშობლოს პატრიოტისა და მშვიდობი-  
სათვის დაუღალავი მებრძოლის წრფე-  
ლი, მხურვალე გული.

შედარებით მცირერიცხოვანია ესპა-  
ნელთა დელეგაცია, მაგრამ სამშობლო-  
ში დაბრუნებულები, ისინი ათასებს და  
ათი ათასებს მოუთხრობენ ფესტივა-  
ლის ამაღლებებელ ამბებს, იმ დიდ  
და კეთილშობილურ იდეებს, რითაც  
ცხოვრობს და სულიგმულობს მთელი  
მსოფლიოს პროგრესული ახალგაზრ-  
დობა, იმ გულთბილ, მეგობრულ შე-  
ხვედრაზეც, მათ რომ მოსკოვში მოუ-  
წყეს მზიური საქართველოს ახალგაზრ-  
და შვილებმა.

\* \* \*

ეინ დათვლის რამდენი თეატრი,  
კლუბი, კულტურის სასახლე და საკ-  
კონცერტო დარბაზია მოსკოვში. ისი-  
ნი ამ დღეებში ახალგაზრდობის გან-  
კარგულებაშია, მაგრამ მათაც კი არ  
ძალუდო მოემსახურონ იმ მრავალ-  
რიცხოვან მხატვერულ კოლექტივებს,  
რომლებიც მსოფლიოს ყველა კუთხი-  
დან ჩამოვიდნენ საფესტივალო კონ-  
ცერტებში მონაწილეობის მისაღებად,

ჩაც მთავარია, ამ კონცერტებზე დასწრების მსურველთ.

საერთაშორისო კონცერტები მოსკოვში იმართება მოედნებსა და პარავებში სახელდახელოდ მოწყობილ ვებერთელა ესტრადებზე. არც ერთ კონცერტს არ ჰყოლია ამდენი მაყურებელი, არც ერთ მათგანს არ ღირსებია ასეთი წარმატება. დილიდან მოკიდებული შუალამებდე მძლავრი რეპროდუქტორებიდან იღვრება ცეკვა-სიმღრის ჰანგები მსოფლიოს ცველა ხალხის ენაზე.

...ლია ესტრადა პუშკინის მოედანზე. ირგვლივ ზღვა ხალხია, აივნებზეც და სახლის სახურავებზეც მოჩანან შაყურებლები. სცენაზე ერთმანეთს ცვლიან დღევანდელი საერთაშორისო კონცერტის მონაწილენი საფრანგეთიდან და რუმინეთიდან, კორეიიდან და შორეული ჩილიდან, მექსიკიდან და კუნძულ კიპროსიდან...

აი ამ სახუმარო ცეკვას „როცა მე ვქამ კოშბოსტოს“ ასრულებს ფრანგ სცენის მოყვარეთა ახალგაზრდული ანსამბლი, რომელსაც 150 წლის ისტორია აქვს. პერს სტუდენტთა კოლექტივი კი აქ, მოსკოვის ფესტივალზე, შეიქმნა იმ ახალგაზრდა პერეული ქალ-ვაჟებისაგან, რომლებიც ევროპის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობრნ.

მაყურებლები მქუჩარე ტაშით შეხვდნენ ესტრადაზე გამოხენილ პატარა ბიჭუნას. იგი სულ ცხრა — ათი წლის თუ იქნება, მაგრამ ბევრმა უკვე იცის, რომ ენე ვარგა თავის სამშობლოში საჭმალ სახელგანთქმული მუსიკოსი და დირიჟორია. და როდესაც უნგრელი ახალგაზრდობის სიმფონიური ორკესტრი ასრულებს ბერლინზის „რაკოცი შარში“ და უყურებ, თუ როგორი შთაგონებით დირიჟორობს პატარა ენეორკესტრის, უნებლივ გავიწყდება,

რომ იგი მხოლოდ ცხრა წლისაა და წელს გადავიდა მესამე კლასში.

...რეპროდუქტორებში დოლის ხმა გაისმა და საქართველოს ლენინური კომიკურის სახელმძიმე მოცეკვავეთა ახალგაზრდულმა ანსამბლმა სცენაზე სიცოცხლე და სიხალის შემოიტანა. რამდენი სინაზისარება ქართულ ასულთა მოძრაობაში, რა ვაჟკაცური შემართება და ტემპერამენტია ვაჟთა დავლურში! ფესტივალის საზეიმო გახსნის მეორე დღეს ცნობილი ბალერინა სსრკავშირის სახალხო არტისტი ოლღა ლეპეშინსკაია წერდა „პრავდაში“, მე არ ვიცი, ვის - შეუძლია ისეთი ტემპერამენტიანი ცეკვა, როგორც ქართველებსო. სწორედ ეს ტემპერამენტი, ქართული ცეკვის ამაფორიაქებელი რიტმი მოედო მთელ მოედანს და ანსამბლის გამოსელა მაყურებელთა ტაშისცემის აკოპანიმენტით დამთავრდა.

ჩვენს გვერდით მდგომი შავეგვრემანი ახალგაზრდა, რომელსაც პიჯაკი რამდენიმე ათეული ცალი საფეხტევალო ნიშნით აქვს დამშვენებული, განსაკუთრებით აქტიურობს. „ბის! ბის!..“ გაიძახის იგი და ისე სცენს ტაშს, თითოეულის ცდილობს მისი ხმა ქართველ მოცეკვებამდე მარწვდინოს.

— მოგწონთ ქართული ცეკვა? — ყველ შემთხვევაში შევეკითხე რუსულად.

მიმიხვდა, რასაც ვეკითხებოდი, რუსულადვე მიპასუხა, მხოლოდ სლავური აქცენტით:

— ა, ძალიან, ეს რაღაც ზღაპრული, განსაცვიფრებელია... პირდაპირ წარმოუდგენელია, ამდენი ენერგია, ტემპერამენტი...

შემდეგ აგვათვალიერ-ჩაგვათვალიერა და ლიმანით მოგვმართა:

— თქვენ ალბათ ქართველები ხართ? რომ დავუდასტურეთ, ბავშვივით

გეხარდა, სათითაოდ ჩამოგვართვა ხელი.

გამოვეცნაურეთ ერთმანეთს. იან ჩა-  
ჯუსკუ ბუქარესტის უნივერსიტეტის  
სტუდენტი გამოდგა, ფილოლოგიის  
ფაკულტეტზე სწავლობს. სიტყვა ა-  
თიმოზ ივერიელზე ჩამოვარდა, რო-  
მელსაც რუმინელები ანთიმ ივერიანს  
ეძახიან. იანი კარგად იცნობს ანთიმი  
ივერიელის ნაწერებს, რომლებსაც  
უნივერსიტეტის კურსითაც გადიან.

მოვიგონე, რომ სწორედ ფესტი-  
ვალზე გამომგზავრების წინ ბათუში  
ეწვია რუმინელი პოეტი ვიქტორ კერნ-  
ბახი.

— ვიცნობ, — თქვა იან რადესკუმ,  
— დიდი საქმე გააკეთა „ვეფხისტყაოს-  
ნის“ თარგმნით. როცა ჩევნ, სტუდენ-  
ტებმა, რუსთაველის პოემა წევი-  
კითხეთ, დავრჩენდით, რომ საქართ-  
ველის შესახებ თითქმის არაფერი  
გვცოდნია. ეს კი მხოლოდ მეთორმეტე  
საუკუნის ძეგლია. შემდეგ დავინტე-  
რესდით ქართული კულტურით და საქ-  
შე იქამდე მივიღა, რომ სტუდენტთა  
ერთმა ჯგუფმა გადავწყვიტოთ, წელს  
ტურისტული მარშრუტით გავმგზავრე-  
ბულიყავით საქართველოში, მაგრამ  
გეგმა შეიცვალა, ფესტივალზე, ჩა-  
მოვედი. გაისათ კი აუცილებლად გი-  
ნახულებთ.

მისამართები გავცვალეთ და იან  
რადესკუ საქართველოში მივიპატიუეთ.

გამომშვიდობებისას იანმა დიმილით  
ვვითხრა:

— აი ხომ ხედავთ, ფესტივალმა და-  
გვაახლოვა. ასე ეყრება საფუძველი  
ღიღ შეგობრობას — მშვიდობის სა-  
წინდარს.

ცხრა წლის უნგრელი დირიჟორი  
ენე ვარგა პირველად ფესტივალის  
ყველაზე პატარა მონაწილედ მიაჩნ-  
დათ, მაგრამ შემდეგ აღმოჩნდა, რომ  
უცხოელ სტუმართა შორის იმყოფება

მასზე ორი წლით უმცროსი მუსიკო-  
სი. ეს არის პარაგვაის დელეგაციის  
წევრი ნიკოლასიტო კაბალიერო. ივა  
არფაზე დამკვრელია და მამამისთან —  
ისიდორო კაბალიეროსთან ერთად მო-  
ნაწილეობს საერთაშორისო კონცერ-  
ტებში.

პატარა ნიკოლასიტო ძალიან დაუმე-  
გობრდა მოსკოველ ბავშვებს და მთელ  
თავისუფალ დროს მათთან ატარებს.  
მას კოსტიუმზე ადგილიც აღარ ყოფ-  
ნის მოსკოველი მეგობრებისაგან ნა-  
ჩიუქარი საფესტივალო ნიშნების დასაბ-  
ნევალ. პატარა არტისტი ამ ნიშნებს  
უკვე სპეციალურ ჩანთაში ავროვებს,  
რომ სამშობლოში დაბრუნებისას თა-  
ვის თანამემამულებებს გადასცეს მოს-  
კოვის ფესტივალის სამახსოვროდ.

მაგრამ არის კიდევ ფესტივალის  
ერთი ყველაზე ნორჩი მონაწილე, რო-  
მელთან შედარებით უნგრელი ვნე  
უარგა და პარაგვაელი ნიკოლასიტო  
კაბალიერო „მოხუცებად“ შეიძლება  
ჩაითვალონ. მოსკოველებმა იგი გაი-  
ნეს კიევის ვაგზალზე უცხოეთის დე-  
ლეგაციებთან შეხვედრისას. ერთ-  
ერთი ვაგონიდან გამოჩნდა საბავშვო  
ეტლი, რომელშიც უშფოთველად მინა  
თმასუჭუჭა შავკანიან ბავშვს. ერთი  
წუთით ირგვლივ შეწყდა მხიარული  
შეძახილები, მუსიკა, რომ ძილი არ  
დაეფრთხოთ პატარა სტუმრისათვის.  
ეტლის გვერდით მოაბიჯებდნენ მომ-  
ლიმარი მშობლები — ჩალისქუდიანი  
ახალგაზრდა ვაჟი და შავნაწინავებიანი,  
გიმრისფერთვალება ქალი. დამხვდუ-  
რებმა ავტობუსამდე მიაცილეს ბელ-  
ნიერი ოჯახი და მშვიდობით მგზავრო-  
ბა უსურვეს მას.

როგორც შემდეგ გამოირკვა, არა  
მხატვარს აუორუს და მის მეუღლეს  
რიადას, პროფესიით პედაგოგს, წილად  
ხვდათ ბედნიერება მონაწილეობა მიე-  
როთ მოსკოვის ფესტივალში, მაგრამ

მათ არ შეეძლოთ შინ დაეტოვებინათ ასტარა შედი, რომელსაც მხოლოდ ორი თვე შეუსრულდა. და აი მთელი ოჯახი ესტუმრა მოსკოვს.

სასტუმროს იმ ნოშერში, სადაც პატარა შედი ცხოვრობს მშობლებთან ერთად, განუწყვეტლივ რექს ტელეფონი. მოსკოველები ინტერესდებიან, როგორ გრძნობს თავს ასეთი შორეული მგზავრობის შემდეგ შედი, როგორ წეეგუა იგი მოსკოვის ჰავას.

— გმაღლობთ! შედი თავს კარგად გრძნობს! — პასუხობენ ასეთი სტუმართმოყავრული მიღებით აღელვებული ბეღნიერი მშობლები არაბეთიდან.

\* \* \*

კინოთეატრის ამ მყუდრო დარბაზში ჩვენ მოვხვდით მოზეიმე ხალხით სავჭე გორქის ქუჩიდან. უფრო სწორად რომ ვთქვათ, ჩვენ საჯანვებოდ მოვედით აქ, რომ გვენახა იაპონური ფილმი „ნიროსიმა“. დღეს 7 აგვისტოა, ზუსტად თორმეტი წლისთვის მას შემდეგ, რაც იაპონიის ქალაქ ხიროსიმას თავზე აუეთქდა საბედისწერო ატომური ბომბი. სწორედ ამიტომაა ხალხმრავლობა საბილეთო სალაროებთან. ფესტივალის თვითეული მონაწილე, თვითეული მოსკოველი თავს მოვალედ თვლის ნახოს ეს ფილმი, რომელიც დოკუმენტური სიცხადით აცილებს ხიროსიმის ტრაგედიას და თითქოს აფრთხილებს ყველას, რომ არავითარ შემთხვევაში არ დაუშვან ამ საშინელების განმეორება.

...დარბაზში სინათლე ქრება. იწყება ფილმი: სკოლაში მიმდინარეობს გაკვეთილი. უცებ ერთ-ერთი გოგონა ცუდად ხდება. მას ეწყება მწვავე შეტევა. ეს უკვე ვინ იცის მერამდენე შემთხვევა სკოლაში, როცა ბავშვები ავადზღვიან ატომური ავადმყოფობით, შიუხედავად იმისა რომ ხიროსიმასა და

ნაგასაკიზე ატომური ბომბების ჩამოვდების შემდეგ ათ წელზე მუტმა განვლო.

ფილმის შემდეგი კადრები მოგვაგონებენ, თუ როგორ დატრიალდა ეს ტრაგედია. 1945 წლის 7 აგვისტო. ქალაქი ხიროსიმა. მცხოვრებლები თავიანთი ყოველდღიური საქმიანობით არიან გართული. ისმის ბავშვების მხიარული ხმები. ბავშვთა ბაღში პატარებს თავს დატრიალებენ თეთრისალათიანი ძიძები. ამ დროს ქალაქის თავზე გამოჩნდა ერთადერთი თვითმფრინავი. მას ყურადღებას არავინ აცქევს, რაღვან ქალაქში საპარო განგაშიც კი არა გამოცხადებული. უცებ ჭოჭოხეთურმა აფეთქებამ შეაზანზარა არე-მარე, ძირფესვიანად შეარყია მთელი ქალაქი. ვებერთელა შავი ღრუბლის სვეტმა დაფარა მზე. ერთ წუთში ცეცხლის ალში გაეხვია მთელი ხიროსიმა. დარბაზში მყოფნი თვალს ველარ უსწორებენ ეკრანს, იმდენად ძლიერადა გადმოცემული ქალაქის ნგრევისა და უდანაშაულო ადამიანების, შუბუთა ბავშვების ხოცუა-ულეტის სურათი. მაგრამ სიმართლეს პირდაპირ უნდა უცქირო თვალებში. ეს კადრები რეაისორის ფანტაზიით კი არა შექმნილი, ნამდვილი ამბავია, თუმცა შემაძრწუნებელი საშინელებით აღსავსე, მაგრამ მაინც სინამდვილე. და აი აქ, ამ დარბაზში, როცა უცქირი ფილმს, ერთხელ კიდევ მთელი შეგნებით განიცდი ფესტივალის სიღიადეს, მის მნიშვნელობას, იმ დიდ სამშვიდობო მისიას, მსოფლიოს ახალგაზრდობაში რომ დააკისრა მოსკოვის ფესტივალზე წარგზავნილ დელებატებებს.

შემდეგ ფილმში ვხედავთ მანიუსტაციებს, რომლებიც ყოველ წელიწადს, ხიროსიმას თავზე ატომური ბომბის აფეთქების დღეს, იმართება იაპონიის ქალაქებში. მძლავრად გაისმის

მანიფესტაციის მონაწილეთა მოწოდება მთელი მსოფლიოსადმი: „და ნუ-რასდროს ნუ განმეორდება მეორე ხი-როსიმა!“

...ფილმი მთავრდება. ჩვენ გამოვდი-ვართ კინოთეატრიდან და ქვემოთკენ მივყებით გორკის ქუჩას. ისეთ გრძნობას განვიცით, თითქოს ფილმი არც კი დამთავრებულა და აქ მანეესი მოედანზე შეეყურებთ მის გაგრძელე-ბას. მოედანი და ახლო მდებარე ქუ-ჩები გრანდიოზული მანიფესტაციის მონაწილეებითა გაჭედილი. მოსკოვის ფესტივალზე ჩამოსული ყველა დელე-გაციის წარმომადგენლები მოვიდნენ აქ ატომური ომის წინააღმდეგ პრო-ტესტის გამოსახატვად. სინათლე ქრე-ბა. მხოლოდ ვეებერთელა ესტრადაა მოედანის შუაგულში გაჩირალდნებუ-ლი პროექტორების შუქით. ავანსცე-ნაზე გამოდის პატარა რუსი გოგონა. იგი ყვავილებით ამჟობს „ხიროსიმის ქვას“ და ანთებს მეგობრობის ჩირალ-ლანს. დიდებულად ყლერს ბეთოვენის მეხუთე სიმფონიის მელოდია. მანეესი ფრონტონზე მოწყობილ ეკრანზე ერთ-შანეთს ცვლის კინოკადრები: ბომბდამ-შენი ხიროსიმას თავზე, ჯოგონეთური აფეთქება, საშინელი ნერევა და ხან-ძარი, მოულოდნელი უბედურებით სა-ხეშეშლილი ადამიანები, აურაცხელი მსხვერპლი...

— ეს მოხდა მაშინ, როცა მე ათი წლის ვიყავი... — გაისმის რეპროდუქ-ტორებში და ახლა ყველას მზერა მი-ჰყობილია ესტრადაზე ასული პატარა ტანის იაპონელი ქალიშვილისაკენ. ეს არის ხისაკო ნაგატა — დელეგატი ნა-გასაკიდან, ფესტივალის ერთადერთი მონაწილე, რომელმაც საკუთარი თვა-ლით იხილა ატომური აფეთქების მთე-ლი საშინელება. რაღაც სასწაულით გადაურჩა პატარა ხისაკო სიკვდილს, მაგრამ ატომურმა ავადმყოფობამ ძირ-

ფესვიანად შეარყია მისი ჯანმრთელო-ბა, წაართვა ხმა. ახლაც იგი თითქმის ჩურჩულით ლაპარაკობს და ეს ზღვა ხალხი სულგაკმედილი ისმენს მის თვითეულ სიტყვას.

...— თოთხმეტმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც ხიროსიმასა და ნაგასაკი აფეთქდა დამლუპველი ატომური ბომ-ბები, რამაც თვალის დახამხამებაში იმსხვერპლა 300000-ზე მეტია აღამია-ნი. აფეთქების შემდეგ დარჩა ათასო-ბით ობოლი, ქვრივი და ავადმყოფი, რომლებიც დღესაც საშინელი ტანჯვით განიცდიან თავზე დამტყდარ უბედუ-რებას... ძვირფასო მეგობრებო, მთელს მსოფლიოში! მოდით, გავერთიანდეთ იმისათვის, რომ კვლავ აღარ განმეორ-დეს ხიროსიმა და ნაგასაკი, რომ ახალ-გაზრდობას ჰქონდეს ბედნიერი ცხოვ-რება და ნათელი მომავალი. მსოფ-ლიომ მშვიდობიანად უნდა იცხოვროს კაცობრიობა უნდა ჰყვაოდეს!

იაპონელი ქალიშვილი ლაპარაკობს ძალიან ხმადაბლა, მაგრამ მისი ხმა ახ-ლა ატომური ბომბის აფეთქებაზე მიღლავრად გაისმის კიდით-კიდემდე მთელს მსოფლიოში და აღაფრთოვა-ნებს მილიონობით კეთილი ნების ადა-მიანებს ატომური საშინელების წი-ნააღმდეგ საბრძოლველად.

ხისაკო ნაგატას ესალმება სამი ქა-ლიშვილი — ყვითელი, თეთრი და შა-ვი რასის წარმომადგენლები, აზიიდან, ევროპიდან და აფრიკიდან.

აშალელვებელი სურათია, როცა ზორია კოსმოდემიანსკაიას დედა — ლიუბოვ ტიმოთეს ასული ხისაკო ნა-გატს მხრებზე ახურავს თავშალს და კოცნის, როგორც ღვიძლ ქალიშვილს.

შთელი მოედანი წუთიერი სიჩუმით ცემს პატივს პირველი ატომური ბომ-ბარდირების მსხვერპლთა ხსოვნას.

მრისხანე პროტესტის გამომხატველ

სიტყვებს წარმოთქვამენ ახალგაზრდა ინგლისელი ინუინერი ეღვარდ იანგი, საბჭოთა კავშირის გმირი ალექსი მარესიევი, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ვიცე - თავმჯდომარე ჯეიმს ენდიკოტი, იაპონიის დელეგაციის ხელმძღვანელი სუსუმო სანო, ინდოეთის წარმომადგენელი რამპალ პარიკი...

...კვლავ მძლავრად გაისმის მშვიდობის სადიდებელი, ომის საწინააღმდეგო სიმღერები.

...პატარა გოგონა ჰერში უშვებს მშვიდობის სიმბოლოს — თეთრ შტრედს.

...ნახევარმილიონიანი აუდიტორია ასრულებს მსოფლიოს დემოკრატიული ახალგაზრდობის პიმნს.

\* \* \*

„დასასრული“ — გამოჩენდა ეკრანზე და დარბაზში სინათლემ ითვეთქა. ის იყო წამოშლას ვაპირებლით აღილებილან, რომ უცემ ტაშისცემა ატყდა. ჩვენი ყურადღება ეკრანის წინ მდგარმა შავვერემანმა, სანდომიანი სახის ქალიშვილმა მიიძყრო. იგი იღიმება და ხელის ქნევით ესალმება მაყურებლებს, იმდენად ნაცნობია მისი სახე, თითქოს პირდაპირ ეკრანიდან გაღმოვიდაო. დარბაზში. სწორედ ეს მსახიობი — ანა მეშარი ასრულებდა მთავარ როლს ახლახან ნახულ ფრანგულ ფილმში „მუხანათური სიკვდილი“. უკვე წასვლას არავინ აპირებს. კვლავ დავიკავეთ ჩვენი ადგილები. ანა მეშარმა მოგვითხრო ამ საინტერესო ფილმის შექმნის ისტორია. იგი გადაიღო რეჟისორმა მარსელ კამიუმ მწერალ უან უგრონის რომანის მიხედვით. ფილმი მოგვითხრობს ფრანგი ოფიცირისა და ვიეტნამელი ქალიშვილის სიყვარულის ტრაგიკულ ისტორიას ვიეტნამ-საფრანგეთის ომის წლებში. სამასამდე მსახიობი ქალი მიიწვიეს სტუდიაში მთავარი როლის შესასრულებლად. საბოლოოდ

რეჟისორის არჩევანი ანა მეშარზე შეჩერებულა. ფილმის წარმატებაც უპირველეს ყოვლისა ამ შესანიშნავი მსახიობის დამსახურებაა.

— მე ვფიქრობ, რომ ფილმი ფესტივალის იდეას ეხმაურება. ჩვენ ყველანი ვცდილობდით დამაჯერებლად გვეჩენებინა მასში, რა ტანკვა და განადგურება მოაქვს ომს ადამიანებისათვის. — განაცხადა ანა მეშარმა.

ასეთი შეხვედრები უცხოეთის კინოხელოვნების მუშაკებთან ეწყობა მოსკოვის კინოთეატრებში, საღაც ტარდება საერთაშორისო კინოფესტივალი. ეს ფილმები საინტერესოა არა მარტო როგორც ხელოვნების ნიმუშები, არამედ, ამავე დროს, როგორც მართალი, ამაღლვებელი დოკუმენტები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის ხალხების ცხოვრების, ყოფილისა და შისწრაფებების შესახებ.

კარგად თქვა ცნობილმა ინდოელმა კინორეჟისორმა და მსახიობმა რაჭ კაპურმა კინოფესტივალის საზეიმო გახსნაზე: „მსოფლიოში იგრძნობა „სივიწროვე“. ეს იმიტომ, რომ ადამიანები თანდათან სულ უფრო მჭადროდ უახლოვდებიან ერთმანეთს. ფილმები — ეს უდიდესი მოციქულებია, რომლებიც აღწევენ დედამიწის ყველა კუთხეში და აახლოებენ ხალხებს. ამიტომ აქ ჩვენ ვატარებთ არა მარტო სხვადასხვა ქვეყნების ფალმების ფესტივალს, არამედ ინტერნაციონალური ურთიერთობის ფესტივალსაც“.

საფესტივალო უფრორის შემადგენლობაში არიან გამოჩენილი კინორეჟისორები, სცენარისტები, მსახიობები, ხელოვნებათმცოდნები. უფრორის თავმჯდომარეობს ჩეხოსლოვაკის სახვითი ხელოვნების აკადემიის რექტორი ა. ბროუშილი.

იტალიის კინოხელოვნება ფესტივალზე წარმოდგენილია ვიტორიო დე

სიკას ცნობილი ფილმით „სახურავი“, რომელმაც პირველი პრემია მიიღო კანში, საერთაშორისო კინოფესტივალზე, აგრეთვე ფილმებით „შეყვარებულები“, „გზას აცდენილნი“ და „ღარიბი შეყვარებულების ამბავი“. ეს უკანასკნელი გადაღებულია ახლახან რუსულ ენაზე გამოცემული იტალიელი მწერლის პრატოლინის ამავე სახელწოდების წიგნის მიხედვით. ფილმში ნაჩვენებია რომის ღარიბული უბნის ერთ-ერთი სახლის მობინადრეთა ცხოვრება, მაგრამ მის ფონზე ნათლად მოჩანს მთელი იტალია ჩვენი შაუქუნის ოცანან წლებში, როცა სახელმწიფოს მმართველობა ხელში ჩაიგდნენ ფაშისტებმა. ისინი არ ერიდებიან არავითარ საშუალებას — ტერორს, ძალმომრეობას, ცილისწამებას თავიანთი ძალაუფლების გასამტკიცებლად. მათ წინააღმდეგ იბრძვიან ანტიფაშისტები — მჭედელი მეჩისტო, ახალგაზრდა მუშა მარიო და სხვები, რომლებიც უთანასწორო ბრძოლის მიუხედავად არ კარგავენ მომავლისაღმი რწმენას და გამარჯვების იმედს. რეჟისორმა ფილმი გადაიღო რეალისტურად და დამაჯერებლად.

გერმანის ფედერაციულმა რესპუბლიკამ ფესტივალზე წარმოადგინა კინოსურათი „მზის ჩასვლის წინ“ ცნობილი მწერლის ჰაუპტმანის რომანის მიხედვით (აღსანიშნავია, რომ ფილმში მოქმედება გაღმოტანილი თანამედროვე ვითარებაში), ხოლო გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ — მხატვრული ფილმი „ლისი“, რომელმაც ერთ-ერთი მთავარი პრემია მიიღო მეათე კინოფესტივალზე კარლოვი ვარში. ფილმში ნაჩვენებია გერმანელი ხალხის ცხოვრების ის შავგნელი პერიოდი, როცა ხელისუფლების სათავეში მოექცა ჰიტლერი და მისი ხროვა. ფილმი სარგებლობს დიდი წარმატებით, რაც

პირველ რიგში განაპირობა ლისის როლის შემსრულებელი მსახიობი ქალის ზეტერის შესანიშნავით თამაშმა. მეორე მსოფლიო ომის საშინელებაზე მოგვითხოვთ ჩეხოსლოვაკური ფილმი „დაუმარცხებელნი“, რომელიც დაღვა ახალგაზრდა რეჟისორმა ირეი სეკვენსმა. ფილმში ნაჩვენებია ფაშისტთა ურდოების თავდასხმა ჩეხოსლოვაკიაზე და ქვეყნის ბურჯუაზიული მმართველი წრების გამცემლური პოლიტიკა. ეს ფილმი, რომელიც გამსჭვალულია ხალხთა ბეღნიერებისათვის ბრძოლის იდეებით, ადამიანებს მოაგონებს წარსული ომის საშინელებას და მოუწოდებს მათ ყოველი ღონისძიებით დაიცვან მშვიდობის დიადი საქმე.

ფილმი „ქართა ვარდები“ შედგება ხუთი კინონოველისაგან, რომლებიც გადაიღეს ბრაზილიელმა რეჟისორმა ა. კავალკანტიმ, საპქოთა რეჟისორმა ს. გერასიმოვმა, ფრანგმა რეჟისორმა იანი ბელონიმ, იტალიელმა რეჟისორმა კუზნეცე პონტეკორკომ და ჩინელმა რეჟისორმა იუ კუუო-ენიმ. ფილმი შეიქმნა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის ინაციატივით და ამაღლელუებლად მოგვითხოვთს ხუთი სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელის — ხუთი ახალგაზრდა ქალის ცხოვრებაზე.

მოსკოველები და ფესტივალის მონაწილეები ღიდ ყურადღებას იჩენენ საზღვარგარეთის მხატვრული ფილმებისაღმი, როგორიცაა „არხი“ (პოლონეთი), „ქალიშვილი შავ სამოსელში“ (საბერძნეთი), „ტორეადორი“ (მექსიკა), „კარუსელი“ (უნგრეთი), „დაკარგულნი“ (ჩეხოსლოვაკია), „ცისფერი თოლია“ (იუგოსლავია), „წყვდიაღი დღისით“ (იაპონია) და სხვა.

საბჭოთა კინოფილმებიდან საერთაშორისო კინოფესტივალზე წარდგენილია „სიმაღლე“, „ჩვენი ეზო“, „პავ-

ლე „კორჩაგინი“, „გაზაფხული“, „გაზაფხული ზარეჩნაიას ქუჩაზე“, „კარნავალის ღამე“ და სხვა ფილმები.

ჩევრი ლეილა აბაშიძე ფესტივალზე ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მსახიობია. ამ დღეებში მისი მონაწილეობით მოსკოვის ეკრანებზე გადის „ჭრიჭინა“, „აბეზარა“, „ჩვენი ეზო“.

კინოფესტივალის ჟიურიმ განიხილა 125 ფილმი და აქედან მხოლოდ რვას მიანიჭა ოქროს მედალი. მათ შორისაა საბჭოთა ფილმი „ჩვენი ეზო“. ფესტივალის დახურვისას რაჯ კაპურმა გამოთქვა აზრი განხილული ფილმების გარშემო და პირველ რიგში აღნიშნა „ჩვენი ეზო“. „— ჩემი აზრით, — განაცხადა რაჯ კაპურმა, — იგი მეტად ახლებურია თავისი მანერით, ფერებით, რითაც მომგებიანად განსხვავდება სხვა ფილმებისაგან. მასში იგრძნობა სიჭაბუკე, რომანტიკა, ახალგაზრდული გატაცება, ყველაფერი ის, რაც საერთოდ უნდა ახასიათებდეს ახალგაზრდობის ფესტივალზე წარდგენილ ფილმებს“. „ჩვენ ეზო“ მაღალი შეფასება მისცეს ჟიურის თავმჯდომარებ ა. ბროუსილმა, იაპონელმა კინორეჟისორმა კიოხოკო უსასარამ და ეიურის სხვა წევრებმა, რომლებმაც ჰამსაკუთრებით აღნიშნეს ახალგაზრდა რეჟისორის ჩეზონ ჩეიიძის ოსტატობა და ფილმის მონაწილე მსახიობთა თამაში. ცნობილი ფრანგი რეჟისორი უან ველერი გაზეთ „სოვეტსკაია კულტურაში“ წერს: „...ჩემზე ძლიერი შთაბეჭდილება დატოვა საბჭოთა ფილმმა „ჩვენი ეზო“, რომლის დადგმა ახალგაზრდა რეჟისორს რ. ჩეიიძეს ეკუთვნის. მასში მოცემულია მხოლოდ ერთი ეზოს ცხოვრება, მაგრამ მას ჩვენ თვალყურს ვადევნებთ შეუნდებელი ინტერესით. ლირიზმი და ნათელი ოპტიმიზმი, — ყი რა არის ძირითადი ამ ფილმში“.

\* \* \*

„ძვირფასო მეგობრებო! საქართველოს სსრ დელეგაცია გთხოვთ თქვენი მობრძანებით გააპელნიეროთ ჩვენი ახალგაზრდა ნეფე-დედოფალი სოფიო აშვილი და ჭემალ კიქნაველიძე და დაესწროთ მათ ქორწილს სრულიად საკავშირო „სასოფლო-სამეურნეო გამოფენის საქართველოს პაკილიონის შენობაში...“ — ასეთი შინაარსის მოსაწვევი ბარათი მიიღო ფესტივალის ბევრმა მონაწილემ — უცხოეთის დელეგაციათა წევრებმა და მოძმე მოკავშირე რესპუბლიკის წარმომადგენლებმა, მოსკოველებმა, პრესისა და რადიოს მუშაკებმა.

ამ საღამოს მოსკოვში ბევრი საინტერესო ღონისძიება იმართება, ყველგან ღიაა კარები, მაგრამ ამ უჩვეულო ქორწილზე დასწრების მსურველი გაცილებით მეტია, ვიდრე საქართველოს პაკილიონის შენობა დაიტევს. მრავალი რამეს მომსწრეა ეს შენობა — მეგობრული შეხვედრებისა თუ გამოჩენილ აღმიანთა გამოსვლებისა, ბევრ სასარგებლო საქმეს ჩაყრია საფუძველი აქ, მაგრამ ქორწილი არასდროს გადაუხდიათ, ნეფე-დედოფლის სადლეგრძელო არ თქმულა მის თაღებ ქვეშ. სწორედ ამიტომ გადაწყვიტა საქართველოს დელეგაციამ ორი ქართველი ახალგაზრდის — სოფიოსა და ჭემალის გაბენიერება აღნიშნა ისე, როგორც ეს ახალგაზრდობის მსოფლიო ფესტივალის გრანდიოზულობასა და საზეიმო განწყობილებას შეეფერებოდა.

...მოსაღამოვდა. პროექტორებით გაჩირალდნებული საქართველოს პაკილიონისაჟენ სტუმრებმა იწყეს დენა. მათ შორის არიან გერმანელები, ესპანელები, ფრანგები, ინგლისელები, იაპონელები, ფესტივალის მონაწილეები ბელგიიდან, ლიუქსემბურგიდან, ინ-

დოეთიდან, აფრიკის ქვეყნებიდან. მეზობელი პავილიონებიდან მოდიან მოძმე ჩესპუბლიკის წარმომადგენლები — უკრაინელები, ყაზახები, სომხები, აზერბაიჯანელები... მოდიან და მოაქვთ გულითადი სურვალები და საჩუქრები ნეფე-დედოფლისათვის. მათ გულგახსნილი და მქლავგაშლილი ეგებებიან მასპინძლები — საქართველოს დელეგაციის წევრები და ნეფე-დედოფლის მეგობარ-ამხანგები. თუმცა აქ თავს მასპინძლად ყველა ქართველი გრძნობს, მოსკოვში მცხოვრებია იგი თუ, საქართველოდან შვებულებით ჩამოსული, რაღან დღეს მთელი რესპუბლიკა უხდის ქორწილს თავის ორ შვილს.

პავილიონის ვრცელ დარბაზებში ორწყებად დგას უგრძესი სუფრები. საქვეყნოდ განთქმული ქართული საქორწილო სუფრა! მასპინძლებს არაფერი დაუკლიათ, რომ უცხო სტუმრებისათვის ეჩვენებინათ მამაპაპური პურ-მარილი, ქართული სუფრის შნო და ლაზათი. მზარეულებს თავი გამოუდვიათ საქორწილო კერძების დამზადებაში. რომ იტყვიან, ჩიტის რძეც კი არ აკლია სუფრას.

მთავარი სუფრის თავში ზის ნეფე-დედოფალი. მათ გვერდს უშვენებენ ჩიხებსა და ქართულ კაბებში გამოწყობილი ქართველი ქალ-ვაჟები. სოფიო და ჭემალი მოკრძალებული ღიმილით იღებენ მილოცვებსა და საჩუქრებს; მღელვარება ემჩნევათ, განსაკუთრებით პატარძალს, რომელიც თვალებდახრილი და ლოყებშეფაქლული დგას. მოდი და ნუ აღელდება, როცა მთელი მსოფლიოს ხალხი ესწრება შენს ქორწილს! მერე კიდევ ასობით ფოტო და კინოპარატის ობიექტივი შენსკენაა მომართული, კორესპონდენტებს კალმები და ბლოკნოტები აქვთ მომარჯვებული.

ქართული წესისამებრ პირველი სადლეგრძელო ნეფე-დედოფალს ეკუთვნის.

თამაღამ — საქართველოს კომიკუშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა თამაზ ჯანელიძემ ასწია ყანწი, სოფიოს და ჭემალს გაბედნიერება მიულოცა და სასახელო ოჯახის შექმნა უსურვა.

მრავალეამიერ!

დიდებულად უღერს ეს ძეელებური ქართული სიმღერა პავილიონის მაღალ თალებ ქვეშ. თაფლივით იღვრება დავით გამრეკელის ხავერდოვანი ბარიტონი. მას ზურაბ ანგაფარიძე ჰყვება. მძლავრად გუგუნებს ირაკლი შუშანიას ბანი. სიმღერა სიმღერას ცვლის, სუფრა სუფრას ეჭიბრება.

თამაღის თანაშემწერ არსენ მეკოკიშვილი აქაც ფალავნობს და თვალებით ეძებს თავის ტოლს, რომ ყანწი გადაულოცოს, მაგრამ აბა ვინ შეუბედავა გაჭიბრებას ქართველ გოლიათს!

აგრე წამოდგა ფეხშე ახოვანი, მკერდზე თეთრ წვერდაფენილი მოხუცი გერასიმე ბოლქვაძე მახარაძის რაიონიდან. დარბაისლურად დალოცა ბერიკაცმა ნეფე-დედოფალი და სულმოუთქმელად დასცალა ყანწი.

გაოცების შეძახილი აღმოხდა პატარა იაპონელს, როცა გერასიმემ ცერზე, დააპირქვავა პირწმინდათ დაცლილი ვეება ყანწი. უცხოელი და საბჭოთა ფოტორეპორტიორები გარს შემოეცვინენ ახოვან მოხუცს, ობიექტოვები მიუშვირეს.

დაპირეს დოლს. შეიკრა წრე-მკლავები გაშალა გერასიმე ბოლქვაძემ და ყველა განაცვიფრა ტემპერა მენტიანი ქართული ცეკვით.

უცხოელმა სტუმრებმა ჩართეს თან მოტანილი მაგნიტოფონები, რომ ფირზე ჩაწერათ ეს იშვიათი ლხინი, ქარ-

თული სიმღერის განსაცვიფრებელი ჰანგები.

რიგრიგობით ისმება მშვიდობის, შევიღობას, სამშობლოს, სიყვარულის საღლეგრძელოები. სხვადასხვა ენაზე, მაგრამ ერთიანი გრძნობით გამოთქვამენ მასპინძლები და სტუმრები თავიანთ ფიქრებს და მისწრაფებებს.

სულ მალე მთელმა გამოფენამ შეიტყო ქორწილის ამბავი. ზღვა ხალხი მოაწყდა საქართველოს პავილონს, რკალივით შემოერტყნენ ირგვლივ შენობას. ყველას სურდა თვალი შეევლო ბეღნიერი წყვილისათვის, ქართველთა ლხინისათვის.

მექორწილენი ხალხის ნებას დაჰყავნენ, ნეფე-დედოფალი გარეთ გამოიყვნეს და ყველას თვალშინ, პავილიონის ვესტიბიულში, შადრევნის გარშემო ახალი ძალით გაჩაღდა სიმღერა და ცეკვა-თამაში.

უცებ შორი-ახლო მაყრული გაისრა სალხი შუაზე გაიპო და გამოჩნდა ქართულ კაბიან და ჩოხოსან ქალ-ვაჟთა გუნდი. ესენი საქართველოს ლენინური კომკავშირის სახელობის მოცეკვავეთა ანსამბლის წევრებია. დღეს დიდ თეატრში ახალგაზრდობის საქავშირო ფესტივალის ლაურეატთა კონცერტი იმართებოდა. გიორგი დარახველიძის მოცეკვავებმა ერთხელ კიდევ უჩვენეს თავიანთი მომაჯადოებელი ხელოვნება და სწრაფად გამოეშურენ სასოფლო-სამეურნეო გამოფენისაკენ, მათი ანსამბლის წევრების სოფიო იაშვილისა და ჭემალ კიკნაველიძის ქორწილზე.

გვიან ღამემდე არ შეწყვეტილა ლხინი საქართველოს პავილიონში. ამ ქორწილმა არა მარტო გააბედნიერა ორი ახალგაზრდა აღამიანი, არამედ დახასლოვა ფესტივალის მონაწილე სხვადასხვა ეროვნების აღამიანებიც, უჩვენა მათ, რომ ქართველ ხალხს გარჩაც შეუძლია და ლხინიც, რომ

ახალგაზრდობას, ასეთ ახლადშექმნილ ოჯახებს სურთ მშვიდობა, სწავლა და შრომა.

მშვიდობისა და მეგობრობის ღიღი ზეიმის დღეებს დაემთხვა ქართული ქორწილი მოსკოვის ცის ქვეშ. ასევე ბეღნიერი და მეგობრული იყოს თქვენი მომავალი ცხოვრება, სოფიო და ჭემალ, ჩვენი ერისა და ქვეყნის საღილებლად და სასახელოდ!

\* \* \*

სპორტის მოყვარულებმა მოსვენება დაკარგეს. მათვის აღარც ძილია და არც ჭამა-სმა. ასეთი ფართო გასტრაბის ასპარეზობა არ ახსოვს მოსკოვს. ფესტივალთან ერთად ტარდება ახალგაზრდობის მესამე მეგობრული სპორტული თამაშობანი, რომელშიც 46 სახელმწიფოს ოთხი ათასმდე სპორტსმენი იღებს მონაწილეობას. ეს შეჯიბრება თავისი მნიშვნელობით მხოლოდ მელბურნის ოლიმპიადას თუ ჩამოვარდება. ამიტომ მას ზოგჯერ „მცირე ოლიმპიადასაც“ უწოდებენ.

მონაწილეთა შორის არიან მსოფლიოში სახელგანთქმული სპორტსმენები: მოჩენენლები — ჩეხოსლოვაკიელი ემილ ზატოპეკი, უნგრელი შანდორ ისაროში და ავსტრიელი ალან ლაურენსი, იაპონელი ტანმოვარჯიშე ონო, პოლონელი შუბის მტყორცნელი იანუშ სიდლო, ჩეხოსლოვაკიელი ბირთვის მკვრელი ირჟი სკობლა, ოლიმპიური ჩემპიონი სპორტულ სიარულში ახალზელანდიელი ნორმან სიდი, უნგრელი წყალბურთელები და ფეხბურთელები, ცნობილი გერმანელი სპარინტერები, დიდი ჭგუფი საბჭოთა სპორტსმენებისა და კიდევ ბევრი სხვა, რომელთაც მრავალგზის უსახელებიათ თავი მსოფლიო ასპარეზობებზე, ამ თავი მსოფლიო ასპარეზობებზე, კი. — მელბურნის ოლიმპიადაზე.

აი ამიტომ დაჭკარგეს ძილი და მოსვენება სპორტის გულშემატკიცრებმა. როგორ გინდა ყველაფერს გაწვდე, ყველგან მიუსწრო, არაფერი გამოგრჩეს. სწორედ რომ დანაშაულია სასა-დილოდ დროს დაკარგვა, როცა იცი, სწორედ ამ დროს წყლება ოქროს მედლის ბედი 1500 მეტრზე სირბილში, სპორტის სასახლეში კი ახალგაზრდა ალექსი ზასუხრი იბრძვის რინგზე ფინალში გასასვლელად.

ან კიდევ ზისარ მცირე სპორტული არენის ტრიბუნაზე და დაძაბულად აღვნებ თვალს ბრაზილიელი და საბჭოთა კალათბურთელების შეხვედრას. ჯერ კიდევ არაა გადაწყვეტილი თამაშის ბედი, თვით სპორტსმენებზე ნაკლებად როდი ღელავ და განიცდი და უცებ ამ სპორტული აზარტილან გამოჰყავხარ მქუხარე ტაშის ხმას, რომელიც დიდი სპორტული არენიდან მოისმის როგორც მეხის გავარდნა. გაგონდება, რომ იქ სწორედ ახლა მიძღინარეობს შეჯიბრება სამხაგ ხტომაში ოლიმპიური ჩემპიონის, სახელოვანი ბრაზილიელი ზანგის აღმარ და სილვას მონაწილეობით. ადგილზე ვეღარ ისვენებ. ერთი წუთით გავიწყდება კალათბურთი, ვაი თუ იქ ახალი რეკორდი დამყარეს! ამასობაში საბჭოთა კალათბურთელებმა გარდატეხა შეიტანეს თამაშში და ახლა უკვე მათი გამარჯვება ეჭვს აღარ იწვევს. დამშვიდებული ტოვებ ტრიბუნებს და სახელდახელოდ ნაყიდი ბუტერბრილით ხელში მიერათები საცურაო აუზისაკენ. მაგრამ ასეთი დიალოგი მოგესმის:

— იყავი ჩოგბურთის კორტებზე?

— არა.

— ნახე, რას შვრება ავსტრიელი ჰუბერი. ვერც ერთი ჩოგბურთელი ვერ უმქლავდება. ნამდვილი ვირტუოზია.

სწორედ ახლა ჩვენს ანდრეევს უნდა შეხვდეს.

— მაგათ ნახვას რა სჭობს, მაგრამ რეგბიზე მიმეჩქარება. აქებენ, საინტერესო თამაშია, ჯერ არ მინახავს...

მეგობრები შორდებიან ერთმანეთს და შენც ყოყმანობ, აღარ იცი რაღა ჰქონა, გააგრძელო გზა საცურაო აუზი-საკენ, „მფრინავი აესტრიელის“ ჰუბერის და ჩვენი ჩემპიონის ანდრეევის შეხვდრას უცქირო, თუ მოსკოვისათვის სრულიად ახალ თამაშს — რეგბის დაქსწრო.

ეს მარტო ლუუნიკებში, ლენინის სახელობის სტადიონზე ხდება. ასეთივე საინტერესო შეხვედრებია მოსკოვის ყველა კუთხეში. „დინამოს“ სტადიონზე ასპარეზობენ ფრენბურთელები, სახელმწიფო უნვერსიტეტის სპორტულ დარბაზებში — ძალოსნება და მოჭიდავეები, „ბურევესტინიკის“ სტადიონზე — ფეხბურთელები და ველოსიპედისტები...

აი ასეთ გასაჭიროშია ამ დღეებში სპორტის გულშემატკივარი.

ყველა სპორტული შეხვედრა რაღაც გარკვეული შედეგით მთავრდება. ზოგჯერ იგი ძალზე მაღალია და მსოფლიო რეკორდსაც ჭარბობს, ზოგჯერ კიდევ — არც თუ ისე სახარბიელო; მაგრამ მესამე სპორტული თამაშობების შედეგები, რაც არ უნდა ღირსშესანიშნავა არ უნდა იყოს ისინი, მარტო წამებით, კილოგრამებითა და სანტიმეტრებით როდი განისაზღვრება. ბოლოს და ბოლოს, საქმე მხოლოდ ოქროს ან ვერცხლის მედალში როდია. ასი სპორტსმენიდან იგი შეიძლება სამს ან ოთხს ერგოს. არც ერთი შეჯიბრების ოქმში, მსაჭთა გადაწყვეტილებაში არაა აღნიშული ის გულითადი საუბრებით შეჯიბრების წინ და შემდეგ რომ იმართება ყველა კონტინენტის სპორტ-

სმენთა შორის, არც ის შეძახილები სხვადასხვა ენებზე რომ გაისმის ტრიბუნებიდან გამარჯვებულის პატივსაცემად: კარგად შენიშნა ერთმა აფრიკელმა გულშემატკიცარმა: „რა თქმა უნდა გწყინს შენი გუნდის წავება. მაგრამ ეს სპორტია, იმარჯვებს უძლიერესი. ვისაც არ უნდა ხვდეს წილად საპატიო პირდესტალზე შედგომა, საბოლოოდ მაინც მშვიდობის საქმე იმარჯვებს. აი სწორედ ეს არის მთავრი!“

\* \* \*

გამოქვეყნდა მხატვრული კონკურსების შედეგები. ყველას გვახარებს საქართველოს წარმომადგენელთა წარმატებანი.

პირველი ხარისხის დიპლომი და ოქროს მედალი მიეკუთვნა ხალხური სიმღერების შემსრულებელ ვაჟთა ოქტეტს „შვიდკაცას“. ეს არავისათვის არ იყო მოულოდნელი. „შვიდკაცა“ დიდი წარმატებით გამოიიდა კონკურსში და კონცერტებზე და მსმენელებს ატკბობდა ქართული ხალხური სიმღერების შესანიშნავი შესრულებით. უიურის თავმჯდომარე ცნობილი ფრანგი კომპოზიტორი უერარ ფილიპი პირდაპირ განცვითორებაში მოიყვანა მიხეილ შავიშვილის ვირტუოზულმა კრიმანჭულმა, რომლის ნოტებზე გადატანა ძალზე გაუძნელდა.

ჩვენ ვესტრიებოდით კლასიკური სიმღერების შემსრულებელთა კონკურსს და ვხედავდით, თუ როგორ ღელავდნენ გამოსვლის წინ ახალგაზრდა მომღერლები ზურაბ ანჯაფარიძე და ნოდარ ანდოლულაძე. მოდი და ნუ აღელდები, როცა თვითონ ტიტო სკიპა — სახელგანთქმული იტალიელი მომღე-

რალი თავმჯდომარეობს საკონკურსო უიურის. მაგრამ მღელვარება სცენაზე გამოსვლისთანავე გაქრა. მათმა შესრულებულმა სიმღერებმა უიურის წევრების და პირადად ტიტო სკიპას მაღალი შეფასება დაიშახურა. ეს უიურის გადაწყვეტილებაშიც გამოჩნდა. ზურაბ ანჯაფარიძეს და ნოდარ ანდოლულაძეს ვერცხლის მედლები მიეკუთვნათ.

ხალხური ცეკვების შემსრულებელი ქორეგრაფიულ კოლექტივებს შორის მეორე ხარისხის დიპლომი და ვერცხლის მედალი მიიღო საქართველოს ლენინური კომკავშირის სახელობის ცეკვის ანსამბლმა.

სახელგანთქმულ იტალიურ, ინგლისურ, რუმინულ, ისლანდიურ და სხვა ძველების საესტრადო ანსამბლებთან ერთად მოუხდათ კონკურსში გამოსვლა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საესტრადო ორკესტრს. ბრინჯაოს მედალი, რომელიც ამ ორკესტრს მიეკუთვნა, სტუდენტთა ნიჭიერი თვითმომშევი კოლექტივის უდაო გამარჯვებაა.

მუსიკალური ნაწარმოებების კონკურსში უიურიმ ვერცხლის მედლები მიიკუთვნა კომპოზიტორ ათარ თავთაქიშვილის კონცერტს ვიოლინოსათვის ორკესტრთან ერთად და კომპოზიტორ სულხან ცინცაძის მეოთხე სიმებიან კვარტეტს.

კონკურსში გამარჯვებულებს საზემო ვითარებაში გადაეცათ საპატიო ჯილდოები.

საქართველოს ყველა კუთხიდან ყოველდღე მოღის უამრავი მოსალოცი დეპეშა მსოფლიო ფესტივალის ლაურეატთა სახელზე.

\* \* \*

... ფესტივალი დამთავრდა, დამ-  
თავრდა ისე, როგორც დაიწყო, —  
გრანდიოზული ზეიმით ლუქნიკის გი-  
განტურ სტადიონზე. სწრაფად გაირბი-  
ნა ზაფხულის თხუთმეტმა დაუვიწყარ-  
მა, ნათელმა დღემ. ფესტივალის დელე-

გაციები ეთხოვებიან სტუმართმოყვა-  
რულ მოსკოვს, მოსკოველებს, საბჭოთა  
მეგობრებს. ისინი მიემგზავრებიან და  
თან მიაქვთ წარუშლელი, ღრმა შთა-  
ბეჭდილებანი, იმის ჩრდენა, რომ მშვი-  
ლობის საქმე გაიმარჯვებს და ქვეყნად  
იზეიმებს ბელნიერება და მეგობრობა.

მოსკოვი.

ივლისი—აგვისტო, 1957 წ.

## სოფელი ნასოფლარზე

ამ სოფელს ახალშენი ჰქვია, თუმცა აჭარის რომელ სოფელს არ შეიძლება ღერქვას ახალშენი? სამასწლიანმა სისხლიანმა ტრაგედიამ თითქმის მთელი აჭარა ნასოფლარებად აქცია და შესანიშნავი ისტორიის მქონე მხარე მთლიანი გადაშენების საფრთხის წინშე დააყენა. აჭარის რომელ სოფელს არ ატყვია დამპყრობთა უხეში ძალადობის კვალი? ადგილი, სადაც ცხოვრება ჩქეფლა, გაუვალი ტყეებით დაიფარა, არსებობის ერთ-ერთი უკელაზე დიდი სახსარი — ვაზი გატყიურდა, ხალხი დაიმშა, ცხოვრება ჩაკვდა.

ახლა ვინ დაიგერებს, დღევანდელი სოფლის — ჯოჭის მახლობლად სამოლეოს სახელწოდებით ცნობილი ტყის ადგილას ოდესლაც სოფელი რომ ყოფილა გაშენებული. ტყის სიღრმეში აქა-იქ შეხვდებით გაველურებულ ვაზს, უზარმაზარ ქვევრებსა და საწინახლებს. ან კიდევ, სოფელ დიოკისთან მინდორზე, სადაც ახლა კოლეურნების თვალუწვდენელი ვენახებია, ოდესლაც მჭიდრო დასახლებულობა რომ იყო, ძალადობით დამკვიდრებულმა ისლამმა ძირბუდიანად ამოგდო ვაზის კულტურა, მიწით ამოავსო ქვევრები და საწინახლები, სამასი წლის მანძილზე გაუგონარი ძალადობის შედეგად ერთნაირად იცრემლებოდა განაღვეურების გზაზე დამდგარი

კაციც და ვაზიც. აჭარის თითქმის ყველა კუთხემ თანაბრად გადაიტანა სამასწლიანი ქარიშხალი და აჭარაში კუთხე არ დარჩენილა რამდენიმე სოფელი რომ არ ემსხვერპლა მას. მრავალთა შორის ამ სისხლიანი ეპოქისა და განაღვეურების მოწამეა ბათუმის რაიონის ერთ-ერთი შესანიშნავი სოფელი, რომელსაც ახალშენი ჰქვია და, რომელიც ერთ-ერთი მოწინავეა რესაუბლივაში. ახალშენი, ისევე, როგორც აჭარის ბევრი სხვა სოფელი, ოქტომბრის რევოლუციის ღვიძლი შვილია.

ახალშენი უძველესი სოფელია. ზოგიერთ უბანს დღემდე შემოუნახავს ძველი სახელწოდება „პეტრაული“, „ნაჯიხურევი“, „ჭარნალი“, „ხურცეული“, „ლეღვისსარევი“, „სარეცხელა“ და სხვ. ერთ-ერთ უბანს ახლაც სამება ჰქვია. აქ არაერთხელ უნახავთ უძველესი ქვევრები, რაც იმას ადასტურებს, რომ თურქეთის შემოსევებამდე, ახალშენის მიწაზეც ისე, როგორც თითქმის მთელს აჭარაში, ფართოდ ყოფილა გავრცელებული მევენახობა. ახალშენში ახლაც დიდი პატივისცემით სარგებლობს ვაზი „კაჭიჭი“, რომელიც უხევი წვენიანობითა და საამო არომატით გამოიჩევა.

ახალშენის აღორძინება 1877-78 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ დაიწყო. მართალია, მეფის რუსე-

თის კოლონიური პოლიტიკა ყოველ-მხრივ აფერხებდა მის განვითარებას, მაგრამ ისლამის ტყვეობაში მოქცეული ხალხისათვის ბერლინის კონგრესის შედეგები სერიოზული პროგრესი იყო. ხალხი იშუშებდა ღრმა ჭრილობებს. ასე თუ ისე შეიქმნა ნასოფლარების ხელახალი დასახლების ერთგვარი პირობა. 1877-78 წლების განმათავისუფლებელი ომის შემდეგ მივიწყებული ნასოფლარი თანდათან სახლდებოდა. ნოვიერ მიწაზე კვლავ გაიმართა გუთანი, ეკალ-ბარდების ნაცვლად ნასევნი მიწა ნოვიერ სფზრდოს აწვდის ციტრუსს. მრავალი ათეული წლის მანძილზე მივიწყებული და გავრანებული მიწიდან გლეხის მარჯვენამ მიიღო პირველი მოსავალი.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებიდანვე ახალშენის მჭიდრო დასახლების ყველა პირობა შეიქმნა.

აჭარის მაღალმთიანი რაიონების ნაკლებმოსავლიანი სოფლის მცხოვრებლები მთავრობის მხარდაჭერითა და დახმარებით გადმოსახლდნენ ნოვიერ მიწებზე. მოკლე დროში სოფლად კომლთა რაოდენობამ 780 მიაღწია. ამჟამად ახალშენს მცხოვრებთა რაოდენობით პირველი, ხოლო შემოსავლის მიხედვით მეორე ადგილი უჭირავს აჭარაში.

კოლმეურნეობის შემოსავლის ძირითადი წყარო მეჩაიერბაა, ახალშენელმა კოლმეურნებმა კარგად იციან ამ ძვირფასი კულტტრის ფასი, ყოველ ჰეტტარს, თვითეულ ბუჩქს ატყვია კოლმეურნის მზრუნველი ხელი.

— ჩარ ჩვენი სიამაყეა. — ამბობენ ახალშენელი კოლმეურნები და ორიათასზე მეტი მუშახელი თავს ევლება ჩაის პლანტაციებს, რომელიც 185 ჰექტარზეა გაშენებული.

გასულს წელს მარტო ჩაის მწვანე

ფოთლიდან ახალშენელმა კოლმეურნებმა 5,5 მილიონი მანეთი მიიღეს.

კოლმეურნეობა 19 ბრიგადას აერთიანებს, მათ შორის 15 ბრიგადა ჩაის პლანტაციებზეა გაპიროვნებული.

ჩაის ვეგეტაციის პერიოდში დილის 6 საათზე იღვიძებს სოფელი ახალშენი. ალიონიდან დაისამდე კალათები უთვალავგერ ივეხება ჩაის ხარისხოვანი ფოთლით. მიმღები პუნქტები ძლიერ აუდიან მოკრეფილი ჩაის ფოთლის აწონასა და ჩაბარებას. ადვილი არა ყოველდღიურად 7-8 ტონა ჩაის ფოთლის მიღება. საკმარისია ოდნავ შეხურდეს მოკრეფილი ფოთოლი და ხარისხი დაეცემა.

გასულ წელს ახალშენელმა კოლმეურნებმა საერთო კრებაზე კოლმეურნეობის თავმჯდომარედ ერთსულოვნად აირჩიეს მათივე სოფლის მკვიდრი, ენერგიული და თავდადებული ახალგაზრდა ალექსანდრე ვერდაძე. სიცოცხლით საესე, ბრგე ჭაბუქს იშვიათად ნახავთ სამუშაო კაბინეტში.

თავმჯდომარის კაბინეტი პლანტაციაშია, — ამბობს იგი და დილიდან სალამონდე გადაღის ერთი ბრიგადიდან მეორეში. გულდასმით ეცნობა მათ საქმიანობას. სასოფლო საბჭოსთან და კოლმეურნეობის პარტიულორგანიზაციასთან მჭიდრო კავშირში, დაუნდობლად ებრძვის დანაკარგებს. დიდად აფასებენ კოლმეურნები მათი რჩეულის ენერგიასა და საქმის სიყვარულს.

კოლმეურნეობამ გასულ წელს 20-მანეთი გაანაწილა თვითეულ შრომადღეზე.

— ცოტაა, ამხანაგებო, — განაცხადა ვერდაძემ საანგარიშო კრებაზე. — ისეთი მოწინავე კოლმეურნეობისათვის, როგორიც ჩვენი კოლმეურნეობაა — 25 მანეთიც კი ცოტაა ერთ შრომადღეზე.

მარტო ვერძაძე როდი მსჯელობს ასე, ახალშენელები წელს ერთ შრომადღეზე 25 მანეთისათვის იძრგვიან. მარტო მეჩაიერბიდან 1957 წლისათვის ექვსი მილიონ 18 ათასი მანეთი შემოსავალი დაგეგმეს.

კოლმეურნეობის შემოსავლის ერთ-ერთი ძირითადი წყაროა მეცხოველეობა-მეფრინველეობაც. ბათუმის რაონის კოლმეურნეობათა შორის ახალშენის კოლმეურნეობას წველადობის ცწრილში მოწინავე აღგილო უკავია. 67 ჯიშიანი პროდუქტიული ძროხიდან საშუალოდ ერთ ძროხაზე 2.000 კილოგრამი რე უნდა ჩამოწველონ ახალშენელმა მეცხოველეებმა. სულადობის მიხედვით ყველა სახის ფერმაში გეგმა გადაჭარბებით შესრულდა. ასე, მაგალითად, მელორეობის ფერმაში ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 70 ლორისა, 103 ლორი ჰყავთ. მეფრინველეობის ფერმაში, სადაც 200 ფრია ქათამია, გეგმა გადაჭარბებითა შესრულებული, ნავარაუდევია საშუალოდ ერთი ქათმიდან მიიღონ 110 ცალი კვერცხი.

მარტო მეცხოველეობიდან მიმღინაუნე წლისათვის კოლმეურნეობას დაგეგმილი აქვს მიიღოს 341.500 მანეთი შემოსავალი.

როგორც ცნობილია, 1949-50 წლის სუსტიანმა ზამთარმა საგრძნობლად დააზარალა მეციტრუსე კოლმეურნეობები, ახალშენის კალინინის სახელობის კოლმეურნეობამაც სერიოზული ზარალი განიცადა.

— ციტრუსი უნდა აღსდგეს. — ერთსულოვნად დააღინეს კოლმეურნეებმა და სულ რაღაც სამი წლის მანძილზე ციტრუსების ახალგაზრდა ნარგავებით დაიფარა ათობით ჰექტარი მიწის ფართობი. ახლა კოლმეურნეობას ციტრუსოვნები 209 ჰექტარზე აქვს გაშენებული. უახლოეს ხანში ციტრუ-

სოვანთა სრულმოსავლიანი პლანტაციიდან კოლმეურნეები მილიონბით მანეთ შემოსავალს მიიღებენ, რაც უფრო მეტად გააუმჯობესებს კოლმეურნეთა შეძლებული და კულტურული ცხოვრების პირობებს.

წარსულს ჩაბარდა ღუბჭირი ცხოვრება, ახლა ახალშენში უბანი უბანს და ოჯახი ოჯახს ეჯიბრება შეძლებული და კულტურული ცხოვრების მოწყობაში. უხვი საკოლმეურნეო დოვლათი და შრომის სწორი ორგანიზაცია საამისოდ ყველა პირობას აძლევს. ახალშენელ კოლმეურნეებს.

საავტომობილო გზის ფართო ქსელი ააღვილებს. საკოლმეურნეო შრომის ორგანიზაციას, კოლმეურნეობის ყველა ბრიგადა საერთო 70-მდე კილომეტრის სიგრძის სამანქანო გზის ქსელით უკავშირდება სოფლის ცენტრს.

ბევრი ახალშენელი კოლმეურნე მისაბაძია შრომაში. გასულ სამეურნეო წელს საუკეთესო მაჩვენებლები მოიპოვეს სულეიმან ჩეჩების-ძე შარაძის (1503 შრომადღე) შოთა იუსუფის-ძე შერვაშიძის (809 შრომადღე), ოსმან შაქირის-ძე ზოიძისა (686 შრომადღე) და ათობით სხვა კოლმეურნეთა ოჯახებმა. მაგალითად, სულეიმან შარაძის ოჯახმა შრომადღეებზე მარტო ფულადი ანაზღაურების სახით 30 ათასამდე მანეთი მიიღო.

კოლმეურნეობა ყოველთვიურად წარმატებით ასრულებს ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის გეგმებს. მეჩაიერ ბრიგადებს შორის მიმდინარე წლის სეზონში განსაკუთრებით დაწინაურდნენ მე-8, მე-9 და მე-10 ბრიგადები (ბრიგადირე, ბი რ. კვარიკაძე, ა. სამგელიძე, შ. მიქელაძე), რომლებიც გადაჭარბებით ასრულებენ ჩაის კრეფის გეგმას, როგორც ხარისხობრივად, ისე რაოდენობა რიცადაც.

დვირფას ტრადიციად დამკვიდრდა

აჭარის კოლმეურნეობათა სოციალისტური შეჯიბრება მოძმე რესპუბლიკების კოლმეურნეობებთან. 1952 წელს ჩატყარა ასაფუძველი, მაგალითად, უკრაინის ბელოზერსკის რაიონის ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობასა და ბათუმის რაიონის ახალშენის კალანჩინის სახელობის კოლმეურნეობას შორის სოციალისტურ შეჯიბრებას.

ბელოზერსკის ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობა ერთ-ერთი მოწინავეა რაიონში. კოლმეურნეობის წამყვანი დარგებია მარცვლეული, შეცხოველეობა-მეფრინველეობა. ეს უკანასკნელი დარგი დაწინაურდა დიდი სამამულო ომის შემდეგ და ახლა კოლმეურნეობის შემოსავლის ერთ-ერთი მთავრი წყაროა.

ხუთ წელიწადში არაერთგზის გაცვალეს ბელოზერსკისა და ბათუმის რაიონებმა სოფლის მეურნეობის მოწინავე მუშაქთა დელეგაციები. 1954 წლის მაისში ბათუმის რაიონიდან უკრაინაში გაემგზავრა დელეგაცია, რომელშიც 15-მდე სოფლის მეურნეობის მუშაქი შედიოდა. ეს იყო ორ მოძმე ერს შორის მეგობრული ურთიერთობის განმტკრცების მორიგი დადასტურება. დელეგაციის ჩასვლა დაემთხვა უკრაინის რუსეთთან შეერთების 300 წლისთავს. უკრაინელმა მშრომელებმა ქართველი კოლმეურნები გულთბილად მიიღეს. სტუმრების პატივსაცემად მასპინძლები ცდილობდნენ სუფრისთვის ქართული ლაზათი მიეცათ. ყველა სადღეგრძელო ზალხთა შორის ურლვევ, მეგობრულ კავშირს გამოხატავდა. დელეგაციის მონაწილეები ხვდებოდნენ სოფლის მეურნეობის მოწინავეებს, სოციალისტური შრომის გმირებს, ნოვატორებს, ეცნობოდნენ მათ შრომითს მიღწევებს, უზიარებდნენ გამოცდილებას. ახალშენიდან დელეგაციაში კოლმეურ-

ნეობის თავმჯდომარე და 1-ლი ბრიგადის ბრიგადირი პ. იშხანიდი მონაწილეობდნენ. მათ აქ სრული შესაძლებლობა მიეცათ დაკვირვებით შეესწავლათ ბუდიონველთა წარმატებები, ბევრი რამ კარგი გადმოელოთ მათვან და თავიანთ კოლმეურნეობაში დანერგათ.

ბელოზერსკში დელეგაციის ახალშენელი მონაწილეების ყოფნა ერთმა მათვის სასიხარულო გარეშოებამაც გახდა საინტერესო. მათ აქ ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობის წევრებთან ერთად მოისმინეს ახალშენიდან გაგზავნილი დეპეშა, რომელიც ბელოზერსკელებს აუწყებდა, ახალშენის კოლმეურნეობამ ვადაზე აღრე, გადაჭირებით შეასრულა 1954 წლის მაისის ჩას კრეფის გეგმა, ხოლო კოლმეურნეობის მეჩაიე ბრიგადებს შორის საუკეთესო მაჩვენებლებით პ. იშხანიდის ბრიგადა გამოიჩინდა.

დელეგაციის ჩასვლა დაედო საფუძვლად პარტიის ბელოზერსკისა და ბათუმის რაიონული კომიტეტებისა და რასაბჭოს აღმასკომების გარდამავალი წითელი დროშების დაწესებას. ბელოზერსკის რაიონული გარდამავალი წითელი დროშა გადაეცა ბათუმის რაიონს, ხოლო ბათუმის რაიონისა — ბელოზერსკელებს, სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ კოლმეურნეობათა დასაჭილდოებლად.

ახალშენელებისათვის ზეიმის დღედ გადაიქცა მიმდინარე წლის 17 ივლისი, როცა მათ 1957 წლის პირველი ნახევრის გეგმების გადაჭირებით შესრულებისათვის ბელოზერსკის პარტიის რაიონული კომიტეტისა და რასაბჭოს აღმასკომების გარდამავალი დროშა მიღეს.

მიმდინარე წლის ივლისში ბათუმის

რაიონიდან ბელოზერსკში წარგზავნილი დელეგაციის შემაღენლობაში ახალშენელმა კოლმეურნეებმა ერთსულოვნად შეიყვანეს მოწინავე მეჩაიებრიგადირი ფატი წითელაძე.

ახალშენელებმა მტკიცედ ჩაყყარეს საფუძველი ბელოზერსკელ კოლმეურნეებთან მეგობრობას. ამ ურთიერთობას ფართო საინტერესოს. ხდის სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებები, რომელთა გადაჭარბებით შესრულებისათვის ორივე კოლმეურნეობა თავდადებით შრომობს.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავისათვის ახალშენელი კოლმეურნეები ბელოზერსკელებთან სოციალისტურ შეჯიბრში გამარჯვების შედეგად მიღებული გარდამავალი დროშით ხვდებიან.

ახალშენელი კოლმეურნეები შეგნებულად იბრძვიან კულტურული და შეძლებული ცხოვრებისათვის, საამისოდ უკანასკნელი წლების მანძილზე სოფლად ბევრი რამ გაკეთდა. ასობით ათასი მანეთი დაიხარჯა ახალშენში ელექტრონის, რადიოს, ტელეფონის გაყვანაზე, ახლა 300-მდე ოჯახში ანათებს ილიჩის ნათურა, 400-მდე ოჯახს საშუალება აქვს ყოველდღიურად რაღიოთი მოსმინოს ჩვენი ქვეყნის ახალი ამბები. კოლმეურნეობამ ვალდებულება იყისრა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავი სხვა წარმატებებთან ერთად სოფლის მთლიანი ელექტროფიციიებითა და რაღიოფიციირებით აღნიშნოს.

საყველოთაო - სავალდებულო სწავლების კანონის გატარებას ემსახურება ასობით პედაგოგი. სოფელს 6 სკოლა

აქვს, მათ შორის ერთი საშუალო და ორი შვიდწლიანი, საღაც 730 ბავშვი სწავლობს. ახალშენის საშუალო სკოლამ გასულ სასწავლო წელს ზემით აღნიშნა კურსდამთავრებულთა პირველი გამოშვება. 23 ახალგაზრდაში მიიღო სიმწიფის ატესტატი. ბევრმა მათგანმა შეგნებულად გადაწყვიტა დარჩეს მშობლიურ სოფელში და კოლმეურნეობაში იმუშაოს, პრაქტიკული მუშაობით გაიმღიღროს ცოლნა და ისე შეაღოს უმაღლესი სასწავლებლის კარები.

კოლმეურნეობა ზრუნვას არ აკლებს ჩვილბავშვიან და მრავალშვილიან დედებს. კოლმეურნეობაში ოთხი კეთილმოწყობილი საბავშვო ბალია, საღაც 67 ბავშვი იზრდება.

მიმღინარე წელს ახალშენელმა კოლმეურებმა გადაწყვიტეს საკუთარი სასრებით ააგონ საშუალო სკოლის ახალი შენობა. მშენებლობაზე 105 ათასი მანეთი დაიხარჯება. მოსწავლეები შესანიშნავ სკოლის შენობას მიღებენ, ნათელი საკლასო ოთახებითა და კლასკაბინეტებით.

და მარტო ზემოთ თქმულით როდი ამოიწურება ახალშენის კეთილმოწყობისა და კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებისათვის გაწეული შრომა. სოფელს ემსახურება 12-საწლიანი სავალდებულო, ორი ბიბლიოთეკა 12 ათასამდე წიგნადი ფონდით. უკანასკნელ ხანს სოფლის ცენტრში აშენდა კაპიტალური შენობა ფურნისათვის, რაზეც 70 ათასი მანეთი დაიხარჯა.

დაიწყო და ახლო ხანში დამთავრდება კულტურის სახლის მშენებლობა 600-ადგილიანი დარბაზით, მხატვრული,

თვითმოქმედი წრეებისა და ბიბლიოთეკის სამუშაო ოთახებით, მშენებლობაზე 1,5 მილიონი მანეტით დაიხარჯება. ახალ-შენში შეძლებული და კულტურული ცხოვრების კველა პირობაა შექმნილა. კოლეგურნებებმა კარგად იციან, რომ ამ წარმატებებს მშობლიურ კომუნის-

ତୁର କାର୍ତ୍ତିଳା ଯୁନିଟ ଯୁଦ୍ଧାଲୋକନେନ ଏବଂ  
କାର୍ତ୍ତିଳା ଏବଂ ମତାଵରନବିଳା ଯୁଗୀଲୋକି-  
ଣି ଶର୍ମନ୍ତାଙ୍କିଳା କାଶ୍ଚାଲ ପ୍ରାୟାଲାଜ୍ୟରୀ ହା-  
ତ୍ୟାଗେତ୍ରେ, ରାତା ଦୀର୍ଘ ନେତ୍ରମଥରିଳା କୋପା-  
ଲୀଳାଶୁରୀ ର୍ହେବାଲୁପାଇଲା ମେ-40 ଶଲୀଳ-  
ତାଙ୍କୁ ଶ୍ରୀବାନ୍ଦିଶ୍ଵରାଜୀ ଅନ୍ତାଲୀ ଫାରମାଟ୍ରେକ୍ଷନ୍‌କ  
ଶ୍ରେଷ୍ଠାଲୋକନେନ.

## ჩაისუბნები ბრიგადირი

ვიწრო ბილიკით შევუდექით აღმართს... დასავლეთისაკენ გადახრილი შზე ციტრუსოვანთა ნარგავებს ირიბად ულიმდა, ალერსით უკოცნიდა ახლად ატყორცნილ სათუთ ყლორტებს. ნელი სიო ნაზად აშრიალებდა ხეთა რტოებს და ოდნავ აგრილებდა იენისისათვის უჩემდებულოდ გახურებულ ჰაერს. შორს შორის შორის შორის სანაპიროს წარმტაცი პანორამა ზღვის სიღრმეში შექრილი ბათუმის ხავსალგურით და კოლოფებივით დალაგებული სახლების სახურავებით.

— წინათ ამ მიღამოს „ორთაბათუმი“ ეწოდებოდა, — დაარღვია დუმილი სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხანაგმა ქიქავამ. — ოურქმა დამპყრობლებმა აჭარაში მათი ბატონობის სამასი წლის მანძილზე, საქართველოს ამ ულამაზესი კუთხის ხალხს მრავალი ტანჯვა მიაჟენეს, ლამობდნენ მათთვის ქართველობა დაევიწყებინათ, იმ სოფელსაც სწორედ ამიტომ შეუცვალეს სახელი. ახლა მას „ჩაის უბანი“ ჰქვია. აქაური ხალხი შრომისმოყვარეა, ხოლო კოლეურნეობა რაიონში მოწინავედ ითვლება.

— ლამაზი მდებარეობა ჰქონია თქვენს სოფელს. — შევესიტყვე. თვალი ტქბება და გული ხარობს ბუნების მშვენიერებით.

— აი ფაღავას ბრიგადასაც ვუახლოვდებით, — განაგრძო ქიქავამ, როდესაც ერთ-ერთ ბორცვთან შევჩერდით. — ალბათ დაიქანცეთ, მაგრამ კმაყოფილი დარჩებით მოწინავე ბრიგადირი ქალის გაცნობით.

— სრულებითაც არ დავღლილვარ, — ვიცრუე. სიცხისა და დაღლილობისაგან გული ძალზე მიცემდა. თუმცა ჩემი თანამგზავრის შუბლზეც ოფლს გამოეჭონა, იგი მაინც ბეჭითად მიიწევდა მაღლობისაკენ. მე კი შეუჩევევილი მუხლები მეკვეთებოდა. მიუხედავად ამისა, ჩემს თანამგზავრს ფეხდაფეხ მივსდევდი.

— საუკეთესო ბრიგადირი გამოდგა ჩვენი ლუთბიე, — დაიწყო კვლავ ქიქავამ, როდესაც გორაკზე აველით და ოდნავ შევისვენეთ. — მთელი ბრიგადა ფეხზე დააყენა. პლანტაციას საგულდაგულოდ ამუშავებენ. ჩინებულად ართმევს თავს ნარგავთა დაცვის და მოსავლის უდანაკარგოდ აღების საქმესაც. ერთი სიტყვით, ნდობა გაამართლა და მოწინავეთა რიგში საპატიო აღგილი უჭირავს.

— რამდენი პროცენტით შეასრულა ივნისის გეგმა? — შევეკითხე მე, როცა ჩემმა თანამოსაუბრემ ბრიგადირი ქალის წარმატებებზე საუბარი შეწყვიტა.

— დღეისათვის მოკრიფა და ჩააპა-

რა 8.300 კილოგრამზე მეტი ჩაის ფოთოლი და გეგმა 101 პროცენტით აქვს შესრულებული. ამათგან დაახლოებით 80 პროცენტი პირველხარისხოვანი პროდუქციაა.

ლუთბიერ ბეჭითი შრომათ შეძლო საყვარელოა სიყვარეულისა და პატივისცემის დამსახურება. მის მიერ გამოწრილი მოწინავე ქალებს ხალიდე ფალავას წელს უნდა მოექრიფა 2.100 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი, გასულ ორ თვეში კი უკვე მოკრეფილი აქვს 1.700 კილოგრამი, ფადიმე ფალავაზ კი გეგმით გათვალისწინებული 2.000 კილოგრამიდან უკვე მოკრივა 1.600 კილოგრამი. თუ ასე გაგრძელდა, ლუთბიერ წელს საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის კანდიდატობა არ აცდება.

ცოტა ხნით დუმილი ჩამოვარდა. ჩვენ გზა განვაგრძეთ.

— აი ლუთბიერ ბრიგადაც. — ხელი გაიშეირა ქიქავამ, როდესაც ბილიკით ფერდობს მარცხნივ მიუხვიეთ და ბანანებისა და ტუნგოს პლანტაციებში მოვხვდით.

ოცდახუთამდე ქალი ხალის ქუდებით, გვერდზე კალათჩამოყიდებული, მხიარული კისკისით და ურიამულით კრეფდა ჩაის მწვანე ფოთოლს:

ლუთბიერ ფალავა ფარდულში დაგვხვდა, მოკრეფილი ჩაის ფოთოლს იბარებდა. ჩვენს დანახვაზე უხერხულობა იგრძნო, ლოყები შეუწითლდა და ჩვენს მისალმებას მორიდებული სალამით უპასუხა.

— როგორია თქვენი დღევანდელი წარმატება ამხანაგო ლუთბიერ. — შეეკითხა კოლმეურნეობის თავმჯდომარე მზრუნველი კილოთი.

— კარგი, ამხანაგო თავმჯდომარევ, — უპასუხა ქალმა, — დღიური ნორმა შევასრულეთ. აწი რასაც მოვკრეფთ,

გეგმის გადაჭარბების ანგარიშში ჩაირიცხება.

ჩვენ მოვუწონეთ და კიდევ უფრო მეტი წარმატება ვუსურვეთ.

გავიარეთ პლანტაციაში, დავათვალიერეთ ნარგავები.

— წელს ჩაის ვეგეტაცია საგრძნობლად შეაფერხა ნაადრევმა გვალვებმა,

— განმარტა ლუთბიერ. — გასულ წელს ამ ღრისისათვის ნალექებიც მეტი იყო და მზეც ნორმალურად ათბობდა ბუჩქებს. ჩაის ყლორტების ზრდა დღისით მზის სხივები სჭირდება, რა მით კი სიგრილე და ცვარი..

— მაშ როგორ აღწევთ გაზრდილ გეგმების შესრულებას? — შევეკითხუმე.

— იმით, რომ მინიმუმამდე დაჭყავს დანაკარგების პროცენტი. ხარისხიანი ფოთლის კრეფასთან ერთად ბუჩქებს ვწმენდთ გადაბერებული ყრუკვირტებისაგან. ადრე გაზაფხულზე პლანტაციები ღროულად გადავბარეთ და სასუქიც თავის ღროზე შევიტანეთ. მართალია, შარშან მუშახელის ნაკლებობა იგრძნობოდა, მაგრამ ახალია თავმჯდომარემ წელს ყველა შრომისუნარიანი წევრი სამუშაოზე გაიყვან. — დაამთავრა ლუთბიერ და ქიქას კმაყოფილებით გაულიმა.

თავმჯდომარე და ბრიგადირი ერთ ერთ მკრეფავ ქალს მიუახლოვდნენ და მოკრეფილი ჩაის ფოთლის ხარისხის შემოწმებას შეუდგნენ. მე კი ამ ღრო 15-16 წლის ვაჟისაკენ გავწიე, რომელიც მოკრეფილ ჩაის ფოთოლს ქალთებში ყრიდა. მან დამინახა და ცისფერი თვალები ცნობის მოყვარეობით მომანათა.

— ვისი ხარ, ბიჭუნა.

— ლუთბიერ ფალავასი. — მკვირცხლად მიპასუხა მან.

— ჩვენი ბრიგადირი ქალისა?

— დიახ, ძია!

— მამა ხომ გყავს, ბიჭიკო?

— არა... ომში დაიკარგა — დაუმატა მან და ჩაის ფოთოლს წიწქნა დაუწყო.

მე გული მატკინა ბავშვის მღელვარებამ. — რამდენი შრომადლე გაქცეს წელს?

— ასოციაზუთი.

ალერსიანად გამოვემშვიდობე ბიჭუნას და ჩემი თანამგზავრისაკენ გავემართეთ.

მზე ჰორიზონტს ეფარებოდა. კოლმეურნე ქალები სამუშაოს ამთავრებდნენ, ჯგუფ-ჯგუფად იქრიბებოდნენ და ფარდულისაკენ მოლიდნენ. ლუთბიერმ ბრიგადის მთელი დღის შრომის შედეგი შეაჯამა, პროდუქცია მიმღებ პუნქტში გააგზავნა და ჩვენ გამოგვყვა.

— რამდენი შვილი გყავთ? — შევეკითხე ლუთბიეს, როცა მცირე მანძილი გავიარეთ.

— ერთი. თქვენ რომ გამოესაუბრეთ, ჩემი შვილია, კარგი ბიჭი გამეზარდა, ენაცვალოს დედა. მეულლე სამამულო ომში დამეღუპა, მაგრამ შვილისათვის ობლობა არ მიგრძნობინებია.

ჩემთა ქმარმა ბრძოლაში გამოიჩინა

გმირობა, მტრისათვის ზურგი არ უჩვენებია. არც მე შემირცხვენია ოჯახი, შრომა არ დამზარებია. თექვსმეტი წელი გავიდა მას შემდეგ. პარტიისა და მთავრობის მზრუნველობით, კოლმეურნეობის დახმარებით და თანასოფლელთა ხელის შეწყობით ოჯახი ფეხზე დავაყენე და საერთო საქმეშიც ჩემი მცირე წვლილი შემაქვს.

— ღირსი ყოფილხართ ქებისა, უფრო მეტი და მეტი წარმატებებისათვის უნდა იბრძოლოთ, რათა ღირსეული ადგილი გეჭიროთ ჩვენი ქვეყნის რჩეულთა შორის.

— ვეცდები, ძვირფასო ამხანაგო, — მიპასუხა მან და როდესაც გამოსამუშადობებლად. ხელი გამომიწოდა, მის თვალებში ნათლად ამოვიკითხე, რომ იგი ნამდვილად თავისი სიტყვის პატრინი იყო.

— კიდევ გვინახულეთ, მეტი წარმატებებით დაგიხვდებით. — მომაძახა კოლმეურნეობის თავმჯდომარებ ამხანაგმა ქიქამ, როცა ავტომანქანა დაიძრა. ლუთბიე კი მოლიმარი სახით ცხვირსახოცს მიქნევდა.

ვლაძიშვილ გილაკოვსკი

## კ ა ჩ გ ი ა!

ნაწყვეტი აქტომბრის პოემიდან

როგორც ყოველთვის,  
ოქტომბერში  
ქროლნენ  
— ქარები,  
კაპიტალიზმის ღრის რომ ქრიან,  
ისე ნებივრად.  
ტროიცის გალმა  
ქროდა  
ავტო და ტრამვაები  
დაყლაკნილ რელსებს  
მიჰყვებოდნენ  
ჩვეულებრივად.  
ხიდევეშ მღინარე ნევა მიდის,  
მიეღინება,  
ხოლო ნევაზე მისცურავენ  
კრონშტადელები...  
შაშხანის ხმაზე აზრიალდნენ  
ფანჯრის მინები,  
ზამთრის სასახლეს შეერყევა  
მალე კედლებიც.  
ცოფიანივით მიგრიალებს  
ავტომბილი —  
ნამდვილად დახეთქს საბურავებს  
ქროლვა ამგვარი.  
იპარებოდა გატჩინიდან  
კაცი  
ყოფილი. —  
„ამბოხებულო ამბოკარნო!  
ბუკი დაჲკარით!...“  
მეჩერ ვარსკვლავთა თვალი  
ზევიდან  
ხედავს,

კით მძლავრად  
 დაძრული ტალღა,  
 კეპსპოლმელები,  
 წამოსულნი ყაზარმებიდან,  
 ზამთრის სასახლეს  
 არტყამენ  
 ალყას.  
 სმოლნში კი  
 ფიქრობს  
 და ამზადებს ჭარებს ბრძოლისთვის, —  
 ილიჩი  
 გრიმით შენილბული  
 მლელვარედ დადის,  
 ხოლო რუკაზე  
 ანტონოვი  
 და პოლვოისკი  
 ალმებს  
 ასობენ  
 შეტევისათვის.  
 ძალა-უფლება  
 ნებით დათმე,  
 ბრძოლა წუ გინდა,  
 თორემ ინატრო სამალავად  
 თაგვის  
 ხვრელებიც.  
 სასახლისაკენ  
 ყველა უბნიდან  
 მოდიან  
 წითელგვარდიელები.  
 მატროსებისა  
 და  
 მუშების  
 ჩაუცმელ რაზმებს  
 ელვისებურად უბრწყინავენ ხიშტები  
 ბნელში.  
 თითქოს  
 სასახლეს  
 ბუმბერაზი  
 რისხვით ალსავსე  
 წვდა ორივ ხელით  
 ნასათუთევ,  
 ნაფერებ ყელში.  
 ორი აჩრდილი

გოლიათი,  
 უზარმაზარი  
 დაღგა პირისპირ,  
 შერქინება  
 დაიწყოს უნდა.  
 ზამთრის სასახლე,  
 რეინის მესერით  
 ბობოქარ  
 ბრბოებს.  
 წინ გადაუდგა.  
 ორი აჩრდილი  
 მძაფრად  
 იბრძოდა,  
 არწევდა ტყვია,  
 ქარის გრიალი, —  
 ტყვიამფრქვევების ხმა მოისმოდა,  
 ვით დალეჭილი  
 ძვლების  
 ხრჭიალი.  
 პავლოველები ბუზლუნებენ,  
 უქმად რომ დგანან.  
 „რას მიჰქარავენ...  
 პოლიტიკის დრო არის განა?..  
 ბოჩქარიავის  
 დედაყაცებს  
 ვატირებთ მწარედ!  
 რაღას უცდიან,  
 იერიშზე გაგვიშვან ბარემ!  
 აჩრდილნი  
 თათებს  
 არ უშვებდნენ ერთმანეთს წუთით,  
 არ სურდათ  
 თათის არც მოგლეჭა,  
 აღარც გაშვება.  
 დუმილი ვეღარ აიტანა,  
 ჰბარდება  
 სუსტი,  
 გარბის  
 და დამფრთხალ  
 თაგვს ემსგავსება.  
 ყველაზე აღრე  
 გატყდა იოლად

დედაქაცების  
 ბატალიონი.  
 ბატარეა თერთმეტზე  
 მიატოვეს მცველებმა  
 მიხეილოველებმა, თუ კონსტანტინოველებმა...  
 სოლო  
 კერენსკი  
 დაიმიალა,  
 აღარსად არ ჩანს. —  
 ფიქრმა შეიპყრო  
 კაზაკის გოგრა.  
 ისე გამეჩხრდა  
 სასახლის დაცვა,  
 კბილებჩამტვრეულ სავარცხელს მოჰვავს.  
 და ლილხანს,  
 ლილხანს  
 მდუმარება იდგა აგეთი,  
 იდგა დუმილი  
 იმედის და სასოწარკვეთის.  
 სასახლეში კი,  
 სავარძელში რბილად რომ ჩასხდნენ,  
 დამფრთხალ  
 მინისტრებს  
 მოლოდინით გული ელევათ.  
 ციმციმი გააქვს  
 სპილენძის ბალთებს,  
 ახლადგაპარსულ ლოყებს  
 ასდის ნელსურნელება.  
 რომ მოუსმინონ  
 ან შეხედონ,  
 არვინ გარჯილა.  
 ხიშტების ტყეში მოხველრილი  
 სახტად რჩებიან,  
 საკმარისია  
 შეარხიონ  
 და სულ ადვილად  
 გადამჭიდვებულ მსხალის მსგავსად  
 დაცვივდებიან.  
 ხმის ამოლებას ვერავინ ბედავს.  
 არის ჩურჩული  
 ძლივსაგასაგებად.  
 — სად არის ახლა კერენსკი ნეტავ? —  
 — ის?

კაზაკებთან.

ისევ დუმილი ლამის ლოდინში.

სალამოს

ჩურჩულს იწყებენ ახლად:

— სად არის ნეტავ პროკოპოვიჩი?

— იგი არ გახლავთ.

ხოლო ხილს იქეთ,

ნუკოლოზის თუჯის ხილს იქეთ,

ჩანდნენ

აფრორას კოშკურები

ფოლადისანი,

განრისხებულნი

აცეცებდნენ თვალს

სასახლისკენ,

თითქოს

სიკვდილმა აირჩია

ზუსტი მიზანი.

და აი

მაღალ

საყელოდან

წამოიმართა, —

გამოჩნდა სახე

კონოვალოვის.

წყაროდ რომ ჩქეფდა,

იმ ხმაურმა

ისე იმატა,

რომ ახლა

ქუხდა ქარიშხალივით.

ვინ არის ნეტავ ასე გრძელი,

ვინ მიწვდა ნეტავ,

ვინ დასცხო ჭოხი

თვითეულ მინას? —

პეტროპავლოვსკის

ფორტებიდან

დაფლითეს ბნელი,

სამდუიმიანით

ასტეხეს გრგვინვა.

უცებ —

ქალაქი

ააფეთქეს თითქოს მთლიანად,

დაიგრიალა ავრორიდან

ექვსდუიმიანმა.

ჯერ გაფანტული არც კი იყო

ჭექა-გრაგანი,  
 არ დამცხრალიყო  
 მრისხანება ჭვემებისანი,  
 პეტროპავლოვსკზე  
 აელვარდა უცებ  
 ფარანი,  
 ეს აჯანყების  
 იყო ნიშანი.  
 — ძირს!

მოგსპოთ, ვულიტოთ,  
 წინ! მოგსპოთ, ვულიტოთ! —  
 მოოქრულ სახლში  
 შეაღწიეს  
 ქარიშხლის მსგავსად.  
 იღებლნენ კიბეს,  
 საფეხურს თოთოს,  
 იუნკერების  
 სიცოცხლის ფასად.  
 თითქოს  
 ოთახი  
 აიგსო წყალით,  
 ჩხრიალებდა და  
 გუბდებოდა  
 თვათეულ მსხვერპლთან.  
 გაჩალდა ბრძოლა  
 შუადლეზე  
 მცხუნვარე,  
 ცხარი  
 ყოველ დივანთან,  
 ფანჯარასთან  
 და პარტიერთან.  
 ამ ამფილადში,  
 სად გვირგვინით  
 ვლიდნენ მეფენი,  
 ატკბობდა მონარქს  
 მისალმება,  
 პატივისცემა,  
 მოხავერდებულ  
 დარბაზებში,  
 გრძელ დერეფნებში  
 იყო ჩექმების  
 ბრახუნი და  
 კონდახის ცემა.

აგერ

ვიღაცა  
ძალლიშვილი  
შიშით კანკალებს,  
თავს დასდგომია  
წარბშეკრული  
პუტილოველი:  
„მომე ყმაწვილო,  
ნაქურდალი საათი,  
მალე!

ახლა

ჩვენია  
ნივთი ყოველი!“  
ბრახუნი  
უფრო გაძლიერდა  
და ის ცამეტი  
კარგა დაზილებს,  
შებოჭეს,  
შეკრეს.

ჰალსტუხზე

თავი  
ჩაუქინდრავთ,  
რაღა ქნან მეტი?  
თითქოს ნაჯახი მოულირეს,  
დადუმდნენ ეგრე.  
ორასი ბიჭი...  
ოცდაათი...  
ოცი...

და სწრაფად  
შემოირბინა

იუნკერმა:  
„რას იბრძვით? — მორჩა!“  
„ჩავბარდეთ!“  
ჩხავის ცამეტი და  
ისევ სულს ნაბავს.  
კარში —

ბუშლატი,  
ტყაპუჭი და  
მაზარა მოჩანს...

ამ სიჩუმეში  
ჯიგრიანად,  
როგორც შერისხვა,  
ბანი, მაგარი

კარგად ნაწრთობ  
 ფოლადივითა,  
 აქუხდა:  
 „აბა,  
 დროებითი მანდ რომელი ხართ?  
 ჩამოეთრიეთ!  
 დრო გაგივიდათ!“  
 სმოლნში კი  
 ხალხის ტალღა  
 მიღელავს,  
 სიმღერით  
 ითქვა  
 ყველა სათქმელი.  
 — და ეს იქნება... -ს ნაცვლად პირველად  
 გაისმა:  
 — ...არის უკანასკნელი... —  
 განთიადამდე  
 დარჩა  
 მხოლოდ არშინი კიდევ,  
 სხივთა ხელები  
 ალიმართნენ  
 ალმოსავლიდან.  
 ავტოში  
 ჩაჭდა  
 ამხანაგი პოდვოისკი და  
 დაღლილმა ეს თქვა მხოლოდ:  
 „მორჩა...  
 სმოლნში წავიდეთ“.  
 ტყვიამფრქვევებმა  
 მოიხადეს პირნათლად ვალი,  
 ტყვიათა სკების  
 ზუილი  
 მიწყდა.  
 ვარსკვლავებივით  
 აელვებდნენ  
 ხიშტები არილს.  
 ბყუტავდა ხომლი,  
 ყარაულად  
 ცაში რომ იდგა.  
 როგორც ყოველთვის,  
 ოქტომბერში  
 ქროდნენ ქარები.

აღარც ტრამვაის შეუცვლია  
გეზი თავისი,  
ხიდზე  
დაკლაკნილ რელსს მისდევდა  
კვლავ აჩქარებით,  
მაგრამ  
ამჯერად უკვე იყო სოციალიზმი.

თარგმნა გიორგი სალუქვაძემ

## კეთიღი იყოს ჩამოსვლა თქვენი

აქარის ლიტერატურისა და ხელოვნების  
დეკადის მონაწილეებს

მოხვედით, მოგყვათ  
სიმღერები,  
ცეკვები,  
ლელვა,  
აგვივსეთ გული სიხარულით,  
ხალისით,  
ლხენით,  
მოგყვათ ზღვისპირის ლაუვარდები  
და ცისარტყელა,  
ამხანაგებო, კეთილ იყოს ჩამოსვლა თქვენი!

მგოსნებო, გვესმა თქვენი ჰანგი  
ლაუვარდში თქმული,  
ბეღნიერებას რომ უმღერით  
ბულბულის ენით,  
თქვენი ზღვისპირის დაფიონით  
ვართ დაისრული,  
გეხვევით ძმურად,  
კეთილ იყოს ჩამოსვლა თქვენი!

ჩვენი სალამი ფუნჯისა და სცენის ოსტატებს,  
ლამაზ გოგონებს,  
რომ არიან სიტურფის მჩენი,  
სალამი ყველას,  
ვინც მოგვხიბლეს,  
გული მოგვტაცეს,  
გავიმარჯოთ და, კეთილ იყოს ჩამოსვლა თქვენი!  
ვილხინოთ ერთად,  
ვაგუგუნოთ ძმობის სიმღერა,  
ელვარე გზაზე ჩვენ პარტია  
მიგვიძლვის ბრძენი,

გხედავთ,  
 გვიხარის,  
 სიყვარულით გული გვიღელავს,  
 გეხვევით,  
 გქოცნით,  
 კეთილ იყოს ჩამოსვლა თქვენი!

თარგმნა შოთა როკვაძე

## ბ ა თ უ მ შ ი

ნაპირზე ვზიგარ. ზღვა კი ისე ძლიერ მწვანეა!  
მე ვუცდი ზღვაურს ამოქროლდეს. რა სიწყნარეა!  
ვუცდი, რომ იგი აღგზნებულ სულს მიეალერსოს...  
პალმის მახვილი შიგ ჩაერჭო ჰაერს, უბეში,  
და როგორც მატყულში თავი გაჰყო ანძამ ღრუბელში,  
არც გაგლიჭა და არც გადატყდა, ისე ჩაესო..

ქვეყნიერების გაჩენიდან აქ ვზიგარ თითქოს,  
ბათუმის პირას, პორიზონტი ჩემს მზერას იპყრობს...  
ო, როგორ ძლიერ შრიალებენ ფოთლები პალმის!  
და როგორ ვზიგარ. მე აქ ყოფნა არც მომწყინდება,  
ლაუგარდმოსილი სულ ვუყურებ ტალლის ღინებას,  
მის ღაბადებას და, მის სიკვდილს აღვბეჭდავ ყალმით.

მაგრამ მე ისევ გამჭვირვალე პორიზონტს ვუცქირ;  
და ამ დუმილში, ასე დიღხანს ირგვლივ რომ სუფევს,  
ზღვის მკერდს გადაღმა მე შევნიშნე ხელს როგორ მიქნევს,  
ოვიდიუსის\* როგორ მიხმობს ლამაზი ძეგლი...  
და ამ ჩემს გულში ორი გრძნობა ერთმანეთს ებრძვის:  
გავცურო მისკენ მინდა ძლიერ და აქაც ვიქნე:

\*ოვიდიუსის ძეგლი დგას რუმინეთის ნავსაღვურ კონსტანციაში, ზღვისპირას.

## განშორება

მომდგარი სიტყვები ძუნწად თქვა ენამა,  
ქალს სახე ყვითელი ცრემლებით ენამა,  
შიშით და კაეშნით მისი ცხვირსახოციც  
ქარში კანკალებდა რაღაც გასაოცრად.

მერე სინანულით წაფილა იმ წამსვე,  
მძიმედ აბიჭებდა ნაწვიმარ მიწაზე.  
აღარც მოიხედა, აღარც რა ესმოდა.  
...ყვითელი სიმინდი ყანაში კვნესოდა.

ქორი დაემიზნა ბუღეს ბჟღურების,  
ცაზე დაცურავდა გემივით ღრუბელი.  
ჭის თავზე ჭდებოდა ჩიტუნა გვიანი,  
რომ ეთქვა სიმღერა მეტად ნაღვლიანი.

ქარმა წეროები საფრენად ატყორცნა.  
და ფრთებით წისქვილმა ჰაერი დაჰკოცნა.  
ნუ ეკვრი ლაუვარდებს, ტოროლა, მოიცა!  
...დიღმა სიმარტოვემ მინდორი მოიცვა.

## ზღვის წვეთი

ზღვის ერთი წვეთი ლაუგარდისკენ აიჭრა მაღლა  
და წამში ისევ დაუბრუნდა მჩქეფარე ტალღას.

ჩვენ ისე, თითქოს პირუკულმა ჭოვრიტში ვუცქერთ  
ცხოვრების ერთ წვეთს, როგორც გავლილ სანახობას.  
ვით ერთ ფოთოლში — ულრანი ტყის ხეებს და  
ფურცლებს  
თავმოყრილს ვხედავთ ამ ერთ წვეთშიც მთლიან თაობას.

გონების თვალით ნელა მისდევს წელიწადს წელი,  
მეხსიერებას შესარჩევი ვერ მოუნახავს —  
იმდენი იყო მწუხარება, ვით გზაზე მტვერი,  
და ტკივილებიც ხომ სჭარბობდა მინდორში ბალას.

მეც ერთი წვეთი ვიყავ ზღვაში, წვეთი პატარა  
და მაინც მძაფრმა ქარიშხალმაც ვერ ამაოროქლა,  
რადგან ხანდახან თვით სილრმემდე გულში ატანდა  
თავისუფალი წეროების ლაუგარდში ქროლა.

და როცა ბნელეთს სამუდამოდ გაუსხლტა სივრცე,  
ამაცისკროვნა დიალი მზის კაშკაშა შუქმა,  
ჩამიკრა გულში, — სიზარული იმ წამით ვიგრძენ,  
ახალგაზრდობა დამიბრუნდა გავლილი უქმად.

და ჩემი წვეთი როცა შემდეგ აბრწყინებული  
ზღვას დაუბრუნდა, იყო უფრო დამძიმებული.

რუმინულიდან თარგმნა ინეზა ბერიძემ

## შვეტუღების გასასრული

დღეს ზღვა არის, ვით სამსალა, ისე მწვანე,  
სახლშიც მესმის დუღილის ხმა მისი მწვავე.

ქარს, უხილავ ალქიმიკოსს, ძალა უჭრის —  
თან ურევს და თან ადულებს თიხის ჭურჭლით.

ზღვა ველური ღრიალით და პირზე ქაფით  
ზედ ეღვრება ყვითელ ქვიშას და ლურჯ ნაპირს.

სახლში ღვიძავთ, მაგრამ მაინც ხმა არ ისმის...  
ზღვა ბრაზდება და ბრუნდება უკან რისხვით.

დასილული ძველი ნავი დაიტანჯა  
და ვერ შეძლო ქვიშნარილან ცხვირის დაძვრა.

წეროს გუნდმა გადიფრინა სერთა მწკრივი,  
ვით ზაფხულის ზემის მოსწყდა სერპანტინი.

...შეგძლებოდა ჩემთან ყოფნა, ჩემთან დგომა,  
იქნებ ჯერ არც მოსულიყო შემოდგომა.

რუმინულიდან თარგმნა ნესტორ მალაზონიამ

## გამოთხოვება

### კავკასიასთან!

მყინვარი მთვარის სხივებით  
გაბრწყინებული არის.  
სახეს მისველებს ცრემლები,  
ლაწვებზე მომდინარი.  
ქარი ნავარდობს გრიალით,  
ტალღა ღრიალებს თითქოს;  
მეთოლიებიც ჩხავიან,  
მე კი კვლავ შენზე ვფიქრობ.

თვალს ეფარება ქვეყანა.  
ქვეყანა სანუკვარი,  
გული კი შენსკენ მოიწევს,  
შენზე ოცნებით მთვრალი.  
ფრთებს გამოვასხამ სიმღერებს —  
შენთან მოფრინდნენ თვითონ,  
გიმღერონ, გრძნობით გიმღერონ,  
გამცნონ, რომ შენზე ვფიქრობ.

## სიმღერა მამაც აღამიანჩე

სიმღერა წველება ზეციურ თავანს,  
მამაცი კაცის საქებად თქმული.  
ვაჟეაცის ჭილდოდ ალალი არის  
კარგი სიმღერა და არა ფული.  
კმაღლობ, რომ ძალა შთამბერა  
ლმჯრთმა —  
გმირის საღარი სიმღერა მეთქვა.

ქარი მოვარდა ზღვის ნაპირიდან,  
ველშლანდს მიეჭრა, დასცა თავზარი,  
ღრუბლები ისე გამოირეა,  
როგორც ცხვრის ფარა მგლისგან  
დამფრთხალი.  
ტბაზე დახეთქა ყინულის მთები  
და შეუტია ტყეს გააფრთხებით.

მთის მწვერვალებზე ჩამოდნა თოვლი,  
მდინარედ იქცა და დაეჭანა,  
ტბამ მთლად წალეკა მინდორი  
ვრცელი,  
წყალმა აავსო მთელი ქვეყანა.  
ტალღამ მოგლიჭა ვეება ქვები,  
აბურთავებდა. თავგამეტებით.

გაღმა-გამოღმა ბურჯებს და კავებს  
ეჭირათ მტკიცედ ნაგები ხიდი.  
ხიდის შუაში კი სახლი იღგა,  
საღაც მებაჟე ცხოვრობდა ფლიდი.  
მებაჟევ, ჩქარა! მანდ ნულარ დგახარ,  
თორემ ცოლ-შვილით წაგრეცხავს  
ტალღა.

ყრულ ქუხდა, მწარედ ღმუოდა ქარი  
და აწყდებოდნენ ტალღები კედლებს.  
მებაჟე სახლის სახურავიდან

ზეცას მუღარით აპყრობდა ხელებს:  
„მოწყალე ღმერთო, ო, შემიბრალე,  
დავიღუპები, მიშველე მალე!“

ლოდები, ქვები, დარტყმა და დარტყმა,  
ნგრევა, ჭრიალი, გრიგალის ხმებთან,  
ორთავე ნაპირს მოგლიჭა ტალღამ,  
ბურჯები დიდრონ თაღებთან ერთად.  
მებაჟე თავის ცოლით და შვილით  
შველას ითხოვდა სახეშეშლილი.

ლოდები, ქვები და ისევ დარტყმა,  
ნგრევა, ჭრიალი გრიგალის ხმებთან.  
დაიმსხვრა-დატყდა გაღმა-გამოღმა  
ბურჯები თავის კავებთან ერთად.  
ნგრევამ უწია შუაგულს მალე,  
„მოწყალე ღმერთო, ო, შემიბრალე!“

მაღლა, შორეულ ნაპირზე ხალხი  
იღგა და იმ სახლს უმზერდა ყველა.  
ყვეიროდნენ, ხელებს იმტვრევდნენ  
ძრწოლით,  
მაგრამ ვერავინ ბედავდა შველას.  
მებაჟე თავის ცოლით და შვილით  
შველას ითხოვდა სახეშეშლილი.

უცებ შორიდან გამოჩნდა გრაფი  
და ხალხთან ცხენით მოიჭრა წამსვე.  
ეს რა უჭირავს გრაფს ხელში ნეტავ?  
ჭისაა, ჭისა ოქროთი სავსე.  
„დავასახუქრებ, ვფიცავარ გამჩენს,  
ვინც გაბედავს და მათ გადაარჩენს!“

უფრო აბორგდნენ შმაგი ტალღები,  
უფრო ძალუმად აღმუვლდა ქარი.  
ო, მოდი მხსნელო! — არავინ ჩანდა,

ხალხი შიშობდა ნაპირთან მდგარი.  
ტალღებს მიჰქონდა ბურჯები ხილის  
და იმსხვრეოდა თალები დიდი.

„გამოდით, მალე, გაბეღეთ ვინმემ!“  
და გრაფმა მაღლა ასწია ფული.  
ყველას ესმოდა, ყველა ხედავდა,  
მაგრამ ვის ჰქონდა ვაჟაპის გული.  
შებაჟე თავის ცოლით და შვილით  
კვლავ ხსნას ითხოვდა სახეშეშლილი.

დახე, — წამოდგა წინ ერთო გლეხი,  
ტანად დევგმირი იყო ნამდვილი,  
მოგზაურს ეცვა ხალათი სქელი,  
შარვალი მტვერში ამოგანგლილი.  
ჯერ გრაფის ქისას შეავლო თვალი,  
მერე ერთბაშად მოზომა წყალი.

ახსენა ღმერთი და უყოყმანოდ  
ზვირთში შეაგდო მეთევზის ნავი.  
არ შეუშინდა ქარსა და ტალლას,  
ნიჩბებს უსვამდა ვაჟაპურ მკლავით.  
ერთად უნდოდა იმათი შველა,  
მაგრამ ნავში ვერ მოთავსდა ყველა.

სამჯერ გაფიდა პატარა ნავით,  
არ შეუშინდა ქარსა და ტალლას,  
სამჯერ უკენებლად მოადგა ნაპირს

ვაჟეაცი მაინც არ გრძნობდა დაღლას.  
ძლივსლა გაასწრო ნაპირზე ისევ  
და ნარჩენებიც ჩაინგრა მყისვე.

„აქეთ, მამაცო!“ მოუხმო გრაფმა,  
„ჯილდო შენია, მოიტა ხელი!“  
არ იყო განა გულით ნათქვამი?  
გრაფი არ იყო სიტყვის შემშლელი.  
მაგრამ ხალათის ქვეშ დაფარული  
გლეხს გრაფზე მძლავრად უცემდა  
გული.

„მე ჩემ სიცოცხლეს არ ვყიდი ფულზე,  
თუმც ლარიბი ვარ — არ მინდა სხვისი:  
მებაჟეს ვაძლევ, მან მოიხმაროს,  
რადგან სახლ-ქარი დაქარგა თვისი!“ —  
მიუგო გრაფს და მობრუნდა ჩქარა,  
ადგილს მოწყდა და თვალს მიეფარა.

სიმღერა სწვდება ზეციურ თავანს,  
მამაცი კაცის საქებად თქმული.  
ასეთ კაცს ჯილდოდ შეშენის მხოლოდ  
კარგი სიმღერა და არა ფული..  
ვმაღლობ, რომ ძალა შთამბერმა  
ღმერთმა  
გმირის სადარი სიმღერა მეთქვა.

გერმანულიდან თარგმნა  
ვაჟა ჭანუყვაძემ.

პლეზსადრე სამსონია

## ბარნაბას მამარი

მართალია, ჭიშკარზე გამოკრული წარწერა გვაფრთხილებს, რომ ეზოში ავი ძალლია, მაგრამ ჩვენი პირველი სტუმარი — მერძევე ალფეზა დილა მშვიდობის მაგიერ ასეთი კითხვით მი-მართავს აღრიანად ამდგარ მოხუც თებრონეს.

— ბებია, მამალი დაბმულია?

ალფეზა უთენია მოდის. ასეთ ღროს მამალი დამწყვდეულია, მაგრამ როგორც იტყვიან, სიფრთხილეს თავი არ სტკივა.

შემდეგ გაზეთები მოაქვთ. ბებია თებრონე ბაზარშია წასული და ფოსტალიონს ისრა დარჩენია, ეზოში მოთამაშე ბიჭუნას შეეკითხოს:

— ბიძიკო, მამალი ხომ არ გამოუშვიათ?

თუ არ გამოუშვიათ, ხომ კარგი, მაგრამ თუ ღმერთი გაუშერა და გამოსვლას ვერ დაასწრო, იდგეს უნდა ჭიშკართან და ელოდოს, სანამ სახლის პატრონი ბარნაბა ეზოში ჩამოგორდება და თავის შინაურ ფრინველს საქათმეში შეუყვანს.

ბევრი, ალბათ, ამ ამბავს არ დაიჯერებს, მაგრამ ვისაც ჭიშმარიტების გაგება სურს, ერთ მშვენიერ დღეს გვეწვიოს, ჩვენი ეზოს ჭიშკარი შემოაღოს და...

ხომ. არ შეშინდით? კეთალი! მაშ მისამართსაც გეტყვით. ჩვენ ზღვისპირას ვცხოვრობთ, იქ სადაც ახალ-

დაჭერილ თევზებს ყილიან. დაუყევით სანაპირო ქუჩას, შემდევ მარჯვნივ შემოუხვიეთ და „რიკა“ ბარნაბა მოძებნეთ, თუმცა აჯობებს ბარნაბას მამალი იკითხოთ — მთელმა უბანმა იცის. ატირებულ ბავშვებს დედები ასე ამშივდებენ:

— გაჩუმდი, თორემ ბარნაბას მამალი შეგვამს!

ბოლოს და ბოლოს ვინ არის ეს ბარნაბა, ან მისი მამალი? — იკითხავთ თქვენ.

ხომ გითხარით, ბარნაბა ჩვენი სახლის პატრონია. მას ჰყავს მამალი.. ბარნაბას ლამაზი ცოლი ჰყავს. იმდენად ლამაზი, რომ ქმარს სარკეში ჩახელვის ეშინია.

ბეღნიერი კაცია ბარნაბა. ოლონდ ესაა, ლამაზი ცოლის პატრონმა ფრთხილი ძალლი ვერ იშოვა. მოიყვანა ერთი ახმახი ნაგაზი, მაგრამ ბედი არ გინდა? — მუნჯი გამოდგა. მისი დაყეფება კაცს არ გაუგონია. წევს ზამთარ-ზაფხულ თივაზე და ძვლების ხერაში ატარებს თავის ძალლურ ცხოვრებას.

მუნჯს ძალლს კი არა, ადამიანს ვერ ამოადგმევინეს ენა ჯერ-ჯერობით. მართალია, წარწერა კი გამოაკრა ბარნაბამ ჭიშკარზე, ეზოში ავი ძალლია, მაგრამ ნაგაზი რომ ჩამოეკიდა, ის აჭობებდა.

მაგრამ მოხარუობის გმირი მამალია და აჯობებს მის შესახებ ვილაპარაკორთ-

ზუსტ პორტრეტს არ დაგიხატავთ. ვიტყვით მხოლოდ, რომ ჩეცულებრივი მამალია, დაახლოებით იმაზე ცოტა უფრო ლამაზი, საბავშვო უურნალში რომ ხატავენ ხოლმე. ერთი შეხედვით ბარნაბას მამალში არაფერია ისეთი, რაც მის მტაცებლურ ბუნებაზე მეტყველებდეს. მაგრამ საკმარისია ეზოში უცხო ვინწე გამოჩნდეს, რომ თავხელს დაუკითხავად შემოსვლა ანანოს. სიბრაზისაგან ჯერ ბიბილო გაულურჭდება, შემდეგ გაშლის ფრთებს — მხეს დაჩრდილავს, აიწევა ცაში და დააცხრება მსხვერპლს თავზე. ისე ჩაუნისკარტებს, რომ ძალის კბენა სატრფოს ამბორად მოეჩვენება.

როცა დამრაცხებული მტერი ლანძლვითა და გინებით იყადრებს გაქცევას, ბარნაბას მამალი ჩამოიცლის ბრძოლის ველს და თავის ჯალაბობას გამარჯვებას ახარებს. ჯერ გამოვლენ შანდილოსანი დედლები, რომლებსაც გასათხოვარი ვარიკები გამოჰყვებიან, შემდეგ კრუხიც გამოქოთქოდდება თავისი წვრილფეხობით, სულ ბოლოს დარცხუნილი ყვინჩიალებიც გამოყოფენ თავს, მუდამ ვაკაცობას რომ ჩემობენ, მაგრამ საქმის დროს ძალა არ შესწევთ ქადილისა, ამ მრგალრიცხოვან არმიას გამარჯვებული სარდალი სანაგვე ყუთისაკენ წაიყვანს.

ბარნაბას ფერმა მომხმარებლებს ახალი ქათმითა და კვერცხით ამრაგებს. ჩვენი ეზოს გარდა, თითქმის მთელი ქალაქი მაღლიერა ჰყავს.

ჯერ ტკბილად სთხოვეს, ქათმებს თუ ვერ შეელევი, მამალი მაინც მოგვაცილეო. არ ისმინა. შემდეგ უჩივლეს, არც ამან გაჭრა.

მე ერთი სტუდენტი კაცი ვარ, ცოლი არ მაწუხებს და შეილი, დღეს აქვარ და ხვალ სხვაგან ვიქნები, არ მანდოდა სახლის პატრონის გადაკიდება, მაგრამ როცა იმ წყეულმა მამალმა

სატრფო დამიკბინა, მოვკიდე ხელი დაქმენილს და პირდაპირ მილიციაში ამოვყევით თავი.

უფროსმა მასხრად აგვიგდო.

— ჩვენი წინაპრები ვეფუვებს ხელით ახრჩობდნენ და თქვენ ისე რამ დაგაგლახათ, რომ ერთმა ჭირიანმა მამალმა შეგამინათო.

შეგვატყო, სამასხროდ არ გვერნდა საქმე და დაგვამშვიდა, მოვალ და ყველაფერს გამოვარკვევო.

მოვიდა კიდევაც. პირველად იყო ჩვენს ეზოში და ის იკითხა, ძაღლი თუა დაბმულიო. სხვა ჩემს ადგილას ერ დაინდობდა, მაგრამ მე ბუნებით ბოროტი არა ვარ და გავაფრთხოსილე.

— ძაღლის ნუ გეშინია, მამალია აშვებული-მეთქი.

არ დამიჭერა და ინანა კიდეც.

არ ვიცი რა ნახა მილიციის ფორმაში გადასარევი იმ წყეულმა, ეძვერა, მეგრამ როგორ, არ იკითხავთ?

ბანდიტებისა და კაცისმკვლელების წინაშე არ შეუხრა ჩვენს უფროსს წარბი, მაგრამ ახლა ისე მოულოდნელად და ისეთ პირობებში მოხვდა თავდასხმა, რომ იარაღის ამოლებაც ვერ მოასწრო და ისღა დარჩენოდა, განწრული ხმით შველა ეთხოვა.

ატყდა ალაქოთი. მთელი ეზო გამოცვიდა გარეთ. როგორც იქნა მოაცილეს მამალი და საქათმეში შეაგდეს.

სახე სულ დაკორტნილი ჰქონდა მაიორს, მაგრამ სიბრაზისაგან წვეთი სისხლი არ გაღმოსდენია.

— რასა ჰგავს ეს, ვინაა პატრონი?

და როცა ბარნაბას ბინაზე მიუთითოს, მუშტი მოულირა.

— მე მაგას ვუჩვენებ.

ბარნაბა და მისი ლამაზი ცოლი კიბეზე შემოეგებნენ უფროსს და სახლში შეიყვანეს.

ყველას გვაინტერესებდა, რა მოლოდა დაპატრამრებულ მამალს. და

შხოლოდ მაშინ, როცა ულმობელმა ჯალათმა ბარნაბამ მაღლა ასწია სისხლით მოსვრილი მისი ქოჩორა თავი, დავრწმუნდი, რომ კანონის ძალით შტალისათვის სასჯელის უმაღლესი ზომა მიესაჭათ.

გლოვობდა საქათმეთი, ზეიმობდა ჩვენი ეზო, მაგრამ ხანმოკლე აღმოჩნდა სიხარული.

როცა ბარნაბამ თავის ნაგაზს მაშლის ძვლები გამოუტანა დასახრავადა ჩვენს მომღიმარ სახეებს მოკრა თვალი, მუქარით გადმოგვხედა:

— მოიცათ, მალე გაისრდება! აგვისრულდა მუქარა. შემკვიდრე ყვინჩილიმ მამას გადააჭარბა ჩხუბსადა მარიფათში. ოლონდ ესა, შიშით მოსდის ეს თუ პატივისცემით, მილიცაის მუშაქებს სათოფედ არ ვკარება—

## ღაყბობაა თუ ცოდის შერთვა

„გთხოვ, დამეხმარო ამ საქმეში, როგორც მეგობარს,  
ვით ამას ითხოვს მეგობრული წესი და რიგი.

ღროა დავდინჯლე, აცეტება აწი მეყოფა:  
შევხვდი გოგონას, ცოლად მინდა შევირთო იგი!“ —

„მერე რა გიშლის, მოიყვანე, ძმობილო, მალე:  
ქვეყნად რა არის საყვარელი მეუღლის დარი!“ —

„შენ მართალი ხარ, მაგრამ რა ვწნა, დარდი მაწვალებს,  
ვხედავ, ძმობილო, ასეთი გზა საშიში არის.

ვაი, ავყია შენი ხელით სახლში თუ დასვი.

ცოლს რომ მოიყვან, ვერ გააგდებ მერე ქუჩაში.

მაშინლა იგრძნობ, რომ ხელ-ფეხი გაქვს შებორჯილი,  
რომ აქ ბრალშია მნილოდ შენი თავი ცოდვილი!“ —

„მაშ, ქალს ნუ ირთავ, თუ კი მისთვის გული არ გულობს,  
ცოლ-ქმრის ცხოვრება არ იქნება უსიყვარულოდ!“ —

„უარყო იგი, რაც შენა თქვი, მართლაც ძნელია,  
მაგრამ უცოლოდ ხეტიალიც მოსაწყენია.

უჭიუობაა, როცა ვაჟკაცს არა ჰყავს ცოლი,  
აბურგვნილ სახლში, ყინულივით ცივი საწოლი!

აქ კი ფუნთუშა ქალი, ძმაო, შეერდზე გეკვრება!  
ქვა ხომ არა ვარ, ვგრძნობ, ესაა ბეღნიერება!“ —

„ვხედავ ოჯახზე რომ ამყარებ ამდენ იმედებს,  
მაშ არ სჭობია ცოლის შერთვით გაბეღნიერდე?“ —

„მართლაც კარგია ის გოგონა ტანით, თეალებით,  
მაგრამ, ვაი, თუ გახდეს ანჩხლი, მიუკარები,  
ინდაურივით უტევინო და თანაც კაპასი.

ის მოუტანე, ეს ცოტაა და ამის მსგავსი!“ —

„მაშინ ნუ ირთავ, ინდაური რა ჭირად, გინდა,  
ქუჩისკენ თვალი რად გეჭიროს ღამით და დღითა!“ —

„ეს მართალია, მაგრამ ბავშვებს რისთვის ივიწყებ:  
ბეღნიერება კაცს ასეთი რამ უნდა მისცეს?

ხელავ, გამორბის შენსკენ ბავშვი სიცილ-კისკისით.

ყელზე გეხვევა პაწაწინა ხელები მისი!“ —

„მართალი გახლავს, ბავშვებია ჩეენი ძალ-ლონე,  
შეირთე ცოლი, მეგობარო, რაღას აყოვნებ!“ —

„კარგი, მაგრამ, ვთქვათ, ათი შვილის გახდი პატრონი,  
რით გსურს არჩინო, რაღას მეტყვი ამის გამგონი?“ —

„მაშ, ქალს ნუ ირთავ, თუ კი ასე გიმზიმს და გიჭირს,  
უველა კაცს როდი დაპყოლია ოჯახის ნიჭი!“ —

„მაგრამ ბავშვები გახდებიან როცა ღიღები?  
აი, ნამდვილად ბეღნიერი მაშინ ვიქნები!“ —

„მაშ დაცოლშვილი, უკეთესი რა დაგრჩენია,  
უამს სიბერისას შვილი რკინის ყავარჯენია!“ —

„მაგრამ უეცრად რომ დავქვრივდე, მარტო დავრჩები,  
მაშინ თქვი, ვინდა დააპუროს წვრილი ბავშვები.  
სულ ერთმანეთზე პატარები გახლავთ ესენი,  
იმათ ჭლავილს და იმათ ტირილს სად გაექცევი!“ —

„იცი რა გითხრა, თავს მაბეზრებ ფუჭი სიტყვებით,  
ცოლის შერთვაზე აწ ნურაფერს შემეკითხები“. —

თარგმნა შ. შუბლაძემ.

## გ უ ბ ე

ერთ ადგილას ქვაფენილი ამოვარდა  
და ავდარში გუბე დატვა გაუვალი.  
მის უარესს რას ნახავდა კაცის თვალი —  
წუმშედ იქცა წვიმის ტბორი.

(ამას გარდა,  
სხვათა შორის,  
იდგა შმორიც).

და შეწუხდა გამვლელი თუ გამომვლელი,  
შეწრიალდნენ ახლო-მახლო მოსახლენი.  
თქვეს: არ არის ეს ამბავი მოსათმენი  
და აღმასკომს გაუგზავნეს თხოვნა ვრცელი.  
წერდნენ:

— მოდით, მოგვეშველეთ, მოგვეხმარეთ,  
ამოაშრეთ წყალი გზაზე დაგუბული,  
შეგვიწუხდა სული, გული,  
მოიწამლა არე-მარე.  
სხვა არ იყოს, სირცხვილია,  
რა გახდაო გუბე ერთი  
ამნაირი უსაშველო,  
ამნაირი დაუწრეტი! —  
თავმჯდომარემ მოადგილოს,  
მოადგილემ თანაშემწეს,  
თანაშემწემ თანამშრომელს დაავალა:  
— შეისწავლეთ და მასალა  
დანაზუსტი, დანადგენი,  
აქტი იქვე შენადგენი;  
აქტითან ერთად დასკვნა თქვენი  
ორ-სამ დღეში მომახსენეთ.  
მაგრამ თხოვნამ უკანასკნელ ინსტანციას  
მეცხრე თვეზე მიაღწია.  
და ჰა ერთხელ (მე არ ვიცი თხოვნის ბედით  
თვით შეწუხდნენ, თუ სხვა ვინმემ შეახსენათ)

გამომრკვევმა თანაშემწეს,  
 თანაშემწემ მოადგილეს,  
 მოადგილემ თავმჯდომარეს მოახსენა;  
 — შევისწავლეთ საქმე ჩვენა.  
 იქ, საღ ქუჩა ქუჩას ერთვის,  
 მართლაც არის გუბე ერთი,  
 ვინაიდან ქუჩებს შორის  
 წყალს ვერ იტევს კოლექტორი,  
 რომ გავიდეს წვიმის ღვარი  
 დაემატოს უნდა ლარი,  
 აიწიოს ტროტუარი,  
 გალაიწყოს ფილაქანი  
 და მერე კი სიგრძე-განით  
 მოასფალტდეს მთლად უბანი. —  
 გამოიყო კომისია,  
 შეადგინეს ხარჯთა სია,  
 ნახაზები,  
 ნახატები,  
 გაიმართა ქაღალდების  
 მიმოგზავნა, მიმოწერა.  
 „საქმე“ მეტად გაიბერა,  
 დაიხარჯა ფული ბევრი.  
 და როს მორჩა ყველაფერი,  
 აღმოჩნდა რომ ბიუჯეტში  
 მიმდინარე თურმე წელში  
 საიმისო თანხა, ფული  
 არ ყოფილა განზრახული.  
 ღრო გავიდა წელიწადზე ცოტა მეტი.  
 მაგრამ ერთხელ ალალბედად  
 იმ ტლამპოში ხერეშით მძიმედ დატვირთული  
 ერთი ავტო გახირულა  
 ჩაძირულა  
 თვლები სრულად,  
 რა არ ჰქონდათ მეტი ჩარა  
 ტვირთი იქვე დაეყარათ.  
 და...

არ ვიცი აღმასკომში საჩივარის  
 გამო ახლა რანაირი აზრი სუფევს.  
 ეს კია, რომ იმ ქუჩაში აღარ არის  
 აღარც ორმო,  
 აღარც გუბე,  
 აღარც წუმპე.

ნაზი ცოლადელი

## ხარხი უმღერის ბევნიერ ცხოვრებას

ვინ არ მოუხიბლავს აქარის ზღაპრულ მშენერებას; ბუნებას დიდი მსუბუკელობით მოუქარგავს მისი თვალწარმტაცი დაბლობი, ბუმბერაზი მთები. მათ სადიდებულს მღერიან სწრაფი და ცელქი მღინარები, ჩანჩქერები და შავი ზღვეს ლურჯი ტალღები.

ბუნების სიმშენიერე, მიწის ხვავი და ბარაქა, კიდევ უფრო მეტად უკლავდა გულს მშრომელებს, რომელთა სევდრი წარსულში ტანჭვა, წვალება, საბრელესა და მონობაში ყოფნა იყო. შინაური და გარეშე მჩაგვრელები საუკუნეების მანძილზე სისხლს სწოდნენ მშრომელებს, ჯიბეს ისქელებდნენ მათი ნაოჭლარით.

ხალხური მთქმელი ქობულეთის რაიონის სოფელ ქაქუთის მცხოვრები ხაჭი გოვიტიდე ლექსში „მოგოთხრო ქელი ამბავი“ გადმოგვცემს წარსულში აქარის მშრომელთა ავბელობაზე, ასე მიმართავს შვილშვილს:

ბაბუ მოგოთხრო ამბავი  
ცრემლები და გეგენინება,  
მოისმერ საშინელებას  
ღამით არ დაგეძინება.  
გშრომობრით, შრომის საფასოდ  
გვეხნდა ცემა და გინება.  
ჩვენან დაღერილი სისხლ-ცრემლი  
შავ ზღვაზე დიღი იქნება.

აქარის მშრომელები ორმაგ ჩაგრას განიცდიდნენ. ერთი მხრივ მათ ყვლეულენენ აღაბეგები, ხოლო შეორე მხრივ აშიოკებდნენ შემოსული ღამიკრობელები, მაგრამ ხალხი სულით არ დაეცა.

დავვიცყრო გადამთიელმა.  
ჩვენ მოსპობა ინება,  
ენა ვერ მოსპო ქართული  
სული ქლდეს შეერეინება.  
თუმცა მოგვწყვიტა საშიობლოს  
სურდა მოგლეჭა გულისა,  
წაგართვა, თუ რომ გვებადა,  
ჩამოგვიბნელა მხე და ცა.

მაგრამ მომისწრო ბერ კაცა  
თავისუფლების. ნათელმა,  
ახლა ვისიმლე ამ ქვეყნად  
მჩინა და მთვარის ნათება,  
ტანჯული აღარ მოვკედები  
თან სისარული ჩამყვება.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ნათელმა. მზემ იხსნა აქარის მშრომელების ჩაგრაზისა და სიღატაკისაგან. იგი ბეჭნიერი, შეძლებული და სამურაო ცხოვრების ფართო, ნათელ გზაზე გამოიყვანა. მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მშრომელებს, წინათ ჩამორჩენილა და სიბრძეში მყოფი აქარა სწრაფად გაუთანაბრდა ეკონომიკურად და უშლტურულად მოწინავე რესპუბლიკებს და მათთან ერთად გრანდიოზული ნაბიჯებით წავიდა წინ, სოციალისტური შენებლობის დიად ჭავაზე. განვითარდა მცენერებისა და ტექნიკის უველა დარგი; აღიმარდნენ ადგილობრივი კადრები. კინო, რადიო, თეატრი, სამკითხველო, სკოლა და სხვა კულტურული დაწესებულებები, რომლებზეც წინათ აქარის მშრომელებს იცნებაც კი არ შეეღლოთ, ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.

ხალხური მთქმელი შუახვევის რაიონის სოფელ ბრილის მცხოვრები რეგებ ბოლქვაძე ლექსში „ჩემი შვილი“ ასახავს სახელში განათლებაში მომხდარ უდიდეს გარდაცესას:

წინათ ნასწარებს რომ იტყოდნენ  
ეგ მეგონა ღმერთის ტოლი,  
ახლა მეზობლებშიც კი მყავს  
დოქტორი და პროფესორი,  
ჩემი შვილიც მოსკოვს სწავლობს  
ბედნიერი, სხვათა სწორი.

ბედნიერშა, შეძლებულა და სამურაო ცხოვრებამ მშრომელები მაღლიერების გრძელებით აამღრა. მუშა, კოლმეურნე და ინტელიგენტი თანაბარი აღუროვანებითა და შთაგონებით უმღრესიან დიად საშიობლოს, მშობლიურ კომუნისტურ პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოსა და კომუნისტურ პარტიის გენიალურ შემქმ-

ნელს ვ. ი. ლენინს, საბჭოთა არმასა და მის უძლეველობას, საკოლეჯურნეო ცხოვრებას, საბჭოთა კავშირის ხალხების დიად შევობრიბას, ხალხთა შორის მშევიდიბის განმტკიცებას, საბჭოთა ადამიანების ახალ-ახალ მიღწევებს.

ბათუმის რაიონის სოფელ სარფის მცხოვრები მამია თანდილავა ლექსში „ორი სამყარო“ შთაგონებით უმღერის ჩვენს სოციალისტურ სამშობლოს. საბჭოთა მშრომელების ცხოვრებას ადარებს კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელთა მონურ და უტანელ ცხოვრებას და კიდევ უფრო მეტი სიყვარულით იმსკვალება სოციალისტური სამშობლოსადმი. იგი სარფის მიმართავს:

ჩვენ მზე გვინათებს კაშაშა,  
შენი მზე ნისლმა დასურა,  
იმდეად საბჭოთი გვეს  
მანათობელი შუქურა.

კაპიტალის მონბაში მყოფ ადამიანთა გულს ახარებს ჩვენი დიდი სამშობლოსა და დიდი ლენინის სახელის განვითარება.

მოუსმენ მოსკოვს გაიგონებ ლენინის  
სახელს

ღამის წყვდიადში დამწუხერებული...  
შემდევ გახედავ ნათელ მზის მხარეს,  
თავისუფლება სადაც გეგულვის.

ხალხური მთქმელები შთაგონებით უმღერის კომუნისტურ პარტიას, როგორც ყველა გამარჯვებათა სულის ჩამდგმელსა და ორგანიზატორს. ხელოს რაიონის სოფელ ლორჯომის მცხოვრები რიზა გოგითიძე ლექსში „საკოლმეურნეო სიმღერა“ კომუნისტურ პარტიას ჩაგრულთა მხსნელს, საამური და ბეღნიერი ცხოვრების შემოქმედს უწოდებს; ლექსი გამსკვალულია მშობლიური კომუნისტური პარტიისადმი მაღლობის გრძნობით:

კომუნისტურმა პარტიამ  
შევიქმნა ტკბილი ცხოვრება,  
დაჩაგრულთავის ასრულდა  
საუკუნეთა ოცნება.  
დღეგრძელი იყოს პარტია  
მაღლობას კუძღვნი მეტის-მეტს,  
მშრომელი ხალხის ბელადს და  
კველა სიკეთის შემოქმედს.

მშრომელებმა კარგად იციან, რომ კომუნისტურ პარტიის ყოველდღიური საქმიანობა მშრომელთა მატერიალურ-კულტურული დონის განუხრელი ზაღისკენაა მიმართული. ქობულეთის რაიონის სოფელ აჭყვისთავის მცხოვრები ხასან ხაბაძე ლექსში „სიმღერა კომუნისტურ პარტიაზე“ საამური და ბეღნიერი ცხოვ-

რების დამქვიდრებისათვის მაღლობას უსდის კომუნისტურ პარტიას:

მაღლობა მას, ვინც შეგვიქმნა  
ჩვენ ცხოვრება საამური,  
ვინც გარდექმნა ეს ქვეყანა  
როგორც ტკბილი სალამური,  
მაღლობა ჩვენს დიდ პარტიას  
ცხოვრება რომ შეგვაყვარა,  
რომ გამოჩენდა ჩაგრულთ მხსნელად  
კამუნიზმთან მიგვიყვანა.

სიმღერები სოციალისტურ სამშობლოსა და კომუნისტურ პარტიაზე განუყოფლადა დაკავშირებული საბჭოთა სახელმწიფოს და კომუნისტური პარტიის გენალურ შექმნელზე, მსოფლიო პროლეტარიატის ბელადზე ვ. ი. ლენინზე დაწერილ ლექსებთან და სიმღერებთან. ეს ლექსები დიდი სისაუთითა და სიყვარულით შეუქმნიათ ჩვენს მშრომელებს.

დიდი ლენინის გვინით შთაგონებული ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყანა მტკიცე ნაბიჯებით წავიდა წინ, სოციალიზმისაკენ. ლენინის გარდაცვლებით გამოწვეული მწუხარება ხალხს მძიმე ლოდივით დააწეა. ხალხური მთქმელი შუახევის რაიონის სოფელ ჭვანის მცხოვრები თოფია ქათამაძე ლექსში „ლენინის სსორნას“ აგვიწერს მძიმე, სამგლოვიარო დღეებს:

გარდაიცვალა ლენინი,  
ცრემლით მოიჩინა მთა-ბარი,  
მდინარემ დენა შეწყვიტა,  
კლდეებმა შექმნეს ზანზარი,  
შუნებაც მისვდა, აღარ გვყავს  
ოქტომბრის მთავარსარდალი.

მაგრამ ხალხი არ შედრეა, არ დაიბნა, იგი კიდევ უფრო მტკიცე შემჭიდროვდა კომუნისტური პარტიის გარშემო; ბელადის საქმისადმი უსაზღვრო სიყვარულმა, გამარჯვების დიდმა რწმენამ ხალხი დარახმა და გააფოლადა; ხალხმა გლოვის დღეებში ფიცი დასდო. ქობულეთის რაიონის სოფელ აჭყვისთავის მცხოვრები ხალხური მთქმელი ხასან ხაბაძე. ლექსში „ლენინის სსორნას“ გაღმოვცემს მშრომელთა ფიცის ლენინისა და კომუნისტური პარტიის წინაშე:

ჩვენ შევფიცეთ მაშინ ლენინს,  
ჩვენ შევფიცეთ დიდ პარტიას,  
ლენინმა, რომ გამოწერთ  
და კვანძი დაარწია...  
ჩვენ გაყვებით დიდ პარტიას,  
წაგვიძლვება წინ დიადი,  
რომ ვიხილოთ მშრომელებმა  
კომუნიზმის განთიადი.  
მშრომელებმა იციან, რომ ლენინი არ მოქ-

ვდარა, რომ იგი მათთან არის, მათ საქმეს ხელმძღვანელობს, იგი ყველა მშრომელის გულში:

პარტა რომ წინ წაგიძლვა,  
გამარჯვებაც მრავალია;  
ოცდაოთხში რომ ვტიროდით,  
ჩვენთვის ახლაც ცოცხალია.

ხალხმა იხილა სიკედილის დამარცხება, იხილა რომ ასებობს უკვდავება, რომ უკვდავია მშრომელთა კეთილდღებისათვის თავდადებული მებრძოლი. ლექში „უკვდავება“ ხალხური მთქმელი, ხულოს რაიონის სოფელ ღორჯომის მცხოვრები ჰეირალ ბაზუნტარაძე აგვიწერს სიკედილის ღამარცხებას და ლენინის უკვდავებას:

გაყოფილ სიკედილი  
ბოროტი და მკევხარა,  
„ხალხს გენია მოვტაც“ —  
ითიქრა, გაიხარა,  
მაგრამ, როცა ლენინი  
ხალხმა გულით ატარა,  
შერცხვენილმა სიკედილმა  
თავი დაბლა დახარა.

საბჭოთა ხელისუფლების პირველი დღეებიდანვე ჩვენა ქვეყნის მშრომელებმა, შრომის, დასვენების, განათლების, სიტყვის, პრესისა და სახელმწიფო მართვის უფლებები მიიღეს, რომლებიც საბჭოთა კანონების ძალით განმტკიცდა და განხორციელდა.

ხალხური მთქმელები შთავონებით უმღერიან საბჭოთა ქვეყანაში დიდი დემორატიული უფლებების განხორციელებას. ზეირალ ბაზუნტარაძე ლექში „წინათ და ახლა“ სისარულს გამოთქვას იმის გამო, რომ დიდ საბჭოთში შრომა სახელის, გმირობისა და მამაკონის საქმედ იქცა:

ჩემთა შრომაშ განმადიდა,  
გულით უნდა გავიხარო;  
მთავრობაში დაიმიბარეს,  
ასე მითხრეს, გმირი ხარო,  
თან ორდენი ჩამოქიდეს,  
ეს ატარე, ღირსი ხარო.

საბჭოთა ადამიანი უზრუნველყოფილია არა მარტო შრომის, არამედ დასვენების უფლებასთაც. მის განკარგულებაშია ათასობით ჯანმრთელობის დაცვის კერა, სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები:

აგარაკზე გამისტუმრეს  
მითხრეს: „წარი არ იუარო,  
შრომა იცი ვაჟაცური,  
დროც ხომ უნდა გატარო,  
რომ ჯანმრთელი იყო მუდა  
შენი შრომით კვლავ იხარო“:

ბერლ წარსულში ყველაზე მეტად მძიმე და უტენელი იყო აჭარელი ქალის ხეედრი, მას ადამიანად არ სოფლიდენ, მონობასა და დაბერებას არ აქმარებდინ, ისედაც ბერლ ცხავრებას ხელოვნურად უბნელებდნენ ჩადრით. ხალხური მთქმელი ქობულეთის რაიონის სოფელ ლეღვას მცხოვრები ქაშალ ტაყიძე ლექში „გმირი ქალი“ ამბობს:

მონა იყო, სახე ჰქონდა დაფარული,  
თითქოს იყო დამნაშავე დამალული,  
ჩაღრი მოსხეს, ნახეს მოვარე გამადრული,  
უთხრეს: „გვყოს, რაც იყავი დაჩაგრული“,  
ქაღმაც საქმით დამტკიცა სისარული,  
შრომის გმირი გახდა იგი დილებული.

საბჭოთა დემოკრატიის დიადი პრინციპების ჰეშმარიტი დადასტურებაა საბჭოთა საარჩევნო სისტემა. პარიტალისტური ქვეყნის მშრომელები კი ყოველმხრივ შეზღუდული არიან. არა აქვთ არჩევნებში მონაწილეობის უფლება. მარტო ამერიკის შეერთებულ შტატებში არჩევნებში მონაწილეობის შეზღუდვის 50-ამდეცნი ასებობს, ამავე დროს არჩევნებში ფართოდ იყენებენ, მუქარას, მოსყიდვას, ტერორს და ა. შ.

ლექში „არჩევნებზე მივიჩქარი“ ხალხური მთქმელი ბათუმის რაიონის სოფელ მახოს მცხოვრები სულეიმან ბერიძე გადმოგვცემს გულწრფელ, უსალეკო სისარულს, რომელსაც განიცდის საარჩევნო უნისაერენ მიმავალი თვითეული საბჭოთა მოქალაქე:

ხმას ვაძლევ ხალხთა რჩეულებს,  
შორინივე კაცებს, ქალებს,  
ვინც იმარჯვებს ყველა ფრონტზე,  
ვინც იმედებს გაგვიძართლებს.

მასავალი სიმღრაა შექმნილი ჩვენი ქვეყნის მაბაც დამცველებზე. ხულოს რაიონის სოფელ ღორჯომის მცხოვრები რიზა. გოგოზიძე ლექში „ჩვენი არმია“ ამბობს:

დგახარ წმინდა მიწის მცველად,  
ფოლადი ხარ ბუმბერაზი,  
მტერმა შენი ძალა იცი,  
რას გაბედავს ახრჩობს ბრაზი.  
ეგდოს მისთვის, შენ არ ერჩი,  
შენ შვილობის დამცველი ხარ,  
რას შეგაკრთობს მტერთა ბრაზი,  
ბარბაროსთა მომსპობი ხარ.

საბჭოთა ქვეყნის უძლეველობისა და წარმატებების საფუძველთა-საფუძველია საბჭოთა ხალხებს შორის ასესბული დადი მეგობრობა, რომელსაც ალტაცებით უმღერიან და ქებადიდებით მოსავენ ხალხური მთქმელები. შემთხვევითი როდის, რომ ლექში „იქ გმირების ბუდე იყო“ ხულოს რაიონის სოფელ ღორჯო-

შის მცხოვრები ზეირალ გასუნთარაძე გადმიგვცემს დიდი სამამულო ომის დროს ყველა ეროვნების წარმომადგენელთა ერთიან მიწრაფებას გამარჯვებისაჭერ. აქვეა გალმოცემული ოცდახუთი სხვადასხეუ შებრძოლისაგან შემდგარი ერთ-ერთი შენარჩის თავგანწირული ბრძოლა უსახელო ურაკის დასაცავად:

ერთ გორაქშე ფიცი დასდო ოცდახუთმა ქმაღნაფიცია:  
„მოყვედეთ, მაგრამ ეს გორაჟი  
ვერ ჩაიგდოს ხელში ფრიცია“.  
მოყვენენ, მაგრამ შესარულეს  
ვაშუცური მათი სიტყვა.  
ვერ აიღო მტერმა კორა,  
ვერ ისილა იგი მიწა.  
იმ გორაზე წმინდა დროშა  
ფრიალებდა სასოებით,  
სამშობლო კი გმირთა სახელს  
წერდა ოქროს ასოებით.

მთქმელები უმღერიან მოძევ ერებს შორის გაშლილ სოფიალისტურ შეჯიბრებაში ბათუმის რაიონის სოფელ მახოს მცხოვრები მთქმელი სულეიმან ბერიძე ამბობს:

შეჯიბრებაში გამომიაწვიო,  
უკრაინელო ქმაკაცო,  
დავსტებეთ ნაშრომის სიუხვით,  
ბელელი ხვავით ავავსოთ.  
თუ გამარჯვებ ვიხარებ,  
თუ გავიმარჯვებ ვიხარებ,  
უახლის გამოცდილებებს  
ერთმანეთს გავუზიარებთ.  
დაწვევი — გადაგეხვევი,  
როგორც ქმასა და ნათესავს,  
გაწვევი გულში ჩამიკრავ,  
გვლის სიხარული შემოსავს.

საბჭოთა ადამიანები შეუნდებლად იბრძიან შესოფლის ხალხებს შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცებისათვის. ჩვენი ხალხი

მსოფლიოს კეთილი ნების ადამიანებთან ერთად იცავს მშვიდობას, იგი მშვიდობის განმტკიცების მედლოშეა.

აქარის სალსურმა მთქმელებმა შრავალი ლექსი და სიმღერა შექმნეს ამ თემაზე. ბათუმის რაიონის სოფელ მახოს მცხოვრები სულეიმან ბერიძე ლექსში „გამარჯვება“ გაღმოგვცემს საბჭოთა ადამიანის სწრაფვას მშვიდობის განმტკიცებისაკენ.

მე მშვიდობა მინდა მარად,  
ტებილად, მშვიდად დავიძინებ,  
მაგრამ მტერი, რომ გაცოფდეს,  
ტანკის მართვას არ ვივიწევ.

ტენიკისა და მუნჯერების ყველა ახალ მრაპოვარს საბჭოთა ადამიანები მშვიდობის განმტკიცებისათვის ბრძოლის სამსახურში აყენებენ. საჭვეულოდ ცნობილია ჩვენს დიდ სამშობლოში ატომის ენერგიის საშუალებით ქომუშავე ელექტრონისადგური. ჩვენს ხალხს მშვიდობისანი შრომა და მომავლის შენება უნდა არა ომი და სისხლის ლერა. ლექსში „მშვიდობის დამცველები ვართ“. ქობულეთის რაიონის სოფელ ქაქუთის მცხოვრები ჯემალ გოგიტიძე მკაფიოდ გმირხატავს ხალხთა კეთილშობილურ შიწრაფებას:

მშვიდობისათვის გიუგუნებთ  
ჩვენ წყალბადსა და ატომსა,  
ჩვენ საქმით ვიცავთ მშვიდობას  
ქვეყანაშ დანაბანისა.  
კეთილი საქმე ბევრი გაქვს,  
სისხლი რად დაიღვაროსა,  
ხალხმა ყამირი გატეხოს,  
იქ პური მოყვანოსა.  
შექმნას, აშენოს, ახალი,  
და გული გაიხაროსა, —  
აი, რა უნდა შშრომელებს  
სისხლი რად დაიღვაროსა!  
მშვიდობის დამცველები ვართ,  
მშვიდობაშ გამარჯვოსა!

## იღია ჭავჭავაძე და აჭარის საკითხი

დიდი ქართველი მწერლის ი. ჭავჭავაძის ლი-  
ტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწე-  
ობა, რომელიც ნახევარი საუკუნე გაგრძელდა,  
დაწყურებული იყო დაკავშირებული თურქ დამპ-  
ურობთაგან აჭარის განთავისუფლების საკით-  
ხანის. მთელი თავისი დიდი ნიჭი და უნარი  
ი. ჭავჭავაძემ საქართველოს ტერიტორიული  
მთლიანობის აღდგენისა და ქართველი ხალხის  
ეროვნული შეკავშირების საქმეს მოანდომა. მი-  
სი ხანგრძლივი მოღვაწეობა დამთხვე საქართ-  
ველის ისტორიის იმ რთულ პერიოდს, როცა  
დიდი რუსი ხალხის ძმური დამარტინ ვაკე-  
ტიურებული ქართველი ერი შეუდგა თავისი  
ტუარგული მიწა-წყლის დაბრუნებას. 1829.  
წლის გამოხსნილი იქნა ახალციხის მხარე —  
ნაწილი შესხეთის იმ ღილი ტერიტორიისა, რო-  
მელიც კაზაკ თურქი დამპყრობლების ხელში  
ჩეხებოდ. ეს მდგომარეობა აფიქრებდა მოწინავე  
ქართველ ინტერიერენციასა და მის მედროშეს  
ი. ჭავჭავაძეს. შემთხვევითი არ იყო ას ფაქ-  
ტი, რომ ი. ჭავჭავაძემ, ჯერ კიდევ პეტერ-  
ბურგის უნივერსიტეტის სტუდენტმა, თავის  
ლიტერატურული „ინიჩიარი“ დიდი გულისწუხილი გა-  
მოსთხვე თურქი დამპყრობლების ხელში მოქ-  
ლებული ქართველების, კერძოდ, აჭარლების,  
სავალალო ბედის გამო. დიდი პოეტი მოხდენი-  
ლად აღწერს თურქების ბრძყალებში მოქლეუ-  
ლი ქართველების — აჭარლების სიმარდეს, ვაკე-  
ცობასა და მებრძოლ ხასიათს, მაგრამ აღნებს  
ის მდგომარეობა, რომ აჭარლების „სიმარდეს,  
სიჩაუქეს“ მის სამშობლო „არ დაპყურებს“  
და ქართველობა ამით გულს არ იხალისებს:

ვთქვი თუ, ვისთვის შენ კისკასობ,

ვისთვის იჩენ სიმარდესა,

შენი რაა. რომ ამშვენებ

შენს დამტკველ იმალეთსა?

დიდი მწერალი ოცნებობდა იმ დროზე. რო-  
ცა აჭარლები გვერდში ამოუდგებობრივ ღვიძლ  
შებს — ქართველებს და თავიანთი ქვეყნისათვის  
გამოიჩინდნენ სიჩაუქეს, მკლავისა და მუხლის  
ძალას.

აჭარლების სსნას ილია ქართველი ხალხის  
რუსეთან კავშირში ხედავდა. მისი გამერიანი  
გონიერა რუსი ხალხის ეროვნულ პოტენციალს  
ში ჰერეტიდა იმ ძალას, რომელსაც ჩაგრული  
ერები უნდა ეხსნა თურქი დამპყრობლების  
მშიმე ულლისაგან. შემთხვევებითი არ იყო, რომ  
1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ამის დროს  
ი. ჭავჭავაძე სათავეში ჩაუდგა იმ განმათავისუფ-  
ლებელ მოძრაობას, რომელიც მიმართული იყო  
ქავშირი საქართველოს მწარწყლის, კერძოდ,  
აჭარის, დასახსნელად. დიდმა მწერალმა თავის  
იმგვლივ შემოურჩა საქართველოს მოწინავე  
შეიღები: აკაცი წერეთელი, ი. გოგებაშვილი, გ.  
წერეთელი, ბ. უმიკაშვილი, ს. მესხი, დ. ბაქ-  
რაძე, რ. ერისთავი და სხვ., რომელთა აქტიუ-  
რი მოქმედდებით დავიდებოდა და გზას იყა-  
ლა ულრგებად მნიშვნელოვანი საერთო  
საქმე.

აჭარის გამოხსნისათვის ილია მეტაურობით  
აშეტყველდა. ქართული პრესა, ქართველი ერის  
დიდი მოამაგე მსოფლიოს გასაგრძოდ წერდა:  
„ოსმალეთს უკირავს გურიის სამთავროს და  
საათაბაგოს ნაწილები: ქობულეთი, აჭარა, შავ-  
შეთ-ერუშეთი, ლაზისტანი და ქახეთი“, რომე-  
ლიც დედა საქართველოს უნდა დაუბრუნდნენ“.

წერილებში, რომელსაც ი. ჭავჭავაძე თავის  
ვაზეთ „ივერიაში“ ათავსებდა, განსაკუთრებით  
ხაზის უსვამდა სამხრეთ საქართველოს, კერძოდ,  
აჭარის, დიდ როლს საქართველოს პოლიტიკურ-  
სახელმწიფოებრივ და კულტურული ცხოვრე-  
ბის განვითარებაში. იგი მკითხველ საზოგადოე-  
ბას ნათლად წარმოუდგრნდა ჭოროხისა და  
მტკვრის ხეობის ისტორიულ აღგილებს, სადაც  
კეხლაც დარჩენილა მრავილი ღიძე-მშევნეოერნი  
თლილის ქვეთ ამოუცნობილი და მხატვრობით  
შემკული ეკლესიები“. ამავე დროს დიდი  
მწერალი საზოგადოების ყურადღებას მიაპყრო-  
ბდა ქრისტიან და მამადიონ ქართველთა მომა-  
ვალ ურთიერთობაზე, რასაც იმ პერიოდში  
უდიდესი მნიშვნელობა ქონდა. ი. ჭავჭავაძე  
არწმუნებდა მუსლიმან და ქრისტიან ქართვე-

ლობას, რომ ორ ქმას შორის სარწმუნოებრივი სხვადასხვაობა სრულებით არ იყო საფიქრალი, რადგან ქართველი ხალხი სხვის სარწმუნოებას ყველთვის პატივს სცემდა, რომლის მაგალითად იგი ასახელებდა სხვადასხვა სარწმუნოების მქონე ეროვნებებს, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე უწოდებდნენ.

„სხვა ქვეყანაში სარწმუნოებისათვის დევნილი და ჩატრული აქ ჩვენში კვიულობდნენ მშვიდობის მყოფელ საკანესა და სინიჯისს თავისუფლებას“<sup>4</sup>, (ი. ჭავჭავაძე, ტ. მე-4; გვ. 13, 1955 წ., გამოც.).

ილა მტკიცებდა, რომ საწმუნოება სინდისისა და რწმენის საქმე იყო, რომელიც არ უშედიდა ხელს ორ ქმას ერთმანეთს შეთვისებოდნენ:

„არ გვაშინებს მეთქი ჩვენ ის გარემოება, რომ ჩვენს ქმებს, ისმალოს საქართველოში მცხოვრებთა, დღეს მაშვიდანინბის სარწმუნოება უკირავთ, ოლონდ მოვიდეს კვლავ ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთს კიდევ შევუტოდეთ, ერთმანეთი ვიძმოთ, და ქართველი... დიდი ხნის განშორებულ ქმას ძმურადვე შეითვისებს, თვის პატიოსანს და ლომბიირს გულშედ ქმას ძმურადვე მიიყრინობს“ (ი. ჭავჭავაძე, ქვ. 30, გვ. 13.)

1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომმა ნაწილობრივ გამოაშროა ისტორიული უსამართლობა. დღი რუს ხალხის უძლეველი მხედრობის დახმარებით და ქართველთა აქტიური მოქმედებით აჭარა დედა საქართველოს შეუერთდა 1878 წლის 25 აგვისტოს აჭარის გამათავისუფლებელი ჯარები ბათუმში შევიდნენ. დედა საქართველოსთვის აჭარის შეერთება გადაიქცა უდიდეს ეროვნულ ჩეიმად. მაშინდელი გაზიერები დიდის ამბით წერილი ამ სასიხარულო ისტორიული ფაქტის შესახებ. 1879 წლის იანვარში გაზეთ „ივერიაში“ ილა ჭავჭავაძემ აჭარელთა განთავისუფლებას კრიული წერილი მიუძღვნა:

„ჩვენი ქმები, ჩვენი სისხლხორცი, ჩვენთან ერთად „მებრძოლი შავის ბედისა“, ჩვენის გმირების ბუღდ, ჩვენის უწინდელის განათლების და სწავლის აკვანი, ჩვენი ძველი საქართველო, — დღეს ჩვენ შემოგვიერთდა“.

იმავე წერილში ი. ჭავჭავაძე საზოგადოების უშრადებას ამასხილებდა ახლადშემოერთებული ქმების წინაშე მოწინავე ქართველი ინტელიგენციის მოვალეობაზე.

„ეხლა ჩვენ ერთი უდიდესი მოვალეობა გვაწევს: ქმებს ძმურად უნდა დავხვდეთ კველენ და ყველაფერში; უნდა იმათოვისაც ვიზ-

რუნოთ, — როგორც ჩვენთვის, იმათვისაც თავი გამოვიდოთ“<sup>5</sup>.

ილა პირველ ქიგში აყენებდა აჭარაში სწავლა-აღზრდის შეტანის სტყითს.

თავის წერილებში, ილა მტკიცებდა, რომ ორი ქმის სულიერი შეკავშირებისათვის კველაზე უფრო მძლავრი იარაღი იყო მშობლიურ ენაზე სწავლება. მისი აზრით, ქართული სიტყვის ძალას, უნდა გაეღვიძებია აჭარლებიათვის მიუჟებული პატრიოტული გრძნობა. მშობლიურ ენაზე სწავლება, ი. ჭავჭავაძის აზრით, იყო „კიბრა ამსხნელი სახსარი“ და „კეთილდღეობის მომფენი“ საშუალება ახლადშემოერთებული ქმების მისაშველებლად.

მართალია, 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომმა ბოლო მოუკი ისტორიულ უსამართლობას, გამოიხსნა აჭარა-ქობულეთი თურქეთის ბატონობისაგან, მაგრამ ამ მსახეს იმმა მაინც დიდი ზარალი და ფიზიკური განადგურება მოუტანა. ილა დიდ ყურადღებას აქცევდა და საკითხს. გულშემატებივარი საზოგადო მოღაწე შემდეგი სიტყვებით აუწყებდა აჭარლების მდგომარეობას საზოგადოებას:

„ჩვენი მომძენი — აჭარლები და ქობულეთლები ძალიან ცუდ მდგომარეობაში არია... წარსულმა ომებში თუმცა კველას მიაყენა აუცილებელი ზარალი, მაგრამ აჭარა და ქობულეთი კველაზედ მომეტებულად დაისახა“.

ილია ენრეგიას არ ზოგავდა, რათა მეუის სელისუფლების წარმომადგენელთა უზრადღება მიექცია უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილი აჭარლებისაკენ. იგი უმტკიცებდა მეფის მთავრობას, რომ ილაგაზებული და კონსოლიურად განადგურებული ხალხის მოლონიერება თვით სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარეობდა: „ხალხი ფეხზედ წამომდგარი უფრო უკეთესი ღონეა სახელმწიფოსათვის, ვიდრე დავრდომილი... ფეხებამაგრებული ხალხი უშერეტი წყარო სახელმწიფოს სიძლიდრისა და ძალისა“ (ი. ჭავჭავაძე, ტ. მე-5 გვ. 28. 1955 წ. გამოც.).

აჭარლებისათვის თავგამოდებული ილია ქვითველი საზოგადოების განსაკუთრებულ უზრადღებას მიაუცევდა კინტრიშის მაზრას, სადაც იღენნ ერთმანეთზე სამტროდ გალაშენებული რუსეთისა და თურქეთის ჯარები, განსაკუთრებით თურქეთისა, რომელთა ჯარების თავაშებულებაზ წვა და ბუგვა სოფლებისა, დაწიოება ხალხისა“ მოუტანა აჭარა-ქობულეთს.

„ნამეტნავად კინტრიშის მაზრაა თურქ საშინელს ყოფაში და გაჭირვებაში“, — წერდა ილია და ქართველებს მოუწოდებდა მომმეთა მისაშველებლად:

„ქართველობავ, ხელი გაუწიოდე შენს ძმებსა და დებას, რომელიც დღემდინ შენთვის დაკარგული იყენებ და რომელიც დღეს შენთანცე მოვიდნენ“. რ. ჭავჭავაძე. ტ. მე-5 გვ. 31, 1955 წ. გამოც.).

ილიას მგზებარე სიტყვები გულში წვდებოდა ქართველ ხალხს. მოწინავე ქართველი საზოგადოება დროულად გამოეხმაურა დიდი მწერლის მოწინდებას. განეთ „დროების“ რედაქტორი ს. მესხი პრაქტიკულად ხელმძღვანელობდა აქარელთა დამხმარე კომიტეტის მუშაობას. ს. მესხმა ბევრჯერ ჩამოუტანა აქარა-ქობულეთლებს შეგროვილი ფული, ხორბალი, ტანსაცმელი და სხვ.

მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ილიას აქარაზე ზრუნვა ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია, რადგან მას სწამდა აქარის დიდი მომავალი.

გასული საუკუნის 90-იან წლებში, როცა ქ. ბათუმი სწრაფად დაადგა სამრეწველო განვითარების გზას, მეფის ხელისუფლება იძულებული გახდა ქალაქში დაეწესებია თვითმმართველობა, რომელიც პირველად ხელში ჩაუკარავა რეალურად მეფის მოხელეებს და სხვადასხვა ჭურის კოლონიზატორებს, რომლებიც სასტუარ ვიწოდებდნენ ადგილობრივ მცხოვრებლებს. ამ მდგომარეობამ განსაკუთრებით დააფიქრა ი. ჭავჭავაძე. მან გადაწყვეტა ბათუმში შექმნა ერთგვარი ბირთვი მოწინავე ინტელიგენტებისა, რომლებიც დაუღალავად იშრომებდნენ ამ კუთხის კეთილდღეობისათვის. ი. ჭავჭავაძის მთითებით ბათუმში სამუშაოდ გამოეშურენ ცნობილი საზოგადო მოღვაწენი: გრ. ვოლსკი, ლ. ასათიანი, ივ. მესხი, ლ. ასათიანი და ივ. ანდრონიკაშვილი. მთელი ოცდათი წლის მანძილზე ბათუმში მოღვაწეობდა ცნობილი მწერალი დავით კლდიაშვილი, რომელიც სამხედრო სამსახურში იყო განწესებული ბათუმში და ენერგიას არ ზოგადა ქალაქის კეთილმოწყობისათვის.

მთელი ყურადღება ი. ჭავჭავაძემ მიაჰყორო ბათუმის თვითმმართველობის, არჩევნებში ქართველების გამარჯვების საკითხს. იგი იბრძოდა თვითმმართველობა ჩამოშორებობრივ ისეთი პირები, რომლებსაც პირადი ინტერესები ამოქმედებდათ. ი. ჭავჭავაძეს უნდოდა ბათუმის თვითმმართველობას სითავებში ჩადგომოდნენ ქვეყნისათვის გულშემატკიცარი ადამიანები, რომლებიც სიყვარულსა და ნდობას იმსახურებდნენ აქარლებში.

ილიას ყოველდღიური მზრუნველობისა და ადგილობრივი ინტელიგენციის დაუღალავი მეცადინეობით ქართველები არჩევნებში გამარჯ-

ვებულნი გამოვიდნენ. დიდი მწერალი ამ ამბავს იმდენად დად კურადღებას აქცევდა, რომ, მიუხედავდ მოუცლელობისა, სპეციალურად ჩამოინდა ბათუმში, დიდხანს საუბრობდა მოწინავე აქარლებთან, ღრმად სწავლობდა მათი ცხოვრების პირობებს და არჩევნების მსვლელობას თვალყურს ადგენებდა.

„საარჩევნო დარბაზში თვალსაჩინო ადგილის სავარძელზე მოთავსებული იყო და არჩევნების მსვლელობას უყურებდა... ილია ჭავჭავაძე“, — წერს დ. კლდიაშვილი თავის „მემუარებში“.

რომელი ერთი ჩამოვთვალოთ იმ ამაგილა, რომელსაც ი. ჭავჭავაძე სწევდა აქარისათვის. მაგრამ, როგორც ზემოთ იყო ნათევამი, დიდი მწერალი და საზოგადო მოღვაწე უველაზე მწვავედ აყენებდა აქარაში ქართული სიტყვისა და ქართული კულტურის აღდგენის საკითხს. ჯერ კიდევ 1879 წლის პრიულში ილია ჭავჭავაძე წერდა: „აქარაში და ქობულეთში რაც შეიძლება მომეტებული შეოლები დაიმართოს. ეს შეკლები სხვა კოველს საშუალებაზე დეტალ სულით და გულით შემოგვირთებენ აქარის და ქობულეთის ერსა და ისვეიის ძმურ სიყარულს ჩამოგდებენ ჩვენში, როგორც უშინ, იმათ ოსმალოს ხელში ჩავარდის ღრმოდე ყოფილა“. (ი. ჭავჭავაძე, ტ. მე-5, გვ. 46, 1955 წ. გამოც.).

აქედან გასაგებია ის განსაკუთრებული ყურადღება, რომელსაც ი. ჭავჭავაძე იჩნენდა ბათუმში პირველი ქართული სკოლის გახსნისათვის. სკოლის გახსნის სამზადისს „წერაკითხვის გამარტივებელი საზოგადოება“, რომლის თავმდომარეც ი. ჭავჭავაძე იყო, შეუდგა 1880 წლიდან. ბათუმის პირველი ქართული სკოლის მასწავლებლად ი. ჭავჭავაძემ გამოგზავნა სამედიცინო-ქირურგიული აქადემიის ყოფილ სტუდენტი, შემდეგ ცნობილი სახალხო მასწავლებელი ალ. ნანეშვილი, რომელსაც დაავალა სკოლის გახსნისათვის მოსამზადებელი საქმების სემბლდვანელობა. იმ წელს სკოლის გახსნას ხელი შეუშალა ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორმა კომაროვმა, რომელმც მოითხოვა პირველ განცოფილებიდანვე რუსული ენის სწავლება ქართულის პარალელურად, რაც არავითარ პედაგოგიურ მეთოდებს არ ეთანხმებოდა, განსაკუთრებით მაშინდელ პირობებში.

მიუხედავად ხელშეშლელი პირობებისა, ი. ჭავჭავაძის თაოსნობით 1881 წლის 23 მარტს ბათუმში გაიხსნა პირველი ქართული სკოლა, იმ შენობაში, რომელშიცაც ამჟამად მოთავსებულია შ. რუსთაველის სახ. № 2 ქართული საშუალო სკოლა. 1881 წლის 60 ნომრად გამო-

სული გაშეთი „დროება“ წერდა, რომ სკოლის გახსნის წინ ბათუმში ჩავიდა ი. ჭავჭავაძე და ადგილობრივი შეხვერებლების წარმომადგენლებთან ჩაატარა შეტად საქმიანი თაობირი, რომლის შემდეგ, გუბერნატორ კომაროვის თანდასწრებით, საზოგადოებას აუწყა სკოლის გახსნა.

საქართველოს ყოველი კუთხისათვის ილია ჭავჭავაძე მონატრებული სტუმარი იყო. ი. მანსვეტაშვილი იგონებს, რომ ილიას მოგზაურობა არ უყვარდა, მაგრამ აქარა, ამ შერივ ბედნიერი იყო. ი. ჭავჭავაძე ამ კუთხეში უფრო ხშირად ჩამოლიოდა და ადგილობრივი ინტელიგენციის წარმომადგენლებთან სახავდა აქარის მომავალს. ბინად ი. ჭავჭავაძე ყოველთვის ჩერდებოდა გრ. ვოლსკისთან, რომელიც ცხოვრობდა იმ ერთსართულიან სახლში, რომელიც მდებარეობს სტალინის ქუჩის 52 ნომერში. გრ. ვოლსკის ბინა ბათუმში იყო საზოგადო და ლიტერატურული საკითხების სჯა-

ბასის ადგილი, სადაც ყოველ კვირა დღეს თავს იყრიდნენ ადგილობრივი ინტელიგენციას წარმომადგენლები. მაგრამ, განსაკუთრებული სიხარული იგრძნობოდა ამ წრეში ილია ჭავჭავაძის ჩამოსვლისას. მათთვის ილიას დანახვა დიდი დღესასწაული იყო. იმ დღეს გრ. ვოლსკი, რომელიც ქალაქის თავის მოაღილედ მუშაობდა თვითმმართველობაში, სამსახურში არც კი წავიდოდა. იგი ილიას ირგვლივ შემოიკრებდა ადგილობრივ საზოგადო მოღვაწეებს და სუკუნის ფიქრთა მპყრობელთან ბასობდნენ აქარის ბედნიერ მომავალზე.

„დიდ წარსულს ღიდი მომავალი ექნება“, — ამობდა ი. ჭავჭავაძე. მას სწამდა აქარის მომავალი და იგი კიდევაც ასრულდა. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მზრუნველობის შედეგად, აქარა დაბეჩავებული კუთხიდან გადაიქცა ულამაზეს და. მოწინავე კუთხედ საბჭოთა საქართველოში

## ტიპიური გარემოების ცნებისათვის ჩავალისტურ მხატვრულ ღიტერატურაში

რეალიზმი, როგორც ფ. ენგელსი განსაზღვრავს, გულისხმობს, გარდა დეტალების სიმართლისა, ტიპიურ გარემოებაში ტიპიური ხასიათების სწორ გადმოცემას. საბჭოთა ლიტერატურისმცოდნეობაში დიდი მუშაობაა ჩატარებული ტიპიური. სასიათის ტიპიურ გარემოებაში გადმოცემის თეორიული საკითხების შესწავლისათვის.<sup>1</sup> ბევრი დაწერა აგრეთვე დეტალების სიმართლის შესახებ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, წერ კიდევ ყველაზე ნაკლებად მანც ტიპიური გარემოების პრობლემაა დამუშავებული. ტიპიური გარემოების მართებულად გაგების გარეშე კი საერთოდ შეუძლებელია ტიპისა და ტიპიურის არსის წარმატებით კვლევა. ტიპიურის საკითხი, როგორც ცნობილია, ერთ-ერთი ძირითადი და აქტუალური საკითხია მარქსისტულ-ლენინურ ესთოტიკაში. ტიპიური გარემოების შესწავლის საკითხი აქტუალურია იმიტომაც, რომ იგი უაღრესად დაკავშირებულია საბჭოთა ლიტერატურისა და საერთოდ მსოფლიო პროგრესული ლიტერატურის განვითარებასთან. მხატვრული ლიტერატურის ამოცანა შექმნას სრულყოფილი ტიპიური სასიათები. ასეთები კი შეიძლება იყოს მხლოდ ისეთი ტიპიური სახეები, რომლებიც გადმოცემულია ტიპიურ გარემოებებში. ამასთანავე ტიპიურ გარემოებაში ტიპიური სახის მართლად გადმოცემასთან ორგანიულად დაკავშირებულია მხატვრული სიმართლე, რომლის გარეშე არ არსებობს კეშმარიტი რეალისტური მხატვრული ნაწარმოები.

უდაოდ დიდნიშვნელოვანია „ტიპიური გარემოების“ საკითხები. მეუამად ჩვენს მიზანს წარმოადგენს შევეხოთ მხოლოდ „ტიპიური გარემოების“ ენგელსისებურ განსაზღვრებას.

1. M. Розенталь, «Типические характеристы» в жизни и литературе, (нб. «Литературный критик», 1934 г. № 9.).

როგორც ცნობილია, ყოველი მეცნიერება საზოგადოებრივი პრაქტიკის პროცესში გამოიმუშავებს გარემოებლ ცნებებს, ლოგიურ კატეგორიებს, რომლებიც წარმოდგენ საკვნძალო ცნებებს, მოვლენის არსის ასახვას. ეს ცნებები არიან როგორც შემეცნების შედეგის შემეცნების საშუალებანი. ასევე უნდა ითქვას „ტიპიური გარემოებას“ ცნების შესახებ. გარემოება, უპირველეს ყოვლისა, სინაზღვილის მოვლენაა. იგი რეალობაა, არსებობა ცხოვრებში, რაც ტიპიურად ისახება მხატვრულ ლიტერატურაში, ხოლო ტიპიური გარემოების ცნება არის ტიპიური გარემოების ლოგიური განსაზღვრება, რასაც იყენებს ლიტერატურის თეორია. ლოგიკიდან ცნობილია, რომ რაიმეს განსაზღვრა ეს არის მოვლენისათვის დამახასათებელი არსებითი ნიშნების ფიქსაცია. ტიპიური გარემოების განსაზღვრა მოითხოვს მისთვის დამახასათებელი არსებითი ნიშნების ჩვენებას, მაგრამ აქ საკიროა გაკეთდეს ორი შენიშვნა, პირველი ის იქნებოდა, რომ ტიპიური გარემოების განსაზღვრისას საქმე ეხება მხოლოდ რეალისტურ მხატვრულ ლიტერატურას, რადგან ენგელის ფორმულა შეეხება მხოლოდ რეალისტურ ლიტერატურულ ნაწარმოებს. ენგელი აქ მხელობს მხოლოდ რეალისტური ლიტერატურის და არა საერთოდ ლიტერატურის შესახებ. ტიპიური ხასიათების ტიპიურ გარემოებაში მართლად გადმოცემა ენგელს მხოლოდ რეალიზმის დამახასათებელ მოვლენად მიაჩნია და ამდენად ტიპიური გარემოების ცნება მხოლოდ რეალიზმთან მიმართებაში უნდა იქნას განხილული.

მეორე შენიშვნა ის იქნებოდა, რომ გამოთქმა „ტიპიური გარემოება“ არ დაიყვანება გამოთქმამღე „ტიპიური გარემო“. ენგელსაც გამოთქმაში სიტყვას „გარემოება“ ზოგჯერ სცვლი-

ან სიტყვით „გარემო“. მაგალითად, ერთ-ერთ თარგმანში წერია: „რეალიზმი... ჰულის-ხმობს ტიპიური ხასიათების ტიპიურ გარემოში სწორ გაღმოცემას“ (იხ. „მნათობი“ 1932 წ. № 5-6, გვ. 260). სიტყვების ასეთი შეცვლა არ უნდა იყოს გამართლებული, რადგან სიტყვა „გარემო“ ჩვეულებრივდ იხმრება ბუნებრივი პირობების მიმართ. მაგალითად, ამბობენ „გეოგრაფიული გარემო“ და არ ითქმის „გეოგრაფიული გარემოება“. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში „გარემო“ განმარტებულია როგორც „არემარე, მიდამო, რისიმე გარემომცველი ადგილი“ (ტ. II, გვ. 1065) ეს არას ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობა. მართლია, სიტყვა „გარემოს“ ზოგჯერ იყენებენ გადატანით მნიშვნელობით, რითაც აღნიშნება „გარემომცველი წრე, პირობები ბუნებრივი თუ სოციალური“ (იქვე), მაგრამ არა გვგონია, რომ ენგელს იქ სიტყვა „გარემო“ გადატანით მნიშვნელობით ესმარს. გერმანულ ტექსტში წერია: „Umstnden<sup>1</sup>, რაც ქართულად ნიშნავს, გარემოებებს და არა გარემოს. ამიტომ ეს სიტყვა რუსულად გამოთქმულია როგორც „Он стоятельства<sup>2</sup>, ე. ი. „გარემოებები“ და არა „გარემო“. ქართული სიტყვით „გარემოება“ აღნიშნება: „მდგომარეობა, ვითარება, პირობები“. (იხ. დასახელებული ლექსიკონი, გვ. 1065), ეს იქნება სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით წმარება, რაც ქართულად ზუსტად გამოხატავს იმას, რასაც ენგელი გვეუბნება რეალიზმის შესახებ მ. პარკენისადმი მიწერილ წერილში: „რეალიზმი გულისხმობს, გარდა დეტალების სიმართლით გაღმოცემისა, ტიპიურ ვითარებებში ტიპიური ხასიათების სწორ რეპროდუქციას“<sup>3</sup> აქ, როგორც ვხედავთ, „გარემოების“ ნაცვლად ნაჯვამია „ვითარება“. „გარემოება“ და „ვითარება“ სინონიმური სიტყვებია და ამდენად ასეთი შენაცვლება გამართლებულად უნდა ჩაითვალოს, რადგან ორივე სიტყვა აღნიშნავს მდგომარეობას. პირობებს.

1 Marx—Engels—Über Kunst und Literatur, 1937, გვ. 58.

2 К. Маркс, Ф. Энгельс, Об искусстве, 1937 г. стр. 163.

3 ქ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული წერილი, 1949 წ., გვ. 445. (შემდევში წერილიდან მოტანილი ადგილები მითითებული იქნება ამ გამოცემის მიხედვით. ა. ჩ.).

ტიპიური გარემოების განსაზღვრა, უპირველეს ყოვლისა, მოთხოვს პასუხს კითხვებზე: რას ეწოდება საერთოდ გარემოება და რას ნიშნავს გარემოების ტიპიურობა?

გარემოების ცნება მოიცავს იმ კანკრეტულ პირობებს, რომელშიც მიმდინარეობს მოცემული მოვლენა და რომელიც განსაზღვრავს მოვლენის წარმოშობა-განვითარებას. რეალისტურ მხატვრულ ლიტერატურაში გარემოება არის მდგომარეობა, რომელიც პირობებს პერსონაჟის მოქმედებას. მაგრამ ამ მიმართებაში გარემოების ცნება მოიცავს მხოლოდ და მხოლოდ სოციალურ მდგომარეობას, საზოგადოებრივ კოთარებას. ამიტომ გარემოების ცნება მხოლოდ ადამიანთა საზოგადოებრივი ურთიერთობის პრაქტიკასთან -დაკავშირებით უნდა იქნას განხილული.

გარემოების ტიპიურობის ჭეშმარიტი შინაარსის ცხადყოფისათვის აუცილებელია ენგელსის წერილის საფუძველზე თვით მოთხრობის კონკრეტული შინაარსის ანალიზი, რასაც დღემდე, რატომლაც ნაკლები ყურადღება ექცევა. ენგელს მ. პარკენისის „ქალაქელი ქალიშვილი“ რეალისტურ ნაწარმოებად მიაჩნია იმიტომ, რომ მასში მოცემულია ცხოვრების სიმართლე, სწორადაა შეფასებული „ხსნის არმია“ და შეუფერადებელ ფორმაშია გამოხატული ბურუსის მიერ შეცდენილი პროლეტარი ქალიშვილის ისტორია: „ის, რაც მე განსაკუთრებით მაცვილეობს, გარდა ცხოვრების სიმართლისა თქვენს მოთხრობაში, — სწორს ფ. ენგელსი მ. პარკენის, — ესაა ნამდვილი ხელვანის სითამაშე. იგი მეღვნდება არა მარტო ხსნის არმის თქვენს შეფასებაში, რაც შეკვერად განსხვავდება იმ თვითქმაყოფილი მეშჩების წარმოდგენებისაგან, რომელიც, შესაძლებელია, პირველად თქვენი მოთხრობიდან ვაიგებენ, თუ რატომ ჰპოვებს ხსნის არმა ასეთ მხარდაჭერას ხალის მასებში, არამედ ის უმთავრესად მეღვნდება იმ უბრალო. შეუფერადებელ ფორმაში, რომელშიც თქვენ გამოსახეთ ბურუსაზიული კლასიდან გამოსული კაცის მიერ შეცდენილი პროლეტარი ქალიშვილის ძველთა ძველი ისტორია<sup>4</sup>.“ ნაწარმოებიში გამოყვანილი „ბურუსაზიული კლასიდან გამოსული კაცი“ ეს არის არტურ გრანტი, რომლის შესახებ ენგელსი ეუბნება მოთხრობის

1 ქ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული წერილი, 1949 წ., გვ. 445. (შემდევში წერილიდან მოტანილი ადგილები მითითებული იქნება ამ გამოცემის მიხედვით. ა. ჩ.).

ავტორს: „თქვენი მისტერ არტურ გრანტი შედევრია!“<sup>1</sup> არტურ გრანტი მართლაც რომ შედევრია. იგი ბურეუაზიული კლასის ტაპიური წარმომადგენელია, რომელიც ინდივიდუალიზებულ, კონტაქტულ — გრძნობად ესთეტიკურ ფრამაში იძლევა პროლეტარი ქალიშვილებისადმი ბურეუაზიული დამკიდებულების არსს. ეს პროლეტარი ქალიშვილი არის ნელი ამბროზი, რომელიც ცხოვრობს ლონდონის მუშათა უბანში ისტ-ენდში. იგი ძალუე ღარიბია და ყოველდღიური მძიმე შრომით ძლიერ შოულობს სარჩოს. ერთ დღეს რადიკალების კლუბში ნელი გაიცნა არტურ გრანტი, რომელმაც მოხსენება გააკეთა. გრანტს ჰყავს ცოლი და ორი ბავშვი, რომლებიც მაშინ აგარაკზე იმყოფებოდნენ. მისტერ არტურ გრანტმა გადასწუვიტა ნელი ამბროზის შეცდენა, დაუახლოვდა მას და კიდევეც შეისრულა სურვილი. ავტორი იშვიათი თატარბით აღწერს გრანტის ვერაგულ ხერხებს, რომელთა საშუალებით მან ხელში ჩაიგდო პატიოსანი და გულუბრყვილო პროლეტარი ქალიშვილი. ჯერ იყო და ნელი კაბარეში შეიყვანა: „ნელი ჭამდა ნამცხავარს, უსმენდა მუსიკას და ეგონა სამოთხეში იმყოფებოდა“<sup>2</sup> ამის შემდეგ გრანტი ნელის უთვალთვალებდა. როგორც მსხვერპლს. მოხერხებულ მომენტს აჩევდა, რათა ნელი მოხიბდლა, გაებრუებინა და მოეტყუებინა. გრანტმა ზუსტად გამოიცნა ნელის იდეალები, რაც გამოიხატებოდა ძისწრაფებებში — შრომით დაქანცულს დაესცენა და გართობილყო და აი, ერთხელ მისტერ გრანტმა ნელი თეატრში შეიტყუა და ლოკაში შეიყვანა:

— მაშასადამე, თქვენ იმ დღის შემდეგ არსად არ ყოფილსართ? — ჰყითხა გრანტმა.

— არსად, მე მხოლოდ ვმუშაობდი. — უპასუა ნელიდ.

— ა თქვე, საცოდაო! უთუოდ მოწყენილი იქნებოდით! — უთხრა მისტერ გრანტმა (გვ. 187).

ასეთმა თანაგრძნობამ მოხიბდლა ნელი. იგი გაიტაცა ვულისამიერია მოძყრობამ. ნელის ეგონა, რომ გრანტი მას გულწრფელად თანაუგრძნობდა. ღარიბი ქალიშვილი ერთბაშად მოხვდა წარჩინებულთა ლოკაში, ამან იგი გააბრუა, მისტერ გრანტმა კი მისწია თავისი სკა-

1 იქვე, გვ. 446.

2 Маргарет Гаркнес — Городская девушка (იხ. უზრუნველი 『Интернациональная литература», 1940 г. № 11-12. გვ. 183 (შემდეგი გვერდები მოთთებული იქნება ამ უზრუნველის მიხედვით. ა. ჩ. )

მი უფრო ანლოს ნელისთან და გააბა საუბარი მსახიობების შესახებ. შემდეგ წელზე მოხვია ხელი ნელის და ყურაში ჩასჩურჩულებდა, რომ საჭიროა გართობა და სიამოვნება.

არამდენიმე დღის შემდეგ მისტერ გრანტმა ნელი ნავით მდინარეზე გაასეირნა. ხშირად დაღიძლენენ ტუეში. ბოლოს მისტერ გრანტმა სურვილი შეისრულა, რის შემდეგ ნელი მოატოვა და დაუბრუნდა თავის ღვახს ვესტ-ენდში. ნელის ბავშვი შეეძინა. ნელი მიდის ვესტ-ენდში და ეძებს გრანტს. ერთი სახლის წინ გაჩერდება და შემთხვევით ფანჯარაში დარიანებს მისტერ გრანტს, რომელიც ბავშვს წიგნს უკითხავს, ნელი არ აღვევს გრანტის ოჯახურ ბედნიერებას. ნელიმ იგრძნო, რომ „ქვეყანა რომელშიც გრანტი ცხოვრობს სრულებით არ არის ისეთი, რომელიც მას წარმოუდგენია — ეს ქვეყანა საოჯახო მყუდროებისა და ბედნიერების ოქროს მესრით არის ჩაეტილი... ნელი უცებ მისვდა თუ რა დიდი მანძილი ჰყოფს ისტ-ენდს ვესტ-ენდისგან“ (გვ. 196). ამით მწერალმა გვიჩვნა, თუ რა გაუვალი უფასერული არსებობს მდიდარსა და ღარიბს შორის. მ. ჰარჯენსი მისტერ გრანტის ვერაგული მოქმედების დახასიათებით ამხელს ბურეუაზის სოციალურ არსს. იგი გვიჩვენებს, რომ ღარიბების აუტანელი მდგომარეობის შიზეზი არის გაბატონებული ბურეუაზიული კლასი. ავტორი გმობს სოციალურ ბოროტებას და ამას იგი გაბედულად ქადაგებს. მოთხოვთა იწვევს ზიზლს გრანტისადმი.

ენგელს მოსწონს ეს „ნამდვილი ხელოვანის სითამამე“. ამით ვლინდება მოთხოვთა რეალისტურობა, მაგრამ მხოლოდ ამით არ ამოიწურება „ქალაქელი ქალიშვილის“ ცხოვრების სიმართლე. ამასთანვე, ამ მოთხოვთა რეალისტური სიმართლე, როგორც ენგელი წერს, ვლინდება ავტორის მიერ სსნის არმიის შეფასებაში. ავტორი აქ იძლევა იმის გაეგებასაც თუ „რაორმ ჰპოვებს სსნის არმია ასეთ მასრადაჭერას ხალხის მასებში“.

როგორც ცნობილია, „სსნის არმია“ ეწოდება რეაქციონურ რელიგიურ-ფილანტროპიულ ორგანიზაციას, რომელიც დაარსდა ლონდონში 1865 წელს მღვდელ ვილიამ ბუტსის მიერ. არმიის სახელწილება მიიღო იმიტომ, რომ თავის შინაგან წყობაში ბაძვდა არმიას, წევრებს ეცვათ თავისებური ფორმის ტანსაცმელი და იყოფოდნენ ჯარისკაცებად, ოფიციერებად, გენერლებად და ა. შ. „სსნის არმიას“ გააჩნდა მთელი რიგი დაწესებულებანი — ღამის გასათევი სახლები, სასაღილოები, მექანით თავ-

შესაფრები. ეს ორგანიზაცია მზრდ ისახავდა და ისახავს მურომელი მასების შეგნების დაბნელებას, რათა ხელი შეუშალოს მათ ექსპლოატაციურების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამიტომ ამ ორგანიზაციას ფანანსურ დახმარებას უწევდა და უწევს ბურჟუაზია.<sup>1</sup> ენგელსი ერთგან შენიშვნას, რომ ინგლისის ბურჟუაზია ათიათასებს ხარჯავს „ხალხის დაბალ წოდებისათვის სახარების საქადაგებლად“ დაბოლოს იგი დათანხმდა იმ „ხსნის არმიის“ საშიშარ დახმარებაზედაც კი, რომელიც აღადგენს ძველი ქრისტიანობის პრიპავანდის სერხებს, მიმართავს ღარიბებს, როგორც ღვთის ჩერეული...<sup>2</sup>

ზოგჯერ „ხსნის არმია“ პოულობდა გაუნათლებელი და რელიგიური რწენით შეკყრობილი მასების ერთგვარ მხარდაჭერას იმის გამო, რომ ეს ორგანიზაცია ზოგჯერ მზრუნველობას იჩენდა ლარიბი, ცხოვრების მაერ გაუბედურებული ადამიანების მიმართ. ეს ნოთლად ჩანს მ. პარტეისის აღიაშნულ მოთხოვნაშიც. ქალაქელი ქალიშვილის ნელი ამბროზის მიმართ მზრუნველობა გამოიჩინა „ხსნის არმიამ“. ნელის სამუშაო შეუწყვიტეს და თუ იგი ახალ სამუშაოს ვერ იშვიდა, სახლიდან გამოსვლებუნებ. „ნელის ცხოვრება ისე წარიმართა, რომ უმუშევრად დარჩენილი, ჩეხებოდა უდედოდ, უძმოდ, უსაჭმელოდ და უბინაოდ“ (197). ნელიმ მართლაც ვერ იშვია ახალი სამუშაო, მას გამოთხახების შეუშინდა და სახლიდან გაიქცა. ბოლოს უპატრონოდ დარჩენილი ნელი მოხვდა „ხსნის არმიაში“. აქ მას დახმარება აღმოუჩინა კაპიტანშია ლოუბმა. ამბროზი მოთავსდა ცალკე ოთახში, სადაც კარგად დაისვენა და თანდათანობით დაშვიდლა. შემდეგ შეეძინა ბავშვი, რომელზედაც დიდი მზრუნველობა გამოიჩინეს. „ხსნის არმიის“ წევრებმა. საერთოდ უნდა ითქვას, რომ მოთხოვნაში კარგად არის ნაჩენები ის „ხსნის არმიის“ საქმიანობის რელიგიური შინაარსი, ის, რომ „ხსნის არმია“ ხელს უწყობდა უბრალო ხალხს რელიგიურ ბურჟუაზია გამვევას.

ყველავე აღნიშნულის გამო, „ქალაქელი ქალიშვილი“ რეალისტური ნაწარმოებია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ენგელსის გაგებით, მოთხოვნა მანც არასაკმარისად რეალისტურია: „თუ კი რაიმე შემიძლია გავაკრიტიკო, —

1. ბ. ც. ტოში 3; მეორე გამოც. 1950 წ., გვ. 46-47.

2. კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რეული ნაწერები, ტ. II, 1950 წ., გვ. 122.

წერს ენგელსი, — მხოლოდ ის, რომ მოთხოვნა მანც არასაკმარისად რეალისტურია. ჩემი შეხედულებით, რეალიზმი გულისხმობს, გარდა დეტალების სიმართლით გაღმოცემისა, ტიპურ ვითარებებში ტიპიური ხასიათების სწორ რეპროდუქციას. თქვენი ხასიათები საკმაოდ ტიპიურია არიან იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიაც ისინი მოქმედებენ, მაგრამ არ შეიძლება ესვე ითქვას იმ პირობებზე, რომლებიც მათ გარს არტყავს და მათი მოქმედების სტიმულს წარმოადგენენ“ (გვ. 446). მაშასადმე, მ. პარტეისის მოთხოვნა არასაკმარისად რეალისტურია მხოლოდ იმის გამო, რომ მასში გარემოება არ არის ტიპიური. ენგელსის გაგებით, შეიძლება ნაწარმოებში ხასიათები საკმაოდ ტიპიური რევნენ, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ უმარია იმისათვის, რომ ამ ნაწარმოებს საკმარისად რეალისტური ნაწარმოები ეწოდოს, რადგან შესაძლებელია ხასიათი საკმაოდ ტიპიური იყოს მხოლოდ მოქმედების გარევეულ-ფარგლებში ვაშინ, როდესაც საკმარისად რეალისტური ნაწარმოების შესაქმნელად აუცილებელია, რომ ხასიათები არა მზოლოდ მოქმედების გარევეულ ფარგლებში იყვნენ ტურინი, არამედ ისინი ტიპიური უნდა იყვნენ ტიპიურ გარემოებაში, ე. ი. იმ პირობებში, „რომლებიც მათ გარს არტყავს და მათი მოქმედების სტიმულს წარმოადგენენ“.

ენგელსი სწერს პარტეის: „თქვენი ხასიათები საკმაოდ ტიპიური არიან იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიაც ისინი მოქმედებენ“. ვიკიონთ: რა ფარგლებია მოქმედების ეს ფარგლები? ამის შესახებ ზევით იყო ნათქვამი. და ეხლაც მოვლედ ვიტყვაო. ნელი ამბროზი საკმაოდ ტიპიურია იმის გამო, რომ მასში მხატვრულად არის განზოგდებული პრიორეტარი ქალიშვილის მძიმე, გაუირებული ეკუნიმიური და სოციალური მდგრამერობა. მასი მოქმედების ფარგლებში შედის, აგრეთვე, ურთისეურობა მისტერ გრანტთან, ხოლო გრანტი საკმაოდ ტიპიურია იმიტომ, რომ იგი კონკრეტულ — გრძნობად ფორმაში გაღმოგვცემს ბურჟუაზიის ექსპლოატაციურულ არსა, მის ბოროტ სოციალურ ბუნებას. გრანტის მოქმედების ფარგლებში შედის, აგრეთვე, მისი ურთისეურობა ნელი ამბროზთან, რომელიც შეკიდინა და გააუბედურა. აი, მოქმედებათა ფარგლები, რომელშიაც საკმაოდ ტიპიური არიან მოთხოვნის ხასიათები. მაგრამ მოქმედების ამ ფარგლების გაღმოცემა არ კვარი ნაწარმოების საკმარისად რეალისტურ ნაწარმოებად მიჩნევისათვის, რადგან მოთხოვნებში.

არ არის გადმოცემული ის ტიპიური გარემოებები, პირობები, რომლებიც ტიპიურ ხასიათებს „გარს არტყავს და მათი მოქმედების სტიმულს წარმოადგენებ.“ ე. ი. ტიპიური არ არის ტიპიური ხასიათების სამოქმედო გარემოება, ხოლო გარემოება ტიპიური იმიტომ არ არის, რომ მოთხრობაში „მუშათა კლასი წარმოდგენილია როგორც პასიური ძალა, რომელსაც უნარი არა აქვს თავის თავს დაეხმაროს, არავითარ ცდასა და ძალონებს არ მიმართავს იმისათვის, რომ თავის თავს უშველოს. ყოველგვარი ცდა გამომათავისებელი სიღატაყიდნ მისი ამოთრევისა გარედან, ზემოდან მომდინარეობს“ (გვ. 446). და მართლაც, „ქალაქელ ქალიშვილში“ არსად არ ჩანს ცდა იმისა, რომ ნელი ამბროზმა თავისთავს თვითონ უშველოს, არც ის ჩანს, რომ მუშათა კლასის სხვა წარმომადგენელი ზრუნვდეს უბედურებისაგან ნელის გამოხსნისათვის. ავტორს ნელი უფრო აქტიურ პერსონაჟად უნდა ექცია, ან უნდა შემოეყვანა ნაწარმოებში პროლეტარიას, მუშათა ორგანიზაციის ტიპიური წარმომადგენელი, ისეთი, რომელიც იზრუნვებდა თავიანთი თავის, ე. ი. მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის.

ამის მსგავს რამეს მოთხოვბაში ვერ ვხედავთ. აქ მხოლოდ „ხსნის არმია“ მოქმედებს, მხოლოდ ეს ანტიმუშური ორგანიზაცია ცდილობს ნელის უშველოს და სწორედ ამიტომ ამბობს უნგელი, რომ „ყოველგვარი ცდა გამომათვავინებელი სიღარუკიდან მისი ამოთრეფისა გარედან, ზემოდან. მომლინარეობს“. მაგრამ მუშათა მდგომარეობის ამგვარი დახმასიათება სწორი იქნებოდა მხოლოდ მაშინ, მოთხოვბაში რომ აღწერილი იყოს მეცხრამეტე საუკუნის დასწყისის მუშათა კლასის მდგომარეობა. მუშათა კლასი მხოლოდ ამ დროს იყო შედარებით პასიური. როგორც ენგელსი შეინიშნავს, მუშათა კლასის ამგვარი დახმასიათება სწორი იყო „1800 და 1810 წლებისათვის, სენ-სიმონისა და რობერტ ოუენის დროს“. „ამ დროისათვის, — წერს უნგელი, სხვა ადგილას, — კაპიტალისტური წარმოების წესი და მასთან ერთად ბურჟუაზიას და პროლეტარიატის წინააღმდეგობა ჩერ კიდევ მეტად განვითარებული იყო... პროლეტარიატი, რომელიც ის იყო ამ ქონებას მოკლებულ მასებს ემიგრებოდა, როგორც ახალი კლასის ჩანასახი, ჩერ კიდევ სრულიად მოკლებული იყო დამოუკიდებელი პოლიტიკური მოქმედების უნარს, ჩაგრულ, ტანგულ წოდებას წარმოადგენდა და, რაღაც თავისი. თავის შეველი

არ შეეძლო, მხოლოდ გარედან, მხოლოდ ზე-  
მოდან ელოდა სხინას". ჩ. პარკერის მოთხ-  
რობა, რომ პროლეტარიატის ამ მდგომარებას  
აღწერდეს, მაშინ იგი საქმაოდ რეალისტური ნა-  
წარმოები იქნებოდა, მაგრამ, როგორც ცნობი-  
ლია, მოთხრობა გამომგვცემს ინგლისის მუ-  
შათა კლასის მდგომარეობას შეცხრამეტე საუ-  
კუნის 80-იან წლებში. „ქალაქელი ქალიშვი-  
ლი“ გამოქვეყნდა 1897 წელს. ამ დროისათვის  
უკვე აღარ ითქმის ის; რაც მუშათა კლასის შე-  
სახებ შეიძლებოდათ ჯმულიყ 1800, 1810 წლებ-  
ში. 80-იანი წლებისათვის ეკროპის მუშათა კლასს  
უკვე გაელილი აქვს საწელოვანი ბრძოლის  
გზა. მას გააჩნია რევოლუციური მოძრაობას  
მდიდარი გამოცდილება. მან გაავითარა დამო-  
უკიდებელი მოქმედების უნარი, იგი უკვე არის  
კლასი თავისთვის საუთარი კლასობრივი შეგ-  
ნებითა და ორგანიზაციული ფორმებით, ამ საქ-  
მეში მას უწინამდრეოებს მარქსიზმის კლასიკო-  
სებმა, უკვე გამოქვეყნებულია კომუნისტური  
პარტიის მანიფესტი და წინ იყო, აგრეთვე, პარი-  
ზის კომუნის მდიდარი გამოცდილება. მართა-  
ლია, ამ დროს ლონდონის ისტ-ენდში მუშათა  
კლასი ამჟღავნებდა „ნაკულებ ატრიუმ წინაალ-  
მდევობას“ (ენგელსი), მაგრამ ამ პერიოდისა-  
თვის მუშათა კლასის ცხოვრების აღწერელ  
მწერალს არავითარ შემთხვევაში არ შეეძლო  
უგულებელეყო მუშათა კლასის ეს ენერგიული  
ბრძოლა თავისი განთავისუფლებისათვის.  
„მჩაგვრელ გარემოსთან მუშათა კლასის რევო-  
ლუციური გამკლავება, მისი თავგამოდებუ-  
ლი, ნახევრად შეგნებული თუ შეენებული  
ცდები მიაღწიოს თავის აღამიანურ უფლებებს  
ისტორიაში ჩაწერილია და ამიტომ რეალიზმის  
სფეროში თავისი ადგილი უნდა დაიკავოს“  
(გვ. 446). ენგელსის წერილის ამ ადგილს გა-  
დამწევეტი მნიშვნელობა აქვს ტაპიური გარე-  
შოების ცნების დადგენისათვის.

წარმოდგენილი ანალიზიდან ირკვევა, რომ  
გარემოების ტიპიურობა ნიშნავს იმას, რომ  
მწერლის მიერ ნაწარმოებში ნაჩვენები უნდა  
იქნას სოციალური მდგომარეობის ის წარ-  
ყვანი ტენდენციები, რომლებიც  
განსაზღვრავენ პერსონაჟის ხა-  
სიათის ტიპურობას, გვიჩვენებენ  
ბრძოლას დევლობას და ახალს შორის  
და ახლის დაუძლევლობას, მისი  
გამარჯვების აუცილებლობას. რეალის-

1 ფ. ენგვალი, სოციალიზმის განვითარება  
ურთობიდან მეცნიერებისაკენ. (იხ. ქ. მარქსი,  
ფ. ენგვალი, რჩეული ნაწერები, ტ. I, 1950-წ.,  
გვ. 134-135).

ტურ მხატვრულ ლიტერატურაში ტიპიური გარემოების ცნებაში არ შეიტანება ყოველი სახის გარემოება, არამედ მხოლოდ ისეთი გარემოება, რომელიც სახის ტიპიურობის განმსაზღვრელია და ამავე დროს მხოლოდ სოციალური შინაარსისაა. რასაკვირველია, ასებობს არასოციალური შინაარსის გარემოება<sup>1</sup>, მაგრამ ჩენები გავებით, ენერეს იგი არ შეაქვს ტიპიური ხასიათის განმსაზღვრელ ტიპიურ გარემოებათა ცნებაში. როგორც ვიცით, ადამიანის არს წარმოადგენს საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთობლიობა და ამიტომ ტიპიური გარემოების დაფურინირებით სწორედ საზოგადოებრივი ურთიერთობაა. რასაკვირველია, შეუძლებელია სხვა სახის გარემოებათა უგულებელყოფა, მაგრამ ისინი შედინ საერთო მხატვრული სიმართლის განხორციელების პირობებში, ტიპიური გარემოება კი ცალკე სახეა მხატვრული სიმართლის უზრუნველყოფისა, ამასთანვე ტიპიური ხასიათის რეალისტურობის განმსაზღვრელი. როგორც ვიცით, ხელოვნებაში მთავარია ადამიანი და ამიტომ ტიპიური ხასიათის განმსაზღვრელი სოციალური ტიპიური გარემოება რეალიზმის განმტკიცების მთავარი პირობაა, გარემოების ტიპიურობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იგი შეიცავს საზოგადოებრივი ცხოვრების მთავარს, წამყვანს, არსებითს, აუცილებელსა და კანონს და მიერთო ერთს არს საერთოდ გარემოებაში ისეთი რამეც შეიძლება შევიდეს, რომელიც არ არის გადამტკიცები, განმსაზღვრელი და კანონმიერი<sup>2</sup>, არამედ შემთხვევით, არაარსებითი, მეორეხარისხოვნია, მაგრამ ტიპიური ხასიათის შექმნისათვის მწერალი სწორედ ისეთ გარე-

მოებებს აფიქსირებს, რომლებიც განსაზღვრავენ ხასიათების ჩამოყალიბებას, აპირობებენ მათ მოქმედებას და წარმოგვიდგენენ, როგორც სოციალურ კანონზომიერებასთან დაკავშირებულ მოვლენას. იმის დასაშტკიცებლად, თუ როგორ უნდა წარმოგვიდგინოთ ეს კონკრეტულად, მოვიტანთ ნ. ნიკოლაძის მიერ მითოვებულ მაგალითს: „ცხოვრებაში ბევრნაირი მოვლენა და შემთხვევა შეხვდება კაცს, მაგრამ ყველა ეს შემთხვევა და მოვლენანი ერთი და იმავე ფასის კი არ არიან... ზოგ შემთხვევას დიდი და ღრმა მნიშვნელობა აქვს საზოგადოების ცხოვრებაში, ამიტომ რომ ცხადად აჩენს რომელიმე მოთხოვნილებას, ნაკლოვანებას ან სიკეთეს, ზოგი ჭი სრულიად არაფერს არ აჩენს და კვალდაუტოვებელი თითქმის უმიზეზოდ და უნაყოფოდ გაიარს, ან ისეთი უბრალო და შეუნიშნავი მიზეზი და ნაყოფი ექნება, რომ მასზე ლაპარაკიც არ ღის. წარმოვიდგინოთ, მაგალითად, ორი შემთხვევა, ყმაწვილს მასწავლებელმა სიცოცხლე გაუსრუვა, უმიზეზო, უხეირო დევნით, დასჭით და გინიანობით. მობეზრდა ამ ყმაწვილს ის უსარგებლოდ და უნაყოფო სწავლა. რომლითაც იმას აწვალებენ, იგრძნო იმან თავისი მდგრადი მიმდინარეობს, რომ იგი შეიცავს საზოგადოებრივი ცხოვრების მთავარს, წამყვანს, არსებითს, აუცილებელსა და კანონს და მიერთო ერთს არსათანაბრძოლის აჩენის შეძლება არ მოეძებნება. ამ გამოუსცელელ მდგომარეობაში, წვრილმანი დევნით გაბრაზებული, ის თოქს შოულობს და თავს იხტობს, — ეს ერთი. წარმოვიდგინოთ ეხლა, რომ მეორე ყმაწვილი, სიცხისაგან შეწუხებული და დაღალული, მოდის შინ და მწყურალე წყალს ეწავება. ამ ღრმას ის ხედავს, რომ კუთხეში სუფრაზე, ქალალდში გაბევული შაქარი დევს. იღებს ის ამ შექარს, წყალში ყრის და სვამს. მაგრამ მისდა საუბედუროდ, ეს შექარი თაგვის წამალი ყოფილა. და მაშასადამე ის, საწამლავსავით მოქმედებს მასზე და ცოტახნის შემდეგ ყმაწვილი წვალებით და დაგვით კვდება. აი ორი შემთხვევა, რომელშიც ერთი და იგივე, თთქმის, მიზეზია — ყმაწვილის შეწუხება, და ერთი და იგივე ნაყოფი — ყმაწვილის დატანული და უძროო სიკეთელი, ერთი შეხედვით, ამ ორივე მაგალითს ერთნაირად უნდა შეეძლოს კაცის გულის დაწვა — დადავა. მაშასადამე, ორივეს ერთნაირი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს მწერლობაში. მაგრამ, რაგინდ ცოდნითა და ნიჭით უნდა გამოხატოთ თქვენ თაგვის წამ-

1. აღბათ, ამით უნდა ითხხნას ის მოვლენა, რომ ნ. ჩერნიშევსკი გარემოების ცნებას იჩენიებს მხატვრული ლიტერატურის სპეციფიკის განსაზღვრის დროს: „მხატვრული ლიტერატურის ნაწარმობებში აღწერენ და მოგვითხოვთ ჩევენ ცოცხალ მაგალითზე იმის შესახებ, თუ როგორ გრძნობენ და როგორ იქცევიან ადამიანები სხვადასხვა გარემოებებში და ეს მაგალითები მეტწილად იქმნებიან თვით მწერლის წარმოსაპვით“, (Н. Чертышевский, Извбранные литературно-критические статьи, 1953 г. стр. 36.).

2. Г. Белецкий, Проблема типических обстоятельств и советская драматургия. (в. „Литературный критик“, 1934 г. № 6, стр. 131.).

ლით მოწამლული ყმაწვალის ბედი, თქვენ ნაწერს მეათედი ნაწილიც არ ეღირსება იმ მნიშვნელობისა, რომელიც ექნება უფრო სუსტად და უნიჭოდ აწერილს ბედს პარეელი ყმაწვილისას. ეს უკანასკნელი საგანი ააღელებებს, დაავიტრებს და კვალს დატოვებს თითქმის ყოველი მკითხველის გულში და ტვინში, მაშინ, როდესაც მოწამლული ყმაწვილის ბედი მარტო ერთი წუთის შებრალებას აღძრავს გულეთილ პირებში. ჩა მისზე უძევს საფუქრლად ამნაირ განსხვავებას, ამის კითხვა ვვონებთ, საჭიროც არ არის. ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ დახრისხბილი ყმაწვილის ბედი იმისაგან პოულობს თავის დიდ მნიშვნელობას, რომ ის წარმომადგენელი მრავალი ყმაწვილების და თითქმის მთელი თაობის ბედის მდგრადი ბისა, მასში გამოიხატა საზოგადო მდგომარეობა და დამხრებალი ყმაწვილი უბრალო კერძო შირისაგან, ტიპათ შეიქმნა. მისმა ბედმა მიაქცია საზოგადო ყურადღება საზოგადო საქმე — მასწავლებლის საქციელზე, აღზრდის მდგომარეობაზე და მთელი ახალგაზრდობის მომავალზე და ამ საქმეში, ხომ ყველას თავისი საკუთარი ბედი უნდა ეგულებოდეს. მეორე მაგალითი კა უბრალო, უმიზნო, და უმნიშვნელო შემთხვევა იყო, — უბედურებაა თუ გნებავთ, მაგრამ კერძო უბედურება, რომელსაც არაფერი საზოგადო მნიშვნელობა და არაფერი გავლენა არ აქვს, იმის მეტი, რომ შვილმოყვარე დედებმა თავისი წამალი სტოლზე არ უნდა დატოვონ, თორემ თავვებს გარდა ეს საწამლავი ბავშვებსაც გაისტუმრებს საიქიოს..... ჩენ შეგვაძლია, მაში, დარწმუნებათ ვთქვათ, რომ ყოველი კერძო შემთხვევა, მოვლენა, ხასიათები, მდგომარეობა და სხვა მარტო მაშინ ხდება მწერლობის ყურადღების ლირსი, როცა იმას, რამე საზოგადო მნიშვნელობა აქვს, როცა ის წარმომადგენელია მრავალი სხვა თავისი გვარი მოვლენებისა... აქედან ჩვენ ადვილად გამოიყვანოთ ერთ კანონს სალიტერატურო თხზულების გასასინჯველად. ყოველი საგანი მით უფრო შესანიშნავი და ყურადღების ლირსია, რაც უფრო მეტი საზოგადო მნიშვნელობა აქვს იმას ცხოვრებაში. მაგირდ, რაც უფრო ნაქლები საზოგადო მნიშვნელობა აქვს რომელსამე საგანს, მით ნაკლები ყურადღების ლირსია ის. მაშასადამე, სალიტერატურო შრომაში ყოველ საგანს იმღვენი ყურადღება უნდა ჰქონდეს. მიქცეული და სწორედ ის ადგილი უნდა ეკაოს, როგორაც ეღისას საგანს თავისი საზოგადო ან

კერძო ხასიათით. და ამ პირობიდან პირდაპირ ის კანონი გამოდის, რომ რომელიმე საზოგადოების აღწერაში ყოველ მხარეს, ყოველ თვისებას, თვითეულ ხასიათს თავისი შესაფერი ადგილი უნდა ეჭიროს, სწორედ ის ადგილი, რომელსაც ეს საგანი თავისი საზოგადო მნიშვნელობით ჰპოულობს".<sup>1</sup> ეს ცრუელი ამონაწერი, კონკრეტული მაგალითის ჩენებით, ნათლად მიუთითებს ტიპიზაციის პროცესში ტიპიური გარემოების მნიშვნელობაზე, რომელშიც მთავარი და გადამწყვეტია მოვლენის საზოგადო და საზოგადოებრივი მნიშვნელობა. რეალიზმი მხატვრულ ლიტერატურაში სწორედ იმას მოითხოვს, რომ მხატვრულ ნაწარმოებში გამოსახული გარემოებანი სწორად ასახავდეს საზოგადოებრივი ცხოვრების ობიექტურ კანონზომიერებებს, პროცესებს და ნიშვნებს.<sup>2</sup> ტიპიური გარემოებანი უნდა ანსახიერებდნენ იმ საზოგადოებრივ კონფლიქტებს და კოლექტებს, რომელებიც დამახასიათებელია სოციალური ცხოვრების ისტორიული განვითარების მოცემული ეტაპისათვის. ისტორიზმის პრინციპის დაცვა მთავარი და ძირითადი პრინციპია ტიპიური გარემოების ჩართლად გადმოცემისა. თუ ეს პრინციპი არ იქნა გათვალისწინებული, ისე ვერ განვასხვავებთ ერთმანეთისაგან კარაპეტა დაბალოებს და ბახვა ფულავას. ორივენი ბურუუზიული ტიპიური ხასიათი არანა ბურუუზიულ ტიპიურ გარემოებაში, მაგრამ გამოსახვენ ბურუუზიული საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპებს და მდგომარეობას. მხოლოდ საზოგადოებრივ გარემოებათა ისტორიული განვითარების საფეხურების გათვალისწინება გადაგვიშლის თვითეული ტიპის შემეცნებით მნიშვნელობას და ესთეტიკურ ლირსებას. ტიპიური გარემოების სწორად გადმოცემით ხორციელდება ხასიათების სიმართლე, რადგან რეალისტურ მხატვრულ ნაწარმოებებში ხასიათების სიმართლე ჩნდება მხოლოდ იქ, სადაც მწერლი მოქმედი პირების ყოფაქცევასა და სულიერ საყარაში აღმაჩენს იმ ახალს, რაც დღოს ნიშანია, რაც წარმოშობილია მოცემული ხასიათის განვითარების პირობებით, განსაზღვრული პერიოდისა და წრის გარემოებებით. მაშინ ნილული ხდება არა მარტო ხასიათის ნიშვნები, არამედ მათი წარმოშობი პირო-

<sup>1</sup> ნიკო ნიკოლაძე, კრიტიკა და მისი მნიშვნელობა ლიტერატურაში. (იხ. „ქართული ლიტერატურული კრიტიკის სტორიისათვის“ ქრებტომათა, II, 1956 წ., გვ. 133-134).

<sup>2</sup> ა. კარაგანოვ, ხარakter ი обстоятельства (იხ. «Новый мир», 1952 გ. № 2, стр. 220).

ბებიც. მეტოცელი ხედას, თუ რატომ არის აღამინი ასეთი და არც შეიძლება იყოს სხვაგვარი, თუ რატომ მოქმედებს, ფიქრობს და გრძნობს იგი ასე და არა სხვაგვარად.<sup>1</sup> ასეთ შემთხვევაში ხასიათის სიმართლე ეფუძნება ვარემობის სიმართლეს<sup>2</sup> და იქმნება ის, რასაც რეალიზმი ჰყულისხმობს, ე. ი. დეტალების სიმართლესთან ერთად ტიპიური ხასიათის ტიპიურ გარემოებებში სწორი გადმოცემა. მაგრამ საკითხავია: რომელი რეალიზმი გულისხმობს ამას? რომელი რეალიზმი ჰქონდა მხედველობაში ენგელს: კრიტიკული რეალიზმი თუ კოციალისტური რეალიზმი? ცხადია, ორივე სახის რეალიზმი, რადგან ენგელი მხოლოდ ისეთ რამეს გულისხმობს, რომელიც დამახასიათებელია საერთოდ რეალიზმისათვის მიუხედავად იმისა, რომელი სახისაც არ უნდა იყოს იგი. რასაც კი ვირველია, სოციალისტური რეალიზმისაგან, მაგრამ საერთო მაინც ის აქვთ, რომ ორივე რეალიზმია, რეალიზმის სხვადასხვა სახეა და ამ საერთოს ის ქმნის, რომ ყველა სახის რეალიზმს ახასიათებს „გარდა დეტალების სიმართლით გადმოცემასა, ტიპურ ვათარებაში ტიპიური ხასიათების სწორი რეპროდუქცია“. თუ ეს არსებითი ნიშანი არ გააჩნია, მაშინ იგი არც არის რეალიზმი საერთოდ. განსხვავებას სოციალისტურ რეალიზმსა და რეალიზმის სხვა სახეებს შორის უპირველეს ყოვლისა, ქმნის მსოფლმხედველობის თავისებურება. სოციალისტური, კომუნისტური მსოფლმხედველობა ასხვავებს სოციალისტურ რეალიზმს სხვა სახის რეალიზმისაგან. სწორედ ასეთ მსოფლმხედველობას არ ეფუძნებოდა მ. ჰარენესი და ამიტომ ვერც შექმნა საქმარისად რეალისტური ნაწარმოები. თუმცა ამის მიზეზად ჰარენეს სხვა რამე მიაჩნია. კერძოდ ის, რომ იგი ქალია. რეცენზიის საპასუხოდ მ. ჰარენესი სწერდა ფ. ენგელს: „ბევრი რამ, რასაც მწერათ ჩემს წიგნზე. სრული ისიმართლეა, ნაეტოან კი ის, რომ მას რეალიზმი ყვლია, ამ მხრივ ჩემ დაბრკოლებათა ახსნა-განმარტებას დიდი დრო მოუნდებოდა. მე მგონია ეს დაბრკოლებანი უმთავრესად იმიტომ აღმოცენდა, რომ მე მაკლია რწმნენ ჩემი ძალონისა და აგრეთვე ჩემი სქესის გამოც“.<sup>3</sup> რა-

საკვირველია, აქ სქესი არაფერ შეუში იყო, არამედ რეალიზმის მიკლება გამოიწვია მწერლის მსოფლმხედველობამ. როგორც ცნობილია, მწერალი ქალი მარგარეტ ჰარენესი წვრილ-ბურუაზიული ინტელიგენციის იმ ჯგუფს ეკუთვნოდა, რომელიც 80-იან წლებში სოციალისტურ მოძრაობას შეუერთდა. ჰარენესის წვრილ-ბურუაზიულმა იდეოლოგიამ განსაზღვრა მისი რეალიზმის შეზღუდულობა, რაღაც წვრილ-ბურუაზიული მსოფლმხედველობის მქონე მწერალი მხოლოდ აღწერდა ისტერიალის მუშების ცხოვრებას, ცოცხალ სურათებს იდლეოდა მათი აუტანელი მდგომარეობის შესახებ, მაგრამ ვერ სახავდა კეშმარიტ, რევოლუციურ გამოსავალ გზას; მაშასადამე, ჭეშმარიტი სოციალისტური—რეალისტური ნაწარმოების შექმნის შესაძლებლობა გააჩნია მხოლოდ იმ მწერალს, რომელიც გამსცვალულია სოციალისტური, კომუნისტური მსოფლმხედველობით, მეცნიერული სოციალიზმის თეორიით. იმის გამო, რომ ზოგიერთ საბჭოთა მწერალს არ გააჩნია მტკიცე სოციალისტური, კომუნისტური მსოფლმხედველობა, ვერ ქმნის ტიპურ ხასიათს ტიპურ გარემოებაში. სოციალისტური ცხოვრებაში ვერ ამჩნევს წამყვან ტენცენციებს, ვერ ხედავს ახალს, იმას. რაც დაუძლეველია, ფ. ი. ვერ გამოსახვას ნინამდვილეს მის რევოლუციურ განვითარებაში, რომლის გარეშე საერთოდ შეუძლებელია ტიპიურ გარემოების სწორი გადმოცემა სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურულ ნაწარმოებში. ჩვენს სინამდვილეში კანონზომიერ მოვლენას წარმოადგენს ბრძოლა ნაკლებგავრცელებული ურყოფითი მოვლენების წინააღმდეგ. თუ საბჭოთა მწერალს სურს შექმნას ნაკლებგავრცელებული უარყოფითი ტიპიური ხასიათი, რომელიც სწორია იქნება გადმოცემული ტიპიურ გარემოებაში, მაშინ მან უნდა აჩვენოს ჩვენი ცხოვრების ის პროგრესული ძალები, რომლებიც სპობენ ან გარდაქმნიან ამ ნაკლებგავრცელებულ უარყოფით მოვლენებს. სამწუხაროდ ეს ვერ შესძლო, მაგალითად, ბელეტრისტმა აკაკი ბელაშვილმა თავის რომანში „ულელტეხილა“. რასაც კი ვირველია, ეს რომანი რეალისტური ნაწარმოებია, ამასთანავე ამ ნაწარმოებში მოჩანს სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი ძირითადი ნიშანი, მაგრამ უნდა ითქვას, რომ რომანი არ არის საქმარისად სოციალისტური რეალისტური ნაწარმოები, რაც იმაში მდგომარეობს, რომ მას აკლია ზოგიერთი ნაკლებგავრცელებული

1. უზრბ. „მნათობი“ 1932 წ., № 5-6, გვ. 266. (ხაზგასმა ჩემია. ა. ჩ.).

უარყოფითი ტიპიური ხასიათის გადმოცემა ტიპიურ გარემოებაში. ორგორც ვიცით, ჩვენს სინამდევილეში ზარის თამაში ნაკლებგარცელებული უარყოფითი მოვლენაა, იგი სმირად არ გვხვდება, მაგრამ მას მაინც აქვს ადგილი ჩვენს ცხოვრებაში და ამიტომ შესაძლებელია ამ მოვლენის ამსახველი ტიპის შექმნა ლიტერატურაში. ამიტომ კარგად მოიქცა მწერალი ა. ბელიაშვილი, როცა ასეთი მოვლენის ამსახველი ტიპები შექმნა „უსულტეხილში“. გურგურა, საშაკოსი, რეზო გავაშელი და გრიშა ზარის მოთამაშეთა წრის ტიპიური წარმომადგენლები არიან. ა. ბელიაშვილმა მკითხველი ჩაახედა იმ წუმპეში, სადაც ჩაყრილი არიან ნაძირალები, ბანდიტები და კაცისეკვლელები. შემაძლუნებელი სურათია რეზოს პირველი ჩასვლა გურგურენას სარდაფში და ზარის თამაშის დაწყება:

— გურგურამ გააგორა და დუშაში დაჯდა.

— ვეჭ! შენი... დაირტყა მუხლზე ხელი რეზომ და გრიშას შეხედა. მერე დაჭმუქნული ფული ცივად მიუყარა მოწინააღმდეგეს. გურგურენამ მშვიდად დაკეცა ფული და ჭიბეში ჩაიწყო. გაფითხებულმა რეზომ კამათელს სტაცია ხელი და გურგურენას მტკიცედ უთხრა:

— პრისტავებს მოვდიგარ.

გურგურამ ზანტად გადახედა გრიშას და ასევე ზანტად ჰერთა:

— რეგისტრაცია ამას ჰქონია?

— არა.

— მაშ ადათი არ ეცოდინება.

— რა ადათი? — იკითხა რეზომი.

— იცი რა, რეზოჭან, პრისტავკაზე წამოვალ, მაგრამ ყავლს რომ ვიტყვი, ერთია მინუტი არ უნდა დააგვიანო ფულის მოტანა. მამაშენის დაკვლა რომ მოგიხდეს, უნდა მოიტანო, თორებ მერე შენი მოტანილი ფული კაბიკად აღარ ეღირება“!

რეზო გავაშელი სისტემატურად აგებდა ფულს და პრისტავების გადახდის უზრუნველსაყოფად მრავალ ულირს საქმეს ჩადიოდა. ერთხელ იყო და დედას სამი ათასი მანეთი გამოსტყუა, ვითომდა სამხედრო სამსახურში გაწევენისაგან თავის განთავისუფლების საბაზით. შემდეგ კი შეყვარებულის ბინა გააძარცვინა გურგურენას და საშას, ხოლო უკანასკნელი პრისტავებისაგან თავი „გაინთავისუფლა“ თვითმკვლელობის ჩადენით. აქ არაფერია ისეთი, რაც არ შეიძლებოდა მომხდარიყო. ყველაფერი ეს ან მოხდა, ან შეიძლებოდა მომხდარიყო. ავტორის შეცდომაა რომანის ისე დამთავრება,

1. აკაკი ბელიაშვილი, „უსულტეხილი“, 1956 წ., გვ. 228-229.

რომ გურგენასა და საშას მეცნიერება არ მომხდარა. ეს კი რეალიზმის დალატია. ჩვენს საზოგადოებაში ტიპიური გარემოება ისეთია, რომ დაუნდობლად ებრძვიან ასეთ ნაკლებადგავრცელებულ უარყოფით მოვლენას. ან სპობენ, ან აწორებენ. რომანში კიარც ერთი ეს არ მომხდარა. მთელი რომანის მანძილზე მხოლოდ ერთხელ გვანიშნა ავტორმა, რომ შესაძლებელი იყო ზარის მოთამაშე ქურდების მხილება, მაგრამ ავტორის მიერ არც ეს შესაძლებლობა იქნა გამოყენებული. ლილის ბინის გაქურდვის შემდეგ საქმეში მილიცია უნდა ჩარეცლიყო სასწრაფოდ, მაგრამ მილიციიდან „აცნობეს, რომ რაკი ქურდობა ჩადენილი იყო, ხოლო ბინა უცხო ხალხით აგსებული, აზრი აღარ ჰქონდა მეტებარი ძალების მოყვანას, ან თანაშრომლის მოსვლას. დილისათვის დაპირდნენ თანამშრომლის გამოგზავნას და სათანადო ზომების მიღებას. ასეთმა პასუხმა ყველა აღაშფოთა. ათასნაირად აგინძებრნენ მილიციას და ყოველ უბედურებას მას აპრალებდნენ“ (გვ. 293). ორგორც მილიციის, ისე სხვა სასოგადოებრივი ორგანიზაციების გულგრილობა აღნიშნული ბოროტმოქმედების მიმართ ბოლომდე გასდევს ნაწარმოებს, ასე გამოიდის, რომ გარდა ავტორისა არავინ იბრძვის ზარის თამაშის მთავარი ორგანიზაციონურების წინააღმდეგ. ნაწარმოებში ნაჩენები უნდა ყოფილყო ის პროგრესული ძალები, რომელიც მოქმედებენ ტიპიურ გარემოებაში და იწვევენ უარყოფით მოვლენების დაძლევას. შეიძლება თქვან, რომ გურგურა და საშა მწერალმა იმიტომ არ ამხილა, რომ ამით სურდა მკითხველის სიფინზლის მობილიზაცია: ირგვლივ მიმოიხედე და ასეთი ფარულად მოქმედი ბოროტმოქმედი გამოსხებენ და ამხილეო. რასაკვირებელია, ცხოვრებაში შეიძლება ისეც მოხდეს და კიდევაც ხდება, რომ ზოგიერთი ბოროტმოქმედი, ზარის მოთამაშე, ქურდი და ბანდიტი განაგრძობს ასებობას, ჭერ კიდევ არ არის მხილებული და შეიძლება დიდხას უმხილებელიც დარჩეს, მაგრამ როდესაც მწერალ ნაწარმოებს წერს, თავისი შემოქმედება არ უნდა მიაკავეოს ასეთი უმ ხ დ ე ბ ლ ბ ო რ თ ტ მ ი კ მ ე დ ე ბ ა ს, რადგან ეს იქნება ნაკლებგავრცელებული მოვლენის ცალმხრივი გამხხატვა. მასიურად ხომ ისე ხდება, რომ ბოროტმოქმედებას ამხილებენ. სწორედ ამაში კლინდება სოციალისტური, საბჭოთა ტიპიური კითარება. მხატვრულ ლიტერატურაში განზოგადებითი სახის შექმნის დროს სწორედ ეს ტიპიური გარემოება უნდა იქნას ნაჩენები.

რაღაც ამაში მეღავნდება ეპოქის მოწინავე ძალების აქტივობა, სინამდვილის განვთარების პროგრესული ტენდენციები და ობიექტური კანონობის რეგულირებანი. აკაკი ბელიაშვილმა უღლალატა ამ კანონს და ამიტომ მის რომანში უარყოფითი ტიპიური ხასიათები მთელი სიმართლით არ არის გაღმოცემული ტიპიურ გარემოებებში. ტიპი ტიპიურ გარემოებაში სწორად მხოლოდ მაშინაა გაღმოცემული, როდესაც ნაჩერებია საზოგადოებრივ გარემოებაში მოქმედი წამყვანი ტენდენციები და კანონზომინერებანი. ამაში მდგომარეობს ტიპიური გარემოების ცენტრის თავისებურება.

## 2

ლიტერატურის თეორიაში დღემდე არ გაკრიტიკებულა ერთი მცდარი დებულება, რომელმაც თავი იჩინა რეალიზმის თეორიაში ენგელის ფორმულის მიმართ. ამის მაგალითია ვ. პოსპელოვის წერილი „ნ. ვ. გოგოლის შემოქმედებაში რეალიზმის ზოგიერთი თავისებურების შესახებ“. ამ წერილში ავტორი წერს: „ენგელის რეალიზმს განსაზღვრავს როგორც „ტიპიური ხასიათების ტიპიურ გარემოებებში სწორ გაღმოცემას“. რა არის მიმართ უნდა იყოს სწორი ამ ფორმულის მიხედვით რეალისტურ ნაწარმოებებში? ტიპიური ხასიათები უნდა იყოს სწორი ტიპიური გარემოებებისადმი, რომლის ქვეშ ენგელის მუდამ გულისხმობს გამოსახატავი ქვეყნის და ეპოქის საზოგადოებრივ ურთიერთობას, კლასობრივ ძალას განლაგებას, მათ ბრძოლას და ურთიერთდამოკიდებულებას. მაგრამ როგორი კლასობრივი ურთიერთობებისა და შეჯახებების შესახებ შეიძლება ლაპარაკი გოგოლის სიუჟეტების შესწავლის დროს — სიუჟეტების, რომლებიც თითქმის მუდამ აქცენტულია მემამულურ ჩინოვნიკებ წრეში არსებულ წინააღმდეგობებსა და კონფლიქტებზე. მაგალითად, „რევოზორში“ გამოისახება ალიაქოთი ჩინოვნიკებს შორის, მათ მიერ წარმოსახული რევიზორის მოსვლასთან დაკავშირებით. არეულობა, რომელიც მათში გამოწვეულია მათ მიერ ჩადენილი თანამდებობრივი დანაშაულობებისთვის პასხისმგებლობის შიშით. და მთელი პიესის განმავლობაში საკმაოდ ხშირად იხსენიება „წმინდა კამპანიის“ მიერ ჩადენილი მძარცველობისა და ძალადობის შესახებ, მაგრამ თვით მათი დამკიდებულება ხალხისადმი, რომელსაც ისინი ძარცვავენ და აბუჩად იგდებენ („ტიპიური გარემოება“ იმ დროინდელი რუსული ცხოვრებისა), არ გამძლარა სიუჟეტური

კონფლიქტის საფუძვლად. ეს ურთიერთობანი და შეჯახებანი არ ჩანან სცენაზე... ასეთ შემთხვევაში რაში მდგომარეობს გოგოლის სახე-ების რეალიზმი. იგი იმაში მდგომარეობს, რომ თავიანთ უაზრო, საყოფაცხოვრებო ჩსუბში, თვითდანწმუნებულ შეცდომებში გოგოლის გვირები უდიდესი სილრმით, სიცხადითა და დასრულებულობით თავიანთ თავში ანხორციელებან რუსული ცხოვრების ძირითად „ტიპიურ გარემოებას“ — თავიანთ საკუთარ ბატონიშვირ, რეაქციულ, ანგიზალურ არსს, თავიანთ მთელ მზარდ ისტორიულ შეუსაბამობას. ამიტომ, ენგელსის მიერ მოცემული რეალიზმის ფორმულა გოგოლის ნაწარმოებების მიმართ გამოყენებული უნდა იქნას თავის სხვა ვარიანტით. რეალისტმა გოგოლმა თავის ნაწარმოებებში განახორციელა არა „ტიპიური ხასიათების ტიპიურ გარემოებებში გაღმოცემის სისწორე“, არამედ „ტიპიურ გარემოებათა სიმპტომების ტიპიურ ხასიათებში გაღმოცემის სისწორე“,! აქ, როგორც ვხედავთ, საკითხი შებრუნებულია. თურმე ზოგიერთი მწერალი რეალისტურ მხატვრულ ნაწარმოებებში კი არ იძლევა ტიპიურ ხასიათს ტიპიურ გარემოებაში, არამედ ტიპიური გარემოების ნიშნებს, სიმპტომებს გადმოგვცემს ტიპიურ ხასიათში. ასეთ შემთხვევაში საკითხი ისმის არა იმის შესახებ, არის თუ არა ტიპიური ხასიათი სწორად გაღმოცემული ტიპიურ გარემოებაში, არამედ იმის შესახებ არის თუ არა სწორად გაღმოცემული ტიპიური გარემოების ნიშნები ტიპიურ ხასიათში. აქ რეალისტურობის საზომად გამოდის არა ხასიათის ტიპიურობის სისწორე ტიპიური გარემოების მიმართ, არამედ, პირიქით, გარემოების სიმპტომების სისწორე ტიპიური ხასიათის მიმართ. ჩამ მიიყვანა ასეთ დასკვნამდე მკლევარი გ. პოსპელოვი? ჩვენი აზრით, ავტორის ასეთი დასკვნა იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ ერთი შეხედვით, ნ. გოგოლის „რევიზორში“ თითქოს მართლაც ალარ მოჩანს ტიპიური გარემოება. ჩვენ აღვიშეთ, რომ ტიპიურ გარემოებაში ყოველთვის უნდა ვიგულისხმოთ განვთარების მოცემულ ეტაპზე საზოგადოებრივი ცხოვრების წამყვანი პროგრესული ძალები, ცხოვრების განვთარების სოციალური კანონზომინერებანი.

ტიპიური გარემოება შეიცავს უარყოფითსა და დადებითს, სიკეთესა და ბოროტებას. ქვე-

1 Г. Н. Постпелов, О некоторых особенностях реализма в творчестве Н. В. Гоголя. (в. «Вестник Московского университета», 1952 г. № 4, стр. 17).

ლსა და ახალს, ამათ შორის ბრძოლას და იმის ჩეცნებას, რომ იმარჯვებს ახალი, დაღებითი და კეთილი, ან ასეთების მომავალში აუცილებლად გამარჯვების ჩრდენას, „რევიზორში“ კი წინააღმდეგობის მხოლოდ ერთი მხარეა წარმოდგენილი: უარყოფითი, ძველი. ესენი არიან მექორამები, ბიუროკრატები, ბოროტი აღამიანები: გოროდნიჩი, საწავლებელთა ზედამხედველი ხლოპოვი, მოსამართლე ლიაპკინ-ტიაპკინი, საღოთო დაწვესებულებათა მზურუველი ზემლიანიკა, ფოსტმასტერი შპეკინი, მაზრის მურნალი გიბნერი, პოლიციელი დერუიმორდა და სხვ. „რევიზორში“ არ არის წარმოდგენილი ამათ მიერ ჩადენილი ბოროტების წინააღმდეგ მეგბრძოლი პერსონაჟები. არ არის ნაჩენები დამარცველი გარემოს წინააღმდეგ მებრძოლი სახე-ტიპები. პიესაში არ ჩას ხალხი, როგორც ტაციური გარემოების მთავარი და წამყანი ელემენტი. თითქმის არავინ არ აწარმოებს ბრძოლას ბოროტების წინააღმდეგ, ხლესტაკოვი შორსაა ასეთი განზრახვისაგან, ხოლო მეფის წარმომადგენელი რევიზორი ხომ ვერ მოსაობდა ამ ბოროტებას. მაშასადამე, პიესაში არ ჩას დიდი ტიპიური გარემოება, ამიტომ ტიპიური ხასიათები თითქოს არ არიან გაღმოცემული ტიპიურ ვითარებაში, თითქოს ეს ასეა იმიტომ, ვიმეორებთ, რომ კომედიაშა არ ჩას ისეთი პირები, რომლებიც გამოხატავდნენ მაშინდელ პირობებში ბოროტების წინააღმდეგ აქტიურად მებრძოლ ძალებს. მაგრამ გ. პოსპელოვი ხედავს, რომ პიესაში მაინც გაღმოცემულია ტიპიური გარემოების სიმპტომები, ნიშნები, რაც იმით ვლინდება, რომ უარყოფითი პირები თავიათი მოქმედებითა და ნიტვებით თვითონ ამხელენ თავიათ თავს. ეს კი გ. პოსპელოვს მიაჩნია ტიპიურ გარემოების სიმპტომების გაღმოცემად ტიპში, აი ამის არამდენიმე მაგალითი:

**გოროდნიჩი —** არ არის იმისთანა კაცი, რომელსაც არ ჭირდეს რაიმე ცოდვა. თვითონ ღვთისაგან არის ასე დაწესებული და ვოლტერიანელები ტყუილად ლაპარაკობენ ამის წინააღმდეგ.

**ამოს ფედორინოვიჩი —** რას უწიდებთ თქვენ, ანტონ ანტონოვიჩ, ცოდვებს? ცოდვებაა და ცოდვეც. მე ვყელია აშკარად და ვულწრფელად ვეტენები, რამ ქრთამს ვლებულობ, მაგრამ როგორ ქრთამს? მწევარ ლევებს. ეს სულ სხვა საქმეა!“

როგორც ვხედავთ, „რევიზორის“ ზოგიერთი პერსონაჟი თვითონ ამხელს თავის თავს, ხოლო ზოგიერთები კი სხვებს ამხელენ. აი კიდევ ერთი მაგალითი, საღოთო დაწესებულებათა

მზურუველი ზემლიანიკა ეუბნება ხლესტაკოვს ფოსტმასტერი შპეკინისა და მოსამართლე ლიაპკინ-ტიაპკინის შესახებ: „ფოსტმერისტეონი „სრულებით არაფერს აკეთებს. საქმეები კი ძალიან არეულ-დარეულია, ამანათებს აგვიანებს, მოსამართლე, რომელიც ჩემზე წინ გახდათ თქვენთან, მხოლოდ კურდლებს დასდევს, სამსაცავრო აღილებში ყავს ძალები“. (გვ. 478.)

ყოველივე ამის გამო იჩიგრება შშრომელონალი, რომელიც როგორც ვნახეთ, უშუალოდ არ არის წარმოდგენილი „რევიზორში“. ამიტომ გ. პოსპელოვს ჰგნია, რომ „რევიზორს“ პირდაპირ აღარც მიუღება რეალიზმის შესახებ. ენგელსის მიერ მუცემული ფორმულა და ამიტომ მან წარმოადგინა ამ ფორმულის ახალი ვარიანტი: „ტიპიურ გარემოებათა სიმპტომების სწორი გაღმოცემა ტიპიურ ხასიათებში“. მართალია, გ. პოსპელოვი რეალიზმის ასეთ ფორმულას უყენებს ნ. გოგოლის „რევიზორს“ და „მედარ სულებს“, მაგრამ უნდა ვიგულის სმოთ, რომ იგი შეიძლება გავრცელდეს ყველა იმ ნაწარმოებზე, რომელგშიც მხოლოდ უარყოფითი მოვლენებია გაღმოცემული და არ ჩას ამ ბოროტების წინააღმდეგ აშკარად მებრძოლი ძალები. მაგალითად, ასეთ ნაწარმოებთა წყებას შეიძლება მიეკუთვნის ი. ვაკშვაძის „კაცია-ადამიანი“! გ. ერისთავის „გაყრა“, „ქუწი“ და სხვა მრავალი:

ჩევნი აზრით, გ. პოსპელოვის, თეორია არ შეიძლება მისაღებად ჩაითვალოს. იგი წარმოადგენს რეალიზმის არსის ენგელსისებური განსაზღვრების რევიზიას. ენგელსის ფორმულა გამოხატავს რეალიზმის კეშმარიტ არსს და ერთნაირად, უცვლელი სახით მიუღება ყველა სახის რეალიზმს და ყოველ რეალისტურ ნაწარმოებს, მიუღება ისეთ ნაწარმოებს, რომელშიც მხოლოდ უარყოფითი ტიპებია გამოხატული აგრეთვე ისეთსაც, რომელშიაც მოცემულია როგორც დადებითი, ისე უარყოფითი პერსონაჟები. ორი უკანასკნელი სახის ნაწარმოებთა მიმართ გ. პოსპელოვს ენგელსის ფორმულა იქვე ქვეშ არ დაუყენებია, იგი მხოლოდ ისეთი ნაწარმოების მიმართ მოითხოვს ენგელსის ფორმულის სხვა ვარიანტი მიყენებას, რომელ ნაწარმოებშიც მხოლოდ უარყოფითი ტიპებია გამოყვანილი. მაგრამ ამის საჭიროება სრულიადაც არ არსებობს, გერერთი, თვით „რევიზორი“ არ არის მოცემული ხალხის წარმომადგენელ პერსონაჟს. ამის მაჩვენებელია ზეინკლის ცოლი ფებრონია პოშლეპკანა. აი რას ეუბნება

იგი ხლესტაკოვს გოროდნიჩის შესახებ:

„გოროდნიჩე მაქვს საჩივარი! ღმერთმა და-  
საჭის და ათასი უბედურება თავს დაატეხოს....

ხ ლ ე ს ტ ა კ ო ვ ი: — რა იყო?

ზ ე ი ნ კ ლ ი ს ც ო ლ ი — ჩემს ქმარს სალ-  
დათობა გადაუწყვიტა, თუმცა ჯერ მისი ჯერი  
არ იყო. კანონითაც არ შეიძლებოდა. რადგან  
ცოლიანია.

ხ ლ ე ს ტ ა კ ო ვ ი: — მერე, როგორ მოაწყო  
ასეთი საქმე?

ზ ე ი ნ კ ლ ი ს ც ო ლ ი — მოაწყო იმ არამ-  
ზადამ!.. თერძის შვილი უნდა წაეყვანათ სალ-  
დათად, მერე ლოთიც არის, მაგრავ მშობლებმა  
ძვირფასი ძლვენი მიართვეს, მერე ვაჭრის ცოლ  
პანტელეევის „შვილს დაეტაკა. პანტელეევის  
ცოლმა კი მის ცოლს საში თოფი ტილო გაუგ-  
ზავნა. მაშინ ჩემზე მოიცალა. რად გინდა შენ  
ქმარიო, შენთვის ის აღარ ვარგაო... შენი ქმა-  
რი ქურდია, მართალია, ახლა არაფრი არ  
მოუპარაგს, მაგრამ სულ ერთია — მერე მოი-  
პარაგოს“. (გვ. 488).

აქ უკვე დაჩაგრული ხალხის ბოლობა და აღ-  
შფოთებაა გამოთქმული თვით დაჩაგრული  
მშრომელთა წრიდან გამოყვანილი პერსონაჟის  
პირთ.

ესეც, რომ არ იყოს, ე. ი. აც ერთი დადე-  
ბითი მოქმედი პირი რომ არ მოჩანდეს,  
ენგელსის ფორმულა მაინც ძალაში დარჩება  
„რევიზორის“ და სხვა მხოლოდ უარყოფითი  
ტიპების შემცველი ნაწარმოებების მიმართ. ეს  
ასეა იმიტომ, რომ ყოველ ასეთ ნაწარმოებში  
თვითონ ავტორია ტიპიური გარემოების წარ-  
მოშადგენელი. მშენდელ სოციალურ გარემო-  
ში ავტორები გამოდიოდნენ ბასალმდებლის  
როლში, ისინი გამოხატავდნენ ეპოქის მოწინა-  
ვე იდეებს, საზოგადოების პროგრესულ ტენ-  
დენციებს. ასეთ შემთხვევაში ავტორი ზოგჯერ  
უშუალოდ გადმოგვცემს თავის მამხილებელ,  
კრიტიკულ დამოკიდებულებას გამოხატული

უარყოფითი მოკლენებისადმი და თუ ასე  
უშუალოდ არ ჩანს, მაშინ საერთოდ ყველგან  
იგრძნობა ავტორის სიძულვილი უარყოფითი  
მოკლენებისადმი, რაც გამოვლინებულია ტიპი-  
ური ხასიათის განვითარებით, კომპოზიციური წყო-  
ბით და ა. შ. თვითმპარობელობის პირობებში,  
დამყაყებულ ბიუროკრატიულ გარემოცვაში  
ძალზე მცირე იყო იმ ადგინანთა რიცხვი,  
რომლებსაც ნამდვილად შესტკიოდათ გული  
ხალხის კეთილდღეობაზე. ამიტომ იყო, რომ  
ილია ჭავჭავაძე გულისტკავლით მიმართავდა  
თვის საყვარელ მამულს: „შენს მიწაზე ამდენ  
ხალხში კაცი არ არი, რომ ფიქრი ვანდო  
გრძნობა ჩემი გავუზიარო“. ყოველგვარი ბორო-  
ტების წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლის  
ტიპიური გამოხატულებაა ილია ჭავჭავაძის  
ნათქვამი:

ჩემზედ ამბობენ: „ის სიავეს ქართვლისას  
ამბობს,

ჩენს ცუდს არ მალავს, ეგ ხომ ცხადი  
სიძულვილია!“

ბრიყვნი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე  
სცნობს —

ამ სიძულვილში რაოდენიც სიყვარულია“.

ეს სიტყვები შეეძლო გაემეორებინა ყველა  
იმ მწერალს, რომლებიც ძეველ აუტანელ სოცია-  
ლურ კითარებაში მოღვაწეობდნენ და თავიანთი  
მხატვრული სიტყვით დაუნდობლად იბრძოდ-  
ნენ აუტანელი ტიპიური გარემოების შესაც-  
ვლელად. აი ამ ცუდი ტიპიური გარემოების  
წინააღმდეგ მებრძოლთა უშუალო წარმომად-  
გენლები არიან უწინდელი კლასიკოსი მწერ-  
ლები თავიანთ ჩეალისტურ ნაწარმოებებში. სა-  
ჭიროა ამის დანახვა, გამოსახვა და არა ენგელ-  
სის მიერ მოცემული რეალიზმის არსის გამომ-  
ხატველი კეშმარიტი ფორმულის შეცვლა-გადა-  
კეთება.

## ფურცელი ღიტერატურის ისტორიიდან

მდიდარი და ამოუწურავი კულტურული მემკვიდრეობა დაგვიტოვეს ჩვენმა წინაპრებმა. გარდა კულტურის ცნობილი ძეგლებისა, არქივებსა და მუზეუმებში ინახება აურაცხელი სიმდიდრე, რომელიც მოწმობს ქართველ მოღვაწეთა მჩქეფრავ ენერგიასა და დიდ ნიჭირებას.

ჩვენმა მეცნიერებმა ბევრი რამ გააქცევს და აყეობენ ამ სიმდიდრეთა შესწავლისათვის. მათ შეერთი იმუშავეს ყოფილი კავკასიის საცენზურო კომიტეტის მასალათა შესწავლასა

და გამოქვეყნებაზე, რომლებიც დაცულია საქართველოს სსრ ცენტრალურ სახელმწიფო ისტორიულ არქივში და, მათც, გერ კიდევ ბევრი რამაც უცნობი მეცნიერებისა და მკითხველებთა საოცის.

იმ მრავალრიცხოვანი მასალიდან, რომლებიც ჩვენ გამოვიყვლიერ არქივში რამდენიმე წლის მუშაობის შედეგად, ამჯერად ვაქეყნებთ ნაწილს.

### 1. ერთი უცნობი ფაქტი ნიკო ნიკოლაძის პუბლიცისტური მოღვაწეობიდან

ნიკოლოზ იაკობის-ძე ნიკოლაძე გამოჩენილი პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე და ლიტერატურის კრიტიკოსი, ქართულ ურნალ-გაზეთებს გარდა, 70-იან წლებში თანამშრომლობდა რესულ გაზეთებში „ტიტლისსკი ვესტნიკი“, „გოლოს“ და ცდილობდა გამოეცა გაზეთი „ობზორი“ რესულ ენაზე. აგრეთვე კრებულები „კაპრიზი პერა“ და „ფიზიონომია კონი“. ამ განხრას სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია მეფის ცენზურამ. ამას ადამიტურებს მრავალ ფაქტი, მათ შორის დიდი ნაწილი აღნიშნულია. იოვიძის მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში „ნიკო ნიკოლაძე და მეფის ცენზურა“ („ისტორიული მოაზე“, 1945 წ., თბილისი, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატის საარქივო სამმართველო). ეს მასალები ცხადყოფენ, რომ რვა წლის მანძილზე ნიკოლაძემ აჩაერთხელ მიმართა საცენზურო კომიტეტსა და მთავრობას ნება დაერთოთ მისთვის რესულ ენაზე განვით „ობზორის“ გამოცემისა და მრავალგზის უარის შემდეგ, შემოლოდ 1878 წელს მიღო ამის ნებართვა. ნიკოლაძემ 1876 წელს უნაყოფოდ სცადა გამოეცა კრებული სათაურით „კა-

პრიზი პერა“, მაგრამ იგი იმედს არ ჰქარგავდა. დაახლოებით იმ პერიოდში, როცა ნიკოლაძეს, საცენზურო კომიტეტსა და მეფისნაცვლის კანცელარიას შორის (მთავარი სამმართებლო) გაზეთ „ობზორის“ გამოცემის თაობაზე გაცხარებული მოლაპარაკება წარმოებდა, ნიკოლაძემ სცადა მეორე კრებულის „ფიზიონომია კონის“ გამოცემა.

ამ კრებულის შესახებ მასალები გამოუქვეყნებელია და გარკვეულ ისტორიულ-ლიტერატურულ ინტერესს იწვევს. ამ მასალებიდან ჩას, რომ 1877 წლის 30 ივლისს თბილისის რეალური საქართველოს მასწავლებელმა, პეტერბურგის უნივერსიტეტის კანდიდატმა არისტოტელ ვასილის-ძე ქუთათელაძემ მიმართა კავკასიის საცენზურო კომიტეტს თხოვნით მიერათ მისთვის, მისი რედაქტიოთ, კრებულის „ფიზიონომია კონის“ წინასწარ აწყობის ბილეთი, თან დასხენდა, რომ კრებული შედგება ერთი აღმარისის თხზულებისაგან, ავტორის გვარს არ ასახელებდა.

1877 წლის 5 აგვისტოს საცენზურო კომიტეტმა ქუთათელაძეს მიმართა შემდეგი წერილით:

Главное Управление Наместника Кавказского по Кавказскому Цензурному Комитету.

5-го августа 1877 года.

№ 687

гор. Тифлис.

Преподавателю Тифлисского Реального Училища, Кандидату Императорского С.-Петербургского Университета Аристотелю Васильевичу

Кутателадзе.

В прошении, поданном в Цензурный Комитет, Вы, об'яснили, между прочим, что предполагаемый Вами к изданию сборник под заглавием «Физиономия войны» будет состоять из сочинений лишь одного лица, не об'яснив при этом, из сочинений ли Ваших собственных, или же другого лица и, в последнем случае, чьи именно? А потому, предварительно каких-либо распоряжений по означенному прось-

бе Вашей, Цензурный Комитет просит Вас, Милостивый Государь, сообщить упомянутые выше сведения по возможности в непродолжительном времени.

Председательствующий, старший цензор—(подпись)

За секретаря—(подпись)

(ფონდი 480/14, საქმე № 300, ფურცელი 3. — ამავე ფურცელზე სხვა ხელით დაწერილი ასახვა: «объявлено в комитете»).

ამავე ქუთათელაძემ შემდეგი წერილით უპისუხა:

В Кавказский Цензурный Комитет  
Преподавателя Тифлисского Реального Училища Кандидата С.-Петербургского Университета Аристотеля Васильевича  
Кутателадзе.

#### Прошение.

В дополнение к прошению, поданному мною в Цензурный Комитет о разрешении мне издавать сборник под заглавием «Физиономия войны», в которой будут печататься статьи лишь одного лица, честь имею сообщить Вам, что имя автора сочинений или статей, предназначенных к печати, будет мною доложено в

Цензурный Комитет при печатании первого листа, — если будет к тому неизменная необходимость. Во всяком случае, ради ускорения решения этого вопроса, я могу Вам сообщить частным только образом имя автора сочинений, предназначенных к печати в сборнике «Физиономия войны».

А. Кутателадзе.

6 августа 1877 г.

гор. Тифлис.

(ფონდი 480/144, საქმე № 300, ფურცელი 1. ამავე ფურცელზე სხვა ხელით დაწერილი ასახვა: «Внести в заседание Комитета на рассмотрение совместно с прежним прошением г. Кутателадзе». სელება. უფრო ქვემოთ იმავე ხელით და ხელმოწერით ვკითხულობთ მეორე წარწერას: «Полученное мною от г. Кутателадзе письмо от 6-же числа (о том, что автор Николадзе при этом прилагается)»).

იმავე დღეს, 6 აგვისტოს, ქუთათელაძემ კავკასიის საცენზურო კომიტეტს ახალი წერილი

გაუგზავნა, რომელშიც იგი ასახელებს „ფიზიონომიკოს“ ავტორის გვარს.

მოგვყავს ქუთათელაძის მეორე წერილი:

6-го августа.

Милостивый Государь!

Извините меня за неделикатное обращение к Вам, но, надеюсь, простите! Имя автора сочинений, которые предназначены к печати в сборнике «Физиономия войны», никто иное, как Н. Я. Николадзе. — Смею Вас уверить, что недоразумений

შემდეგ მიუვება კავკასიის ცენზურის კომიტეტის სხდომის ოქმი, რომელიც მიეძღვნა აღნიშნული კრებულის გამოცემის ხასიათს.

Журнал на 16 августа.

Доложено прошение Кандидата С.-Петербургского университета — Аристотеля Кутателадзе — на имя Цензурного Комитета от 30 июля, коим он просит о выдаче ему билета на предварительный набор предпринимаемого им под его редакцией

#### ПОСТАНОВИЛИ

Обсудив настоящую просьбу Кутателадзе, Комитет нашел, что указываемое им разъяснение Главного Управления по делам печати 1872 г. помещено в Частном издании Мсернаца «Законы о печати за 1876 г.» в главе VI, стр. 25. В разъяснении этом изложено: «Если сборник будет состоять из сочинений одного лица или составит в 12 выпусках законченное сочинение, то он может быть беспрепятственно печатаемо, а издателю или сочинителю надлежит лишь удостоверить в этом местный Цензурный Комитет, который и дает разрешение на печатание как самого издания, так и объявления об этом».

Разъяснение это не значится в полном официально расpubликованном издании законоположений. Из дел Комитета не видно, чтобы означенное разъяснение было передано Комитету к руководству, согласно ст. 26, учрежд. Управ. Кавказ. и Закавказск. края (изд. 1869 г.). Ввиду этого и согласно 1 и 4 ст. главы II Временных правил о Цензуре и Печати, Комитет, признавая своей обязанностью представить просьбу Кутателадзе на благоусмотрение высшего Начальства и потому входя в рассмотрение означенной просьбы, усмотрел, что упомянув о том, что предполагаемый сборник будет состоять из сочинений лишь одного лица,

между нами никаких не могут быть, тем более, статьи его будут рассматриваться еще в корректуре в Цензурном Комитете, или одним из его членов. Остаю (съ) преданный Вам Аристотель Кутателадзе (ფონდი 480/114, სექტემბერი № 300, ფურცლი 2).

сборника под названием «Физиономия войны», отдельными выпусками из сочинений одного лица, при чем проситель делает ссылку на разъяснение Главного Управления по делам печати за 1872 г.

проситель не объяснил, чьи именно будут эти сочинения, его собственные или другого лица и именно кого. А на сделанный Комитетом по этому предмету запрос Кутателадзе в прошении от 6 августа отказался сообщить имя автора, присовокупив, что оное будет сообщено им лишь частным образом. Одновременно с этим, Кутателадзе в письме, адресованном на имя председательствующего Старшего цензора Мелик-Меграбова, сообщил, что автор сочинений, пред назначенных для сборника «Физиономия войны», есть Н. Я. Николадзе. Хотя за таковым отношением Кутателадзе к учреждению, в ведении которого он предполагает издавать сборник и от которого он, в силу ст. 61—уст. ценз., не должен скрывать имя автора сочинений, предназначенных для сборника, просьба его должна быть оставлена без последствий, но при этом во внимание, что просьба Кутателадзе, за которой скрывается таким образом Николадзе, еще раз подтверждает соображения Комитета, изложенные в журнале его на 8 августа, относительно зависимости положения Николадзе в литературной его деятельности, положения, эксплоатируемого другими лицами, и в виду просьбы, поданной самим Николадзе о разрешении ему газеты и сделанного уже Комитетом по сей просьбе представления, согласно приве-

денному выше журналу, Комитет постановил: просьбу Кутателадзе представить на благоусмотрение В(ашего) Пр-ва и И(сполняющего) д(олжность) начальника Главного Управления (изложив в представлении также приведенные выше обстоятельства).

ამგვარად, ცხადია, რომ ნიკოლაძე, რომელმაც არაერთხელ განიცადა დამარცხება თავისი ნაწარმოების გამოცემის მხრვ, შეცადა გამოეცა კრებული „ფიზიონომია ვინი“ ქუთათელადის მეშვეობით და დაემალა თავისი ვინაობა. ხოლო საცენტურო კომიტეტი, რომელმაც, როგორც ეს მისი სხდომის ოქმიდან ჩანს, ბრალი დასდო ქუთათელადეს, იძულებული შეიქმნა ნიკოლაძის მიმართ ნაწილობრივ დათმობაზე წასულიყო (ამას მოწმობს საცენტურო კომიტეტის ნებართვა ნიკოლაძის მიერ გაზეთ „ობზორის“ გამოცემის შესახებ), გაუწია რა ანგაჭიში მის მხარდ ავტორიტეტს. საცენტურო კომიტეტმა იგი დიპლომატიურად გამოიყვანა სხვა პირების მიერ ექსპლოტირებული და დამკიდებული ადამიანის როლში და „დიდულოგონად“ განაცხადა თავისი სურვილის შესახებ გამოეყვანა ნიკოლაძე ამ მდგრადობიდან, რისთვისაც დაადგინა ქუთათელადის თხოვნა წარედგინა ზემდგომი ორგანოებისათვის. მაგრამ კრებული, როგორც ეს მოსალიდნელი იყო, არ გამოიცა. ეს გასაგებიცაა, მაგრამ საკვირველია, რომ კრებული არსად ჩანს. კიდევ მეტიც, — მის შესახებ არავითარი ცნობა არაა გამოქვეყნებული.

საქართველოს სსრ ცენტრალურ სახელმწიფო ისტორიულ არქივში არ არის და არც წეიძღვება იყოს კრებულის ტექსტი, რადგან, როგორც დასახელებული მასალებრიდან ჩანს, ქუთათელადემ კავესის ცენტურის კომიტეტს მიმართ თხოვნით კრებულის ტექსტის დაურთველად:

იბადება კითხვა: სად არის კრებულის ტექსტი, რატომ არაფრენა მის შესახებ გამოქვეყნებული?

უნდა ვითქმიოთ, რომ ეს იყო სტატიები იმ ხანებში დაწყებული რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის შესახებ.

1877 წლის 12 (24) აპრილს ალექსანდრე მეორემ ხელი მოწერა ტრაქტატს თურქეთისათვის მის გამოცხადების თაობაზე. ხოლო კრებულის გამოცემის შესახებ თხოვნა წარდგენილი იყო 1877 წლის 30 ივნისს, ე. ი. თურქეთისათვის ომის გამოცხადებიდან დაახ-

(ფონდი 480/114, საქმე № 300, ფურც. 4-5-6. წითელი ფანერით, სხვა ხელით ბოლოს მიწერილია:

«Таковое постановление Комитета имею честь почтительнейше представить В. Пр-ву. При сем прилагаю и самое прошение Кутателадзе».

ლოებით სამი თვის შემდევ. ამ ხნის განმავლობაში მომხდარმა ამბებმა აალევა მოყვლი მსოფლიო.

განა შეეძლო ნიკოლაძეს, გამოჩენილ პუბლიცისტა და საზოგადო მოღვაწეს, რომელიც მსურვალე ეხმაურებოდა თანამედროვეობის კველა საჭირობროტო საკითხს, დუმილით აევლო გვერდი ამ ისტორიული მოვლენებისათვის, მით უფრო, რომ ომი სამშობლოს ინტერესებს ეხებოდა? რა თქმა უნდა, არ შეეძლო. სწორედ ეს გახდა, აღაბათ, საბაბი განზრახვისა, — გამოეცა კრებული და შემთხვევითი არა მისა სათაურიც — „ფიზიონომია ვინიი“.

ამ საკითხებთან დაკავშირებით ყურადღების ღირსია კავების საცენტურო კომიტეტის სხდომის ოქმის ის ადგილი, რომელიც ჩვენ მთლიანად მოვიყვანეთ და სადაც ლაპარაკია რმაზე, რომ ქუთათელადე ითხოვდა ნება დაერთოდ კრებულის ცალ-ცალკე გამოცემებად გამოშვებასა, ეყრდნობოდა, რა ბეჭდვის საჭმეთა მთავარი სამართველოს 1872 წლის ახსნა-გამზარტებას. ცხადია, ნიკოლაძე აპირებდა თავისი სტატიების კრებულის პერიოდულად გამოცემას და, რაც ეს ასეა, საცენტურო მას ყველა გამოცემისათვის წინასწარ ჰქონილი მზად სტატიები. საფიქრებელია, რომ ნიკოლაძემ დასაბეჭდად მოამზადა მხოლოდ პირველი გამოცემები, ხოლო დანარჩენების მომზადებას ფიქრობდა ომის მსვლელობაში მათი პერიოდულად გამოცემის გზით.

მაგრამ მისი განზრახვა ჩაიშალა მეფის ცენტურის მიზნით.

რაღა ვაკეთა ნიკოლაძემ? ნუთუ იგი დამორჩილდა ბედს და საბოლოოდ აიღო ხელი შემდგომ ბრძოლაზე? მაგრამ ნიკოლაძეს უკან დახვევა არ სწოროდა. უნდა ვითქმიოთ, რომ მისი მრავალრიცხვანი სტატიების უმრავლესობა, რომლებიც 1877-78 წლებში დაიბეჭდა და უშტალი მოსახლეობა ამ მოსახლეობულ სხვადასხვა საზოგადოებრივ, ეკონომიკურ და ლიტერატურულ საკითხებს ეხებოდა (იგი 1877

წელს იმყოფებოდა გრაფ ლორის — მელა-ქოვთან სამხედრო კორესპონდენტად და თავის კორესპონდენციებს ბეჭდევდა კავკასიის პერიოდულ პრესაში), წარმოადგენს კრებულის უკვე მომზადებული გამოცემების სტატიებს ან იმ სტატიებს, რომლებიც უნდა შესულიყო შემდგომ გამოცემებში, თუ კი ცენზურა კრებულის გამოშვების ნებართვას გასცემდა.

მმგარად, ნიკოლაძე კრებულის გამოცემის განზრასვის წარუმატებლობის შემდეგ თავის სტატიებს ბეჭდევდა სხვადასხვა პერიოდულ გამოცემებში და კრებულიც, როგორც ასეთი, ღირს აჩსებოდა. კრებულიდან ღარჩა სტატიები, რომლებსაც სხვა დასათაურება და დამოუკიდებელი მნიშვნელობა ჰქონდათ. უნდა ვიფიქროთ, რომ სწორედ ამის გამო არ ჩანს კრებულის ტექსტი. მაგრამ რატომ არა-

ვითარი კვალი არ არის კრებულის შესახებ პრესაში ან სხვა გამოცემებში? კრებულმა მყითხველამდე ვერ მიაღწია, საქმე კრებულის გაშოცემას თაობაზე არ გასცილდა კავკასიის საცენზურო კომიტეტს. იგი მიჩუმდა, კრებულის გამოცემას ზრუნვა თვით ნიკოლაძემაც შეწყვიტა.

ზემოთ მოყვანილი მასალები ნათელს ვფენენ ნიკოლაძის მოლვაწეობაში ერთ ახალ ფაქტს და გვაწვდიან ახალ ცნობას გამოჩენილი ქართველი პედაგოგის, პროგრესული საზოგადო მოღვაწისა და მეცნიერის არძისტორელ ვასილის-ძე ქუთათელაძის ბიოგრაფიიდან. ეს მონაცემები საშუალებას გვაძლევს, აგრეთვე, გავარკვიოთ ნ. ნიკოლაძის და ა. ქუთათელაძის ურთიერთ დამკიდებულება.

## 2. გაზეთ „დროების“ განვითარების შესახებ

აღნიშნულ არქივის 480/114 ფონდში, № 648 საქმეში (ფურცელი 188 და 198) ინახება ორი წერილი ქართული გაზეთის „დროების“ დახურვის შესახებ, რომლებიც უნდა დაბეჭდილიყო „ნოვო თბოზენიეში“. ორივე წერილი, რომლებშიც გამოიწვეულია უამაყოლება გაზეთის დახურვის გამო, დასაბეჭდად აკრძალა კავკასიის საცენზურო კომიტეტმა 1885 წელს. წერილები ხელმოუწერელია. იმ ისინი:

В дополнение краткой телеграммы «Северного агентства» — о прекращении издания грузинской газеты «Дроэба», приводим содержание отношений Кавказского цензурного комитета к издателю означенной газеты дворянину Картвелову, от 16 сентября 1885 г. за № 1935.

«По распоряжению высшего начальства издание газеты «Дроэба» прекращено во все на основании т. XIV уст. ценз. по прод. 1883 года примеч. к ст. 52 (по продолжению 1876 г.).

О чем цензурный комитет уведомляет в звезде».

Не имея сведений о мотивах, вызвавших настоящее распоряжение, мы не имеем возможности входить в рассмотрение онного. Позволим лишь обратить внимание на следующее обстоятельство, заслуживающее, смеем думать, внимания г. г. на-

чальников туберкульозных, населенных грузинским народом. Известно, что «Дроэба» была единственной политической газетой, издававшейся в крае на грузинском языке и начавшей переводы законоположений, касающихся края, обнародываемых на одном русском языке. Благодаря переводам газеты, масса грузинского населения знакомилась с законами, «незнанием которых никто не может отговариваться».

В настоящее время с прекращением газеты «Дроэба» в этом отношении обретается пробел. Позволительно питать уверенность, что г.г. начальники вышеуказанных губерний обратят внимание на это обстоятельство и примут какие либо меры к ознакомлению вверенного им населения с законами и распоряжениями, до него касающимися.

Считаем уместным напомнить, что тифлисская администрация уже делала опыт издания с этой целью «Сельской газеты» на грузинском языке по программе, близко подходящей к «Сельскому вестнику», издаваемому при «Правительственном вестнике». Еще раньше местные наши официальные издания имели приложения, издававшиеся на туземных языках.

(ფონდი 480/114, საქმე № 648, ფურცელი 188).

## МЕСТНОЕ ОБОЗРЕНИЕ

Сообщаем некоторые библиографические сведения о прекратившейся грузинской газете «Дроэба». Она была, можно сказать, первой по времени и вместе с тем единственной политической грузинской газетой. Еще в 30-х годах известный грузинский деятель Додаев издавал листок «Тифлисский вестник», но он скоро прекратился, да к тому же газета выходила в неопределенные сроки и имела более литературное, чем общественное значение.

Газета «Дроэба» основана в марте 1866 г. небольшим кружком людей, принимавшим участие в журнале «Грузинский вестник». Первым редактором был Г. Е. Церетели, помещавший там свои переводы из современных публицистических и беллетристических произведений европейской литературы, а также талантливо набросанные им же очерки из имеретинской жизни. В газете участвовали и грузинские студенты, впоследствии приобретшие имя на разных поприщах. Так например, профессор Петриев помещал в ней вместе с профессором Цагарели (в то время студенты) рассказы из народного быта, а кн. Дав. Эристов присыпал переводы из русских и западноевропейских поэтов. В 1869 г. газета перешла в руки Серг. Месхи, который вскоре ее из литературного издания превратил в жи-

вой политический орган. В нем в то время политическое обозрение для газеты составлял Н. Я. Николадзе, а фельетоны присыпал кн. Ак. Г. Церетели. Газета издавалась в неделю раз. С 1875 года газета участила сроки выхода до трех раз в неделю, а со времени последней русско-турецкой войны сделалась ежедневной.

После почти пятнадцатилетней безустанной работы, в 1884 г. г. Серг. Месхи, расстроивший здоровье непосильным трудом, передал издание кн. Изв. Георг. Мачабели, который старался сохранить за газетой прежний интерес. Газета до последнего времени издавалась под редакцией Мачабели, пока, наконец, 15 сентября нынешнего года не была приостановлена по распоряжению присутствия из четырех министров.

В продолжении всего своего почти двадцатилетнего существования газета «Дроэба» оставалась единственной грузинской газетой, если не считать издававшихся в Кутаисе еженедельно «Труд», в Тифлисе «Иверия» и т. п. эфемерных изданий. Ввиду такого исключительного положения газеты «Дроэба», не было почти ни одного интеллигентного грузина, который бы хоть раз в жизни не принимал в ней участия.

(ფონდი 480/114, საქმე № 648, ვ. 198),

## 3. გ. ვოლეკის უცნობი თარგმანი

იმავე ატევის და ფონდის № — 1092 საქმეში (ფურცელი 1-13) დაცულია გ. ვოლეკის თარგმანის („დათვი“) ხელნაწერი.

პირველ ფურცელზე დაწერილია სათაური ქართულ და რუსულ ენებზე.

იმავე ფურცელზე ავტორის ხელით სწერია:

Сим доверяю артисту грузинской драматической труппы Василию Алексеевичу Абашидзе представить в Кавказский цензурный комитет мою пьесу „დათვი“ (Медведь) для получения права играть ее на грузинской сцене.

13 декабря 1890 года. Г. Тифлис.

Доктор Григорий Иосифович Вольский.  
პირველი ფურცელის მეორე გვერდზე ვთხულოთ:

Настоящий водевиль г. помощником Главнокомандующего гражданской частью

на Кавказе на основании 84 ст. Уст. Ценз., разрешен к постановке на сценах Края. Сентября 24 дня 1891 г. г. Тифлис.

Председатель Комитета

М. Гаккель (подпись)

Секретарь

Н. Мелик-Нубаров (подпись)

მეორე ფურცელზე ავტორის ხელით სწერია:

«Медведь»

Водевиль в I действии.

Дело происходит в деревне у молодой вдовы. К ней является сосед — помещик и грубо требует возврата долга, который должен был ему умерший ее муж. Она отказывает ему под тем предлогом, что у нее теперь нет денег. Он не верит и говорит, что до тех пор не уйдет, пока не получит денег. Между чи-

ми очень крупный разговор по поводу вежливости и воспитанности вообще. Это его ничуть не смущает. Она выгоняет его, он не уходит. После этого тон разговора меняется, он об'ясняется в любви, она в начале отвечает хохотом, но после сама невольно подчиняется этому решению и дает свое согласие. При общей радости опускается занавес.

შემდეგ მიუვება კომედია — ვოდევილის ტექსტი ქართულ ენაზე.

ეს ნაწარმოები ა. პ. ჩეხოვის პიესის „და-თვი“ თავისუფალი თარგმანია.

ა. პ. ჩეხოვს ქვესათაურად აქვს „ხუმრობა ერთ მოქმედებად“, გ. ვოლსკის კი თავფურ-ცელზე ქვესათაურად უწერია „კომედია — ვოდევილი ერთ მოქმედებად“, ხოლო მესამე ფურცელზე, ტექსტს ზემოთ, სხვა ქვესათაურია — „კომედია — ხუმრობა ერთ მოქმედებად“.

ვოლსკის თარგმანში მოქმედება წარმოებს საქართველოში, მოქმედი პირები — ქართველები არიან.

ელენე ივანეს ასულ პოპოვას ვოლსკის თარგმანში ცვლის ირინე ზაალის ასული ფერაძისა, გრიგოლ სტეფანეს-ძე სმირნოვს — პაატა ლევანის-ძე გვრიტიშვილი, ლუკას — ვარდისა—ხარი.

პიესაში ნახსენებია გრუზდევი, იაროშვერი, კურიცინი, მაზუტოვი და სხვა, ვოლსკის თარგმანში მათი გვარებია: კალმახაძე, კვაციაშვილი, ცერაძე, გვიგამაძე.

ჩეხოვის პიესაში ცხენის სახელია ტობი, ვოლსკის თარგმანში — ლურჯა.

დაბა თუ სოფელი რბილოვო ვოლსკის გადმოუქართულებია და დაურქმევია ზემო იფინისი.

გ. ვოლსკი ქმნის ქართულ კოლორიტს.

ვოლსკის ტექსტში ხშირად ვხვდებით რუსული ტექსტის არა პირდაპირ თარგმანს, არამედ ქართული მეტყველების სპეციფიკურ გამოოქმებს.

ჩეხოვის „დათვში“ სმირნოვი ლანდავს თავის მსახურს შემდეგი სიტყვებით:

«Опять у тебя, скотина, левая пристяжная запуталась в вожжку!».

ეს ადგილი ვოლსკის ტექსტში ასე გლერს, „რაა, ეს, შე წუწკო, შენა, სად მიგიბამს ხურ-ჯინი“.

ჩეხოვის სმირნოვი მოითხოვს არაუც, ვოლსკის გვრიტიშვილი კი ღვნონს.

ჩეხოვის სმირნოვი ჩივის:

«Измучился, как собака... ночевал около водочного бочонка... Наконец приезжаю сюда, за 70 верст от дома, надеюсь получить, а меня угождают «настроением»! Как же мне не сердиться?». (ხაზგასმები ჩვენია ა. ბ.).

ვოლსკის ტექსტში კი ასეა: „გავუვალდი ძაღლივით, ღამე გავათენე... ბოსლის გვერდით მთელი ღამე ვირის ყლოყინმა არ მომასება, ერთი ცვარი არ დამაძინია... ბოლოს, შენ ხარ ჩემი ბატონი, მოვაწიო როგორც იქნა აქ, ჩემი სახლიდან ორმოცი ვერსის მანილზედ, ვთქვი იმედია აქ მაინც ავიდებ ფულს და ახლა იმას მეუბნებიან, რომ უკაცრავად, სამაგისო გუნებაზე არა ვარო მოლი და ნუ გასწყრები, თქვენი კირიმე“.

ჩეხოვს აქვს:

«Так зол, что кажется, весь свет стер бы в порошок».

ვოლსკის: „ისეთ გულზე ვარ, რომ მგონია, ვეზაპს გადაყულაპავდი ცოცხლად“.

ჩეხოვს აქვს:

«Молчать! С кем ты разговариваешь? Я из тебя салат сделаю!».

ვოლსკის: „რაო, ვინა ჩემი გამყენი. ვის უბედავს ლაპარაკს. არავინ მომეკარის, თორებ სულ გულთასავით ავკაცავ, მამიჩემის სული ნუ წარიშუდება“ და ა. შ.

ყოველივე ეს მოწმობს, რომ ვოლსკიმ ჩეხოვის პიესა თავისუფლად თარგმნა, მას ქართული კოლორიტი მისცა, მაგრამ ჩანაიფერი, მოქმედ პირთა ხასიათი, სიუჟეტის ხაზი სრულიადაც არაა დარღვეული.

მნიშვნელოვანია ის, რომ ა. პ. ჩეხოვის მიერ პიესის დაწერილი სამი წლის შემდეგ (მან იგი 1888 წელს დასწერა); იგი გადაითარგმნა ქართულად.

როგორც ჩენი გამოკვლევით ჩანს, ვოლსკის მიერ თარგმნილი „დათვის“ ტექსტი გამოუქვეყნებელია. საარქივო მასალებიდან ცხადი ხდება, რომ ვოლსკის მიერ თარგმნილი კომედია „დათვი“ „ნებადართული“ იყო დასადგელად მხარის ცეცხლზე“ და რომ ვოლსკიმ მისი დადგმა მიანდოვ ვასო აბაშიძეს. მაგრამ ლიტერატურული არაფერია ნახსენები პიესის დადგმის შესახებ. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ „დათვის“ თარგმანი, თუმცა კი იყო ნება-

დართული დასადგმელად, მაგრამ დღემდე იგი არც გამოუქვეყნებიათ და არც სცენაზე დადგმულა. ამას მოწმობს ისიც, რომ თარგმანის ხელნაწერი დღემდე ინახება არქივში. ამა თუ იმ ნაწარმოებს დასაბეჭდად ან სცენაზე დასადგმელად ნებართვის გაცემის შემდეგ ხელნაწერი ჩვეულებრივად ავტორს უბრუნდებოდა, ხოლო კავკასიის ცენზურის კომიტეტში რჩებოდა მისი აკრძალვის შემთხვევაში. რატომ დარჩა დასადგმელად ნებადართული ვოლსკის ხელნაწერი საცენზურო კომიტეტის საქმეებში, ძნელი ასახსნელია. საამისოდ, როგორც ჩანს, წმინდა სუბიექტური მიზეზები არსებობდა.

მთავარი ისაა, რომ ამ საარქივო მასალებით შეიძლება მეტად მნიშვნელოვანი ფაქტების დადგენა.

ჯერ ერთი:

1891 წელს ჩეხოვის „დათვი“ ითარგმნა ქართულად, რაც მოწმობს იმ პერიოდში ზეტერლის სახელის პოპულარობაზე საქართველოში.

მეორე — გ. ვოლსკის არ შეეძლო ვ. აბაშიძესთან შეუთანხმებლად მიენდო მისთვის პიესის დადგმა. ამგვარად, გამოჩენილი ქართველი მსახიობი ჯერ კიდევ 1891 წელს დაინტერესდა ა. პ. ჩეხოვის შემოქმედებით და სურვილი პჟონდა დაედგა მისი პიესა „დათვი“. ეს ფაქტი არა მარტო ემატება ვასო აბაშიძის ბიოგრაფიას, არამედ გვაძლევს მის უფრო მთლიან შემოქმედებით დახასიათებას.

მესამე — ეს ფაქტი აქვებს აგრეთვე ვოლსკის ბიოგრაფიას და მის შემოქმედებით დახასიათებას.

მეოთხე — ამას გარდა, საქართველოს ლიტერატურისა და დრამატურგიის ისტორიას ემატება კიდევ ერთი ფაქტი — იგი მდიდრდება კიდევ ერთი, აქამდე უცნაბი ლიტერატურული ტექსტით.

დასასრულ, ზედმეტი არ იქნება მოვიყვანოთ მოკლვ ცნობები ვოლსკის შესახებ.

გრიგოლ ვოლსკი სიტყვითა და საქმით ხელშუწყობდა საქართველოს საზოგადოებრივ პროგრესს. იგი იყო პოეტი, ლიტერატურული კრიტიკოსი, პუბლიცისტი და მთარგმნელი.

სიმართლით, ხალხისადმი სიყვარულით, ყოველგვარი უსამართლობის გამედული კრიტიკით გამოიჩინა მისი კრიტიკული და პუბლიცისტური სტატიები.

გ. ვოლსკი პატივს სცემდა და უყვარდა დიდი რუსული ლიტერატურა და ცდილობდა ქართველი მკითხველისათვის გაეცნო მისი მიღწევები. ცოტა როდი იმუშავა მან მთარგმნელობით ლიტერატურაში. იგი თარგმნიდა როგორც რუსულიდან ქართულ, ასევე ქართული დან რუსულ ენაზე. განსაკუთრებით პოპულარული იყო ა. პ. ჩეხოვის მოთხრობებისა და ანადერსენის ზღაპრების თარგმანები, ცნობილია, აგრეთვე მის მიერ შ. არაგვისპირელის, ეკ. გაბაშვილის, დუტუ მეგრელისა და ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებთა თარგმანები, რუსულ ენაზე.

## ნიჭიერი შემოქმედი კოდექტივი

რთული და საინტერესო შემოქმედებითი გზა განვითარდა აქარის ასრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლმა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანვე ბათუმში ჩამოყალიბდა მუსიკალური საზოგადოება, რომელიც მაზნად ისახვდა აქარაში სასურონ ხელოვნების და მხატვრული ოვითმოქმედების განვითარებას, აგრეთვე აქარაში გავრცელებული ქართული ხალხური სიმღერების და ცეკვების შესწავლასა და ფართოდ გავრცელებას.

მუსიკალური საზოგადოების აქტიურ წევრს დ. უზბანეიშვილს დაევალა ბათუმის საწარმო-დაწესებულებებში მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებულ სიმღერის მოყვარულთა შერჩევა და გუნდის დაკამპლექტება. ეს დავალება მან წარმატებით შეასრულა და, მძრივად, 1922 წლის ივნისში ჩამოყალიბდა მომღერალთა გუნდი, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელად დაინიშნა გამოცდილი ლოტბარი მელიტონ კუსიანიძე.

გუნდის პირველი წევრები იყვნენ: ამჟამად საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ვ. გოგიტიძე, აქარის ასრ დამსახურებული არტისტები: ე. კოსტავა, ა. ლოპატინა, ნ. გიორგაძე, ს. ბეგალოვი, კ. ჭინვარაძე, აგრეთვე მომღერლები: ე. ფაჩულია, ქ. და მ. კორძაიძე, ა. კობიძე, თ. კალანდაძე, ს. ბარამიძე, დ. უზბანეიშვილი, შ. ჭუბაძერია, ვ. ხანთაძე, პ. დაშნიანი, ვ. ძელაძე, შ. ერქმაშვილი, ა. ქავთარაძე, გ. ყიფიანი, ი. მოდებაძე, ა. ჩიხლაძე, ა. ბაბუნაიშვილი, მ. მიქელაძე და სხვ.

ცოტა მოგვიანებით გუნდს შეემატენ ამჟამად სსრკ სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი დ. ანდლულაძე, რსფსრ დამსახურებული არტისტი ს. გოცირიძე, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ნ. პოპოვი (ბელა-

ნელა), საბჭოთა არმის წითელდროშოვანი ანსამბლის სოლისტი ვ. გაბიძაშვილი, თერებისა და იანერეტის მომღერალ-სოლისტები გ. ყიფიანი, ა. გერსამია, ა. სტეპანიანი, მ. გარამატოზიანი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე მ. ჩხიკვეშვილი და სხვ.

რეპერტუარში იყო დ. არაიშვილის „რაწმია“, ზ. ფალიაშვილის „ოქტომბრის რევოლუციის კანტანტა“, „დელი-ოდელა“, კ. ფოცხვერაშვილის „ძლევის სიმღერა“, ნ. სულხანიშვილის „მესტვირული“, ა. ყარაშვილის „სამშობლო“, მ. ბალანჩივაძის „ცირას სიმღერა“, ი. რატილის „ალსდექ გმიშთ-გმირო“ და სხვა ნაწარმოებები.

გუნდი სერიოზულად ემზადებოდა მაყურებელთან პირველი შეხედრისათვის და ხანგრძლივი, გულმოდგინე მეცადინეობის შემდეგ 1923 წ. ზაფხულში გამართა პირველი საჩვენებელი კონცერტი.

ადგილობრივი პრესა გულთბილად გამოეხმაურა გუნდის გამოსცვლას, აღნიშნა შესრულებული სიმღერების მაღალ მხატვრული ღონე.

ამის შემდეგ გუნდის მუშაობა კიდევ უფრო ნაყოფიერი გახდა. ახლად შექმნილი საგუნდო კოლექტივის მზარდი ძალა სულ უფრო მკაფიოდ იგრძნობოდა და 1925 წელს ადგილობრივმა მთავრობამ გუნდს დაუნიშნა ყოველწლიური სუფსილია და მიანიჭა აქარის სახელმწიფო აკადემიური გუნდის სახელწოდება.

1928 წ. დაისვა აკადემიურ გუნდთან ქორეოგრაფიული ჯგუფის ჩამოყალიბების საკითხი, მოწვეული იქნა ამჟამად საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე დ. ჭავრიშვილი. მან პირველმა დადგა აქარაში გავრცელებული ქართული ცეკვები „ხორუმა“ და „ფერხელი“.

აკადემიური გუნდი არ კმაყოფილდებოდა ოდგინზე გამართული კონცერტებით და ხშირად აწყობდა საგასტროლო მოგზაურობას საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში.

1929 წ. ივნისს აკადემიური გუნდი წარმატებით გამოვიდა სრულიად საქართველოს მომღერალთა გუნდების პირველ დათვალიერებაზე და პირველი ხარისხის ჯილდო მოიპოვა.

ცნობილი ქართველი კომპოზიტორი მელვინეთუშველი გაზეთ „კომუნისტში“ წერდა: „აქარის სახელმწიფო აკადემიური გუნდი მელიტონ კუხანიძის სელმძღვანელობით, წარმოადგენს ისეთ მხატვრულ ღამუშავებულ ერთეულს, რომლის შემოქმედება განსაკუთრებულად ჩაითვლება.“

ამ გუნდის საორგანიზაციო ტექნიკური, მხატვრული მხარე ნამდევილად პირველ ხარისხოვნია და ამიტომ პირველ სარისხოვნი უნდა იყოს მისი კვალიფიკაციაც, არა მარტო საქართველოში არამედ მთელ საბჭოთა კავშირის ფარგლებშიც“.

ამ გამარჯვების შემდეგ 1929 წ. ივლისის პირველ რიცხვებში აკადემიური გუნდი საგასტროლო გაემგზავრა საბჭოთა კავშირის დიდ ქალაქებში მოსკოვში, ლენინგრადში, სარკომში, კიევში, ყაზანში, კრასნოდარში, როსტოვში, ბაქოში და სხვ.

გუნდი ქართულ სიმღერებთან ერთად წარმატებით ასრულებდა რუსულ, უკრაინულ, ბელორუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ და სხვა სიმღერებს.

აკადემიურმა გუნდმა გასტროლების პერიოდში ფართოდ გააცნო მოძევე ერებს ქართული მუსიკალური შემოქმედება. გუნდის კონცერტებს მაღალ შეფასებას აძლევდნენ როგორც მოსკოვის, ისე სხვა ქალაქების გაზეთები.

1932 წლის ივლისს სახელმწიფო აკადემიურ გუნდს არსებობის 10 წლის იუბილე გადაუხდეს. საიუბილეო საღამოზე აღნიშნულდნენ გუნდის მაღალ კვალიფიკაციას და მხატვრულ ღონეს.

იუბილესთან დაკავშირებით გუნდის სამსატრო ხელმძღვანელს მ. კუხიანიძეს აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტის, საპატიო წოდება მიენიჭა.

მ. კუხიანიძე რამდენიმე თოვლით წელი ნაკუთვირად ემსახურა ქართულ საგუნდო ხელოვნებას. 1944 წლიდან იგი აკადემიულობის გამო ანებებს თავს მუშაობას და ანსამბლს სათავეში უდგება მისი მოწაფე მ. ჩხივიშვილი. ხანგრძლივი აკადემიულობის შემდეგ მ. კუხიანიძე გარდაიცვალა 1951 წელს ქ. თბილისში.

1936 წელს აკადემიურ გუნდთან ჩამოყალიბდა ეთნოგრაფიული ჯგუფი, რომელსაც სელმძღვანელობდა გურული ხალხური სიმღერების ოსტატი ლოტბარი ი. ხომერიკი.

1938 წელს აკადემიური გუნდი გადაკეთდა სახელმწიფო კაპელად, ხოლო 1944 წელს — სახელმწიფო ანსამბლად, რომლის სამსატრო ხელმძღვანელად დაინიშნა და დღემდე ამ თანამდებობაზე მუშაობს ენერგიული და ნიჭიერი ლოტბარი საქართველოს სსრ სელოვნების დამსახურებული მოღვაწე მ. ჩხივიშვილი.

ანსამბლთან შეიქმნა ხალხური ინსტრუმენტული ჯგუფი, რომელსაც სელმძღვანელობდა ამჟამად აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტი ვ. საღარაძე. ხალხურ ინსტრუმენტზე შესრულებული სიმღერები მნიშვნელოვნდა ამდღარებდა ანსამბლის რეპერტუარს. ვ. საღარაძემ ბევრი რამ ისწავლა მისი მასწავლებლის ამ საქმის სახელმოხვევილი ოსტატის. საქართველოს სსრ სელოვნების დამსახურებული მოღვაწის ა. მეგრელიძისაგან.

ამჟამად ინსტრუმენტულ ჯგუფს ხელმძღვანელობს ანსამბლის რიგბიდან დაწინაურებული, მუსიკალური სასწავლებლის კურსდამთავრებული აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტი მ. კილაძე.

1941 წელს გერმანელ ფაშისტთა თავდასხმამ საბჭოთა კავშირზე შეაფერდა ანსამბლის მუშაობა. ბევრი ნიჭიერი მომღერალი წავიდა დიდი სამამულო ომის ფრონტებზე. ამ პერიოდის რეპერტუარი ძირითადად ასახვდა საბჭოთა ხალხის გმირულ ბრძოლას საშიობლოს დასაცავად. რეპერტუარში იყო: კ. ფოცხვერაშვილის „ლაშერული“, ვ. ცაგარეიშვილის „მხედრული“, ა. ნარიმანიძის „წითელ აღმინდლთა მგზაურული“, ა. ზალანჩივაძის „მესაზღვრის სიმღერა“, გ. კოკელაძის „წითელაძიმიელთა სიმღერა“, ი. ტუსკიას „დიდება გმირებს“, მ. ვეზევაძის „სიმღერა საბჭოთა კავშირის გმირ ისრაფილ ჯინჭარაძეზე“, ხალხური „მფრინავი ქალის სიმღერა“ და სხვ. ამასთან გამდიდრებული იქნა საცეკვაო რეპერტუარი („მესაზღვრის ცეკვა“, „მხედრული“, „ფარიკაობა“ და სხვ.). სისტემატურად იმართებოდა საშეფერო კონცერტები სამხედრო ნაწილებში. ანსამბლის მჭიდრო, მეგობრული ურთიერთობა საბჭოთა მებრძოლებთან დღესაც გრძელდება.

ანსამბლის მუშაობაში დიდი ყურადღება ექცევა მრავალსაუკუნვებანი ქართული ხალხური ცეკვების შესწავლა-დამუშავებას. ამ მხრივ დ. ჯავრიშვილის შემდეგ დიდი ამაგი მიუძღვის

საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტი ა. ჯიგიეშვილი, რომელმაც ბევრი კარგი ცეკვა დადგა და აღზარდა ნიკიერი მოცეკვავეები..

1944 წლიდან ანსამბლის მოცეკვეთა ჭგუფს ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი, ე. ხაბაძე. იგი წლების მანძილზე აქარის მაღალ მთან არიონებსა და სოფლის მოსახლეობაში აგროვებდა საცეკვაო ფოლკლორულ მასალებს და უნარიანად იყენებდა მათ. მან გამოავლინა და დადგა მრავალი სინთერესო ცეკვა. რამდენიმე მათგანის ტადგმა ე. ხაბაძემ განახორციელა საქართველოს სსრ ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში. ე. ხაბაძემ აღზარდა მრავალი ნიჭერი მოცეკვავე, რომლებიც ამჟამად სხვადასხვა ანსამბლებში მუშაობენ.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე აქარის ასსრ დამსახურებულ არტისტ გ. ოდიკაძის ნაყოფიერი ქორეოგრაფიული მუშაობა ანსამბლში. მან წარმატებით დამთავრა მოსკოვის თეატრალური ინსტიტუტის საბალეტმასტერო ფაკულტეტი და უნარიანად იყენებს მდიდარ ცოდნას.

1955 წლის ზაფხულში აქარის სახელმწიფო ანსამბლმა წარმატებით მოაწყო შორეული საპოვიანი გასტროლები. გასტროლები დაიწყო კურსიდან და დასრულდა მოსკოვში. ანსამბლმა მოიარა კურსკი, ტულა, კალუგა, ბრიანსკი, სმოლენსკი, ვიტებსკი, პეტ्रოზავოდსკი, აზანგელსკი, ვოლოგდა, ვლადიმირი, რიაზანი და სხვ. მომსახურება გაუწია 100.000-მდე მაყურებელს; რამდენიმე კონცერტი გამართა, მოსკოვში სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოიფენის მონაწილეთათვის. კონცერტმა ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა აღმართებით სახალხო ჩესტუბლიერის სოფლის მეურნეობის დელეგაციის წევრებზე. კონცერტებს უველგან დიდალი ხალხი ესწრებოდა.

გასტროლების ღრმა მაყურებელმა 600-მდე წერილობითი თხოვნა შემოიტანა ქართული პოპულარული სიმღერებისა და ცეკვების განმეორებით შესრულების შესახებ. განსაკუთრებით მოწინათ „სულიო“, „ციცინთელა“, „აქარული შაირები“, „სიყვარული. არ იქნება ძალადა“, ცეკვებიდან: „განდაგანა“, „მხარული“, „მთიულური“, „სვანური“, „ქართული“ ოპერა „დაისიდან“, „სპორტული ცეკვა“ „ქართული ჭიდაობა“ და სხვ. მაყურებელი მოხიბლა ქართული ხალხური ცეკვების თავისებურება ილეთებმა, მაღალმა ტემპერამენტმა (განსაკუთრებით ცერებზე და მუსლებზე დგომამ), თითქმის ყველა საქალაქო და საოლქო გაზეთი გულთბილად ეხმაურებოდა ანსამბლის

კონცერტებს. კარელის ასსრ ქალაქ საჩტავალის გაზეთი „კრასნიე ზნამია“ აღნიშნავდა: „ქართველ მსახიობთა გამოსვლა დიდი მოვლენაა. ჩეუნი ქალაქის ცხოვრებაში. სარტყელელებმა დიდი ინტერესით ნახს ქართველ მსახიობთა გამოსვლა. ანსამბლის კოლექტივმა გამოავლინა ქართველ მოცეკვავეთა უსაზღვრილ მდიდარი ნიკიერება. ქართველი მსახიობები მოხდენილა ასრულებენ ქართულ ხალხურ სიმღერასთან ერთად მოძმეობოთ ხალხთა სიმღერებსაც. საერთო აღტაცება გამოიწვია აგარეთვე მოცეკვავეთა ჭგუფის ნიკიერმა გამსვლამ.“

გასტროლებმა ერთხელ კიდევ მეტიღიდ დაადასტურა ფორმით ეროვნული და შენარჩისთ სოციალისტური საბჭოთა ხელოვნების შემდგომი განვითარებისათვის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუცხრომელი ზრუნვა.

ანსამბლი არ ქმაყოფილდებოდა მარტოოდნენ საკონცერტო პროგრამით. სხვადასხვა ღრმას დაიღვა ლიტერატურულ-მუსიკულ კომპოზიციები, მათ შორის: საყვადი ტურფა ქეეყანავი“, „ამღერებული აქარა“, „ზეიში მთა-ში“ და სხვ., რომელთა დასადაგმელად მოწვეული იყენებს რეესიორები, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღაწეები არ. ჩიახტიშვილი, შ. ინასარიძე და გ. მრავლაძე, აგრეთვე რეესიორი ს. ვაჩნაძე.

ანსამბლის წარმატებაში უპარეველეს ყოვლისა დიდი წელილი მიუძღვის სამხატვრო ხელმძღვანელს საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღაწეს მ. ჩხიკვეშვილს. იგი არ იშურებს მდიდარ ცოდნას და გამოცდილებას, რათა ღირსეულად აღზარდოს საგუნდო ხელოვნების ახალგაზრდა კადრები, სერიოზულ ყურადღებას უთმობს ამა თუ იმ სიმღერის შესრულების კულტურას და დიდად არის დაანცერესებული თვითმოქმედ კოლექტივებისთვის მუშაობით.

მაყურებლის მოწინებას იმსახურებენ პროფესიულად დასასტატებული ანსამბლის მეორე თაობის წევრები საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები: ფ. კობალაძე და თ. მიქელაძე, აქარის ასსრ დამსახურებული არტისტები: ა. შალაძე, ვ. გაბისონია, ა. თავდუმაძე, ი. თავართევილაძე, ნ. ღოლიძე, ე. ღოლიძე, ნ. სიჭინავა, თ. თავდებიძე, ვ. ღოლიძე, გ. ანაიძე, ნ. ჩარექიშვილი, ე. ღერეკაჩი. მოღერებები: გ. რურუა, ი. ღოლიძე, რ. ნიშნიანიძე, ვ. ღოლიძე, ი. რუსია და სხვ.

უკანასკნელ დროს ანსამბლში დაწინაურდნენ ახალგაზრდა მსახიობები, აქარის ასსრ დამსახ. არტისტები: გ. ეგუტიძე და გ. მიქაელ, მსახობები: ტ. დავითულიანი, ნ. ერემეგვა, ლ. ვერულაშვილი, ი. კალანდაძე, დ. მაღარაძე, დ. კუპრეაშვილი, გ. პაიჭაძე, ა. მეგრელიავე, რ. ცანავა, მ. თევდორაძე, ჯ. დოკევაძე, ნ. რეაბუშვინა, ა. აბდროლაძე, გ. კვევლიძე, ი. ტრაპაძე, თ. ჯახუტაშვილი, ს. ხომასურიძე, შ. არუთინოვა, ვ. ინგოროვა, ნ. ფუტურიძე, ბ. და ე. გოგიძერიძები, ლ. მიხაილიძი და სხვ.

ანსამბლის შემოქმედებათს წარმატებას დიდად უწყობს ხელს კომპოზიტორებთან და პოეტებთან მქიდრო ურთიერთობა. ამ მხრვე განსაკუთრებით ნაყოფიერია საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის კომპოზიტორ ალ. ფარცხალაძის შემოქმედებითი მუშაობა. ანსამბლის ჩეხერტუარში მტკიცედ დაკვიდრდა მისი ბევრი ნაწარმოები, სახელდობრ: „აყვავებული აქარა“, „კანტატა აქარაზე“, „კომპავშირული მარში“, „განდაგანა“ და სხვ. ანსამბლისათვის სიმღერებს წერენ კომპოზიტორები შ. შველიძე, გ. კოკელიძე, შ. მილორავა, მ. ჩირინაშვილი და სხვ. პოეტები ნ. მალაზონია, ფ. ხალვაში, შ. გრუზინსკი და სხვ.

ანსამბლის ქორეოგრაფიულ გვუფთან მტკიცრო შემოქმედებითი თანამშრომლობა აქვთ. საქართველოს სსრ სახალხო არტისტებს ნ. რამიშვილსა და ი. სუხიშვილს, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ჯ. ბაგრატიონს და სხვ.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე შემოქმედებითი თანამშრომლობა ანსამბლსა და მხატვრებს შორის. ანსამბლის მხატვრულ გაფორმებაში ეხმარებოდნენ საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეები ე. ახვლედიანი და გ. სუმბათაშვილი, აქარის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეები ტ. ჭანტურია და დ. იმანაშვილი, აგრეთვე მხატვრები გ. ცენტრებაძე მ. ჩარგებიშვილი, შ. ხოლუაშვილი და ს. ამირბეგიშვილი.

1952 წლის ივნისში აქარის შტრომელებმა სახეიმო ვითარებაში აღნიშნეს ჩვენი ჩესპუბლიკის ნიჭიერი შემოქმედებითი კოლექტივის არსებობის 30 წლისთავი.

არა მატო ანსამბლის არმედ მთელი ქართველი ხალხის კულტურულ ცხოვრებაში უდი-

დესი მოვლენა იყო აქარის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა, რომელიც ჩვენა სამშობლოს დედაქალაქ თბილისში გაიმართა 1957 წლის იანვარში.

გაზეთები და უურნალები ფართოდ აშუქებენ დეკადის მიმდინარეობას, კვალიფიციურო რეცეპტერები მაღალ შეფასებას აქლევენ ანსამბლის კონცერტებს. საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი ი. სუხიშვილი გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“ დაბეჭდილ სტატიაში აღნიშნავდა: „ეხლა ჩვენ ეხედავთ მხატვრულად მომწიფებულ კოლექტივს, რომელსაც აქვს საესებით ჩამოყალიბებული შემოქმედებითი სახე. ანსამბლის ხელოვნება გამოიჩინება იდეური მიზანდასახულობით, ეროვნული თავისთავადობით, პროფესიული ოსტატობით.“

აქარის ასსრ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის კონცერტი... მოწმობს ზის დიდ სიყვარულს თავის ხელოვნებისადმი, ვრცელი, მრავალფეროვანი პროგრამი ადასტურებს, რომ ნიკიერი კოლექტივი არ დასკერდება მიღწეულს, დაუცხრომლად გააფართოვებს თავის ჩეხერტუარს ახალი ნომრებით“.

აღსანიშნავია აგრეთვე იმავე გაზეთში მოთავსებული ვ. კუპრავას წერილი: „აქარის ასსრ ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადა, რომელიც ამაღლინათ დამთავრდა საქართველოს დედაქალაქ — თბილისში, ლირსშესანიშვანი მოულენაა ჩვენი ჩესპუბლიკის ცხოვრებაში.“

თბილი შეხვედრა, რომელიც წილად ხედათ დეკადის მონაცემების თბილისის საზოგადოებრივობის მხრივ, წარმოადგენს იმ უკვევლწარამტებათა აღიარებას, რომლებსაც აქარის ხელოვნების და ლიტერატურის მუშაკებმა მიაღწიეს შედარებით მცირე იკტორიულ პერიოდში.

აქარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი წარსდგა თბილისის მაყურებლის წინაშე საინტერესო და მრავალფეროვანი რეპერტუარით. კლასიკური ოთხემიანი საგუნდო ნაწარმოებებიდან — ხალხურ სიმღერებამდე, ასეთია ანსამბლის შესრულების დაბაზონი.

ეს ტრადიცია, თავის დროზე ჩანერგილი ანსამბლის დამარსებლის და პირველი ხელმძღვანელის მ. კუხიანიძის მიერ, დღესაც წარმატებით ვითარდება“.

დეკადა საბჭოთა მთავრობის ლენინური ეროვნული პოლიტიკის კიდევ ერთი მკაფიო დადასტურება იყო. საქართველოს თითქმის ყველა გაზეთი გამოხსმაურა დეკადის ბრწყინვალე შედეგებს. დეკადასთან დაკავშირებით ანსამბლის მხატვრული ხელმძღვანელობა და მსახიობები დაჯილდოვდნენ საპატიო წოდებით, სიგელებით და სხვა ჭილდოებით.

აჭარის სახელმწიფო ანსამბლმა არსებობის 35 წლის მანძილზე განვლო შინარსიანი შემოქმედებითი გზა. ნიჭიერმა კოლექტივმა გასულია საგუნდო და ქორეოგრაფიული ხელოვნების ფართო პროპაგანდა, აღზარდა საგუნდო და ქორეოგრაფიული ხელოვნების არა ერთი ობიექტი და ნაყოფიერად ემსახურება მაღალი გეოგრაფიული მიმდევარის მქონე საბჭოთა მაყურებელს.

ურიდონ ხალვაში	3
იმ განთიაღზე	
გზა	4
წესტორ მაღაზონია	11
ნუთუ არ კმარა	
კაპიტონ რუსიძე	18
ბეგლარ	
მამია ვარშანიძე	27
მიწაო, ვარსკვლავიან!	
სინათლის მბრძანებელი	28
ოქროს შალრევანი	29
ნანა გვარიშვილი	31
აჭარელ ქალს	
ღეღა	31
გაზაფხულის მინიატურები	32
გიორგი სალუქეაძე	34
შეგობრობის ნადიმი	
ბაჟშვები	35
ფესტივალზე	36
ლექსის დაბადება	37
შოთა როსტა	38
ოქტომბრის დიდება	
საფესტივალო მოსკოვის ლამე	39
დილა კრემლის წინ	40
მენავე	41
ილია რურუა	43
ნოველები	
ქსენია მუავია	57
სამშობლოვ, ჩემო	
ციცინათელა	58
ნოდარ ჯალალინია	59
ახალგაზრდობა	
ლახტი	60
იაკობ მელია	61
მავზოლეუმი	
რუგოშელი	62
ცისარტყელას ბილიკით	

<b>ჭემალ ჭაყელი</b>	
ორი ნაცნობი	68
სალამი ზეიმს	69
დამალული საჩუქარი	69
<b>ალექსანდრე ჩხაიძე</b>	
ნარკვევის გმირი	71
<b>ბორის შენგელია</b>	
მექვლები	81
<b>ნუნუ ყირმელაშვილი</b>	
შხაპუნა წვიმა	82
<b>შალვა შუბლაძე</b>	
სურათი	87
<b>ლევან გელაძე</b>	
შუამთობა	88
<b>რევაზ ართილავა</b>	
ყამირს დაგარქვით ნაყამირალი	89
გუგულები	89
შენოვის, მამულო!	90
<b>ვლადიმერ სეიდიშვილი</b>	
ქალიშვილისა და ქვისმთლელის ბალადა	91
*** (თეოტირი ღამე ფანგარაზე...)	91
<b>ნუგზარ აფხაზავა</b>	
მაშ, რა მექნა?	92
<b>ალექსანდრე ლორია</b>	
თხუთმეტი წლის შემდეგ	94
<b>აკაკი ჩხაიძე</b>	
ამღერდი გულო	100
ბარილან მთაში	100
<b>ოთარ ბობოხიძე</b>	
უბათობაზე	101
პაემანი წვიმაში	101
<b>ჭემალ ქათამაძე</b>	
სიყვარულს როდი გთავაზობ	102
<b>ალექსანდრე ანანიძე</b>	
წყაროსთან თქმული	103
<b>ავთანდილ შიოშვილი</b>	
მშვიდობა და მეგობრობა	104
<b>ჭემალ ჩხეიძე</b>	
სოფელი ნასოფლარზე	121
<b>იუსუფ ფალავა</b>	
ჩაისუბნელი ბრიგადირი	127

საბჭოთა და უცხოეთის პოეზია	
ვლადიმერ მაიკოვსკი	
კარგი! (თარგმანი გიორგი სალუქვაძისა)	130
შოვანეს კარაიანი	
კეთილი იყოს ჩამოსვლა თქვენი (თარგმანი შ. როვასი)	139
ვიქტორ კერნბახი	
ბათუმში	141
განშორება	142
ზღვის წვეთი (თარგმანი ინეზა ბერიძისა)	143
წინა კასიანი	
შვებულების დასასრული (თარგმანი ნ. მალაზონიასი)	144
ფრიდრიხ მარტენ ბოდენშტერი	
გამოთხოვება კავკასიათან! (თარგმანი ვ. ჭანუყვაძისა)	145
ვოტფრიდ გ. ბიურგერი	
სიმღერა მამაც აღამიანზე (თარგმანი ვ. ჭანუყვაძისა)	145
სატირა და იუმორი	
ალექსანდრე სამსონია	
ბარნაბას მამალი	148
გაბდულა ტუკაი	
ლაყბობაა თუ ცოლის შერთვა (თარგმანი შ. შუბლაძისა)	151
ანდრია სიორიძე	
გუბე	153
კრისტიკა და პუბლიცისტიკა	
ნაზი ნოღაიდელი	
ხალხი უმღერის ბედნიერ ცხოვრებას	155
ჭავით ნაცვალაძე	
ილია ჭავჭავაძე და აჭარის საკითხი	158
ალექსანდრე ჩავლეიშვილი	
ტიპიური გარემოების ცნებისათვის რეალისტურ მხატვრულ ლიტერატურაში	163
არტაშეს მხითარიანი	
ფურცლები ლიტერატურის ისტორიიდან	175
გუგული გაბისონია	
ნიჭიერი შემოქმედი კოლექტივი	183

რედაქტორი გ. სალუქვაძე

სარედაქციო კოლეგია: პ. ლორია, ი. რურუა,

ალ. ჩავლეიშვილი, ა. ტოტოჩავა, ფ. ხალვაში.

\* \* \*

გადაეცა წარმოებას 1957 წლის 24 სექტემბერს, ხელმოწერილია დასაბეჭდად 29 ავტომბერს, ქაღალდის ზომა 70X92<sup>1</sup>/16, 12 საბეჭდი, 11,34 საავტორო, 11,4 სა-  
აღრიცხვო-საგამომცემლო ფორმა, დაკვეთა № 5294, ემ00614, ტიჩაერ 1.000

\* \* \*

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს  
მთავარპოლიგრაფიამმართველოს ბათუმის სტამბა-ლითოგრაფია  
(ბათუმი, ლუქსემბურგის, 22).